თედო სახოკია

როგორ ვიზრდებოდით ძველად

(მოგონებანი)

საქართველოს სსრ განათლების საბჭოსგრო
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
1ᲒᲝᲑᲘᲚᲘᲡᲘ 55

ნაწილი პირველი

ძიძიხას

დავიბადე 1868 წლის მარტის 2, სოფელ ხეთაში, მღვდლის ოჯახში... ბებიამ ჭიპის მოჭრასთან ერთად პირში ჩხიკვის ფრთა გამომავლო თურმე—ენას ადრე ამოიდგამსო...

ოჯახში შვილის, და ისიც ვაჟის, შეძენაზე ხარება დიდი ყოფილა, გაუთავებელი სროლა გამართულა კაჟიანი თოფისა თუ დამბაჩისა. ბახარობლისათვის მოლოცვა, ქათინაურები დედას, მამას... მოსალოცავად შორიდან მოსულან ნათესავ-მოყვრები.

უმთავრესი მიზეზი სამეგრელოში ბავშვის გაძიძავებისა გახლდათ ისა, რომ იმ დროის „კეთილშობილ“ დედას ეთაკილებოდა თავისი შვილის აღზრდა, მაშინაც კი, როცა ძუძუში რძე ჰქონდა და შეეძლო თვითონ ეწოვებინა ბავშვისათვის. შვილის აღზრდა სირცხვილად, „კეთილშობილისათვის“ შეუფერებლად ითვლებოდა. საერთოდ, მაშინ ბავშვის აღზრდა შესაფერი იყო იმისთვის, ვინც სოციალურ საფეხურზე ყველაზე დაბლა იდგა. მაგალითად, თავადი თავის შვილს აღსაზრდელად აძლევდა აზნაურს, აზნაური—გლეხს. ყოფილა შემთხვევა, როცა, ამავე მოსაზრებით, გლეხს გლეხისათვის მიეცეს შვილი აღსაზრდელად, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ ორ გლეხს შორის ეკონომიური მდგომარეობით დიდი განსხვავება უნდა ყოფილიყო: გლეხის კვალობაზე ერთი ძალიან შეძლებული უნდა ყოფილიყო, თითქმის აზნაურის ტოლი და სადარი, მეორე კი—ძალზე ღარიბი. მღვდელი პრივილეგიურ კლასს ეკუთვნოდა და ამასთან—სულმოდგმულს, ქონებრივად შეძლებულს. თავისთავად ცხადია, ჩემი გაზრდა უნდა ეკისრა გლეხის ცოლს...

დედაჩემს მოჰგვარეს თურმე ერთი საშუალო შეძლების გლეხის ცოლი, რომელსაც თან მოჰყოლია ჩემი მომავალი მამამძუძე უთუთია

ოსავა. ძიძას რძე ბლომადა ჰქონია და გარეგნულადაც ჯანსაღი ყოფილა.

სოფელში, სადაც მიმიყვანეს, ძიძის სამი უფროსი შვილი, ცოტა არ იყოს, მტრულად მომგებებია ვიღაც გადმოხვეწილს, რომელიც უბოდიშოდა ვწოვდი თურმე მათი დედის ძუძუს. ჩემდამი ეს მტრული განწყობილება შემდეგშიაც კარგა ხანს გრძელდებოდა. ეს სრულებით ბუნებრივიც იყო, თუ ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ მთელი ოჯახის ყურადღების ცენტრში მე ვიყავი, ყველანი თავს მევლებოდნენ, აქაურები კი დაიჩრდილნენ, იმ გარეულ თაგვისა არ იყოს, შინაურები რომ გააგდო.

ძიძას თავისი მოვალეობის მეთვალყურედ ჰყავდა იმავე სოფელში, სამი კილომეტრის მოშორებით მცხოვრები მამაჩემის ბიძა. კვირაში ერთხელ მაინც დახედავდა ძიძაჩემს, მოიკითხავდა თავის დის შვილიშვილს.

სახლი, სადაც შემიყვანა ძიძამ და სადაც უნდა გამეტარებინა ჩემი სიყრმე, ჩემს ძიძიშვილებთან ერთად, მრგვალი ძელებისაგან იყო შეკრული და ისლით გადახურული. ფანჯრების საშუალებით მზის სინათლის შეშვება იმდროინდელ ხუროთმოძღვრებს ადამიანის სადგომის არსებით საჭიროებად ჯერ არ მიაჩნდათ. შიგ შესასვლელად ამ ერთთვალა სახლში კარი იყო საჭირო და ეს კარი ერთის მაგიერ ორი ჰქონდა: ერთი წინიდან და მეორე უკნიდან, პირველის პირდაპირ. ამ კარებს თავისივე ხის ყურები ჰქონდა ჩარჩოებში ჩამჯდარი და ხისავე ურდულით იკეტებოდა. მთელი სახლი ისე იყო გაკეთებული, რომ ერთ ლურსმანს ვერ იპოვნიდით. სადაც ლურსმანი იყო საჭირო, იქ ეხმარათ გარეული თხილის ჩორჩალი. სახლის აქეთ-იქით, კედლების გასწვრივ, ტახტები გაეკეთებინათ, ზედ ეფინა ჭილობები და აკეცილი იყო საბან-გობანი. თავთით იდგა მჭვარტლისაგან გაშავებული ზანდუკი ხისა და შიგ ელაგა, რაც რამ ძვირფასი ებადა ძიძაჩემს; ერთ კუთხეში თაროდ ფიცარი შეერჭოთ კედელში და ზედ ელაგა ჯამები და ხისავე კოვზები. მიწურზევე იდგა: ერთი კოკა, ლიტრა; კედელზე აყუდებული იყო ბარქაში (პატარა თაბახი) მჭადის მოსაზელად და თუჯის ქვაბი ღომის მოსახარშავად.

ამ სახლს ჯარგვალი ერქვა, ე. ი. მრგვალი ხეებისაგან შეკრული სახლი. ჯარგვალს შუაგულ ალაგას კერა ჰქონდა; ადგილი წითელი მიწით იყო ამაღლებული და ზედ გათლილი ძელი იდო, წვრილი

შეშების თავების ჩამოსადებად, რომ ცალი მხარე შეშას ამაღლებული ჰქონოდა, ქვეშიდან ჰაერს ემუშავნა და წვა კარგად წარმოებულიყო. კვამლი, როცა გარეთ ქარი არ იყო, მაღლა ამოდიოდა, ნელ-ნელა გადიოდა ისლსა და ხვრელებში, რომლებიც ასე უხვადა ჰქონდა ჯარგვალს დატანებული ძელსა და ძელს შუა. ასე რომ, სახლს საგანგებო საკვამლე, კვამლის ადვილად და სწრაფად ასასვლელი არა ჰქონდა.

კვამლის კვალი აშკარად ეტყობოდა სახლის ყოველ ავეჯს, ყოველ კუთხეს, მთელ სახლს... რა თქმა უნდა, მაღლა ჭერი არა ჰქონდა და სახურავი პირდაპირ, უშუალოდ დასცქეროდა მიწურ იატაკს და მასზე მცხოვრებთ. სახლის სახურავს დედაბოძზე დაყრდნობილი კავები იჭერდა. სახურავის ისლიდან მოკიდებული თვით საკიდლამდე ყველაფერს მჭვარტლი ჩამოჰკიდებოდა მატყლის ფთილებივით, განსაკუთრებით კერიას გასწვრივ. რკინის საკიდელა დედაბოძზე ჩამოკიდებული და კერაზე დაშვებული, მთლად მჭვარტლში იყო ამოვლებული და ყორნის ფრთისებრ ბზინავდა. მჭვარტლისაგან შავად ლაპლაპებდა ძიძის ზანდუკიც, გეგონებოდათ, ტუშით შეუღებავთ ან ებენის ხისაო! აღარც საბან-გობანს ადგა კარგი დღე! ასე რომ, ოდესღაც თეთრი ფერის რაიმე საგანს ბოლომდე ეს ფერი, საეჭვოა, შერჩენოდა.

პირველი მიზეზი ჩემი ტირილისა ეს კვამლი ყოფილა: არ დამინდო თურმე ახალი წევრი ოჯახისა, თვალები ამომწვა და ცრემლებით გამივსო. აკვანში არტახებით ჩაკრულს საშუალება არ მქონია აბეზარი კვამლი მომერიდებინა. ვეღარ მომითმენია და საშინლად გავსხავდი თურმე, იქნებ რამე მიშველონ-მეთქი. ძიძას აკვანი დაურწევია. ოღრო-ჩოღრო მიწურზე ჩემი აკვნის რახა-რუხი სათოფეზე ისმოდა, ალბათ, აკვანში მაგრად ჩაკრული ჩემი პატარა სხეული გაჩერებული იყო, სამაგიეროდ ჩემი თავი აკვნის კედლებს განუწყვეტლივ ეწყვეტებოდა. ძიძას დიდი ენერგია არ დასჭირვებია, გავებრუვებინე და დავეძინებინე, გავჩუმებულვარ თუ არა, აკვნის რწევა შეუწყვეტია.

უჰაერობას ვერ ვიჩივლებდი! ჰაერი სულ მუდამ სუფთა მქონდა, რადგან იდეალური ვენტილაცია გვქონდა: კედლების ძელების არეებიდან განუწყვეტლივ შემომავალი ჰაერი გარეთ გამავალს უმაგიერებდა..

რამდენიმე დღემ გაიარა. ახლო-მახლო მეზობლებმა გაიგეს თუ არა ჩემი ჩამოყვანა, დენა დაიწყეს, ულოცავდნენ ძიძაჩემს: რა ბედი მოგსვლია, მღვდლის შვილის ძიძობა გღირსებიაო! თანაც შურით ევსებოდათ გული, რომ ასეთი ბედი მათ არ მიადგათ კარზე. ძიძაჰ იცოდა მათი შურიანობის ამბავი და, რომ არ გავეთვალე, აკვანზე, ჩემს თავს ზემოდან, ალისყურთან ერთად, ჩამოჰკიდა სამკუთხედად შეკერილი სამოგვის ნაჭერი ანუ ავგაროზი*, რომელშიც ერთი ბალახის ყვავილი იდო ავის თვალის ასარიდებელ თვისებისა. ეს ავგაროზი მონათვლის შემდეგ, პატარა ლითონის ჯვართან ერთად, გულზე მეკიდა და მანამდე ვატარებდი, სანამ 11—12 წლისა შევიქნებოდი. ძიძაჩემს ვერავინ დაარწმუნებდა, და იმ დროს არც არავინ ეცდებოდა დაერწმუნებინა, რომ ძალიან საეჭვო იყო ამ ავგაროზს დავეფარე როგორც ავი თვალის, ისე ათასგვარი მარცხისა და ფათერაკისაგან, რომელიც უფრო სდევდა სუსტებს, ჩჩვილთ და უმწეოებს. ამავე დანიშნულებისათვის იყო დაკიდებული აკვნის ხელზე ალისყურთან ერთად ზღვის ლოკოკინების მძივი. ყველა ამას დაკისრებული ჰქონდათ ჩემი ცვა-ფარვა გაღალვისაგან. მთავარი იყო რკინის ნატეხი, ძიძამ ჩემს პატარა ლეიბს ქვეშ რომ ამომიდო, თავთით.. აბა ეს იყო ნამდვილი მფარველი და მცველი ჩემისთანა ყრმებისა. რაც უნდა დიდი ძალა ჰქონოდა მღალავის თვალს, ამ რკინასთან მიახლოვებაზე მისი შიშით თურმე „ჰქრებოდა“...

ალბათ ამათი იმედი ჰქონდათ, რომ ერთხელ ცეცხლის პირად აკვანში ჩაკრული მარტო დავუტოვებივარ. ჯარგვალის უკანა კარი მიუხურავი დარჩენოდათ. შემოსულა ტრუხა-ღორი. ჯერ კუთხეში დაცვენილი სიმინდის მარცვალი ჩაუხრამუნებია... შემდეგ საღომე ქვაბში დინგი ჩაუყვია და ცდილა ქვაბის ძირზე დაკრული ღომის ქერქი აეცალა. უნაყოფო შრომით თავი რომ მოჰბეზრებია, ჩემკენ წამოსულა და მოუნდომებია გაეგო, თუ რა სულიერი იწვა აკვანში; რადგან ზევიდან დახედვა ვერ მოეხერხებინა, აკვნისათვის დინგი ამოუკრავს და წაუქცევია. დინგი ამოუკრავს აგრეთვე არტახებისათვის და რაკი საკბილო ვერა უნახავს რა, თავი დაუნებებია და უკმაყოფილო ღრუტუნით გასულა ჯარგვლიდან. დალოცვილმა ის კი დაი-

* ასეთ ავგაროზს შინაურ საქონელსაც ჰკიდებდნენ: კამეჩს, ცხენს, ძროხას—ავი თვალის პატრონი ვერას დააკლებსო.

ვიწყა, რომ კერაზე ცეცხლი იქავე იყო და მაჯა დავიწვი შაურიანის სიფართეზე*. ალბათ, ძალიან მემწვავა, რომ ჩემ გაბმულ კივილზე მოცვივდნენ. მაშინ მარტო მაჯის დაწვით გადავრჩი. ის იყო და ის, მას აქეთ მარტო არ დავუტოვებივარ, ერთ-ერთი ვინმე უეჭველად მედგა დარაჯადა,—მეორე ხელიც არ დაიწვას და უფრო უარესადაცაო... მთელ ორ თვეს მმკურნალობდა თურმე ერთი ჩვენი მეზობელი ქალი. ცნობილი მკურნალი დამწვრისა და ძლივს მოვურჩენივარ. ყოველივე ეს მერე, როცა მოვჩიტდი, ჩემმა ძიძამ მიამბო*.

განვლო ხანმა. მე ძიძას შევეჩვიე და ძიძა კიდევ მე შემეჩვია. ძიძიშვილებსაც თითქმის ვცნობდი და სხვებისაგან ვარჩევდი. ერთხელ ეშმაკად, კუჭი ამშლოდა. აფრინეს თურმე კაცი მკითხავთან, თან გაუტანებიათ ჩემი პერანგის ნახევი. რაკი მე თვითონ პირადად ვერ დამინახავდა, რაიმე ისეთი უნდა გაეგზავნათ, რაც ჩემს სხეულს მიჰკარებოდა. ეს საკმარისი იყო, რომ შორიდანვე დაესვა დიაგნოზი და შესაფერი წამლის ხმარებაც ერჩია. პერანგის ნახევისთვის დაუხედავს თუ არა, უთქვამს: ნათვალევია და საჭიროა „საყმაწვილოს“ წამალიც დაალევინოთო. ასეთი წამლის გაკეთება ერთმა ჩვენმა მეზობელმა თურქიას ქალმა იცოდა. ნათვალევის წამალი უშოვნიათ და საყმაწვილოსიც. მესიამოვნებოდა თუ არა ამ მოშავო და მომწარო წამლის დალევა, არავის უკითხავს ჩემთვის. მეც იმდენი მიმარჯვნია, რომ ნახევარზე მეტი პირიდან გამომიქცევია. ბოლოს, შემოუვლიათ ჩემთვის სპილენძის ქვაბი და ერთი სახარე ხბო, რომელიც, რომ მოვრჩებოდი, ხეთის წმ. გიორგის კარს უნდა წაგვეყვანა შესაწირავად და ჩემი თავის შესავედრებლად.

მოხდომით არც წამალი მომხდომია და აღარც თავზე შემოვლება ქვაბისა თუ სახარე ხბოსი. სულ უარესად ვხდებოდი თურმე. საქმე იქამდე მისულა, რომ სააქაოს უნდა გამოვთხოვებოდი. რაკი სიკვდილის პირას ვიყავი და მოუნათლავი, ისიც მღვდლის შვილი, არ ეგებოდა ემბაზში ჩაუშვებლად საფლავში ჩავსულიყავ. ჯერ განიზრახეს თურმე მამაჩემს სახლში მოვენათლე და ჩემი ჩამომავლობის საფერი ნათლიაცა მყოლოდა: თუ თავადი არა, აზნაური მაინც, სასულიერო წოდების ნათლიის არჩევას ხომ წინ არა ედგა რა! მაგრამ რაკი მოცდა არ შეიძლებოდა, გადაუწყვეტიათ, დაუყოვნებლივ მო-

* ეს ნამწვავი დღესაც მაჩნია იმ მაჯაზე, რომლითაც ამ ამბავსა ვწერ.

ვენათლე. ნათლიად ჩემი მამამძუძე უნდა დამდგომოდა,—სულ ერთია, სასიცოცხლო პირი არა აქვსო,—უთქვამს ჩემს ნათესავსა და მომნათვლელ მღვდელს. ნათლობის თბილი წყალი მომხვედრია თუ არა, მომიხედნია და თანდათან უკეთ გავმხდარვარ, ამას, ალბათ, ხელი შეუწყო სოფლის ჰაერმა...

აქვე უნდა დავძინო, რომ იმ დროს მთელ ს ვეგრელოში არც ექიმი ყოფილა სადმე და არც ფერშალი. ხალხის მკურნალობის საქმე სავსებით ებარა შინაურ ანუ სოფლის მეწამლეებს, რომლებიც უმეტესად ქალები იყვნენ, ხოლო „ქირურგები", კბილის ამომღებნი და სისხლის გამომშვები მამაკაცები იყვნენ. მკურნალობის ამ სამ დარგს ზოგჯერ ერთი კაცი „ითავსებდა". ასეთ „ექიმს" მხარზე გადაკიდებული ჰქონდა სამგზავრო ჩანთა, რომელშიაც ელაგა სისხლის ნესტარი, კბილის ამოსაძრობი გაზი, სულ მუდამ დაჟანგული, ასხმული ნაირ-ნაირ კბილებისა, რომელსაც ემატებოდა ყოველი ახალი ამოძრობილი კბილი. მაშინდელ გლეხს წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გამოეშვებინებინა სისხლი მკლავის მთავარი სასისხლე მილიდან. ასე რომ მუშტარი სოფლის „ქირურგს" არ აკლდა. ასეთი მეწამლე ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდა, მეორიდან—მესამეში. სადმე სოფელში გაჩნდებოდა თუ არა, ერთბაშად მთელ სოფელს მოედებოდა მისი გამოჩენის ამბავი და ყველანი ესწრაფვოდნენ მისთვის მიემართათ დახმარებისათვის, იმისდა მიხედვით, თუ რა დარგის წამლობა სჭიროდათ.

მეწამლე ქალები ზაფხულშივე აგროვებდნენ ბალახებს, აშრობდნენ და ინახავდნენ ტომსიკებით ზანდუკის ყურში ან კედელზე ეკიდათ; ჰქონდათ ქვის ბრტყელი ფიცარი და მრგვალი ქვა წამლის სანაყავად. გასამრჯელოს ნატურით ღებულობდნენ: ქათამს, ღორს, სიმინდს, ზოგჯერ ძროხასაც. გასამრჯელოს სიბევრე-სიმცირე ავადმყოფის სიმძიმესა და თვით ავადმყოფობის ხანგრძლიობაზე იყო დამოკიდებული. ათასში ერთხელ კარაბადინიც აღმოაჩნდებოდა სოფლის მეწამლეს.

თვით ჩემი მამამძუძე, უთუთია, მეწამლე იყო, სპეციალობად ჰქონდა ხუნაგისა და საწერელის მორჩენა. ხუნაგისათვის ხმარობდა რაღაც ძირნაყოფა მცენარის ძირებს. ამ მცენარეს ახმობდა, ნაყავდა, ბურნუთად აქცევდა და ამას ხუნაგიანს მასრით აყრიდა გასიებულ ყელში ჩაბერვით. თუ სატკივარი მწიფე იყო, უეჭველად გასკდებო-

და. შორი მანძილიდან მოდიოდნენ ჩემს მამა-მძუძესთან ავადმყოფის მოსარჩენად. ასეთი წამლობა მამას შვილისათვის (ვაჟისათვის) უნდა ესწავლებინა, მაგრამ ჩემი მამა-მძუძე ისე მოკვდა, რომ თავისი საიდუმლოება საფლავში თან ჩაიტანა.

გადავრჩი უდროო სიკვდილს! სოფლის ჰაერმა, სადა, მარტივმა ცხოვრებამ ჩემს ორგანიზმს ხელი შეუწყო და შემაძლებინა ავადმყოფობასთან ბრძოლა და გამოჯანსაღება.

გაიარა ხანმა. ხოხვა ვისწავლე. ხოხვისაგან ბარძაყები ერთთავად გასვრილი მქონდა მიწით და თან რაც მომხვდებოდა ხელში: ნაფცქვენი იქნებოდა, ნახშირი თუ მიწა, ყველაფერი პირისაკენ მიმქონდა.

ფეხი რომ ავიდგი, დავიწყე ეზოში სიარული და ურთიერთობა გავაბი ამ ეზოში მცხოვრებლებთან: კრუხ-წიწილებთან, ქათმებთან, ინდაურებთან, ბატებთან. უფრო წიწილებს ვეტანებოდი. თუ ხელში ჩავიგდებდი ბამბის ქულა წიწილას, მეტისმეტად სიყვარულით ისე მოვუჭერდი ხელს, რომ ზოგჯერ შემომაკვდებოდა კიდეც. ასეთი ალერსისათვის ღაბუა კრუხს ბევრჯერ ჩაუკრავს ნისკარტი. ერთხელ, ცოტას გაწყდა, თვალები არ ამომიკორტნა. ბატიც ხშირად გამომკიდებია: მე, ჩემებურად, მის ლამაზ ჭუკს ვეალერსებოდი, დედა კი ალერსს წვალებად მითვლიდა... სკებთან ახლოს გავლისათვის ფუტკარს ჩემი სიპატარავისა და უწყინარობისათვის ყურადღება არ მიუქცევია და ბევრჯერ გამოვუსტუმრებივარ აღრიალებული და სახეგასიებული, ალბათ, თაფლის საქურდლად მოსული ვეგონე.

მოვჩიტდი, უკვე ოთხი წლისა გავხდი. საღამოს ქათმების შერეკვა საქათმეში, ღორების შერეკვა საღორეში, პატარა ლიტრით წყაროდან წყლის ამორბენინება ჩემს მოვალეობას შეადგენდა. თვალყურს ვადევნებდი საშობაოდ დასაკვლელი ღორის გასუქებას: სიმინდს ვუყრიდი სხვებში გამორჩეულად.

როგორცა ხედავთ, უკვე ცოტა-ცოტათი გამოვყავდი გარეთ, მაცნობდნენ აქაური ცხოვრების პირობებს, მაჩვევდნენ არსებობისათვის ბრძოლას. ყველაზე სახალისო იყო იმდროინდელი ნადირობა, გლეხების კოლექტიური წასვლა სანადიროდ და კოლექტიურადვე გაყოფა ნანადირევისა, სწორედ ისევე, როგორც ჩვენი არცთუ ისე შორეული წინაპრები შვრებოდნენ.

მაგრამ ჩემი წლოვანება ჯერ ნებას არ მაძლევდა სოფელს დავშორებოდი, თუნდაც სანადიროდ. სამაგიეროდ, საუკეთესო მოსაგონრადა მრჩება თევზაობა, რაშიც მეცა და სხვებიც გულმხურვალე მონაწილეობას ვღებულობდით...

სოფელში ერთი ღელე ჩამოგვიდიოდა. ბევრი არა, მაგრამ შიგ მაინც იცოდა ღორჯო და ჭიჭყინები. სოფლის გოგო-ბიჭებმა გადაწყვიტეს, დიდების დაუხმარებლად, საფერისცვალებოდ, თევზი დაეჭირათ ამ ღელეში. ამისათვის საჭირო იყო ჯებირი გაეკეთებინათ, წყალი სხვა სადინელში გადაეგდოთ და მერჩხზე დარჩენილი თევზი ადვილად დაეჭირათ ხელითაც. გულმოდგინედ შეუდგნენ ჯერ ქვის კედლის გაკეთებას, მერე ამ კედლის ამოჩურთვას ბალახ-ბულახით, ნეშოთი და ღორღით, შემდეგ ტალახით ამოლესვას. როცა წყალს სხვა კალაპოტი მივეცით სადინელად, ალაგ-ალაგ ჩაღრმავებული ადგილები დაგვრჩა და იქიდან წყალი გობით უნდა ამოგვესხა. თვალის დახამხამებაში ეს სიძნელეცა ვძლიეთ. ასე რომ, ერთი საათის მუშაობის შემდეგ შევუდექით მერჩხზე უმწეოდ დარჩენილი თევზების ჭერას. დაჭერილი თევზი ერთ ალაგას გროვდებოდა. ბლომად ამოჭყვა ნაფოტა და ღორჯო, კიბოც გამოერია. ჭერას რომ მოვრჩითო, გამყოფად ორი ქალი და ერთი ბიჭი ამოირჩიეს. ყველას თანასწორად გაუყვეს. გულს არავის დაჭკლებია. მე, როგორც ყველაზე პატარას, ბევრი არაფერი გამიკეთებია: გამკეთებელს ორიოდე ქვა და გვიმრა თუღა მივაწოდე. მაგრამ, როგორც მათი გვარის გაზრდილს, მაინც პატივი მცეს და მეც დიდებთან ერთად დამიდეს წილი. ჩემს ძიძიშვილებთან ერთად ხტუნვით მოვდიოდი შინისაკენ. იმედი მქონდა, ჩემს ძიძასა და მორდუს ანუ, როგორც მე ვეძახდი, ნანასა და ბაბას, მარიამობისთვის მარხვაში, ფერიცვალებისათვის, როცა საეკლესიო კანონით თევზი იჭმეოდა, ჩემი დაჭერილი თევზის მიტანით გავახარებდი...

სათამაშოდ და დროს გასატარებლად ხან მეზობლის ბავშვები გადმოვიდოდნენ ჩვენს ეზოში, ხანაც ჩვენ გადავდიოდით მათთან. საბავშვო თამაშობასა და გართობაში პირველი ადგილი ეჭირა სათამაშო კარავის გაკეთებას ჩხირებისაგან. კარებიც მოწნული ჰქონდა ჩვენს კარვებს. მოწნული ქოხები, ადვილი და სახელდახელოდ საკეთებელი, სადგომად და საცხოვრებლად სამეგრელოში მაშინ იშვიათი

არ იყო. ასეთი ქოხები პროტოტიპი უნდა ყოფილიყო აქაური ძველებური სახლებისა.

მაგრამ ყველაზე საუკეთესო და დასამხარი ადგილი იყო „კაკალთან“. საუკეთესო, ტკბილად მოსაგონარი დრო ჩემი ნორჩი ყრმობისა ამ კაკალთან არის დაკავშირებული, არა მარტო ჩემი, არამედ ყველა ჩემი ტოლისა.

სოფლის შუაგულში დაუსახლებელი იყო ასე ხუთიოდ ქცევა მიწა, სადაც აქა-იქ კიდევ დარჩენილიყო ბუჩქნარი და თითო-ოროლა წიფლისა და რცხილის ხე. მინდორი თავისუფლად იყო გაშვებული ბატებისა და ღორებისათვის. მაგრამ მთელი მინდვრის საჩინო ადგილას, სწორ სამკუთხედ მიწაზე, წამოზიდული იყო უხსოვარი დროის კაკლის ხე. გარეშემო ორი კაცი ვერ შემოუწვდენდა ხელს, განიერი ტოტები ირგვლივ ოცდაათი მეტრის მანძილსა ჰფარავდა. ზოგი ფესვი მიწის ზემოდან ამოშვერილიყო და სოფლელნი ჩამოსაჯდომად ხმარობდნენ. ზაფხულში, რაც უნდა დიდი სიცხე ყოფილიყო, ამ კაკლის ძირას მუდამ მაგრილებელი ნიავი ჰქროდა და სმენის დამატკბობელი შრიალი გაუდიოდა მის იოდის სუნიან ფოთლებს.

ეს მინდორი და კაკლის ძირი კვირაობით სოფლელთა შესაკრები და დროსსატარებელი ადგილი იყო. მის ძირას თავს იყრიდა მთელი სოფელი: ქალი და კაცი, დიდი და პატარა. მოხუცნი კაკლის ფესვებზე ან იქვე მწვანეზე მოიკალათებდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს. ეს მოხუცები ზოგჯერ მოსამართლეთა ფუნქციებსაც კი კისრულობდნენ. მათი გასარჩევი საქმე იქნებოდა: სამეზობლო დავა საადგილ-მამულო ხასიათისა, თუ სხვადასხვა მეზობლური გაუგებრობანი. მათ მიერ გამოტანილ განაჩენს მომჩივან-მოპასუხენი სიტყვაშეუბრუნებლად, უაპელაციოდ ემორჩილებოდნენ. იშვიათად ყოფილა, რომ მოხუც მოსამართლეებს შენ-ჩემობით, მიკერძვით რაიმე გადაეწყვიტოთ. პირუთვნელი მოსამართლეობა წმინდა საქმედ მიაჩნდათ და თავიანთ მფვალეობად სთვლიდნენ, შორს დაეჭირათ თავი ნათლიმამობისა და მექრთამეობისაგან.

აქვე, კაკლის ხის ძირას, ნახავდით სოფლის საუკეთესო მეჩონგურეთ. ჩონგურის ხმაზე ცეკვავდნენ სოფლის ქალ-ვაჟნი და მეზობლებს აჩვენებდნენ როგორც თავიანთ ხელოვნებას, ისე თავიანთ ტანისამოსს. ამ ქალ-ვაჟთა გამოფენაზე ხდებოდა გასინჯვა საცოლე

ბიჭებისა და გასათხოვარი ქალებისა; აქვე ხდებოდა მაჭანკლების მიერ საქორწილო საქმეების გაჩარხვა.

ქალ-ვაჟნი ჯერ წყვილ-წყვილად ცეკვავდნენ. მზე კარგად რომ გადიხრებოდა, დაიწყებოდა „მხარული“ თამაშობა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი, ისე ხანშიშესულებიცა. ყველანი ახოვანნი იყვნენ, ჯანსაღები, წარმოსადეგნი და ლამაზები. ჩიას, ჩაგუერას, დახაშლებულს ძალიან იშვიათად ნახავდით, ან თუ იყო ასეთი ვინმე სოფელში, ერიდებოდა „ჯარში“, „შეყრილობაში“, „ქაქლის ხის ძირას“ გამოჩენას.

„მხარულის“ მოცეკვავენი ჩაჰკიდებდნენ ერთიმეორეს ხელებს და გააკეთებდნენ ოც, ოცდაათ ქალ-ვაჟისაგან შემდგარ წრეს. წრის ორპირად გაიმართებოდა შაირების თქმა. მოშაირეთ სიმღერით, შეწონილად ბანს აძლევდნენ და სიმღერას რითმულად ააყოლებდნენ ფეხებს. მოთამაშენი მარჯვენა მხრით გარშემო წრეს ავლებდნენ. კარგა ხანს ასე თამაშის შემდეგ ქალები გამოეცლებოდნენ წრეს, ხოლო მამაკაცები აქეთ-იქით ერთიმეორეს მხრებზე გაშლილ ხელებს დაადებდნენ (აქედან სახელი თამაშობისა „მხარული“) და იმავე სიმღერით განაგრძობდნენ წრის შემოვლას, მხოლოდ სიმღერას და ფეხების გადაბიჯების ტემპს უმატებდნენ. ეს სისწრაფე გადადიოდა მაღლა შეხტომაზე იმდენად, რომ მოთამაშენი თითქმის ერთი ადლის სიმაღლეზე ასცდებოდნენ დედამიწას. ამ სახით რამდენჯერმე შემოუვლიდნენ წრეს და თამაშობაც გათავდებოდა.

ცეკვის ამ სახეს სამეგრელოში 1890 წლამდე კიდევ შეხვდებოდა კაცი. შემდეგ კი თანდათან აიღეს მასზე ხელი და დღეს მოხუცებულთ თუღა ახსოვთ, თუ როგორ თამაშობდნენ მათი წინაპარნი ერთ დროს.

ფერხულს, მცირე შესვენების შემდეგ, მოჰყვებოდა შეჯიბრი სირბილში. გადასარბენად დანიშნული იყო ასე ნახევარი კილომეტრის მანძილი. ამაში მონაწილეობას ღებულობდნენ ახალგაზრდები, ასე 12—15 წლის ბიჭები. გამარჯვებულისათვის საჩუქარი არსებობდა, მისი ჯილდო იყო—სახელი, რომელსაც მოიხვეჭდა თავის სიმარჯვით ტოლებისა და დიდების თვალში.

სირბილს მიაყოლებდნენ ბურთაობას. მობურთალნი ორ მოპირდაპირე ჯგუფად გაიყოფოდნენ; გამარჯვებულად ითვლებოდა ის ჯგუფი, რომელიც თავის ლელოში გაიტანდა ბურთს.

რიგი ბიჭებისა ჩოგანის თამაშობას გამართავდა. მეტრიანი ჯოხი ძირში ბრტყელად მოკაუჭებული იყო ბურთის საცემად. „არჩევანი მე, არადანი შენ“-ის ძახილით მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფოდნენ და თითოეული ჯგუფი ცდილობდა „ჩოგანის“ ცემით ბურთი ლელოზე გაეტანა. ამ თამაშობაში ღონე იმდენად არ იყო საჭირო, რამდენადაც სიმარდე და გამჭრიახობა.

ყოველივე ეს დასრულდებოდა იმით, რომ მედღეობენი, დიდი თუ პატარა, კაკლის ხის ძირას მოიყრიდნენ თავს და გაიმართებოდა ჭიდაობა დიდებისა ცალკე და პატარებისა ცალკე. ჭიდაობაში გამარჯვებულნი, როგორც მორბენალნი, სჯერდებოდნენ მაყურებელთა ქებას და მათს შორის სახელის გავარდნას. ჭიდაობაში, ფიზიკური ღონის გვერდით, ხერხი ფასდებოდა, რომლის საშუალებით მოპირდაპირესა სჯობნიდა მოჭიდავე. ასეთი ხერხები იყო: მოგვერდი, კისრული, ფეხის გამოდება და სხვ.

ამასობაში დასაღამოჟამდებოდა კიდეც. უნდა გაეთავებინათ დროსტარება, ოჯახები მიხედვას თხოულობდა. პირველად დიასახლისები და სახლის უფროსები მიატოვებდნენ აქაურობას და მიაშურებდნენ თავთავიანთ სახლ-კარს. ცოტა ხანს უკან ყმაწვილებიც გაჰყვებოდნენ მათ და ნასადილევიდან ახმაურებულ „კაკლის ძირას“ ისევ გამეფდებოდა სიჩუმე და მყუდროება.

აი, ასეთი იყო „კაკლის ხის ძირი“. სრულებით ბუნებრივია, სოფლელთ ამ ხისათვის მოწიწებით და პატივისცემით ეყურებინათ, როგორც კეთილისმყოფელისათვის, რომელიც სიცხეში მათ უჩრდილებდა და რომლის ტოტებს ქვეშ გადიოდა უმხიარულესი წამი ამ სოფლელთ ცხოვრებისა. ბოლოს, დროთა ვითარებაში, ეს მოწიწება და ეს პატივისცემა იმ ზომამდე გაზრდილიყო ამ კაკლის მაყურებელთა წარმოდგენაში, რომ იგი წმინდა ხედ მიუჩნევიათ: მოსაჭრელად ცულს არავინ მიაკარებდა, ვერც დანით ჩამოთლიდა ქერქს ტანზე თუ მიწის ზევით ამოშვერილ ფესვებზე. დაკრეფის დროს ერთი ვინმე არა ჰკრეფდა, არამედ როგორც საერთო საკუთრებით, ყველა სარგებლობდა მისი ნაყოფით.

აი, ამ მოსაზრებით უნდა აიხსნას ის ჩვეულება, რომელიც სოფლის დედაკაცებსა ჰქონდათ და რომლის სიძლიერეც ღრმადა სწამდათ. იმ დროს, ძვირისმოქმედის და საზოგადოდ მტრის შურისძიების ერთი სახე გახლდათ წყევლა. როცა ფარული მტერი ეყოლებო-

დათ, მაწყევარი მივიდოდა კაკალთან კვირაობით ან დღეობაში, როცა მის გარშემო ხალხი იქნებოდა თავმოყრილი, და ამ ხალხის თანადასწრებით კაკლის ტანში ქვით ჩაარჭობდა დიდ ლურსმანს და ხობის ღვთისმშობელს ან ხეთის წმინდა გიორგის შესთხოვდა: ჩემი გაქურდვისათვის (ან სხვა რამ ბოროტებისათვის) და ჩემისთანა საწყალი ადამიანის დაჩაგვრისათვის, გთხოვ, შენი სახელის ჭირიმე, ლოგინად ჩააგდო, საშველი არ მისცე და მანამდე სტანჯო, სანამ ამ კაკალთან არ მოვა და თავისი კბილით არ ამოაძრობს ამ ლურსმანსაო. დამსწრენი უსმენდნენ მაწყევარის „გადაცემის“ სიტყვებს და, ნიშნად თანაგრძნობისა, წყევლის გათავებისას ერთხმად ეუბნებოდნენ: „ამინ!“

*
* *

ჩემი აღზრდის „პროგრამაში“ შედიოდა: შევედრება ჩემი თავისა, როგორც ოჯახის სალოცავებისა, ისე „ძლიერი“ ხატებისათვის; ამ ხატების დღეობებზე „მათს კარს წინ“ ჩემი მიყვანა, შესაწირავების მიტანა, ჩემი თავის შევედრება, ჩემს მაგიერ მორჩილების გამოცხადება, აღთქმა შესაწირავების კვლავ მიტანისა და, სამაგიეროდ, გამოთხოვნა ცხოვრებაში ცვა-ფარვისა, ყოველგვარი ხიფათისა და განსაცდელისაგან, წარმართვა ყოველი დაწყებული საქმისა, ხელის მომართვა ყველაფერში, ძლევა მტერთა და ავისმდომთა.

ჩემი ძიძა და მამამძუძე, აგრეთვე ჩვენი მეზობლები ცდილობდნენ ამ ხატებთან და სალოცავებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ, ყოველთვის შესაწირავები მიერთმიათ და მომადლიერებული ჰყოლოდათ, ვალი არ დასდებოდათ მათი, მათთვის საყვედურის საბაბი არ მიეცათ. თანაც მე და ჩემს ძიძიშვილებს გვასწავლიდნენ მათს მსახურებას, მაგრამ ხატებისა და წმინდანების გვერდით სხვადასხვა ავი, ადამიანის სამტროდ და წასაწყმენდად გაჩენილი სულებიც არსებობდნენ, რომლებიც ავსებდნენ ტყეებს, ღადაღუდეებს, ღელეებსა და ხევებს.

ამ ავი სულებისა და ჭინკების ამბავს ვისმენდით მეზობლებისაგან, რომლებიც ზამთრის გრძელ ღამეებში ჩვენთან შემოდიოდნენ ცეცხლაპირას სალაპარაკოდ და დროის მოსაკლავად.

მე და ჩემი ძიძიშვილები კი შიშით ვკანკალებდით. სულ წყეული ჭინკები და ავი სულები გვედგა თვალწინ. ერთმანეთს ვეკვროდით: ვინიცობაა გამოჩენილიყო ერთ-ერთი მათგანი, ერთიმეორისათვის გვეშველნა, ერთობლივი ძალით მოგვეგერებინა. განსაკუთრებით ბნელ ღამეში სახლიდან გარეთ გამოსვლისა გვეშინოდა. ყოველ ნაბიჯზე ხან ოჩოკოჩი, ხან ტყის დედოფალი და ხან ჭინკა გველანდებოდა.

ჩემი უფროსი ძიძიშვილები ცდილობდნენ ესწავლებინათ ჩემთვის, რაც თვითონ იცოდნენ ცხოვრებაში ფონს გასასვლელად, ცხოვრებაში გაჭირვებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. მასწავლიდნენ, რის გაკეთება არ შეიძლებოდა, ანუ რაც იყო „ტაბუ“, რადგანაც „ტაბუს“ დარღვევას, მათი აზრით, მოსდევდა დამრღვევის დაზარალება, ვნება, საქმის უკეთმა დატრიალება.

აი, ზოგი მათგანი:

1. თუ მიწაზე დავეცემოდი ან ჩემით დავჯდებოდი, წამოდგომისას უეჭველად სამჯერ უნდა დამეფურთხებინა ნაჯდომ ადგილზე, რომ „მიწა არ ამყოლოდა“, ე.ი. სინოტივე. ამ სახით გაცივებას თავიდან ავიცდენდი.

2. არ შეიძლებოდა კარის ზღურბლზე დაჯდომა, თორემ შეიძლებოდა ჩემი ძიძის სახლს ბოქაული ანუ ვინმე ამწიოკებელი მოსდგომოდა კარებზე.

3. მთვარიან ღამეს რამდენჯერმე მომინდომებია ცაზე მიმობნეული მოკაშკაშე ვარსკვლავები დამეთვალა. ჩემი ძიძიშვილები მაშინვე მომვარდებოდნენ და დამიშლიდნენ: არ დაითვალო, თორემ რამდენს დათვლი, იმდენი მეჭეჭი გაგიჩნდება ხელზედაო.

4. აკრძალული იყო ბაყაყის მოკვლა; თუ ვინმე მოჰკლავდა, მაშინათვე წვიმა უნდა წამოსულიყო.

5. აკრძალული იყო ვისთვისმე ფულის მიცემა ხელით, რადგან ფულთან ერთად წაყვება ჩვენი ხელის ბარაქაო.

6. ბაზარზე ქალი ქათამს რომ გაჰყიდდა, ქათამს ხელში არ მისცემდა მყიდველს—ბარაქა წაჰყვებაო, არამედ ძირს დასვამდა, ფეხს დააბიჯებდა, რომ ქათამი არ გაქცეულიყო და მყიდველს ფეხქვეშიდან უნდა გამოეცალა ნაყიდი ქათამი. სამაგიეროდ, მყიდველიც ფულს ხელში არ აძლევდა გამყიდველს,—ძირს, მიწაზე დადებდა სა-

ღირალს და გამყიდველს უნდა აეღო. გარდა ამისა, პატრონი ქათამს ცოტა ბუმბულსაც ამოაცლიდა, ბარაქა არ გაჰყვესო.

7. თუ ოთხფეხ საქონელსა ჰყიდდნენ, იმასაც ერთ ბღუჯა ბალანს მოაცლიდნენ და ისე აძლევდნენ მყიდველს.

8. აკრძალული იყო მიცვალებულზე ლაპარაკის დროს ცხვირის დაცემინება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხსენებაზე სიკვდილი მოსულა და უპირებს სხეულში შეუვიდეს იმას, ვისაც ცხვირი დააცემინაო. ამიტომ მაშინათვე ზურგში უნდა ჩაეკრათ მუშტი და თანაც დაეტანებინათ: „იმის (მიცვალებულის) მოსვლამდე თავი არ წამოგტკენოდესო.“

9. არ შეიძლებოდა ზოგიერთი ნადირის ნამდვილი სახელის ხსენება. უნდა დაეძახათ მეტი სახელი. მგელს მგელი რომ დაუძახონ, იტყვის: მეძახიან, რაღაც ჩემი საკბილო გამოჩენილაო და გამოიქცევაო. ამიტომ როცა მგლის ხსენება უნდოდათ, ამბობდნენ: უწმინდური.

აუარებელი იყო ამგვარი „აკრძალვა“ ანუ „ტაბუ“, რომლითაც უნდა შეიარაღებულიყო ბავშვი სიყრმიდან, რომ ცხოვრებაში სუფრის თავში თუ არა, მთლად ბოლოს მაინც არ მოქცეულიყო.

მეც ჩემი ძიძიშვილებისა და მეზობლის ბავშვებისაგან ვიძენდი ამ სულიერ ცოდნას, რომ უცოდინარი არ გამოვსულიყავი და გამზრდელისათვის სირცხვილი არ მეჭმია.

ფიცსა და წყევლას წინათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ძალა როგორც ერთისა, ისე მეორესიც სავსებით სწამდათ. პატარებიც დიდებსა ვბაძავდით და რაიმე გაუგებრობის გამოსარკვევად, როცა უჩხუბრად გვინდოდა საქმე გაგვეთავებინა, მივმართავდით ფიცს. ფიცის ძალა, მისი ურყეობა ძალიან გვწამდა. ერთმანეთის რაზედმე წაკინკლავების, დაშავების დროს ჩვენი გამშველებელი, ჩვენს შორის გაუგებრობის გამომრკვევი, კანონიერების ფარგლებში ჩვენი ჩამყენებელი და ჩვენს შორის მშვიდობის ჩამომგდები იყო ფიცი. საფიცრად გვყავდა: დედ-მამა, ხატები, მზე. რომ ვიტყოდით: დედა ან მამა არ მომიკვდესო, ან მზის მადლმა, დაუღალავ მზის მადლმა, მოპირდაპირე, ვის წინაშეც ვფიცულობდით, უნდა გვრწმუნებოდა, ჩვენი სიალალ-მართლე უნდა დაეჯერებინა, მიეღო როგორც ჭეშმარიტება, რომელსაც სხვა საბუთი, სხვა დამტკიცება არა სჭიროდა. ამნაირი დაფიცების გზით ვიხსნიდით ხოლმე თავს პასუხისგებისა და სასჯე-

ლისაგან, აღვადგენდით ჩვენს სიმართლეს და ტყუილ-უბრალოდ არ დავეჩაგვრინებოდით ხოლმე.

როდესაც ტოლი დაგვიშავებდა რასმე და დამნაშავე ფიცსაც არ მოიშველიებდა თავის გასამართლებლად, ან ისე აშკარა იყო მისი დანაშაული და მისთვის შეუძლებელი იყო რეაბილიტაცია, ფიციც ვერ იხსნიდა და სასჯელი სავსებითაც ჰქონდა დამსახურებული. დაჩაგრული მხარე მიმართავდა წყევლას, რომლის ფორმულები მრავალგვარი იყო. აი ზოგი მათგანი: „ხვალინდელი დღე არ გაგთენებოდეს“, „ყველანი დაგხოცოდეს“, „შენი კუბო მენახოს“, „შავი მიწა დაგყროდეს“ და სხვ.

ამავე წყევლას მიმართავდნენ დიდები პატარების მიმართ, როცა ეს უკანასკნელნი ან გაჯიუტდებოდნენ ან ნებსით თუ უნებლიეთ უფროსებს ვერ აამებდნენ და მათი სურვილის წინააღმდეგ გაივლიდნენ. ასეთ შემთხვევაში უფროსების: დედის, მამის ან კიდევ უფროსი და-ძმების წყევლის ფორმულა არსებითად იგივე რჩებოდა, მხოლოდ დედა, როცა შვილს ხმამაღლა, მის გასაგონად წყევლიდა, მაშინათვე ჩუმად დაატანდა: „ვარი“ (არა), ე. ი. გწყევლი, მაგრამ სიტყვები ნუკი მოგივა წყევლადაო... მართალია, დასწყევლიდა გასაგონად, შესაშინებლად და გამოსასწორებლად, მაგრამ იმ ბოროტ სულს, იმ ბოროტ არსებას, ვისაც ეს წყევლა უნდა აესრულებინა, ჩუმად, თავისთვის ეუბნებოდა: ნუ იზამ მაგასაო, ჩენს დაწყევლას მართალი გულით დაწყევლად ნულარ ჩამომართმევო...

მზაკვრების, კუდიანების, მღალავების, ავის თვალის პატრონ ადამიანთა წინააღმდეგ სახლის კარს ზემოდან გვეკიდა გახვრეტილი ქვა, კარის ზღურბლზე დაჭედილი გვქონდა ცხენის გაცვეთილი ნალი, ღობის სარზე, საჩინო ადგილას, ჭიშკრის ახლო, ჩამოცმული გვქონდა ცხენის ან ხარის თავის ქალა, მეორე სარზე—გახვრეტილივე ქვა, მხოლოდ ცოტა დიდი ზომისა, რომ გარედან კაცს ადვილად დაენახა. ყველა ესენი ეზოს შიგნით მყოფთ გვიფარავდნენ სიავისა და ბოროტისაგან, რადგან ყველასა სწამდა, რომ ავი თვალის ადამიანნი თვალს მოავლებდნენ თუ არა სარზე წამოცმულ გახვრეტილ ქვას და ცხენის თავის ქალას, მის მისნობას, მის მღალაობას ყოველივე ძალა ეკარგებოდა, არ შეეძლო ევნო მშვიდობიანი და უზაკველი ადამიანის ოჯახისათვის.

*
* *

დასრულდა ჩემი როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი აღზრდა ძიძის სახლში. ერთ მშვენიერ დღეს სუფთად ჩაცმული შემსვეს ცხენზე, მეახლნენ ძიძა და მამამძუძე, წამიყვანეს ჩემს მშობლებთან, რომ მათთვის ჩავებარებინე. სახლში გამსინჯეს, მიმატრიალ-მომატრიალეს. გარეგნულად მოვეწონე, ნაკლი ვერაფერი ჰპოვეს ჩემში. უქეს ძიძას ქალობა, მადლობა უთხრეს, მისცეს: საკაბე, ძროხა, მამამძუძეს—საჩოხე, პატივი სცეს და გამოისტუმრეს.

მე, რა თქმა უნდა, მივტიროდი ნანასა და ბაბას, რომელნიც ერთბაშად ჩემთვის უცხო ალაგას, უცხო ხალხში მტოვებდნენ. დიდხანს ვტიროდი, ვუხმობდი მათ, მაგრამ ერთიცა და მეორეც ჩემგან უკვე ძალიან შორს იყვნენ.

ცხოვრება მომიხდა ჩემს უმცროს ძმასთან, რომელიც აგრეთვე ძიძას გაეზარდა და ისიც ახალი მოყვანილი იყო დედ-მამის სახლში. ურთიერთშორის პირდაპირ მტრული განწყობილება გვქონდა. ერთმანეთთან არაფერი გვაერთებდა. მეტსახელად ერთსაც და მეორესაც ჩვენ-ჩვენი მამამძუძის სახელებს გვეძახდნენ. მე—უთუთიას და ჩემს ძმას—აკოიას. მწყინდა, რომ ჩემი ბაბას სახელს მაშინ ახსენებდნენ, როცა ქცევას ან ზრდილობას მიწუნებდნენ. ზოგჯერ მატირებდნენ კიდეცა ამ ნიადაგზე.

ამ ახალ წრეს დიდხანს ვერ შევეჩვიე, დიდხანს ვერ მოვშინაურდი. გული ერთთავად იქითკენ მიმიწევდა, სადაც ყველანი მეფერებოდნენ, სადაც თვალში რომ ჩავვარდნოდი ხელს არ მოისვამდნენ, სადაც, რაც საუკეთესო რამ ჰქონდათ, სულ ჩემთვის უნდოდათ, მანებივრებდნენ, ჩემი სახელი საფიცრადა ჰქონდათ.

ამასობაში ჩემს ცხოვრებაში მოხდა ერთგვარი გარდატეხა. მთელი ჩვენი ოჯახის წევრები და მათთან მეც, სამეგრელოს მოვშორდით და ბინა დავიდევით ქალაქ სოხუმში, სადაც გავატარე მთელი ორი წელიწადი და ჩემი აღზრდის საქმეც სულ სხვა გზით წავიდა.

უკვე იმ ხანში ვიყავ, რომ დრო იყო წერა-კითხვა მესწავლა, მაგრამ იმ დროს სოხუმში ქართულს ვერ გაიგონებდით. მამაჩემს უხაროდა კიდეც, რომ რუსულს ვისწავლიდი, ე. ი. იმ ენას, რომელიც იმან არ იცოდა და ძალიან კი უნდოდა ესწავლა, საყველპურად მაინც, რადგან მის მრევლში მეგრელებს გარდა რუსობაც ერია და

დიდი სურვილი ჰქონდა ეკლესიაში, როცა ქართულად სწირავდა, ზოგი ასამაღლებელი სლავიანურად ეთქვა, ზოგჯერ სახარებაც წაეკითხა. ამიტომ რუსული ანბანის სასწავლად ერთ პოლონელ ქალს—ინდო-ევროპულ ტელეგრაფში მოსამსახურე პოლონელის ცოლს მიმაბარა. შემდეგ ერთი რუსული პოლკის უფროსის დასთან დამაწყებინა მეცადინეობა. ერთმაც და მეორემაც მასწავლეს წერა-კითხვა უშინსკის «Родное слово»-ს საშუალებით. ამის შემდეგ მამამ შემიყვანა აფხაზთათვის დაარსებულ ერთადერთ რუსულ ორკლასიან სკოლაში. აქ აფხაზებთან ერთად რუსი ბავშვებიცა სწავლობდნენ და მეც იმათთან! თანდათან მეგრული მავიწყდებოდა, ტენდენცია მქონდა გარუსებისა, ამისთვის პირობებიც ხელს მიწყობდა. მამაჩემს ძალიან უხაროდა და თავისთავი ბედნიერად მიაჩნდა, რომ შვილი რუსული ენის მცოდნე და რუსულ სკოლაში მოსიარულე ვყავდი. ვერ ვიტყვი, პრინციპულად წინააღმდეგი ყოფილიყო „ჩვენებური“ (ქართული) წიგნიც მცოდნოდა, თუ ამით რუსულის სწავლა არ დაბრკოლდებოდა, მხოლოდ ბალა ის გახლდათ, რომ ქართული ენის სახელმძღვანელო იშვიათი იყო. ერთ მედუქნესთან ერთ თაბახ ქაღალდზე დაბეჭდილი ქართული ანბანი იშოვებოდა, მგონი, პეტრე უმიკაშვილის გამოცემა. მამას ეყიდა ეს ანბანი, სახლში მოიტანა ჩემთვის და ანბანთან ერთად ჩემი თავი ჩააბარა თავის დიაკვანს—იქნება „ჩვენებური“ ასწავლოო. დიაკვანმაც დამსვა, დამაჭერინა ხელში „ანბანი“, მაჩვენა პირველი სამი ასო და მითხრა—იძახე: ან, ბან, განო! მეც დიაკვნის თანადასწრებით ორჯერ-სამჯერ გავიმეორე: ან-ბან-გან-მეთქი. მასწავლებელი რომ მომშორდა, სამჯერ კიდევ გავიმეორე, თვით „ანბანში“ არც კი ჩამიხედავს, ისე. მერე იმდენად მოსაწყენად მეჩვენა, რომ ვარჩიე თავიდან მომეშორებინა. ერთ წამს უკან ამაზე უკეთესი აზრი დამებადა თავში: მოდი, სულაც დავხიო-მეთქი. მართლაც, ჩემი „ანბანი“ ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე და კიბიდან ჩამოვყარე. ერთხანს ვერთობოდი, როგორ აიტაცა ნიავმა ქაღალდის ნაფლეთები და ჰაერში როგორ ათამაშებდა, სანამ მიწაზე დაცვივდებოდა. მერე გულზე მეფონა, გადავრჩი-მეთქი და ჩემთვის სათამაშოდ წავედი.

დიაკვანი რომ დაბრუნდა და გაკვეთილი მომთხოვა, არამც თუ ვერ ვუპასუხე, თვით „ანბანიც“ ვერ ვუჩვენე. იმის მოსპობის ამბავი, არც კი გავწითლებულვარ, ისე ჩვენს ხატაურა კატას დავაბრალე,

რადგან ვიცოდი, რომ კატა პირში ვერ წამიდგებოდა და ვერც მეტყოდა—სტყუიო. დიაკვანმა თავი ისე დაიჭირა, ვითომ ირწმუნა ჩემი ნათქვამი და, მგონი, გაეხარდა კიდეცა, რომ მუქთისა და ისიც უფრო ზარმაც, ვიდრე ბეჯით შეგირდისაგან თავი იხსნა, იმიტომ, რომ მეორე „ანბანის“ შოვნა შეუძლებელი შეიქნა.

1877 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი ატყდა. ამ ომმა გვაიძულა სოხუმელები ქალაქი დაგვეცალა და ისევ სამეგრელოსათვის შეგვეფარებინა თავი. თან მომქონდა ცოდნა: რუსული წერა-კითხვისა, საუფლო ლოცვებისა რუსულ ენაზე და ზოგიერთი გალობისა. ასეთი ცოდნით აღჭურვილს უნდა მღირსებოდა ჩემი ნანა-ბაბას ნახვა, სირბილი იმ ადგილებში, სადაც ჩემ ძიძიშვილებთან ერთად გავიზარდე, გასვლა იმ ხეებზე, რომელთაგან ესოდენ ტკბილი ხილი მომიწყვეტია, ბანაობა ჩვენი სამოსახლო ადგილს უკან მიმდინარე ღელეში... ყოფნა წმ. გიორგის საფარველქვეშ, ხობის ღვთისმშობლისათვის თავის შევედრება, კაკლის ხის ძირას, ბიჭებთან ბურთაობა... და ვინ მოსთვლის?!..

ამავე დროს უნდა დაწყებულიყო ჩემი მზადება სამეგრელოს საასულიერო სასწავლებელში შესაყვანად.

მაშასადამე, უნდა გამოვთხოვებოდი თავისუფალსა და უდარდელ ცხოვრებას.

ᲨᲘᲝ ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡᲐᲡ

მაშინ სამეგრელოში ერთადერთი სასწავლებელი არსებობდა: ეს იყო ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი მოსამზადებელი სამი განყოფილებით. მისი დანიშნულება იყო მოემზადებინა ტრაპეზის მომავალი მსახურნი. ამ სასწავლებელში იზრდებოდნენ უმთავრესად სამეგრელოსა და სამურზაყანო-აფხაზეთის ეპარქიების საღვდელოთა შვილები, რომელთაგან სწავლადამთავრებულთა თითოოროლა ბედნიერთ თუ ეღირსებოდა თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გასაგრძელებლად შესვლა.

სასულიერო სასწავლებელში მღვდლის შვილების შესვლას წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი „განსაწმენდელში“ ყოფნისა. „განსაწმენდელი“ იყო რომელიმე იმ დროისათვის თვისი განსწავლულობით ცნობილი მღვდლის სახლი. პრაქტიკით დაკანონებული

იყო მომავალი მღვდლისათვის ასეთ სახლში ამა თუ იმ პერიოდის გატარება: ჩვევა მღვდლობის მომავალ ცხოვრებისა, სასულიეროთა წრეში უშუალოდ ტრიალი, მათი ცხოვრების დაწვრილებითი გაცნობა, წერა-კითხვაში და, განსაკუთრებით, „დავითნის“ კითხვაში გავარჯიშება.

ასეთი ოჯახი იყო—ოჯახი შიო მღვდლისა, რომელიც ჩემი გამზრდელი სოფლისა და მის მახლობელ სოფლების „სულიერ“ მოძღვრად ითვლებოდა და იქვე ცოტა მოშორებით ცხოვრობდა. ამ ოჯახშივე იზრდებოდა ჩემამდე ოცდაათი წლის წინათ მამაჩემიც. აქ უსწავლია ხარის ბეჭზე მხედრული წერა-კითხვა, აქ უსწავლებიათ „დავითნის“ კითხვა... უზეპირებინებიათ ფსალმუნები: „ნეტარ არს კაცი“ და „მიწყალე მე, ღმერთო“... აქ უზიდნია ტყიდან ზურგით შეშა, წყაროდან—კოკით წყალი, წისქვილში—ზურგით სიმინდი დასაფქვავად; აქ უგდია ყური საქონლისათვის და აქვე... ბევრჯერ გდებულა ხრამში, ცემისაგან დაოსებული, ცხვირიდან სისხლნადენი, გულწასული, ოდეს შიოს შეყვირებაზე „დავითნის“ კითხვის დროს ასოები ხტომას დაიწყებდა მის თვალწინ, ერთი სიტყვის მაგიერ სხვა წამოსცდებოდა, ან როცა ენა სრულებით გაკერპდებოდა და უარს იტყოდა „წმინდა მამათა“ ნაწერის გამოთქმაზე...

აქ მარგუნა ბედმა მეც მცირე მასშტაბით გამომევლო ყოველივე ის, რაც მამამ გამოიარა „სიბრძნის“ სასახლეში შესასვლელად.

მამამ მიმიყვანა შიოსთან და ჩააბარა ჩემი თავი „ცოტა რისამე სასწავლებლად“.

სოფელ ბიას, გორაკის კალთაზე, ტყეში, გაკაფულია 8—10 დღის მიწა. აქ არის სიმინდის სათესი ადგილი, აქვეა ურიცხვი ხეები წაბლისა, ხურმისა და თხმელისა, რომლებზედაც გასულია ძველი ჯიშის ვაზები: „ოჯალეში“ (მზვარის), „ჭვიტილური“, „პუმპული“ და აგრეთვე სამეგრელოში ახალშემოსული „ადესა“ (იზაბელა). აქვეა კაკლის ხეები, თხილნარი, ბროწეულის ბუჩქები, კომში, ვაშლი, მსხალი, საკუთარი წყარო. ბოლოს, აქვეა „საისლედ“ (სადაც იზრდება სახლის დასახურავი ისლი) გაშვებული ორი ქცევა მიწა. ეზო, სადაც კოინდარია დათესილი, კიდევ ცალკეა. ეზოს შუაში უზარმაზარი კაკლის ხეა და მის ქვეშ ტოტებიანი მარგილია მაგრად ჩარჭობილი, მოსული სტუმრის ცხენის მისაბმელად (ახლო მეზობლებს გარდა, სხვა ადგილიდან მოსული კაცი უეჭველად ცხენიანი უნდა ყოფილიყო, განსა-

კუთრებით თუ სამღვდელო იყო ან პრივილეგიური წოდებისა—თავადი, აზნაური).

სწორედ ამ მხარეს, სადაც სამზარეულო იყო, ანუ, როგორც აქ ეძახდნენ, სამზადი და ბოსელი, ნახევარი ქცევა ადგილი, ნაკელიანი, ბოსტანს ეჭირა. შიგ ეთესათ: პრასა, წიწაკა, ოხრახუში, ნიახური, რეჰანი, ქინძი, სუნელი, მხალი, ჭარხალი, ხახვი, გოგრა და ეგ არის და ეგ... არც პამიდორის ხსენება იყო სადმე, არც კარტოფილისა. ბოსტანშივე, განაპირას, შვიდიოდ ძირი სკა იდგა, საიდანაც ყოველ ზაფხულის პირას მამა-პაპათა ხერხით—კვამლის საშუალებით—თაფლი ამოჰქონდათ ხოლმე და ამ ამოღების დროს აუარებელი ფუტკარი იხოცებოდა.

ამ ეზო-ყანა-ვენახ-ხილნარს გარშემოვლებული ჰქონდა მაგარი ღობე გარეულ თხილის წკნელისა, შიო მღვდლის ქონების დასაფარავად უპატრონოდ მავალ და უღლებიან ღორ-საქონლისაგან... ხოლო ქურდების შემოსვლისაგან კარ-მიდამოს იფარავდა ორი ნაგაზი, რომელთაც შეეძლოთ ცხენიდან კაცი ჩამოეღოთ.

მაგრამ ქურდებისა და ღორ-საქონელს გარდა კიდევ ჰყავდათ ამათში არანაკლები საშიში მტერი შიოს ცოლ-შვილსა და მის ავლადიდებას: ეს იყო მღალავი, „ავი თვალის“ პატრონი. ეტყობოდა, შიოს მღვდლობა, მისი „მადლიანობა“ საკმარისი არ იყო, მღალავებს, „ავი თვალის“ პატრონებს კრიჭა აჰკვროდათ, მათ მავნებლობას ძალა გაქარწყლებოდა და ეაა, შიოს, თავის თანამოძმე ეოისკაცთა მსგავსად, რომელთაგან მხოლოდ გარეგნულად (ანაფორით) განსხვავდებოდა, თორემ გონებრივად მათთან ერთად განვითარების ერთ დონეზე იდგა, აღმოაჩინა მათს წინააღმდეგ წამალი. მაღალი ღობის მარგილები, საჩინო ადგილას, ჭიშკარს ახლო, საიდანაც ყველაზე ადვილად შეიძლება შემოხედვა და თვალის გადავლება, ღობეს შიგნით მოქცეულისათვის, დასარყული იყო ცხენის ან ძროხის თავის ქალებით, ბუნებრივად გახვრეტილ რიყის ქვითა; სახლის აივნის ზღურბლზე დაჭედილი იყო ცხენის ნალი, რასაც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც გახვრეტილ ქვასა და საქონლის თავის ქალას. სამივე ეს უხსოვარ დროითვე ითვლებოდა ყოველი სიავის ამრიდებლად. ისე ძლიერი იყო შიოს თანამემამულეებში ეს რწმენა, რომ შიოსაც კი, რომლის წინაშეც ძრწოდნენ ყოველნი ძალნი მიწიერნი, ანგარიში გააწევინა და მიამართვინა მის ცვა-ფარვისათვის.

დაქანებულ ეზოს სიღრმეში წამოდგმული იყო მეგრული ოდა, ანუ ხის სახლი, სულ მუხის სქელი ფიცრებისაგან შეკრული, ზევიდანაც მუხისავე ყავრით გადახურული. კედლებს დროთა ვითარებისაგან ნაცრის, უფრო მოშავო, ფერი გადაჰკრავდა. სახლს ქვეშ პალატი ანუ ცხენის დასაბმელი ჰქონდა ქვიტკირით გამოშენებული. სულ ხუთი ოთახისაგან შედგებოდა სახლი. ამათგან ერთი ოთახი, სულ უკანასკნელი, 10 მეტრის სიგრძისა და 5 მეტრის სიგანის, სახლის გასწვრივ იყო. ეს ოთახი მთავარი ოთახი იყო, სადაც მიმდინარეობდა ამ სახლის მცხოვრებთა მეტი დრო დღე და ღამის განმავლობაში. დღისით ოთახი—სასადილოს, სასტუმროს მაგივრობას ასრულებდა, აქვე ლოცულობდა ხოლმე სახლის უფროსი, ხოლო ღამით კედლის გასწვრივ მიკეთებულ ტახტზე, სადაც ჭილობი და ნაწილობრივ ძალზე გახეხილი ფარდაგი იყო გადაფენილი, სამხრეთ კუთხეზე, შიოს სარეცელს გაუშლიდნენ. ეს იყო ბამბის, ერთი გოჯის სისქე ლეიბი ჩითგადაკრული, ჩითის საბანი ბამბისა, ყუითუყის ბალიში ჩითის საპირებიანი, მუთაქა სიმინდის ფოჩით გატენილი. ამ ლოგინზე დამწოლი, რა თქმა უნდა, მაგარი ხერხემლის ძვლისა და გვერდების პატრონი კაცი უნდა ყოფილიყო, რადგან ბამბის სიფრიფანა ლეიბი, წოლისაგან უარესად გაბრტყელებული, ხმელა ფიცრის სიმაგრეს ერთი ბეწოთიც არ არბილებდა. მაგრამ აქაურებს, რაც თავი ახსოვთ, ასეთ ლოგინზე მოუსვენებიათ თავიანთი სხეული, ყოველთვის ტკბილად სძინებიათ, უძილობა რა არის, არ გამოუცდიათ.

შიოს სასთუმალი ზედ ებჯინებოდა ოსმალური ხელოვნების, რკინაშემოკრულ ზანდუკს, ანუ, როგორც აქ ეძახდნენ, სეფეთს, რომელშიაც ელაგა შიოს ტანისამოსი და სხვადასხვა ქაღალდები, ბაღდადის ხელსახოცში გამოკრულები. უმთავრესად აქ ინახებოდა პარკში ჩაწყობილი რუსეთის იმპერატორის ეკატერინეს დროის ვერცხლის მანეთიანები, ანუ, როგორც მაშინ სამეგრელოში ეძახდნენ ამ ფულს, „ჯვრიანი“ მანეთიანები. ეს სახელი მანეთიანებს იმიტომ ერქვა, რომ ცალ მხარეზე დიდი ჯვარი ჰქონდა გამოხატული, ხოლო მეორე მხარეზე ეწერა სლავიანურად ფსალმუნის სიტყვები: „ნუ ჩვენთვის (უფალო), ნუ ჩვენთვის, არამედ სახელსა შენსა“. ყოველი ძველი კაცის, და მით უფრო მღვდლის, იდეალი იყო: ასეთი მანეთიანები ასი მაინც დარჩენოდა სიკვდილს შემდეგ. ასეთი მანეთიანები შიოს რამდენი ედო პარკში, არ ვიცოდით. ვიცოდით მხოლოდ, რომ

„სეფეთი“ შემცველი იყო ასეთის ძვირფასი განძისა და ვეპყრობოდით მოწიწებითა და კრძალვითა, როგორც წმინდა რამ საგანს, რომელსაც, თვინიერ შიოს ხელებისა, უბრალო სიკვდილის შვილის ხელები ვერ მიეკარებოდნენ.

შიოს სარეცლის ქვემოთ, იმ ტახტზედვე, განისვენებდნენ ხოლმე სტუმრები მათი ღირსების რიგზე: შიოს სარეცლის ფეხთით უფრო ღირსეულს (თავადს ან აზნაურს, ან კიდევ მღვდელს) ეშალა ლოგინი და სხვები იმას მისდევდნენ. ამათვე მისდევდნენ შინაურები მამრობითი სქესისანი.

ამ ერთ დიდი ოთახის გაყოლებაზე ოთხი ოთახი იყო და შიგა ცხოვრობდნენ ამ ოჯახის წევრები დედათა სქესისანი, როგორც გათხოვილები, ისე გათხოვების სულწასულად მომლოდინენი. დილაობით ლოგინები აიკრიფებოდა და ცალკე საკუჭნაოში შეინახებოდა. სახლს წინ დიდი ათი მეტრის სიგრძის აივანი ჰქონდა ნახარატევრიკულიანი.

შიოს ამ დიდი ოთახის თითქმის მთელ სიგრძეზე შინაურულად, ცულით გათლილი მუხის ფიცრების მაგიდა იდგა, რომელსაც სულ უკანასკნელი ორმოცი სული შემოუსხდებოდა ხოლმე. მაგიდის სიგრძეზედვე გრძელი მერხი იყო ჩამოსაჯდომად, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს მაგიდას ტახტის საშუალებით უსხდნენ.

რისთვის მიმიყვანა მამაჩემმა შიო მღვდელთან და არა სხვასთან?

ჯერ ეს ერთი, ნათესავი ვიყავი და არც ისე შორეული: დის შვილისშვილი. მეორე და უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ ასეთი ძველი, საღმრთო წერილის მცოდნე მღვდელი 30 კილომეტრის რადიუსზე მეორე არ მოიძებნებოდა. როგორც გნებავდეთ, ისე ბრძანეთ: მთელი მღვდელმსახურების წიგნები, როგორც საზოგადოდ მისი დროის მღვდლებმა, ზეპირად იცოდა. წირვაზე რომ იდგა, წიგნს იშვიათად მოიშველიებდა, ჩვეულებრივ ამბად უჩნდა—ყველაფერი წიგნში ჩაუხედავად ეთქვა. მესამე მიზეზი კიდევ ისაა, რომ ტრადიციის, სკოლების უქონლობის გამო, იმ დროს მომავალ სამღვდელოს მხედრული წერა-კითხვა და საღმრთო წერილი, ყოველ შემთხვევაში, მღვდლის ოჯახში უნდა ესწავლა. მცოდნე და საღმრთო წერილში განსწავლული მღვდლის ოჯახი საზოგადოდ ერთგვარი სკოლა იყო მომავალ სასულიერო პირისათვის. სრულებით ბუნებრივი იყო, რომ ყველანი უფრო მცოდნე მღვდელს ეტანებოდნენ. ასეთი იყო შიო მღვდელიც. ამ ოჯახში რიგი მოდიოდა და რიგი მიდიო-

და უკვე სწავლადამთავრებული. მოიყვანდნენ, ვთქვათ, 14—15 წლის ბიჭს. სარჩოდ სახლიდან უზიდავდნენ ოვეში ორ ფუთს სიმინდის ფქვილს, ყველსა და ლობიოს. ახალი მოსული ოჯახში მსახურობდა, როგორც ნამდვილი მოჯამაგირე. წიგნს ასწავლიდნენ შიოს უფროსი შვილები, მარტვილში სასულიერო სასწავლებელში სწავლადამთავრებულნი და მამასთან დიაკვნის როლის შემსრულებელნი. სწავლება მოწაფეთა, ჩვეულებრივ, გრძელდებოდა 7—8 წელიწადს. სასულიერო წიგნების შესათვისებლად საუკეთესო, ნაცად და ერთადერთ „პედაგოგიურ“ ხერხად ითვლებოდა ცემა: სახაზავით ხელის გულზე, წკნელით სხეულის სხვადასხვა ნაწილზე, ხელით ყვრიმალზე, დაქოჩვრა თმისა. პედაგოგი ზოგჯერ ისე გულმოდგინეობდა, რომ გულწასული მოწაფე წყლით მოსაბრუნებელი ხდებოდა. შიო ასეთ ხერხს მიმართავდა არა მარტო უცხოთა შვილების მიმართ, არამედ თავისიანების მიმართაც. თავი და თავი კანონი შიოს „პედაგოგობისა“ ეს იყო. ერთხელ არ ეთქვა ტკბილი სიტყვა, ერთხელ არ მოეალერსებინა თავისი შვილებისათვის. მტკიცედა ჰქონდა შეგნებული მთელი მნიშვნელობა და ძალა ანდაზისა: „შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო“. და მტკიცედ და მეტად მტკიცედ ასრულებდა ამას. ეს სისასტიკე აღზრდის საქმეში ტრადიციით გადმოდიოდა მამისაგან შვილზე. შვილებიც შიოს უცქეროდნენ რიდითა და ძრწოლითა. მის განრისხებას ერიდებოდნენ, ვითარცა ჭირსა, იცოდნენ, რომ შიო იყო უფროსი და მბრძანებელი არა მარტო მათი, არამედ მთელი მრევლისა.

ამ სწავლების პერიოდში მომავალი დიაკვნები შიოს ეკლესიაში დაჰყავდა რიგრიგობით, პრაქტიკისათვის. ხანაც მრევლში გაიყოლებდა სხვადასხვა საეკლესიო წესების ასრულების დროს მოსახმარებლად. მერე, თუ ნიჭს გამოიჩენდა, სადმე დიაკვნის ადგილის შოვნაშიაც ჰშველოდა ხოლმე.

შიოს მეუღლეც წყრომითა და მრისხანედ ელაპარაკებოდა შვილებს, ალერსიანი სიტყვა არავისთვის ემეტებოდა.

დედ-მამის წახედულებით, შვილებსაც მრისხანება ემჩნეოდათ, როგორც ერთმანეთთან ურთიერთობაში, ისე გარეშეებთანაც. ჩემს ყურს ერთხელ არ გაუგონია ერთი ტკბილი, ერთი ალერსიანი სიტყვა აქაურებისაგან. აქაურობა ამ მხრივ ძლიერ განირჩეოდა ჩემი ძიძის სახლისაგან, სადაც ჩემს ფერება-ალერსში ამოსდიოდა ყველას სული.

მე რომ მიმიყვანა მამამ, მოკითხვის შემდეგ გამომცადეს, რომ გაეგოთ: რა ვიცოდი, ან შევძლებდი თუ არა, ზემეთვისებინა ის ცოდნა, რის შეძენასაც ასე ესწრაფვოდნენ მაშინდელი სოხუმის სამღვდელონი. რუსულ სკოლაში ყოფნა და იქ შესწავლილი რუსული ლოცვები გამომადგა. რუსული ლოცვებისა და რუსულადვე „უფალო, შეგვიწყალენის" და „წმინდაო ღმერთო"-ს გალობაში საერთო ქება დავიმსახურე: როცა შიო საღამოობით ლოცვად დადგებოდა, დიაკვნის როლი მე უნდა მეკისრნა. მწუხრის ლოცვაზე რუსულად ვამბობდი „წმინდაო ღმერთო"-ს და სხვა ლოცვებს. რუსულად ვგალობდი „უფალო შეგვიწყალენ"-ს ან, როგორც ეძახდნენ, „გოსპოდი პომილუი". სწორედ ვგალობდი თუ არა, რა მოგახსენოთ, ის კი ვიცი, რომ შურის თვალით მიყურებდნენ ყველანი და განსაკუთრებით შიოს შვილები და სადიაკვნონი და უკვირდათ, „ერთი ციდა ბავშვი" რუსულად გალობას როგორ ვახერხებდი. ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ უეჭველად ტრაპეზის სანაქებო მსახური გამოვიდოდი... ყოველივე ეს მესმოდა და ადვილი წარმოსადგენია, რა გაზვიადებული აზრისა უნდა ვყოფილიყავ ჩემი „ნიჭიერებისა" და მომავალი ცხოვრების ლამაზ პერსპექტივებზე.

მართალია, ჩემი ხნის ბავშვებში „ცოდნითა" და „ნიჭიერებით" „ჩამოდექს" ვერავინ მეტყოდა, მაგრამ არა თუ გადაკვრით და ნართაულად, აშკარად მაგრძნობინეს, რომ, დიაკვნობასთან პარალელურად, საოჯახო, ჩემი ძალ-ღონის საფერ საქმეებშიც უნდა მიმეღო მონაწილეობა. ეს იყო: საქონლის გამორეკვა ბოსლიდან, რომელიც სამზარეულოსა ჰქონდა მიშენებული, სპილენძის თუნგით წყლის მოტანა წყაროდან, ჭიშკრის გაღება სტუმრებისათვის, ან ღიად დარჩენილი ჭიშკრიდან ეზოში შემოსული ღორებისა და საქონლის გამორეკვა ძაღლების შემწეობით, საღამოს ქათმების დამწყვდევა საქათმეში, რაც ზოგჯერ არც თუ ისე მეადვილებოდა, თუმცა სირბილში ბიჭი ვერა მჯობნიდა, იმიტომ, რომ აქაური ქათმები ნახევრად გაველურებულები იყვნენ, განსაკუთრებით ყვერულები, რომელთაც, თავად ხოხბების მსგავსებს, ხოხბებივით ემარჯვებოდათ ფრენა.

ერთ საღამოს, სრულებით უმიზეზოდ ძალზე გაჭირვებულდნენ ქათმები, აღარ ინდომეს საქათმეში შესვლა, თითქო გარეთ დარჩენას და ტურის კერძად გახდომას ლამობენო. თავს ვადექით და იმათი დამწყვდევის მომხრენი ვიყავით: შიოს მეუღლე, მოსამსახურე გოგო

ცირუ და მე. მარჯვენა ფლანგზე მე ვიდექი, შუაწელიდან შიოს ცოლს ჯაბის მარცხენა კალთის გაწევით მოჰქონდა იერიში, ხოლო მარცხენა ფლანგიდან გვშველოდა მისივე მოსამსახურე ცირუ. არ ვიცი, მე ვერ გამოვიჩინე ფხა, თუ რა იყო მიზეზი, მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ უკვე ჩამობნელდა და უმეტესი წილი ქათმებისა დაუბინავებელი გვრჩებოდა. ერთმა დამთხვეულმა ყვერულმა ფრთებიც კი მოიშველია, გვერდით გამიქროლა და სულ გადიკარგა. შიოს ცოლმა მოინდომა გაფრენილი ყვერულის ჯავრი ჩემზე ამოეყარა. თან რომ უფრო აღეძრა ჩემში ხალისი და სიმარდე გაეცხოველებინა, ამისთვის სამზარეულოდან საქათმისა და ქათმების უფრო კარგად დასანახავად გამოტანილი მუგუზალი, რომელიც ფარნის მაგივრად ეჭირა ხელში და იქით-აქეთ აქნევდა ცეცხლის გასაღვივებლად და საგნების დასანახავად, გაქცეულს მომიქნია და ისე მარჯვედაც მესროლა, რომ სწორედ ფეხებში მომახვედრა. ცხადი იყო, ჭკადუხემ (ასე ეძახდნენ შიოს ცოლს, ჭკადუას ასულს) მუგუზალი იმ განზრახვით მესროლა, რომ, თუ ორივე ფეხი არა, ცალი მაინც მოეტეხა ჩემთვის და შემდეგში ცალფეხა, ასკინკილა მოსიარულე უფრო ადვილი დასამორჩილებელი ვყოფილიყავ. გავიქეცი. ვიცოდი, ჭკადუხეს ქოშებში ჰქონდა ფეხები შეყოფილი და იმედი მქონდა ვერ დამეწეოდა. მართალია, გავიქეცი, ჩემი ზურგის ჩვენებით დავანახე ჩემი უძწეობა და ვფიქრობდი—ამით სიბრალულს აღვუძრავ გულში და შევეცოდები ჩემს დღეში მყოფი, დაზარალებული, ფეხნატკენი, ასკინკილა მორბენალი-მეთქი, მაგრამ რაკი მე მაინც განვაგრძობდი სირბილს და არ ვაპირებდი ხელში ჩავვარდნოდი, დალოცვილმა მოიშველია ისეთი ძალა, რომლისათვის მანძილს მნიშვნელობა არა ჰქონდა, ხელი ყველგან მიუწვდებოდა და ჩემს ჯავრს ამოაყრევინებდა. ასეთი ძალა იყო შიოს სამრევლო ეკლესიის პატრონი—მთავარანგელოზი. და აჰა, ჭკადუხემაც სრულებით შეგნებულად და დიდი თხოვნით შესთხოვა უაპელაციოდ გავესაჰართლებინე უღირსი ნათესავი შიო მღვდლისა: 1) ჩემი ჯისრისათვის დაგრეხილი ფორმა მიეცა, რათა ესწავლებინა ჩემთვის, როგორ უნდოდა ქათმებს უკან დევნა და ადამიანურად მათი დამწყვდევა საქათმეში; 2) არ მოვსწრებოდი ანაფორით შემოსვას...

ყველაფერი მოწმობდა, რომ ჭკადუხე აღარ ხუმრობდა... სულაც დავანებე თავი ქათმებს, მთელ ერთ საათს თავს ვარიდებდი გაკაპა-

ხებულ დედაკაცს. ინსტიქტურადა ვგრძნობდი, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავ, თორემ ხელში რომ ჩავვარდნოდი, ვინ იცის, მთავარანგელოზის განაჩენისათვის არც კი დაეცადა და თვითონ განეზრახა იმის შესრულება, რასაც წმინდანსა სთხოვდა. მერე, სხვა რომ არა ყოფილიყო რა, ვაჟკაცს, ქალის მიერ ნაცემს, თვალები სად უნდა გამეხილა.

ჭკადუხე დიდხანს არ დამშვიდებულა და პირიდან სულ ცოფებსა ჰყრიდა. მე ხომ ამ სიბნელეში შორს ვერ წავიდოდი და სახლის მიბნელებულ სამალავებში უნდა დავმალულიყავ. სახლში არავინ დარჩენილა, რომ ჩვენი ამბავი არ გაეგო. საქმეში თვით შიო ჩაერია. დამიწყეს ძებნა. რომ ჩამიარეს, ჩავახველე და თავი ადვილად ვაპოვნინე. აღმითქვეს, მეტი არაფერი დაგემართება ამ ინციდენტის გამოო. შიომ ცოლს უბრძანა შემრიგებოდა, რაც მიყო ეკმარებინა და რიხვა ალერსად შეეცვალა...

მართალია, შიომ შემარიგა ჭკადუხესთან, მაგრამ მე მაინც კარგახანს მეშინოდა, მისი წყევლა არ ამხდომოდა და მთავარანგელოზს მართლა კისერი არ მოეგრიხა ჩემთვის, მთავარანგელოზს სანთლის დანთებას დავპირდი, თუ მაპატიებდა...

შერიგების შემდეგ ქათმების დამწყვდევაში ჭკადუხეს მის გუნებისადა ვშველოდი. მთავარანგელოზს, ალბათ, შევეცოდე, სავსებით არ უსმინა ჭკადუხეს, არ დამსაჯა და ხელი შემიწყო გამოვსწორებულიყავ და, რაკი ჩემი გამოსწორება დაინახა, საჭიროდა ცნო ჩემის კისრისათვის სწორი ფორმა შეენარჩუნებინა. მით უფრო მეშინოდა ჭკადუხეს წყევლისა, რომ მღვდლის ცოლი იყო და ძიძისაგან გაგონილი მქონდა, მღვდლის ცოლის წყევლას მეტი ძალა აქვს, ვიდრე უბრალო სიკვდილის შვილისას, და მეორეც ისა, რომ როცა ძიძას ვეურჩებოდი და ისიც თავისდა უნებურად დამწყევლიდა, თან არ ავიწყდებოდა ჩუმად დაეტანებინა სიტყვა „ვარი“ (არა), ე. ი. ვწყევლი კია, მაგრამ ეს წყევლა ნუმც მიუვა წყევლადაო... ჭკადუხემ კი პირდაპირ გამწირა: „ვარი“ არ დაატანა წყევლას! ასეთ წყევლას კი ჩვეული არ ვიყავ. სამაგიეროდ, მთავარანგელოზმა, ეტყობოდა, ჭკადუხეს თხოვნის მეორე ნაწილი შეასრულა: მღვდლობა არ ვინდომე და ვერ განვაგრძე ჩემს გვარში ეს ტრადიციით მომავალი როლი უსისხლო მსხვერპლის შემწირველისა და ტაბლების მაკურთხებლისა...

ჩვენივე მოვალეობა იყო საქონლის მოვლა: ჩალის მოტანა, წყლის დალევინება, ზოგჯერ ძროხის ძებნა საღამოს, როცა ტყეში სადმე ნეკრებს შერჩებოდნენ, გაერთობოდნენ და დროზე მოსვლა არ მოაგონდებოდათ. სულ ჰყავდათ სახლში: ერთი ჯორი, ერთი ცხენი, ერთი სახედარი, ერთი უღელი ხარი, ორი მეწველი ძროხა, ორი ხბო, ორი ცხვარი, გოჭებიანი ღორი. ყველაზე უარესი, ავზნიანი, ტყუპ-ტყუპ წიხლის მსროლელი ჯორი, ანუ, როგორც საალერსოდ ვეძახ-დით, კოკინია, იყო შიოსი. იმ თქმულებას, რომელიც სამეგრელოში ჯორზე არსებობდა და რომლის თანახმად ჯორი ეშმაკისაგან იყო გა-ჩენილი, სრულებით ამართლებდა შიოს კოკინია.

კოკინია, მართალია, დიდხანს ემსახურა თავის პატრონს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას—ტკბილადაო. თავისი ჯიშის ჯიუტობა რომ მოუვლიდა, ვერას გზით ააღებინებდით ხელს. ალბათ, აქედან გაჩნდა საანდაზო თქმა თავის ნათქვამ, გაჯიუტებულ კაცზე—ჯორზე შეჯდაო. კოკინია უნდა შეეკაზმა ან თვითონ მის მაღალღირსს პატრონს, ან პატრონის უფროს შვილს, სხვა ადამიანის ხელს არაფრის დიდებით დაადგმევინებდა უნაგირს თავის ზურგზე. მისმა პატრონმა მისი ყვე-ლაფრის გამძლე და მომთმენი ზურგით ხუთ შვილს უზიდა საგზალი მარტვილში. კოკინიაც, თავისი მამის საფერ მოთმინებით, ითმენდა ამ შორი გზით სიარულს, ამ გზაზე მისთვის ნაცნობი იყო ყოველი მოსახვევი, ყოველი ხე, ყოველი ხიდი თუ ბოგირი, ყოველი ფონი მდინარეზე, სოფლები და დაბები, სადაც უნდა გაევლო, კაცე-ბიც კი, ვისაც ხვდებოდნენ გზაზე; ისიც კი იცოდა, სად, რომელ სახლში უნდა გაჩერებულიყო ღამე მისი პატრონი მგზავრობის დროს. შეძახება ან აღვირის მოწევა არც კი სჭირდებოდა, გზიდან გადაუხვევდა, კისერს წინ წაიგრძელებდა, მამისეულ გრძელ ყურებს კისრისაკენ გადიწყობდა და თოხარიკით, აჩქარებით გაექანებოდა ნაცნობ სახლისაკენ, სადაც მოელოდა თუნდ ერთი ღამით ტვირთის მოშორება ზურგიდან, გაგორება, მოსვენება, მუხლებში ქარის ამო-ღება, საკვების ჭამა...

კოკინიამ წლების განმავლობაში ქსელა მარტვილში მიმავალი გზა, წლების განმავლობაში სწია მძიმე ჭაპანი შიოს შვილებისათვის საგზლის ზიდვისა. ბოლოს, ალბათ, მობეზრდა ეს დაუსრულებელი გოლგოთა და გადასწყვიტა—თავის ულმობელ პატრონისათვის, რო-მელსაც მარტვილში გამოსაზრდელი შვილები არ ელეოდა, ეგრძნო-

ბინებინა, რომ: მართალია, მღვდელს ვემსახურები, მაგრამ მეც ცოცხალი არსება მქვია და დამსახურებული მაქვს დასვენებაო, და, თუ დასვენებას არ მაღირსებთ, ნურას უკაცრაოთ, თუ გავიფიცებიო, ჩემებურად პროტესტს გამოვაცხადებო...

როგორ და რაში გამოიხატა კოკინიას ეს გაფიცვა და ეს პროტესტი?

შიოს სოფლიდან მარტვილში მიმავალი გზა უნდა გასულიყო ჯერ ახალსენაკში და მერე ძველსენაკში. ეს დაბები ყველა დასავლეთ სამეგრელოსა და აფხაზეთ-სამურზაყანოს მღვდლის ჯორისათვის მეტად ცნობილი იყო, რადგან აქ უნდა გამოევლო მარტვილში ჩასვლის დროს. ორივე დაბა წარმოადგენდა ორ რიგად ჩამწკრივებულ ხის ერთსართულიან დუქნებს. ეს იყო და ეს. მოშორებით სოფლელები ესახლნენ. ამ დუქნების დახსომება კოკონიასათვის საძნელო სრულებით არ იყო.

შიო უკვე მეხუთე სამღვდელო შვილსა ზრდიდა მარტვილში: მოდის სახლიდან დატვირთული სურსათ-სანოვაგით. კოკინია კვნესის პატივცემული პატრონის სიმძიმის ქვეშ. უკან მოძღვარს თავისი შვილი უზის. მშვიდობით გამოიარეს ახალსენაკი. გამოიარეს შხეფის გორაკები, ქვაშიხორი, შხეფის ციხე, გამოჩნდა ძველსენაკის მაცხოვრის ეკლესია, უზარმაზარი ჭადარი, რომელიც თავის ღრუში ექვს კაცს ჩაიტევდა. ის იყო, დაუპირდაპირდნენ დუქნების დასაწყისს, კოკინია ერთბაშად გაჩერდა, თავი მაღლა აიღო, იყნოსა, ნესტოები გაიბერა, თავი დააქნია, შეიბერტყა თავისი გრძელი ყურები, დაიჭიხვინა, სწრაფად მოტრიალდა და სანამ მხედარი გონს მოვიდოდა, ამას უკვე უკან ჰქონდა დარჩენილი შხეფი და იორღით, თითქოს უკნიდან ვინმე მოსდევსო, თავი ამოჰყო ახალსენაკში. მხედარი მოხამუზებითა სჯგვლემდა ფერდებში, უჯავრდებოდა, თავზე გადმოავლინა თავისი მაკურთხებლის რისხვა, მაგრამ შიოს წყევლამაც ვერ გადააწერინა პირჯვარი კოკინიას. პირიქით, ყოველივე ეს თითქო აქეზებდა შეემოკლებინა გზა და მალე ჩასულიყო სახლში. გარეშე ხალხი უყურებდა და ვერ მიმხვდარიყო, ჯორი რისთვის მოაქანებდა შეშფოთებულ, თმა-წვერ აჩეჩილ, ანაფორა აფრიალებულ ხუცესს. ოღონდაც რომ მეტად უხერხული იყო შიოსათვის, როგორც მღვდლისათვის, ასეთ მდგომარეობაში ყოფნა! კოკინია კი მიჰქრის, მიჰქრის შეუფერხებლივ. ერთ საათში უკვე შინ იყო გამარჯვებული

სახით. მის ჯიშს მეტყველების ნიჭი რომ ჰქონოდა, უეჭველად იტყოდა: „გახლავართ ბიჭი, შიო მღვდელი დავაბრუნე შუაგზიდან თუ არაო!“...

საერთო გაოცება... ვიშვიში მღვდლის ცოლისა, წყევლა ჯორის ჯიშისა, მისი გაჩენისა...

მეორე დღეს ისევ შეჰკაზმეს პატრონის შვილებმა. გუშინდელი ამბავი, რა თქმა უნდა, ცუდი კაცის შეხვედრას დააბრალეს. დღეს „კარგი ფეხის“ მეზობელი შეიხვედრა შიომ ეზოდან გამოსვლისას, პირჯვარიც გადასახა ჯორს და წყევლა შეუთვალა ეშმაკს, მავნეს... დარწმუნებული იყო, რომ ახლა კოკინიას აღარაფერი შეუშლიდა ხელს. მაგრამ ძველსენაკის დუქნებს დაუახლოვდნენ თუ არა, კოკინიამ მათემატიკური სიზუსტით განიმეორა გუშინდელი ოინი...

აშკარა შეიქნა ბოროტი განზრახვა კოკინიასი!... გაქირი იყო კოკინია, მაგრამ არც მისი პატრონი იყო მიუხვედრელი, ეშმაკობას მოკლებული. მესამეჯერ წასვლაზე, სანამ ძველსენაკს მიუახლოვდებოდა შიო, გზას გადაუხვია, სოფელში შევიდა, შორი გზა მოიარა, დაბა ძველსენაკი განზე დატოვა და ამგვარად, გასცდა სახიფათო ადგილს. მოატყუეს კოკინია. იმანაც განაგრძო მარტვილისაკენ მიმავალი გზა, და ამ დღიდან სულ ასე მოტყუებით დაჰყავდათ.

შიოს, როგორც ყველა მღვდელს, არ უყვარდა, რომ იმის საჯდომ ჯორზე სხვა შემჯდარიყო—ეს თავის დამცირებად მიაჩნდა. აბა ამბობდა ხოლმე: ყველაფერი მთხოვოს კაცმა ჯორსა და ცოლს გარდაო... ყველამ იცოდა ესა და ერიდებოდნენ მისთვის ჯორი არ ეთხოვათ. მაგრამ ერთ მის მეგობარ მღვდელს, უჯოროდ დარჩენილს, მარტვილში შვილი ჰყავდა და უსათუოდ უნდა წასულიყო. მივიდა შიოსთან და ჯორი სთხოვა. შიომ გააფრთხილა: აბა რა გიყო, ჯორს ვერ დაგიჭერ, თხოვებით კი გათხოვებ, მხოლოდ ისეთი ზნე სჭირს: ძველსენაკიდან შეიძლება უკან გამოგაბრუნოსო...—რაც მომივა, მომივიდეს, შენ ოღონდ მათხოვეო,—უთხრა მღვდელმა. შეუკაზმეს. შეჯდა მღვდელი და გზას გაუდგა.

სამ საათს უკან თავშიშველი, ანაფორააფრიალებული მღვდელი ოფლში გაწურულმა კოკინიამ ისევ შიოს ეზოში შემოიყვანა. ძველ სენაკისათვის თვალი მოეკრა თუ არა, უკანვე გამოჭრილიყო. ცოცხალმკვდარი მოძღვარი გადმოსვეს. გულმოსულმა თავის მაკურთხებლის მადლით დასწყევლა ეს შეჩვენებული პირუტყვი და დაი-

ფიცა უკუნითი უკუნისამდე არ შემჯდარიყო ამ ეშმაკის ნათესავ ცხოველის ზურგზე...

*
* *

შიოს ოჯახში შინაურები და გარეშენი ოცნი იყვნენ. შვილები, ოთხ გარეთ გასულს (ზოგი მღვდელი და საკუთარი მრევლის პატრონი იყო, ზოგი გათხოვილი) გარდა, თორმეტნი იყვნენ. ყველანი, როგორც ქალები, ისე ვაჟები——მაღლები, მოსულები, ღონივრები იყვნენ. სახელებიც უცნაური ერქვათ. მონათვლის დღეს რა სახელიც ამოუვიდოდა ბავშვს კურთხევანში, შიოც ცოდვად თვლიდა ეს სახელი არ დაერქმია და კურთხევანში ნაჩვენებ გზისათვის თუნდ ოთტის ოდენა გადაეხვია. რადგან კურთხევანში ქართველი წმინდანების სახელები კანტი-კუნტად გამოერეოდა, და უფრო ბერძნების წმინდანების სახელებსა ხვდებოდა კაცი, ნათლობის სახელები ყველას ბერძნული ერქვა. მაგალითად, შიოს სახლში ერთმანეთში გერეოდათ ასეთი სახელები ქალებისა: ევლაპია, პელაგია, ელპიდა, ეპრაქსია, პისტი. ვაჟების სახელებიც შორს არ მიდიოდა ქალების სახელებისაგან: პროკოფი, პანტელეიმონი, ქსენოფონტე, არისტარხო! ხოლო რაკი სმენას ეს სახელები არ ეგუებოდა და გამოსათქმელადაც ადვილი არ იყო, ბავშვების ძიძები თავიანთ გაზრდილებს თავისებურ სახელებს არქმევდნენ: ძაბუ, ცირუ, ჯუკუ, ჯვებე, ბუხუ, გუძა, ხუტა და სხვ. შინაურობაში ეს მოგონილი სახელები ბოლომდე შერჩებოდათ, ნათლობის სახელები მხოლოდ ნათლობის საბუთებში თუ აღმოაჩნდებოდათ.

უსაქმურად გაჩერებულს შიოს სახლში ვერავის ნახავდით. ყველა რასმე აკეთებდა. ქალები ქსოვდნენ, როგორც საჩოხე შალებს, ისე დარაიას, უვლიდნენ აბრეშუმის ჭიას, ართავდნენ მატყლისა და ბამბის ძაფს, ქსოვდნენ შინაურებისათვის მატყლის წინდებსა და ხელთათმანებს. ზამთარში შინაური ფრინველის ბუმბულს არჩევდნენ, ჩიჩიხით ბამბას კურკას აცლიდნენ, იმზადებდნენ სამზითვო ბალიშებს, დედას შველოდნენ შინაური ფრინველის გამრავლებაში.

წერა-კითხვა, შინნასწავლი, ქალებმა ყველამ იცოდა. ქალთა სასწავლებელი იმ დროს სამეგრელოში არ არსებობდა და ფიქრადაც არავის მოსდიოდა სკოლაში ქალი შეეყვანა. აუგიც იყო ქალისათვის

სკოლაში ყოფნა, მამაკაც მასწავლებლებთან ურთიერთობა,—გაირ-ყვნებიანო. სჯერდებოდნენ შინაურულად ნასწავლ წერა-კითხვის ცოდნას, რომ საიდანმე მოწერილი ბარათის წაკითხვა შეძლებოდათ და სამაგიეროც დაეწერათ მთხოვნელისათვის. იმ ნაკლს, რაც სკოლაში უმყოფობითა ჰქონდათ, ოჯახში შეივსებდნენ ხოლმე საოჯახო ცოდნის შეძენით.

ქსოვის გარდა, ქალებს უნდა ცოდნოდათ ჭრა-კერვა ახალუხისა, შარვლისა, თეთრეულისა, ყაბალახისა, სამოგვის წუღა-მესტისა. საკმარისი იყო მიგეტანათ მასალა და ისინიც დაუზარებლად და თანაც უსასყიდლოდ გიკერავდნენ ყველაფერს. სასყიდელზე სიტყვის ჩამოგდება ერცხვინებოდათ. გასათხოვარ ქალისათვის საქებური იყო, როცა მკერავის სახელი ექნებოდა გავარდნილი. გათხოვების დროს ამით ერთი კარგი თვისება ემატებოდა მისს ღირსებას. და ასეთი ხელობის ცოდნაც, წერა-კითხვის ცოდნასთან ერთად, ჩვეულებრივ, მღვდლის ოჯახიდან გამოდიოდა.

როგორ იწყებოდა დღე შინ მღვდლის ოჯახში?

ინათებდა თუ არა, მღვდლის ცოლი კესა ლოგინიდან წამოხტებოდა. ტანთ ეცვა საშინაო ჩითის კაბა, სტუმრებთან და კვირა-უქმეებში კი ჩითის კაბის მაგივრად შალისას ჩაიცვამდა, თავზედაც ჩითი ჰქონდა ჩიხტი-კოპზე გაკეთებული. ერთხელ უკვე მოდიდან გამოსული ხაბარდაც გაიკეთა. ის იყო და ის, მერე მის ტანზე „მოდნის“ ტანისამოსი არ გვინახავს.

პირველად მოსამსახურე გოგოს—ცირუს უნდა გაეგონა ჭკადუხეს ხმა, და ვაი მისი ბრალი, თუ ლოგინიდან მოუხდებოდა პასუხის გაცემა... ასეთ შემთხვევაში მარტო თავის ძალას არ ენდობოდა და მთავარანგელოზს მიანდობდა, გოგოსათვის ძილით გაუბაძღარი თვალები ორივე სამუდამოდ დაეკვსო, ამასთან ერთად ფეხებიც დაუმტვრეველი არ შერჩენოდა ამ „ცოცხლად მკვდარს“ და სიარულის უნარი საბოლოოდ დაჰკარგოდა... გოგო დახეულ კაბას გადაიცვამდა თუ არა, საქათმისაკენ დაეშვებოდა. ქათმების გამოსაშვებად და სა-

კენკის დასაყრელად. მოახლე დაჯი* უკვე დიდი ხნის ამდგარი იყო და წყაროზე იქნებოდა წასული. იქიდან დაბრუნებული ნაცარში გახვეულ ნაღვერდლის გამოქექვასა და ცეცხლის დანთებას შეუდგებოდა, ან თუ ჩამქრალი იქნებოდა, თავის ქმარს ბურდღუიას ტალკვესით გააჩენინებდა ცეცხლს. ბურდღუიასთან ერთად მოჯამაგირე ძოკია შეუდგებოდა ღორების გამოშვებას, საქონლისათვის ჩალის დაყრას, ძროხების წველას მიჰყოფდა ხელს. ამას მოჰყვებოდა რძის ფაფის მოხარშვა, ვახშმად მონარჩენი ღომის თხლად, ალყა-ალყა დაჭრა, ნაღვერდალზე გათბობა და შინაურების საუზმე სამზარეულოში, ცეცხლა პირას, უტაბაკოდ.

ოჯახის უფროსიც მზეს უნდა აჰყოლოდა. ახალუხს ჩაიცვამდა; ქუსლშეკეცილ ჩუსტებში ფეხებს შეჰყოფდა, ოლარს გადიკიდებდა, შეუდგებოდა საცისკრო ვედრებას. ლოცვად დამდგარ შიოს მეც უკან უნდა ამოვდგომოდი, როგორც მისი დიაკვანი. ლოცვა და საერთოდ საღმრთო წერილის კითხვა შიომ ისევე იცოდა, როგორც სხვა მისი დროის მღვდლებმა: სხაპა-სხუპით, ერთიმეორის გადაბმით ისე, რომ გარეშეს ვერაფერი გაეგო მისი ნათქვამისა. სასვენი ნიშნები, ხმის აწევ-დაწევა მისთვის არ არსებობდა. ერთს რომ თავში დაიძახებდა მაღალის ხმით, მერე თანდათან უკლებდა ხმას, მოისმოდა ნირშეუცვლელი დუდუნი, ძილის მომგვრელი. თან გეგონებოდათ, რაც უფრო მალე იტყოდა შიო ლოცვას, რაც უფრო მალე სთხოვდა ზეციერს სათხოვარს, მით უფრო მალე, ჯერს გარეშე, სხვა მილიონ მლოცველებზე ადრე, უსმენს ღმერთი და დააკმაყოფილებს მის თხოვნასო. ამასთან კილო ლოცვისა ჩხუბის გუნებაზე მდგარ კაცის კილოს უფრო ჰგავდა, ვიდრე მთხოვნელისას, მომალერსებელ, მომფერებელ კაცისას. პირველად მიკვირდა და ჩემს თავს ვეკითხებოდი—ვის ეჩხუბება „ბაბუა"-მეთქი?!

---

* შიოს ცოლი აზნაურის ქალი იყო და მზითევში ჰყავდა მოყოლილი გლეხი ბურდღუია პერტაია და მისი ცოლი დაჯი (დარეჯანი). დაჯი ჭკადუხეს ემსახურებოდა შინ, ხოლო ბურდღუია უმთავრესად ყანის დამმუშავებლადა ჰყავდათ. ამ დროს ბატონყმობა გადავარდნილი იყო, ყმები განთავისუფლებულები, მაგრამ ბურდღუია და მისი ოჯახი მაინც განაგრძობდნენ ძველი წესწყობილების მიერ დაკისრებული ფუნქციების ასრულებას. შიოს, რა თქმა უნდა, ეს სრულებით ბუნებრივად და ნორმალურად მიაჩნდა.

ზოგჯერ შიო სახატეს ერთბაშად თავს ანებებდა, თითქო ლოცვაზე უფრო მძიმე რამ მოაგონდაო, ლოცვის გაუწყვეტლად, ჩემთან ერთად, ძირს ჩავიდოდა, რომ თავისი თვალით შეემოწმებინა, მოჯამაგირე ღირსეულად იდგა თავის პოსტზე თუ არა: საქონელი ხომ იყო ბოსლიდან გამოშვებული, კოკინია ხომ იყო სამურველით გაწმენდილი, უწყლოდ ხომ არ იყო დარჩენილი, ან ბარქაშით სიმინდი დაედგათ თუ არა. თან კორექტივი შეჰქონდა მოჯამაგირის ნაკეთებში: ან გაწმენდას დაუწუნებდა, ან დაყრილი სიმინდის რაოდენობა ეცოტავებოდა.

შიო ღიადდარჩენილ ჭიშკრიდან ეზოში შემოსულ ღორებს რომ მოჰკრავდა თვალს, ლოცვას თავს ანებებდა (რა თქმა უნდა დროებით) და შესძახებდა მოჯამაგირე ძოკიას ისეთი ხმით, რომელზედაც არ ითქმოდა—ტკბილი ყოფილიყო ან ლოცვად მდგარ და ღვთისადმი ვედრების აღმავლინებელ ადამიანისას ჰგვანებულიყო: „წიე, წიე, ძოკია, შე ღორისშვილო, ვერ ხედავ, ღორებმა ეზო დააქციეს!..“

ამ ქათინაურებს ზოგჯერ შიო სრულჰყოფდა მოჯამაგირის ყვრიმალის ენერგიული მასაჟით, რადგან მარტო სიტყვიერ გაწყრომას საკმაოდ არა თვლიდა და ამას „ჭკუის სწავლებას“ ეძახდა. ალბათ, მოჯამაგირეც „ჭკუის სასწავლად“ და მისივე სასიკეთოდ თვლიდა შიოს ამ მასაჟს, ვინაიდან ზედმეტად მიაჩნდა პროტესტის გამოცხადება. რომ გამოეცხადებინა, ვაითუ უფრო მეტი მოხვედროდა შიოსაგან და მეორეც ისა, რომ ვერ წარმოედგინა, თუ კანონი არ იყო მისთვის მორჩილება, მორჩილება სრული, სიტყვის შეუბრუნებლად, რადგან წლიურად 15 მანეთს ღებულობდა ჯამაგირად. ჯერ ხომ არსად გაგონილა მღვდლისათვის, და ისიც შიო მღვდლისათვის, ურჩობა გაეწიოს ვისმე. მოჯამაგირე ხომ იმის მოჯამაგირე იყო, რომ ყველაფერი მოეთმინა შიოსაგან, ცემაც, მით უფრო ლოცვად მდგარისაგან...

საცისკრო ვედრებას, ეზოს „ინსპექციას“, მოჯამაგირისათვის „ჭკუის სწავლებას“ რომ მორჩებოდა შიო, მისთვის, ცოტა არ იყოს, დაღლილისათვის, პირი უნდა დაებანინებინათ. ცირუს მოჰქონდა სპილენძის ტაშტი, ერთ-ერთ მის ქალს—სპილენძისავე თუნგით წყალი, შინნადული საპონი და პირსახოცი. პირს დაიბანდა, წვერს დაივარცხნიდა, ულვაშებს დაიგრეხდა, ხოლო ერთ-ერთი ქალიშვილი მოვიდოდა და თმას დაუწნავდა. წვერს, როგორც მღვდლობის ემბლემას, განსაკუთრებული ფარეზობით ივარცხნიდა ნელ-ნელა, რომ ბზის

თხელკბილებიან სავარცხელს თმა არ დაეგლიჯნა, ცალ ხელს ქვეშიდან ამოუდებდა, ამოუსვამდა წვერს. ამას შემდეგ, თუ მწირველი არ იყო, ცალკე მოერთმეოდა საუზმე.

წინასწარ, დილის საქმიანობას რომ მორჩებოდა, ჭკადუხე ქალებს თავიანთ საქმეს მიუჩენდა. და ისინიც სიტყვაშეუბრუნებლივ ასრულებდნენ მის ბრძანებას. ეგ იყო მხოლოდ,—ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა არა ჰქონდათ. როგორც ჟამგადასულებს, მუდამ აღრენილებს, მუდამ ნერვებაშლილებს, დღე ისე არ გაივლიდა, ერთმანეთისათვის არ შეეტიათ ჯერ სიტყვიერად და მერე დასაქოჩრავად. მათ ხმებს მკაფიოდ არჩევდნენ ერთი კილომეტრის მანძილზე. გრძელ თმებსაც, კოჭებამდე რომ სცემდათ, დიდი ჯაფა დაადგებოდა ხოლმე. სანამ ძმები არ ჩაერეოდნენ საქმეში, მანამდე გაჩერება არ მოაგონდებოდათ. თმააწეწილებს, ლოყებდაღადრეულებს, ქშენაავარდნილებს, მეტისმეტად სიბრაზისაგან გაფითრებულებს მუხლები მოსწყდებოდათ და იქით-აქეთ ოთახებში ჩაიკეტებოდნენ. მერე უბრად იყვნენ და მთელი კვირეები გავიდოდა, სანამ ერთმანეთს ხმას გასცემდნენ.

ქალები რომ საქალო საქმეს მოჰკიდებდნენ ხელს, ვაჟები, თუ ყანის დამუშავების სეზონი იყო, ყანაში წავიდოდნენ მეთოხე გლეხების თავდგმურებად. ყანის დამუშავება ხდებოდა ან ნადისა ანდა „მოსახმარებლად“ მოწვეული გლეხების და ბურდღუიას საშუალებით. დაქირავებული მუშის საშუალებით მღვდლის ყანა არასდროს დამუშავებულა. თუ საყანე სამუშაო არ იყო, შვილები საღმრთო წერილს კითხულობდნენ და ხუცურის კითხვაში ვარჯიშობდნენ, ან კიდევ მამას ეხმარებოდნენ, როგორც უკვე დიაკვანნი და მომავალნი სამღვდელონი.

ნამდვილი ქორწილის ან ნათლობის შთაბეჭდილებასა სტოვებდა შიო მღვდლის სახლი, ოდეს ოჯახის წევრები გრძელ სუფრას გარშემორიგებულნი უსხდნენ. ჩვეულებრივ დღეს მაგიდა შიშველი იყო, მხოლოდ სტუმრიანობას ან დღესასწაულებში ამ სიშიშვლეს ჰფარავდა ნარმის სუფრა, ღვინის და სხვაგვარ სითხისაგან იმდენად დალაქავებული, რომ ფერების დიდ ექსპერტსაც კი გაუჭირდებოდა გამოეცნო მისი პირვანდელი ფერი! სუფრის თავში იჯდა თვითონ მამამთავარი, თეთრწვერა სახლის უფროსი შიო, იქით-აქეთ, უფროს-უმცროსობის რიგზე, უსხდნენ ვაჟები, რომელთაგან სულ უფროსი 25

წლისა იყო და სულ უმცროსი 14 წლისა. სუფრის მეორე თავში, შიოს პირდაპირ, იჯდა დიასახლისი და იმასაც შემორიგებული ჰყავდა, ისიც უმცროს-უფროსობის რიგზე, ქალები. ამ ქალ-ვაჟთ რომ უყურებდა კაცი, შიში აიტანდა და ძალაუნებურად თავს დაეკითხებოდა—ნეტავ რა საჭმელმა უნდა გაუძლოს ამდენ პირსაო!.. საჭმლის სიუხვე თქვენ მაშინ უნდა გეკითხნათ, როცა სტუმრებიც მოემატებოდნენ! სტუმრებს კი, განსაკუთრებით სამღვდელოთ, აქ ნახავდით „დღესა ყოველსა და ჟამსა ყოველსა“.

მოახლე დაჯი შემოიტანდა თუჯის ქვაბს, რომელშიაც ერთი ცხვარი თავისუფლად მოიხარშებოდა. ქვაბი პირთამდე სავსე იყო სიმინდის ღერღილის ღომით და თეფშებზე დადებას შეუდგებოდა. ერთ-ერთი ქალი ოხშივარიან ღომს ყველას ჩამოურიგებდა. აქ უნდა ითქვას შიოს საქებრად, რომ თეფშებს მაშინ სამეგრელოში აქა-იქ ოჯახში თუ შეხვდებოდა კაცი და ისიც უფრო საჩვენებლად, თავის მოსაწონებლად, ვიდრე სახმარად. უმეტესობა ჯერ ისევ ხის ჯამებს ხმარობდა. ამავე დროს სავალდებულო იყო შემოეტანათ სპილენძის ტაშტი, რომელსაც, რაც მექვაბეს სახელოსნოდან გამოსულა, გახეხვა არა ღირსებია და სპილენძის თუნგით წყალი, ყველასათვის უფროს-უმცროსობის რიგზე, ხელები დაებანინებინათ და საერთო სარწყულზე შეეწმენდინებინათ. ამასობაში დიასახლისი ყველს დასჭრიდა, თავ-თავის კერძს ხელით გადააწოდებდა ყველას უფროს-უმცროსობის მიხედვით. თუ სტუმრები ჰყავდათ, მაშინ ხსნილში ქათმის ხორცი გამოჩნდებოდა სუფრაზე, ხოლო მარხვასა და ოთხშაბათ-პარასკეობით—ლობიო. ბოლოს სახლის უფროსი ადგებოდა და დაიწყებდა „მამაო ჩვენოს“ და აკურთხებდა სუფრას. სხვები ფეხზე-მდგარნი უსმენდნენ და სანამ უფროსი არ დაჯდებოდა, ზეზე იდგნენ. შიო სუფრას რომ აკურთხებდა, ყველანი პირჯვარს გადაიწერდნენ და შეუდგებოდნენ ჭამას. თუ უცხო ვინმე, საპატიო იჯდა სუფრაზე, შიო მე რუსულად მათქმევინებდა „მამაო ჩვენოს“, რომ ამით თავი გამოეჩინა გარეშეს წინაშე,—ნახეთ, რუსულადაც შეგვიძლია ლოცვის თქმაო!..

ყველაზე უხვად, რა თქმა უნდა, შიოს დაედებოდა ხორცეულობა და ისიც ჭამის დროს, ნიშნად პატივისცემისა და ყურადღებისა, თითო ნაჭერს შესთავაზებდა საპატიო სტუმრებს, რასაც ისინი მადლობის მოხსენებით მიიღებდნენ. ეს ჩვეულება სამეგრელოს მთავრისა-

გან მოდიოდა და იმ დროს აქა-იქ შემორჩენილი იყო თავადებისა და საერთოდ შეძლებულ ოჯახებში, როგორიც იყო, მაგალითად, შიოს ოჯახი, როგორც მღვდლისა.

რა თქმა უნდა, საჭმლის მისაღებად რაიმე იარაღს, მაგალითად, ჩანგალს, კოვზსა და ხელსახოცს სუფრაზე ვერა ნახავდით, რადგან არც ერთი ეს არ იყო ცნობილი და არც საჭირო. საფრანგეთის მოგზაურ შარდენის აქ ყოფნის შემდეგ ძალიან ცოტათი გამოიცვალა სამეგრელო. ღომს საჭმელად, რა თქმა უნდა, დანა არ სჭიროდა, სახვრეპისათვის კოვზი სრულებით ზედმეტი იყო, რადგან წელიწადი ისე გაივლიდა, წვნიანი არ გაკეთდებოდა სახლში, ათასში ერთხელ ავადმყოფის (გაცივებულის) სამკურნალოდ „ტიბუს“ თუ გააკეთებდნენ და ხის ჯამებით შეახვრეპინებდნენ, ან მაწონი თუ გაჩნდებოდა, იმისთვის რქის კოვზები იყო. მაშასადამე, სამი თითი, რომლის საშუალებით პირჯვარს ვიწერდით და რომლის მიბაძვით, ალბათ, ევროპელთა ჩანგალი წარმოიშვა, მშვენივრად ასრულებდა თავის დანიშნულებას და უყვედრელად და ურცხვენლად მიჰქონდა ცხელ-ცხელი ლუკმები ღომისა პირისაკენ.

სუფრაზე ღვინოცა ჩნდებოდა ადესისა, მხოლოდ უფროსთათვის, უმცროსები საჭმელს წყაროს წყალს დააყოლებდნენ ხოლმე. შიო მოსაბოდიშებლად ანდაზით დაადასტურებდა ღვინის ასეთი განაწილების სამართლიანობას:

„ღვინო—უფროსთაო,
წყალი—უმცროსთაო“.

მერე ამავე აზრის დასამტკიცებლად ამ ლექსსაც მოაყოლებდა:

„ბერიკაცი თვრესო,
ვაჟკაცს სუნი მიედინოს,—
ღმერთს თაყვანი სცესო“.

და ყმაწვილებსაც ძალაუნებურად უნდა ერწმუნებინათ, რომ ღვინის სმა მათთვის ჯერ ადრე იყო.

ჭამის გათავებისას სახლის უფროსი კიდევ იტყოდა ლოცვას, მადლობას შესწირავდა უფალს „ყოვლითა სიკეთითა“ განძღომისათვის და, უკვე გამაძღარი საალაო სიკეთითა, შესთხოვდა—ზეციერი სასუფეველიც არ მოეკლო... ამის შემდეგ უფროსებს ტაშტი და თუნგით წყალი მიერთმეოდათ და პირს გამოარეცხვინებდნენ. დასა-

სრულ, ამათ შეეძლოთ სუფრას მოშორებოდნენ და აივანზე გამოსულიყვნენ.

შიო მღვდლის ოჯახში საჭმლის რაოდენობა და სიჩხინტე მატულობდა შობას ვიდრე ნათლიღებამდე, როცა სახლში საშობაო ღორი იკვლოდა და თანაც ნათლიდედებს ძღვნად მოჰყავდათ მსუქან-მსუქანი ყვერულები და მოჰქონდათ შინ გამომცხვარი ღვეზელები თუ ხაჭაპურები. შიოს და მის ოჯახს მაცხოვრის დაბადების დღე პირდაპირ აცურვებდა სავსების მორევში. ასეთი ძღვენი აუარებელი მოსდიოდათ, რადგან ნათლიდედები უთვლელნი ჰყავდათ. ზოგიერთ გლეხს თავი ბედნიერად მიაჩნდა, თუ მღვდელი ან მღვდლის ოჯახის წევრი (სასურველი იყო მამათა სქესისა) მის შვილს ნათლობაზე მიმრქმელად დაუდგებოდა და „მის ოჯახში მირონს შეიტანდა". შიოს ოჯახის წევრს თითოეულს, სულ უკანასკნელი, 3—4 ნათლული მაინცა ჰყავდა. ნათლიდედა ცდილობდა საშობაოდ მოეტანა სანაქებო ძღვენი, ისეთი, რომ მღვდლის ცოლს დაწუნება არ შეესძლებოდა, სხვა ნათლიდედების მიერ მოტანილზე უკეთესი, რისთვისაც საჩუქრებსაც ღებულობდა. საჩუქრის რაოდენობა დამოკიდებული იყო ძღვნის ღირსების და მიმღების გულუხვობაზე: მინიმუმი—ფულად ერთი აბაზი და მაქსიმუმი—სამშაურიანი ჩითის საკაბე, სულ ბევრი—მანეთად ღირებული.

შიოს ოჯახში სასტიკად იყო დაცული შენახვა: ოთხშაბათ-პარასკევისა, შობის მარხვისა, დიდმარხვისა, პეტრეპავლობის მარხვისა და მარიამობისთვის მარხვისა. ამ მარხვაში საჭმელად ჰქონდათ უმთავრესად ლობიო, რომელსაც შესატანებლად მიემატებოდა: შავი ბოლოკი, მწნილი მხალისა, ჭარხლისა, პრასისა, თალგამისა და სხვა ჭწვანილისა, ხოლო ახალ გაზაფხულზე—ჭინჭარი, ეკალა, ბოდერია, ნაცარქათამა და ათასში ერთხელ თევზი.

საჭმლის მხრივ ყველაზე „მკვდარი სეზონი" მღვდლის სახლში იყო გაზაფხული და ზაფხული, რადგან ამ დროს ქორწილები არ იმართებოდა და, მაშასადამე, არავითარი საკლავი არ იკვლოდა. და აჰა, შიოს ზრუნვაც არსობის პურისათვის გაორკეცებული ენერგიით იჩენდა ხოლმე თავს. ქორწილდებოდნენ უფრო შემოდგომისას, როცა ჭირნახული ბინავდებოდა, საქონელს ბალახი და სიმინდი უხვადა ჰქონდა და სუქდებოდა. ქორწილის გადახდაც უფრო ადვილი იყო დარის მხრივ. მეორე პერიოდი ქორწინებისა იყო ნაახალწლევი,

დიდმარხვის ხორციელის აღებამდე. ცხოველი და უხვების სეზონი შიოსა და მისი ოჯახისათვის აბა ეს დრო იყო! ჯერ ერთი, ფულად შემოდიოდა ჯვარისწერისათვის გასამრჯელო. თუმცა აღუნიშვნელად ვერ დავტოვებთ იმ გარემოებას, თუ რა სიძნელით შემოდიოდა ეს ფული. შეუძლებელი იყო, ჩხუბი და უსიამოვნება არ წამძღვარებოდა ჯვარისწერას, ამ ფრიად სასიამოვნო აქტს ადამიანის ცხოვრებაში. შიო ჯვარსაწერ ნეფეს მოსთხოვდა 15 მანეთს, ნეფე 3 მანეთს შეაძლევდა. შიო 2 მანეთს რომ დაუკლებდა, ნეფე ხუთ შაურს წაუმატებდა. გაიმართებოდა მოციქულობა, ვაჭრობა, ლანძღვა, ზოგჯერ შიო გასაქცევადაც გაიწევდა. ბოლოს, იმით გათავდებოდა, რომ ოთხ მანეთად ჯვარს დასწერდა, ცალყბივ დალოცავდა და გაისტუმრებდა.

მეორე სახარბიელო მხარე ჯვარისწერისა ის იყო, რომ მღვდელი უეჭველად ესწრებოდა ქორწილს და საუკეთესო ნაჭრები საკლავისა ომასა და დიაკვანსა ხვდებოდათ. რასაც მოერეოდა ხომ იქვე, ალაგობრივ, სჭამდა და სვამდა, და საუკეთესო ნაჭერი ხორცისა თუ პური შინ უნდა გაეტანებინათ. ალბათ ასეთმა შემთხვევამ შეჰქმნა მღვდლებზე გამოთქმული ანდაზა: „აქ გამაძღე, შინაც გამატანეო“. ჯერ გაივსებოდა ჯიბეები (ყველაფრის ჩამტევი ჯიბეები მღვდლისა და ისიც შიოსი!) და დანარჩენი ჩადიოდა ხურჯინში ანუ „შიოს მარანში“, რომელიც იტევდა ყოველგვარი მოცულობისა და ხასიათის სურსათ-სანოვაგეს, უმსა და მოხარშულს, რომელიც სულ მუდამ უნაგირის უკანა ტახტასა ჰქონდა შემოკრული: მაშინაც, როცა სადმე მიდიოდა და იმედი ჰქონდა რისამე და მაშინაც, როცა იმედი არ ჰქონდა რამე გამოეტანებინათ. ორივე ყური ‘ხურჯინისა კარგად რომ გაივსებოდა, აეკიდებოდა კოკინიას; ზედაც მე დავჯდებოდი და მოვდიოდით გულნებიერად სახლში, სადაც, დაგვინახავდნენ თუ არა ჩვენი მოუთმენლად მომლოდინე შინაურები, შორიდანვე გამოგვეგებებოდნენ. ხურჯინს დიასახლისი თავის ხელით ამოალაგებდა ხოლმე და თან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდა გამომგზავნს. შეუძლებელი იყო, არ დაეწუნებინა გამოგზავნილი, შეუძლებელი იყო, „ღორი ყაზახის“ (გლეხის) ადრესით ქება გაემეტებინა: „თავის დღეში ვერ ისწავლის მღვდლის პატივისცემასო“. თან შიოს მიმართავდა, როცა მისი მოტანილი ნასაკურთხევი იქნებოდა:

— პაპა,* იმ ვათანძარა (ვითა მძოვრმა) დედაკაცმა ასე მჭლე ქათმით უნდა აცხონოს თავისი მიცვალებულის სული? მაგისმა მზემ!.. ან შენ როგორ უკურთხე ასეთი მჭლე ქათმით! თვალები სადღა გქონდა? არ იცი განა, თუ ერთხელ შეარჩინე, მეორეჯერ უარესს გიზამს! ყაზახი თავზე არ უნდა დაისვა!..

მოჰქონდა შიოს ქელეხებიდანაც. რა თქმა უნდა, მე მის უკან ხურჯინზე დამჯდარს განუყრელადა მხედავდნენ კოკინიას ზურგზე. უკვე „პატარა დიაკვანს“ მეძახდნენ, რადგან „მშვიდობის“ თქმას რუსულად „გოსპოდი პომილუის“, „წმინდაო ღმერთოს“ და „მამაო ჩვენოს“ მივაყოლებდი. რა თქმა უნდა, მაყურებლები, რომელთაც რუსი არც კი ენახათ, არამცთუ რუსული გალობა გაეგონათ, გაოცებულები შემომცქეროდნენ: როგორ ახერხებს ერთი თითის ტოლა ბავშვი რუსულად ლოცვის თქმასაო!.. ღმერთმა გაუზარდოს მის დედ-მამას მისი თავი და რო გაიზრდება, რა იქნებაო!.. წარმოგიდგენიათ, როგორ წამაქეზებდა არჩეული გზით სიარულისათვის ასეთი ქათინაურები, რომლებიც სრულებით დამსახურებულად მიმაჩნდა...

ერთი მოხუცებული გლეხი გარდაიცვალა. იმის ტირილში ვართ. სამეგრელოში ახალშემოღებული იყო ბაზარ ადგილას, ფურნეში გამომცხვარი თეთრი პურით გამასპინძლება სატირლად მოსული მეზობლებისა. პურთან შესატანებელი ლობიო იყო ხოლმე, მაგრამ ულობიოდაც ცარიელ პურს მადიანად შეექცეოდნენ, რადგან პურის თესვა სამეგრელოში გადავარდნილიყო და რუსეთიდან მოზიდული და ალაგობრივ გამომცხვარი პური, და ისიც თეთრი, იშვიათი საშოვნელი და ფუფუნების საგანი იყო. მღვდლისათვის მდინარეში დაჭერილი თევზიც ეშოვნათ და ცოტა ზეთისხილი, რომელიც მაშინ თურქეთიდან შემოჰქონდათ.

ჯერ იტირეს მიცვალებული, მეგრულ წესისამებრ, ზარით.

ტირილი მორჩა. ყველანი გაძღნენ. შიოს წესი უნდა აეგო მიცვალებულისათვის და უკვე უნდა გამოესვენებინათ. კუბო საკაცეზე (ჯალამბერზე) დააკრეს და ის იყო, შიო უნდა გასძღოლოდა და შევ-

---

* ცოლ-ქმარი ერთმანეთს ნამდვილ სახელს არ ეძახდნენ, არამედ მეტსახელს. როცა ერთმანეთს მიმართავდნენ, ჭკადუხე ქმარს—პაპას (მღვდელს) ეძახდა, შიოც ცოლს ჭკადუხეს ეძახდა.

დგომოდით ეკლესიისაკენ მიმავალ აღმართს. ჭირისუფლებმა შიოს მიუგზავნეს სოფლის მოწინავე და კარგი მოლაპარაკე კაცები და მორიდებით აკითხვინეს, თუ რამდენს დასჯერდებოდა წესის აგების და ეკლესიაზე მიცვალებულის გაძღოლისათვის.

— მანეთ ნაკლებ ფეხს არ მოვიცვლიო,—შეუთვალა შიომ.

ჩემი პატარა გონება ვერ მიმხვდარიყო, თუ ამდენი პურის ჭამის შემდეგ შიოს ფული რისთვის უნდა გამოერთმია ჭირისუფლისათვის; მე რომ ვყოფილიყავ, სრულებით უფულოდაც გამოვასვენებდი... მაგრამ თქვენს ლხენას, აბა მე ვინა მკითხავდა!.. გაიმართა მოლაპარაკება. ჭირისუფლებმა ათი შაური აძლიეს, მეტი არ შეგვიძლიაო. შიომ იწყინა:—არა, შვილონიასა, მე ათშაურიანი მღვდელი არ გახლავართ, ჩემი ლოცვა და სხვა მღვდელი რომ გინახავთ, იმის ლოცვა ერთი არ გახლავსო! თქვენ წელიწადში ერთსა თუ ორს თუღა მოგაგონდებათ სიკვდილი და მაშინაც ათი შაურის მეტი რომ არ ავიღო, აბა ამიშენდება ოჯახი... ესეც არ იყოს, ხომ გაგიგონიათ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. აქაო და, თქვენი გვარისა ვარო, განა თავი უნდა აგაგდებინოთ და ანაფორა შეგარცხვენინოთ!... აქამდე რითი ვერ გაიგეთ, რომ სხვა მღვდლებთან დასატოლებელი არა ვარ!... არა, ათს შაურს როგორ მიბედავთ, როგორ?!...—შესძახა შეტევაზე გადასულმა მოძღვარმა.

შუაკაცებმა მთელი მჭევრმეტყველება იხმარეს. ეცადნენ, შეებრალებინათ შიოსათვის ჭირისუფლები, ხან საიდან მოუარეს, ხან საიდან, მისი ადრესით ქათინაურებიც არ დაიშურეს, მაგრამ ვერას გახდნენ. შიო არ დაერიდა, ისედაც დაძმარებული ხალხი უარესად დაეძმარებინა. საქმე იმ ზომამდე გამწვავდა, რომ შიომ ოლარი გადაიძრო კისრიდან, დაჭეცა, ჩემთვის უნდა მოეცა ხურჯინში ჩასადებად და მიცვალებული სულაც მიეტოვებინა... ათიოდე ნაბიჯი განვლო კიდეც ჭიშკრისაკენ, ჭირისუფლებმა ათ შაურს ორი შაურიც მოუმატეს. მაგრამ სანამ არ დაუთვალეს, ისე ოლარს ხელი არ ახლო. გულმოსულმა მიცვალებულს წესი აუგო ჩემი დახმარებით, და ის იყო, ეზოდან უნდა გასულიყვნენ, რომ მოაგონდა, ხურჯინში პური და ღვინო კი ჰქონდა, მაგრამ კარგი იქნებოდა მის ყანაში 'მომუშავე გლეხებისათვის ლობიოც წამოეღო. დაუძახა მზარეულს და უთხრა, ხურჯინის ცალ ყურში მოხარშული ლობიო ჩაეყარა. მზარეულმაც, რომელიც შიოსა და ჭირისუფლების ვაჭრობას ყურს უგდებდა,

ალბათ ჯავრის საყრელად, ხურჯინი ლობიოთი კი გაუვსო, მაგრამ ლობიოსათვის მისი ნახარში ცხელი წყალიც დაემატებინა. აჰკიდეს „კოკინიას“ ხურჯინი და შიოს ავუანდი ჩამოუწიეს. შიოც გულნებიერად შეჯდა, როგორც გამარჯვებული კაცი, რომელსაც კნინი წინასწარგრძნობა არა ჰქონია, რომ მგზავრობის სულ რამდენსამე ნაბიჯს შემდეგ რაიმე უსიამოვნო ინციდენტის მსხვერპლი შეიქმნებოდა. მე შიოს უკან მომისვეს ხურჯინზე და გავუძეხით მიცვალებულს.

დაიძრა პროცესია, რომელსაც ჯორით წინ შიო მიუძღვებოდა. ასიოდ ნაბიჯი გვექნებოდა გავლილი, რომ კოკინიამ მძიმე მომენტის საფერი თავშეკავებულობა ვერ გამოიჩინა და ერთბაშად დაიწყო ჭიხვინი, საკბენად ეტანებოდა ყველას, სულ ტყუპ-ტყუპ წიხლებსა ჰყრიდა და ერთ ალაგას ტანაჯორივით ტრიალებდა. გარშემო ხალხი სულ შემოიფანტა, ეტყობოდა, აღარც თავის მხედარს ინდობდა და მისს გადმოგდებასა ჰლამობდა. მაგრამ შიო უნაგირზე თავს იმაგრებდა. მე კიდევ, რაც ძალა და ღონე მერჩოდა, მისს ანაფორას დავებღაუჭე. თან ვტიროდი და კივილიც მოვრთე. სრულებით დამავიწყდა, რომ არა ჰხამდა „დიაკვანს“ შემშინებოდა და მით უფრო—მეტირნა, ისიც უცხო ხალხის წინაშე!.. მე კი ამ კილოთი მინდოდა კოკინიასათვის გამეგებინებინა, რომ შეიძლებოდა მომავალი მღვდელი გადმოვვარდნილიყავ, რამე მომეტეხნა და, უკეთესს შემთხვევაში, რამე მტკენოდა. კოკინიას ასეთი საქციელი იმდენად გაუგებარი იყო სულიერ მოძღვრისათვის, რამდენადაც მოულოდნელი. ჯერ შეუტია: რა დაგემართა, შე სამგლეო. მაგრამ, ეტყობოდა, პატრონის შეტევამ სათანადო ეფექტი ვერ მოახდინა პირუტყვზე,—ისევ განაგრძობდა წიხლების სროლას. ამ დროს ვიღამაც წამოიძახა: არიქათ, ხურჯინში ჩაყრილი ცხელი ლობიოს ბრალი იქნებაო. მართლაც, ცხელ ლობიოს და მისი ნახარში წყლის სიმხურვალეს ხურჯინს გარეთ გაეტანებინა, ჯორს ჰმწვავებია და იძულებული გამხდარა დაერღვია ზრდილობის წესები, ერთი სიტყვით, მოქცეულიყო ისე, რაც არ შეეფერებოდა არც მომენტს და აღარც მხედრის მაღალღირსებას.

მგლოვიარე სახეებს ბარემ არ უხდებოდათ თავშეუკავებელი სიცილი, ბოლოს ხარხარად გადაქცეული. კიდევ ბედი, მიცვალებული ახალგაზრდა არ იყო, და სიცილი, მათდა უნებურად გამოწვეული, ეპატიებოდათ...

როგორც იყო, ძირს ჩამოგვსვეს, ოინის მიზეზი ლობიო ყველას თვალწინ ხურჯინიდან წამოჰყარეს და ჯორი მხოლოდ მაშინ გახდა თანახმა მის ზურგზე შევესვით, როგორც მისი საპატიო და თანაშეზრდილი მხედარი, ისე მისი შვილიშვილი. ბარემ დაენანა შიოს, რომ სახლში ულობიოდ მიუვიდოდა ჭკადუხეს...

ხალხს კი ერთხელ კიდევ მიეცა შემთხვევა გაეკილა თავისი „სულიერი“ მოძღვრის გვამი, რომლის ამოვსება შავს მიწას თუღა შეუძლიაო... სოფლელთ დიდხანს ჰქონდათ ეს ამბავი სალაპარაკოდ.

მარტვილში

სამეგრელოში სწავლა-განათლების საქმეს იმთავითვე ემსახურებოდა მონასტრები. ასეთი მონასტრები იყო: მარტვილისა, სახარბედიოსი და ხობისა. აქ დავანებული ბერები მომავალ სამღვდელოებს თუ საბეროებს საქონლის ბეჭზე ასწავლიდნენ როგორც ხუცურ, ისე მხედრულ წერა-კითხვას. შემდეგ გადადიოდნენ საღმრთო წერილის წიგნების სწავლებაზე. ამავე საქმეს ემსახურებოდნენ ზოგიერთი უფრო „ნასწავლი“ მღვდლები. ჩვენს დროს იყვნენ ისეთი მღვდლები, რომელთაც მხოლოდ ხუცურის კითხვა იცოდნენ. უმეტესობა საღმრთო წერილისა გაზეპირებული ჰქონდათ. ისიც უნდა ითქვას, რომ სამეგრელოს მთავარი მღვდელსაც ისევე ეკიდებოდა, როგორც თავის ჩვეულებრივ ყმას, მღვდელსაც ისეთივე მოვალეობა აწვა მთავრისა, როგორიც მის ყმას. მხოლოდ 1842 წელს გაათავისუფლა სამეგრელოს მთავარმა დავითმა მღვდელი ბატონყმური მოვალეობისაგან.

ძველი წესი სამღვდელო კადრების შექმნისა უნდა შეცვლილიყო, ახალ ცხოვრებას უნდა შემოეტანა ახალი სკოლები მათ მოსამზადებლად. თბილისში უკვე 1817 წლიდან დაარსდა სასულიერო სემინარია და რაკი სემინარია არსებობდა, უნდა არსებულიყო ისეთი სასწავლებელიც, რომელიც ამ სემინარიაში შემსვლელ კონტიჟენტს მოამზადებდა. ასეთი სასულიერო სასწავლებლები არსებობდა ქართლში—გორში, თელავში და თბილისში. რა თქმა უნდა, გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი ქუთაისში, სულ ბოლოს, სამეგრელოში, თუ არ ვცდებით, 1830 წელს.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი სრულებით ბუნებრივად უნდა გახსნილიყო მარტვილში, ჭყონდიდელის საკათედრო ტაძრის გვერდით, ჭყონდიდელისა და მონასტრის გავლენის ქვეშ. და

აჰა, გაიხსნა ეს სასწავლებელი მარტვილის ტაძრიდან ნახევარი ვერსის მოშორებით, გორაკზე. პირველი შენობა ქვითკირისა იყო. ორი ძირითადი კლასი ჰქონდა და სამი მოსამზადებელი. პირველ მასწავლებლად აქ თბილისიდან მოავლინეს სემინარიის მოწაფე რომან ბორისოვი (იგივე ბერიძე), მცხეთელი, საეკლესიო გლეხის შვილი. ბორისოვები ახლაც ცხოვრობენ მარტვილში. შემდეგში აქ მასწავლებლობდნენ: ჭიჭინაძე (გამგე), გვათუა (სამათემატიკო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი), მათემატიკის მასწავლებლად მამიტოვი (ოსი), რუსული ენის მასწავლებლებად—შარიბიძე და ჩიმაკაძე, იონა გაწერელია, ვახანია, დავით მაჭავარიანი (მერე სოხუმის ტაძრის დეკანოზი). ეს სასწავლებელი დიდი წვალებით, მაგრამ მაინც ამზადებდა მაშინდელი მღვდლების შვილებს მომავალ მღვდლებად, ასწავლიდა წერა-კითხვას, რის ვაი-ვაგლახით—რუსულს.

მეგრელთათვის რუსულის სწავლება პირველად ამ სასწავლებელში იყო შემოღებული. სხვადასხვა პედაგოგიური ხერხების მაგიერ უნდა უმთავრესად მიემართნათ ფიზიკური შთაგონებისათვის: ცემატყეპით უნდა შეეთვისებინათ ცოდნა. იმის შიში, რომ გაკვეთილების უცოდინარობისათვის გაწკეპლვა, სხვადასხვა სახის ფიზიკური სასჯელი მოელოდა, მოწაფეს ჭკუაზე შლიდა. თუთიყუშივით ზეპირობას ფართო გასავალი ჰქონდა. მოწაფენი მასწავლებლებს ისე უყურებდნენ, როგორც მტრებს, მათს საწამებლად მოვლენილთ, ხოლო სასწავლებელს—როგორც საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის დაწესებულებას. ამას დაუმატეთ დედ-მამის სახლიდან შორს ყოფნა, მარტვილის მცხოვრებთა, სამეგრელოს სხვა კუთხეების მცხოვრებლებთან შედარებით, უკიდურესი სიღარიბე. სასწავლებელი და მარტვილი სინონიმები იყო გოლგოთისა. იშვიათი ბუნების მოწაფე უძლებდა აქაურ რეჟიმს, აქაურ პირობებს. უმეტესობა პირველ წელსვე ანებებდა თავს სწავლას.

დედ-მამის სახლში (მღვდლის ოჯახში) მაძღრად ნამყოფი, გამზრდელისაგან ერთთავად მოფერებას ჩვეული, აქ ამდენი შიმშილობით, მასწავლებელთაგან უდიერ მოპყრობით გაბოროტებული „დიაკვანი“ (ასე ეძახდნენ მოწაფეს), სრულებით ბუნებრივია, სწავლაზე გულს აიყრიდა, მასწავლებელს მტრად მიიჩნევდა, სასწავლებელი—საწამებელ ადგილად ეჩვენებოდა. აზრიც კი დაებადებოდა, ასეთი დაწესებულება თუნდ დროებით მოსპობილიყო და მომავალი თაობა

დროებით მაინც განთავისუფლებულიყო წამებისაგან. აი ასეთი გრძნობა ებადებოდა თურმე უფრო გაბედულ „დიაკვნებს“ და ზოგიერთმა მათგანმა 1873 წლის 12 ოქტომბერს ცეცხლი წაუკიდეს სამეგრელოს ამ ერთადერთ სასწავლებელს. როცა შენობა იწვოდა და აგიზგიზებულ ცეცხლის ჩაქრობას და სასწავლებლის შენობის გადარჩენას ცდილობდნენ, დიაკვნებმა დრო იშოვეს, ვაზებიან ხეებს შიაშურეს და ყურძენს თურმე დაუწყეს კრეფა. სასიხარულო დრო დაუდგათ: სასწავლებელიც იწვოდა და ყურძნის ჭამაც დაუსჯელად უნდა შერჩენოდათ. გარუჯული ქვითკირის კედლებიღა დარჩა. სასწავლებლის შენობას დიაკვნების სენაკები (სადგომი ბინები) მიჰყვა. რადგან სხვა შენობა არსად ყოფილა შესაფერი, სასწავლებელი ქუთაისში გადაიტანეს 1874 წლის იანვრიდან.

მაგრამ დიდი ხნით უსასწავლებლოდ დარჩენა გაჭირდა. სამეგრელოს სამღვდელოებამ ფული გააწერა და 1876 წ. ერთობლივი ძალით დაბა ნოოღალევიდან ერთი ვერსის მანძილზე გააშენა რვათვალიანი ყაზარმული შენობა ხისა, გაჯით შელესილი: ერთი თვალი— სასწავლებლის გამგეობისათვის, იგივე კანცელარია და იგივე სამასწავლებლო, ხოლო შვიდი თვალი საკლასოდ. 1882 წელს ამასაც ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს. მაგრამ... წინ ნუ გავუსწრებთ ჩვენს ამბავს.

***

ორი კილომეტრის მანძილზე იქით-აქეთ ორ წყებად ჩარიგებულ ეზოებსა და სახლებს შუა მიმავალ გზას შევყავართ დაბა ნოოღალევში, რომელიც ნაწილია მარტვილისა და წარმოადგენს სავაჭრო პუნქტს, სენაკისა და ძველი სენაკის ტიპისას. დაბაში შესვლამდე ვინც შეგვხვდება, მაგ ეკითხება: თუ ვინმე იკისრებს „მასპინძლობას“. მასპინძელი აქაურულად ჰქვიან ისეთ კაცს, ვინც აიყვანს აქ არსებულ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებს, მოუხარშავს მათ საჭმელს, დაურეცხავს, ე. ი. მისცემს სრული პანსიონს შესაფერი გასამრჯელოთი. გასამრჯელო შეიძლება იყოს ფულადი ან ნატურით.

მამაჩემი დაბაში შევიდა. ხელად გამოგვიჩნდა მასპინძელი ვინმე ივანე ოდიშარია, რომელსაც მეტსახელად „კაკოი“ ერქვა. იგი მეოჯახე იყო და ამავე დროს დაბაში ერთი დუქანიცა ჰქონდა, სადაც ყველს, კვერცხს, მარილსა და ტარანსა ჰყიდდა. რაკი სავაჭრო ჰქონ-

და, რაც უნდა მცირე ყოფილიყო მისი სავაჭრო, მედუქნის სახელი ჰქონდა. მისი მდგომარეობა გულისხმობდა, რომ მეზობელთა შორის ბაღლა იდგა როგორც ჭკუით, ისე მატერიალურად. მეტი სახელი „კაკოი“ ტყუილად არ დარქმევია: თურმე პრეტენზია ჰქონოდა რუსული ენის ცოდნისა. ვიღაც რუსს როგორღაც გამოევლო აქეთკენ. დასჭირებოდა თარჯიმანი. მეზობლებს ჩვენი ივანე მიუციათ პირში. რასაც რუსი ეტყოდა, ივანე ყოველივეზე „კაკოი“-ს იძახდა თურმე. ამ დღის მოსაგონებლად დარქმევია „კაკოი“, რომელიც სამარის კარამდე შერჩა მეტსახელად.

რაკი ივანემ გაიგო, რომ მამაჩემს ჩემთვის ბინა სჭირდებოდა, წაგვიყვანა სახლში, საცა ხუთი „დიაკვანი“ სხვა დაგვახვედრა.

კარგა მოზრდილ ეზოში ხის სახლი იდგა, ერთი თვალი, მიწური. აქეთ-იქით მიდგმულ ტახტებზე შინაურები წვებოდნენ ხოლმე, ცალ მხარეზე თვითონ ივანე, მისი ცოლი და სამი შვილი, ხოლო მეორე მხარეზე—ორი საცოლე და ერთიც შვიდი-რვა წლის ძმა და ერთი გასათხოვარი და. წინ ნახევარი აივნის ადგილი ეჭირა პატარა ოთახს ხის ფიცრებისას, რომელსაც 10 კვადრატული მეტრის მოცულობა ექნებოდა. ჩვენს ოთახს კედლის სამი მხარის გასწვრივ ტახტები ჰქონდა მიკეთებული და ამ ტახტებზე იწვნენ სამი ძმა ერთ ლოგინში, ორი ნათესავი „დიაკვანი“ კიდევ ერთ ლოგინში და როცა მეექვსე მე მივემატე, ცალკე ლოგინისთვის ტახტის ერთი ნაწილი გამომიყვეს და მეც უნდა შევდგომოდი ახალ ცხოვრებას.

სასწავლებელში ჩემს მიღებას ცოტა რამ დაბრკოლება გადაეღობა: მიღებისათვის საჭირო თხოვნასა და დაბადება-მონათვლის მოწმობასთან ერთად მამაჩემს მოსთხოვეს ყვავილის აცრის მოწმობაც. ამაზე მამაჩემმა უთხრა: აცრის მოწმობა კი არა, თავად ნაყვავილარა არის ბავშვი. მართლაც, პატარობაში ყვავილი მოვიხადე და სახე სულერთიანად დაკენკილი მქონდა. მიუხედავად ამისა, აცრის მოწმობა მაინც მოგვთხოვეს. ახლა საქმე ის იყო, რომ ექიმი, ვისაც შეეძლო ყვავილის აცრის მოწმობის მოცემა, ქუთაისს აქეთ არსად იყო. მეტი გზა არ იყო, უნდა წავსულიყავით ქუთაისში ცხენით.

ჩვენმა მასპინძელმა ივანე კაკოიმ ცხენი მოგვაქირავა. მამაჩემი შეჯდა, მე უკან მომისვა და გავუდექით გზას ჯერ ხონისაკენ და იქიდან—ქუთაისში. გავედით ბორნით მდინარე ცხენისწყალზე, გავიარეთ ხონში და იქიდან ერთ სოფელში (მგონი გოჩა-ჯიხაიშში) შევუხვიეთ,

სადაც მამაჩემს ნათესავი თუ ძველი მეგობარი ჰყოლოდა. ძალზე გაეხარდათ ჩვენი ნახვა. ღამე არ გაგვიშვეს. პურები გამოგვიცხვეს, გაგვიმასპინძლდნენ, მოგვასვენეს. მეორე დღეს დაგვლოცეს და გაგვისტუმრეს ქუთაისში.

მაგრამ თქვენ ჩვენი მგზავრობა ბრძანეთ! საშინელი ჯაფა დაადგა ჩვენს ცხენს. ნაწვიმარი ყოფილიყო და გზა საფლობებად გადაქცეულიყო. წითელ მიწის საფლობებში ფეხებს რომ ჩადგამდა ცხენი, იქიდან ჭაპანწყვეტით ამოჰქონდა უკან. გზის ორსავე მხარეზე, გარშემო დაბურული ტყე იყო. მამაჩემს ყაჩაღებისაც ეშინოდა. რის წვალებით ჩავაღწიეთ ქუთაისში, სადაც ექიმმა რომანოზ მაჭავარიანმა მოგვცა იმის მოწმობა, რომ ყვავილი მოხდილი მქონდა. თვით ქუთაისისა ისღა მაგონდება, რომ მუხლამდე ტალახიან და ოღროჩოღრო ქუჩებით დავდიოდით, რომელთა აქეთ-იქით რაღაც ერთსართულიანი დაბალი საცოდავი სახლები ერთმანეთისათვის მიეგათ.

დავბრუნდით მოწმობიანად იმავე გზით და იმავე წვალებით მარტვილში. იქ სასწავლებელში გამომცადეს, რუსულში არა მიშავდა რა, რადგან, როგორც სოხუმის სკოლაში ნამყოფს, წერა-კითხვა და ანგარიში ოცამდე ნასწავლი მქონდა. მაგრამ ქართულში სრულებით არაფერი ვიცოდი და ამ საგნის უცოდინარობამ შემარცხვინა. მეორე მოსამზადებელი კლასის მაგიერ პირველში დამსვეს. მამაჩემს ბარეშ ეწყინა, რომ მისი რუსულის მცოდნე შვილი ასე დაჩაგრეს, მაგრამ რაღას იზამდა, შეურიგდა ბედს.

„დიაკვნების“ შესანახს ორნაირად ღებულობდნენ მარტვილელი „მასპინძლები“: სულზე დიაკვნის პატრონს უნდა მოეტანა ორი ფუთი სიმინდის ფქვილი, ერთი კათხა ლობიო, ერთი კათხა კაკალი, ცოტა ხახვი, რამდენიმე სულგუნი ან ათიოდე უბრალო, მარილიანი ყველი, ან კიდევ ფულად უნდა ეძლიათ ყოველთვიურად გადაწყვეტილი თანხა. მამაჩემი ფულად გაურიგდა: თვეში ხუთი მანეთი უნდა მიეცა. ეს მამაჩემისთვისაც უფრო იოლი იყო და მასპინძელსაც ხელს აძლევდა, რადგან ფული მეტად ძვირი იყო, ფულის მომცემი „დიაკვანიც“ იშვიათი იყო და როცა თითო-ოროლა ასეთი გამოერეოდა, სიამოვნებით დათანხმდებოდნენ, რადგან ამ ფულით უნდა გაესტუმრებინათ გადასახადები და გასძღოლოდნენ სხვა გაჭირვებასაც, სადაც ფული იყო საჭირო.

ამ ფულისათვის მე მექნებოდა ბინა, როგორც ზევით აღვწერეთ, სადილი, ვახშამი, დილას საუზმე, გარდა ამისა, დიასახლისს უნდა დაერეცხა ჩემი საცვლები. ზამთარში ცეცხლი საერთო გვქონდა: მასპინძლის კერა, რომელსაც ხნოვანების მიხედვით უსხდნენ გარშემო. პატარებს ან კუნძზე, ან ცენტრიდან კარგა ძოშორებით უწევდა ჯდომა.

აი, ასეთი იყო ტიპიური ბინა „მასპინძლებთან". ასეთ ბინებში ათავსებდნენ დედ-მამის უმეტესობა თავის შვილებს. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არ შეეძლოთ ასეთი ხარჯის გაწევა და უფრო იოლად, უფრო ეკონომიურად უნდოდათ გამოსულიყვნენ. ოთხი—ხუთი „დიაკვნის" მამები ერთმანეთს მიუდგებოდნენ, შეადგენდნენ ერთგვარ კოლექტივს, იყიდდნენ სადმე ხის ერთთვალა ქოხს, ასე 20—25 კვადრატული მეტრის ფართობის მქონეს, ანდა მოაწნევინებდნენ წკნელისაგან ქოხს, ზევიდან ისლით გადაახურვინებდნენ, ორს კარს შეაბამდნენ წინ და უკან და ბინაც მზად იყო! ასეთ ბინას ერქვა სენაკი. მოხდებოდა, რომ მოსწავლეებს საერთო ხარჯით დაექირავებდნენ ერთ ბიჭს, რომლის საქმე იყო: ყოველდღე გამოეცხო კეცით მჭადი, ან თუჯის ქვაბით ფქვილის ღომი მოეხარშა და დაეხვედრებინა სასწავლებლიდან დაბრუნებულ მესენაკეთათვის. ყველა მათგანს ჩამოუდიოდა სახლიდან ყველი, მარხვისათვის ლობიო, კაკალი, ხახვი, ათასში ერთხელ, განსაკუთრებით შემოდგომაზე, ქორწილების დროს, როცა მღვდლების სახლში ხორცის უხვობა იყო, ხორციცა ჰქონდათ ხოლმე. ხორციგე ჰქონდათ ნაახალწლევს, შინიდან საშობაო არდადეგების შემდეგ დაბრუნებულთ. მოსარეცხეც ბიჭი იყო ხოლმე. ან თვითონ ბიჭები ირეცხავდნენ ცივი წყლით თავიანთ საცოდავ საცვლებს, თვეში ერთხელ მაინც. შეშას ხანდიხან ურმობით იყიდდნენ გლეხებისაგან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ფიჩხსა ჰკრეფდნენ. ზამთარში, როცა დიდ თოვლს დასდებდა და სიცივეებს დაიჭერდა, თოვლით დაფარული იყო დედამიწა, ფიჩხი არსად ჩანდა, მაშინ ვაი მეზობლების ღობეების ბრალი! დაუზოგველად ინგრეოდა რის წვალებით ნაკეთები ღობე.

ამგვარად, მამაჩემი მოურიგდა მასპინძელს: თვეში ხუთი მანეთი ფულად ეძლია და წასასვლელად მოემზადა. მე და ჩემმა ერთმა ნათესავმა „დიაკვანმა", კლასით ორი წლით ჩემზე წინ მყოფმა, მამაჩემი ორის ვერსის მანძილზე გავაცილეთ. გამოთხოვებისას მამამ

ორი შაური დამიტოვა და მითხრა—რამე იყიდე ამისიო. ჩემმა ნათესავმა მირჩია შემენახა სადმე კარგ ადგილას, მეც სიფრთხილით შევინახე და დიდხანს არა ვხარჯავდი, ვუფრთხილდებოდი...

მასპინძელთან, სანამ მამაჩემის დატოვებული ხუთი სულგუნი გვქონდა, საჭმელი იყო, ე. ი. ღომი მათი და ყველი—ჩვენი. მაგრამ ერთ კვირაზე ეს სულგუნი გათავდა და გათავდა ჩვენი განცხრომის დღეცა. სუფრაზე თუ თითო სულზე 15—20 გრამი უბრალო ყველი ვაჩნდებოდა ღომთან შესატანებლად, ღმერთს მადლსა ვწირავდით. ვახშმადაც ასევე. დილას სკოლაში წასვლამდე წინაღამის ღომს ნაღვერდალზე მოვხალავდით და თუ ყველის ნატეხი ჩაგვივარდებოდა ხელში, ხომ კარგი, თუ არა და კბილი მარილი, ან კიდევ მწვანილი და მარილი ერთად დანაყილი—შესატანებელი იყო. ერთ-ერთ „დიაკვანს“ მამა ჩამოუვიდა და ნაქორწილევი ღორის ხორცი და ძროხის ხორცი ჩამოუტანა. თითო ნაჭერი ყველას გვერგო: გავიხარეთ ფრიად და ეს დღე დღესასწაულად ჩავთვალეთ!.. გამოერია დღეები, როცა ჩვენის საჭმლის მენიუში შევიდა ტარანი, მაგრამ თორმეტი სულისათვის ორი ტარანის გაყოფას მხოლოდ ჩვენი მასპინძელი თუ მოახერხებდა...

ხევის წყლის ნაოღალევის პირას შემოკავებულია ოთხი დღის ძიწა. ხევის წყლის ზედ ნაპირზე, შემაღლებულ ადგილზე, სიგანეზე გაშენებულია სასწავლებლის ხის შენობა, გაჯით შელესილი და ყავრით დახურული. ოთახები რვაა, ერთიმეორეს მიდგმული ყაზარმულად. თითოეულ ოთახს ასე 64 კვადრატული ადლი ექნება ფართობი, შიგ მოთავსებულია 4 ძირითადი კლასი სასწავლებლისა, რომელიც პროგრამით უდრის 4 კლასს გიმნაზიისას, და 3 კლასი მოსამზადებელი. მერვე ოთახში მოთავსებულია: სამმართველო სასწავლებლის... კანცელარია და სამასწავლებლო. ერთიმეორის ბოლოშია სამმართველო და მეოთხე კლასი. ეზოს მეორე ბოლოშია ერთი დაბალი ხისავე სახლი, სამი თუ ოთხი პატარა ოთახისაგან შემდგარი, სადაც ოთხიოდე მასწავლებელი დგას. ამ ორ შენობას შორის მდებარე ადგილი წარმოადგენს მინდორს, სადაც დასვენების დროს მოწაფეები გამოიშლებიან და თამაშობენ. იქვე ერთ კუთხეში რამდენიმე კუბიკური მეტრი შეშა აწყვია საზამთროდ. მიაშორებით, 200 მეტრის მანძილზე წყაროა, რომლითაც სარგებლობენ მოწაფენი.

დილის კარგა ხმიანი ზარის რეკვა გვატყობინებს, რომ დროა სასწავლებელში წასვლისა. ხელ-პირს ვიბანთ და პირჯვარს ვიწერთ, ვახშმის მონარჩენ ღომს ვიცხელებთ ნაღვერდალზე, მიკროსკოპულ ყველის ნაჭერს ხელთ ვიგდებთ და დავნაყრდებით. მერე ტილოს ჩანთაში ჩავალაგებთ „როდნოე სლოვოს"-ს უშინსკისას, რვეულად შეკერილ ქაღალდს, ასპიდის დაფას და ასპიდისავე ჯოხს ზედ საწერად (ხარის ბეჭის მაგიერ), კალმისტარს, კალამს (ზოგს ბატის ფრთისაგან გამოჭრილი კალამი აქვს) და ფანქარს. ჩანთა გადაკიდებული გვაქვს მარცხენა მხარეზე და ძაფით ჩამოკიდებული აქვს სამელნე. სასწავლებელში მისულნი ერთ ოთახში შეგვიყვანეს და დაგვსხეს გრძელ მერხებზე, რომელთაც მთელი სიგრძე ჰქონდათ დაჭერილი საკლასო ოთახისა და რომლებზედაც თითოზე 10—15 მოწაფე ეტეოდა.

ოთხი საგანი გვქონდა სასწავლი: საღმრთო სჯული ანუ ლოცვები, რუსული ენა, ანგარიში და ქართული ენა. მარტო რუსულის სასწავლებლად გვქონდა წიგნი —უშინსკის „როდნოე სლოვო". დანარჩენ საგნებს ზეპირად ვსწავლობდით. „როდნოე სლოვო"-ს არც ერთი სიტყვა არ გვესმოდა და როცა წერა ვისწავლეთ, როგორც ქართულისა ისე რუსულისა, ყოველ რუსულ სიტყვას პატარა რვეულებში გვაწერინებდა მასწავლებელი (გვარად ნათაძე) და იქვე თარგმანს მივუწერდით. ქართული წერისათვის № 7 ქაღალდს რვეულებადა ვკერავდით, მერე ხის სავარცხლით ჩვენვე ვხაზავდით და მრგვალი ხელით ფოლადის კალმით ან გამოჭრილ ბატის ფრთით ვწერდით შემდეგ სენტენციას: „მრისხანება არს საფუძველი ბოროტებისა", თუ მის მსგავს რაღაცას, მხოლოდ ის კი იყო, ორ სტრიქონს რომ გავათავებდით, ახლა ისევ თავიდან ვიწყებდით. ასე, რომ რვეული თავიდან ბოლომდე „მრისხანებით" იყო გადაჭრელებული და თვით ქართულ წერას „მრისხანებას" ვეძახდით. აბა ერთი „მრისხანება"*

---

* ეს მრისხანება იწყებოდა და თავდებოდა ასე: „მრისხანება არს უმთავრესი და უპირველესი დამაბრკოლებელი განსვენებისა, ცხოვრებისა და სხეულის სიმრთელისა. პატიოსანთა კაცთათვის ფრიად სასურველ არს კაცი მიდრეკილი მრისხანებისადმი. მრისხანება არა უშორეს მდგომარეობს, ვითარ ორი თითის განდგინებისა ოდენ სიგიჟისაგან და ესე ვითარი მრისხანება ხშირადვე განაცხადებს უსაიდუმლოესთა აზრთა გულისა ჩვენისათა, ვიდრეცა არა გვწადოდა ჩვენ თქმად იგი."

ვწეროთო, რომ ვიტყოდით., ნიშნავდა, რომ ქართული წერის გაკვეთილი უნდა გვქონოდა. ასე ვწერდით მთელი წლის განმავლობაში. გაცნობილი გვქონდა მხოლოდ წერა იმ ასოებისა, რაც ამ „მრისხანეგბა“-ში გვხვდებოდა, გარეშე ამისა, სხვა ასოების გამოყვანა სულ გვიან, ორ-სამ წელიწადს მერე ვისწავლეთ.

პირველ წელიწადსავე გვასწავლეს ქართულად ლოცვები, რომლებიც როგორც მღვდლის შვილებისათვის, უფრო გასაგები და ადვილი სასწავლიც იყო. გვასწავლეს ქართული წერა-კითხვა ერთფურცლიან ანბანით, სადაც ლოცვებიც იყო, და რუსული წერა-კითხვა. სახელმძღვანელოდ გვქონდა ცნობილი რუსი პედაგოგის უშინსკის შედგენილი წიგნი „როდნოე სლოვო“. ეს წიგნი რამდენად კარგად იყო შედგენილი რუსი ბავშვებისათვის, იმდენადვე შეუფერებელი იყო სამეგრელოს სასწავლებლის 8—9 წლის ბავშვებისათვის. ანბანის შემდეგ გადავედით პირდაპირ მოთხრობაზე და ვისწავლეთ ლექსი: „ტერემ, ტერემოკ“. „ამ ტერემოკმა“ წაიღო ჩვენი საუკეთესო ენერგია, არ გვესმოდა არც ერთი სიტყვა, რასაც ვკითხულობდით. უხალისოდ ვიზეპირებდით, დიაკვნურად, ვიმახსოვრებდით თუთიყუშებივით. მასწავლებელს, ალბათ, შევეცოდეთ და ზოგიერთ სიტყვას და მის თარგმანს დაფაზე გვიწერდა და მერე პატარა რვეულებშივე გვაწერინებდა და გვაზეპირებინებდა. სწავლის დამთავრებისას, ასე ასიოდ სიტყვის მარაგი გვქონდა, თუმცა „ტერემოკი“ მაინც არ გვესმოდა.

ამნაირად, სასწავლო წლის გასულისათვის ვიცოდით ქართულად რამდენიმე ლოცვა, ქართული წერა-კითხვა, რუსული ზეპირად: „კაკ უ ნაშიხ, უ ვოროტ“, წერა-კითხვა, ანგარიში ოცამდე და „მრისხანების“ წერა. ამით დასრულდა სწავლის პირველი წელიწადი.

სკოლაში მასწავლებელი ერთი გაცინებული არ გვინახავს. ჩვენთან მოქცევაში ყველას პირქუშად ეჭირა თავი. ჩვენ თვითონ ისე

რა თქმა უნდა, შინაარსი მრისხანებისა არ გვესმოდა, მაგრამ იმას ჩვენგან არც არვინ თხოულობდა და მის გასაგებად არც ჩვენ ვიცხელებდით თავს. ვიცოდით მხოლოდ, რომ ეს „მრისხანება“ მაინცა და მაინც კარგი და სასარგებლო არ უნდა ყოფილიყო.

1877 წელს ცალკე გამოსულა ჩვენი სახელოვანი კალიგრაფის ტარასი შესხიშვილის წერის დედანი, რომელიც ცალკე სავარჯიშოებადაა დაყოფილი და მე-12 სავარჯიშო სწორედ ამ „მრისხანებას“ შეიცავს.

ვუცქეროდით, როგორც მტრებს და ჩვენი ავისმდომთ. რომ დავინახავდით გზაში, თითქოს ალალმა დაგვქროლაო, გავრბოდით სადმე დასამალავად, რომ თვალში არ ვჩვენებოდით. ასე გვქონდა წარმოდგენილი, რომ თავისუფლად გავლილს რომ დაგვინახავდა მასწავლებელი, ეს დანაშაულად ჩაგვეთვლებოდა და დაუსჯელად არ დავრჩებოდით: ან ყოფაქცევაში ცუდ ნიშანს დაგვისვამდნენ, ან სწავლაში...

მასწავლებლებს შემდეგ მოსამზადებელი კლასების მოწაფეთათვის თავზარის დამცემნი იყვნენ მაღალი კლასების—განსაკუთრებით მეოთხისა და მესამე კლასის—მოწაფენი. ამათ თავის მოვალეობად მიაჩნდათ პატარები უეჭველად დაეჩაგრათ, ეცემათ, ეწვალებინათ... როგორცა ვთქვით, მათი კლასები სასწავლებლის მეორე ბოლოში იყო, ხოლო მოსამზადებელი კლასები—ერთ ბოლოში. როცა წყაროზე წყლის დასალევად ან გარეთ გასასვლელად გვინდოდა წასვლა, უეჭველად მაღალი კლასების წინ უნდა გაგვეარა. მაღალკლასელები, ჩვეულებრივ, 17—18-ის და ზოგჯერ ოცი წლის წვერულვაშიანი ვაჟკაცები იყვნენ. ყველას ჩოხა-ახალუხი ეცვა, ფეხებზე წუღა-მესტი და თავზედაც ბუხრის ქუდები. ყველანი ჩხუბის გუნებაზე იყვნენ და როცა პატარები გაუვლიდნენ, თავის მოვალეობად თვლიდნენ უეჭველად თავისი ღონე პატარებზე ეცადნათ: ან პანღურს ამოჰკრავდნენ, ან ქეჩოში წაჰკრავდნენ, ქუდს კი უეჭველად მოაძრობდნენ და დაახეთქებდნენ მიწაზე და თან დაატანდნენ: ხონური ქუდის ხმა აქვსო. მაშინ კარგი ქუდები მხოლოდ ხონში იკერებოდა. ზოგის ქუდს ისე ერთგულად ანარცხებდნენ, რომ იხეოდა კიდეცა. ვინც პროტესტს განაცხადებდა, მოელოდა ყურის აწევა, წათაქება და პანღური. მთელი დღე, განსაკუთრებით დასვენების დროს, განუწყვეტელი ტირილი იყო ბავშვებისა. საკვირველი ის იყო, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელობა, რომელიც ამ ამბავსა ხედავდა, ამ საქმეში არ ერეოდა ან ყურებს იყრუებდა და თვალებს იბრმავებდა.

არავის მოუვიდოდა აზრად აქ საპირფარეშო ან აბანო ყოფილიყო ამდენი ხალხისათვის. აქაური მოსწავლე ტანუბანელი დადიოდა. მხოლოდ ზაფხულის პირას აქაურ მდინარე ინჩხიაში ან აბაშაში თუ ჩავიდოდნენ ტანის საბანად, ისიც უსაპნოდ. სულ ბევრი, თვეში ორჯელ თავი დაგვებანა აქაურ თავის საბან ან, როგორც აქ ეძახოდენ, თეთრი მიწით. ეს მიწა პარასკეობით ჩამოჰქონდათ ბაზრობაზე ვაშ-

ლის სიმსხო გუნდებად გაკეთებულები და კაპიკად ხუთ-ხუთის ვყიდულობდით. მართალი უნდა ითქვას, თავს საუცხოოდ გვბანდა. ეს მიწა შორიდან მოჰქონდათ, მთის კალთებზე ამოდიოდა სოფ. ხუნწში. ერთ დაბანაზე გუნდის მეოთხედი ერთს თავისუფლად გვყოფნიდა. თავის საბანად საპონი არავისა გვქონდა და არც არავინ ვხმარობდით.

საპონი სარეცხისათვის გვჭიროდა. დიასახლისს, რომელსაც, თანახმად მორიგებისა, უნდა გაერეცხა ჩვენი სარეცხი ორ კვირაში ერთხელ მაინც, საპნის ხმარება საჭიროდ არ მიაჩნდა. გასარეცხი თუ ექნებოდა, ეს იყო ჩვენი საცოდავი საცვლები და პირსახოცი. ლოგინის საცვლები, როგორც ზეწარი და ბალიშის პირი, მაშინ ადამიანისათვის საჭიროდ არ ითვლებოდა, არც ცხვირსახოცი; ეს უკანასკნელი პირველად მასწავლებელს ვუნახეთ, რომელმაც იმით მოიხოცა ცხვირი და გვაჩვენა მისი დანიშნულება.

დიდი თოვლის გამო საშობაოდ სახლში არ წაუყვანივართ. სამაგიეროდ, ჩემი მამამძუძე ააღდგომოდ ცხენიანად კარზე მომადგა და მამასთან წამიყვანა.

აღდგომისათვის ახალი ხალათი შემიკერეს. ზედ აღდგომა დღეს უნდა ჩავიცვა და ორმაგად გავიხარო: ერთი, ახალი ტანისამოსით, რომელსაც ყველას ვაჩვენებ, დავახარბებ იმათ, ვისაც ასეთი ახალი არ ეცმევათ, და მეორეც—აღდგომის გათენებით და წითელი კვერცხებით. მამაჩემის მრევლსა სწამდა, რომ ცოცხლებთან ერთად აღდგომა უთენდებათ და უხსნილდებათ მიცვალებულთაც, მაშასადამე, ცოცხლებთან შედარებით ისე ხშირად არა, მაგრამ დროგამოშვებით სახსნილო საჭმელი მათაც უნდათო. ამისათვის ამ მიცვალებულთა პატრონებმა უნდა იზრუნონ და ზრუნავენ კიდეც და გულსავსებითაც! ქორფა წიწილები, ახალი ტყემლის საწებელი, მაწონი, წითელი კვერცხები, ღომის-ღომი, ხაჭაპურები, სულგუნი, შინმოწეული თუთუნი, გოჭი, დოქით ღვინო—აი რისგან შედგება აქაურების საკურთხი! თითქმის თამამად ვიფერებ ჩემს როლს, დავყვები მეზობლებში მამას და ვეხმარები. ჩემი განუყრელი აბგა თან დამაქვს და ხელში რაც მომხვდება, შიგ ამოვაყოფინებ ხოლმე თავსა. ერთი ნაწილი მზადდება მარტვილში წასაღებად.

ამ მხიარულებაში, დაუსრულებელ ჭამა-სმაში, მოკეთეების მიერ მოკითხვაში, ტოლებთან თამაშობაში, თითქმის შეუმჩნევლად გაირ-

ბინა აღდგომის კვირამ. კვირაცხოვლობაა. ვფიქრობ კვერცხების ჭიდაობას. ჩემი ჩაკირული კვერცხის ეშმაკობა გამიგეს, ციცარის კვერცხის ცნობაც შეიძლეს და ჩვეულებრივი კვერცხები ქათმისა თუ ბევრი გავუტეხე, არც ტოლებს დაუკლიათ ხელი და თუ უფრო მეტი არა, იმდენი მაინც იმათ გამიტეხეს და წამართვეს.

სარეცხი დამირეცხეს, ხურჯინი გამივსეს ხორცით, ხაჭაპურებით, სულგუნებით. მამაჩემმა გადაწყვიტა თვითონ წამომყოლოდა. სანამ წამოვიდოდით, რაკი გზა შორი და თან საშიში გვედო წინ, აქეთ მხრელებსაც შევატყობინეთ და ორშაბათ დილას შინაურებმა მარჯვნივ სამჯერ დამატრიალეს, გზა დამილოცეს, ალაყაფის კარებთან „კარგი ფეხის“ მეზობელი შემეხვედრეს და გამომისტუმრეს თვალცრემლიანი. ზოგმა თანამგზავრმა ჩვენ გამოგვიარა, ზოგსაც, ვინც ჩვენს აქეთ იყო, ჩვენ გამოვუარეთ და დავადექით გზას. ოთხი ხუთი დიაკვანი და ჩვენი პატრონები ერთად რომ შევიკრიბენით, ცოტა არ იყოს, გავთამამდით, მომავალს საშინელებას—მარტვილში ჩასვლას და იქაურს ჯოჯოხეთის ცხოვრებას პირდაპირ დავუწყეთ ყურება. ბარემ გვესიკვდილება განგრძობა განვლილი ძაღლუმადური ცხოვრებისა, მაგრამ რას ვიზამთ: მღვდლის შვილები ვართ, მღვდლები უნდა გამოვიდეთ და თუ გვინდა ასეთი ხარისხი შევიძინოთ, ყოველგვარი იწროება უნდა მოვითმინოთ, ყოველგვარი გაჭირვება უნდა ვძლიოთ.

მივდივართ, მივიმღერით. შემხვდურთ „ქრისტე აღდგას“ ვეუბნებით გამარჯვების მაგიერ, ისინი „ჭეშმარიტად აღდგა“-თი გვიპასუხებენ. ბუნება, კეკლუცად მორთული თავის საგაზაფხულო სამოსელში, ტკბილად შემოგვფოფინებს, საამოდ გვიღიმის. გულში გვიხუტებს.. გზაში ვჩერდებით პაპის ნათესავთან—ქაქუჩა სახოკიასთან ძველებური ამბები კიდევ ესმის ჩემს ნორჩ ყურებს. ჩემს ნორჩ გონებაზე მწარე, მძიმე შთაბეჭდილებას კვლავ ტოვებს ჩვენთა თანამოძმეთა განვლილი წამებანი ბატონყმობის დროისა, როცა ბატონი თავის გლეხს ცოლ-შვილიანად გაჰყიდდა საშუალო ღირსების მწევრისათვის... ოდეს გლეხს სახედარივით უნდა ემუშავნა ღა ბატონი იმასაც არ იფიქრებდა, რომ ამას ჭამა უნდოდა, თორემ უჭმელად ვერ იმუშავებდა... ოდეს... მაგრამ რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ! იმ დროებასთან შედარებით, რაც ამ 15—20 წლის წინათ ყოფილა, ახლა ხელმწიფენი ვართ,—დასძენდა ქაქუჩა. მაშინ არ შეგვეძლო

გვესწავლა, თუ ბატონი ნებას არ მოგვცემდა. უბრალო ხელობა რა არის, იმის სწავლისათვის მისი ნებართვა გვჭიროდა. თქვენისთანებს ახლა, ბაბუა, გზა გაგეხსნათ, შეგიძლიათ თავისუფლად ისწავლოთ, ისწავლოთ და კიდევ ისწავლოთ, მღვდელი გახდეთ, ხელმწიფის ტოლი კაცი. ნეტავი თქვენ, რომ ასეთ დღეს მოესწარით, რომ ჩვენს დროებას არ მოსწრებიხართ, ჩვენი შავი დღე არ გინახავთო...

ქაქუჩას რჩევა-დარიგების ასრულება მოვალეობად მიმაჩნდა, ვასრულებდი კიდეცა, მხოლოდ ვერ შევრიგებოდით იმ აზრს, თუ როგორ უნდა გვემეცადინა ისეთ პირობებში, როგორიც მარტვილში არსებობდა და რომელთანაც მებრძოლი მოსწავლეთა ნორჩი ორგანიზმი უეჭველად დამარცხებული და ზოგჯერ განადგურებული უნდა გამოსულიყო როგორც ხორციელად, ისე სულიერადაც.

ქაქუჩას ეს რჩევა-დარიგება უკანასკნელი იყო. როცა მეორეჯერ გამოვუარეთ, უკვე განშორებოდა იქაურობას, გადასულიყო საუკუნო სამყოფელში. ერთი ძველთაგანი გამოაკლდა ჩემს გვარს, რომელიც უკანასკნელი შემაერთებელი იყო ახალმოდგმისა ძველ, გადასულ თაობასთან, რომელმაც ახალმოდგმას სიტყვიერად გადმოგვცა, რაც ძველ თაობას ენახა, განეცადა განსაკუთრებით რელიეფური. შემდეგშიაც რიგი და რიგი მიჰყვა ქაქუჩას ამ ძველი თაობის წარმომადგენელი, ძველი ცხოვრების მომსწრე, ძველი წესწყობილების მონაწილე. ვხედავდი, ძველი მუხები როგორ წაიქცეოდნენ და ჰათ ალაგას, მათ რკოზე ამოსული პატარა მუხები როგორ იჭერდნენ მათ მიერ დაცარიელებულ ალაგს...

დავიძარით სადგურიდან... თან მოგვდევს ლოცვა-კურთხევა ჩვენი გვარის მამამთავრისა.. შემოგვიერთდნენ სხვა „დიაკვნები". განვვლეთ ქუჯის ციხე, დიდებული მოწმე ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებისა... დავადექით მარსილის მინდორს, ტეხურისა და აბაშის შუა მდებარეს, თვალუწვდენელს, შორს გადაჭიმულს, ზედ მშვენივრად ამოსულ ნათესებით. აჰა, გამოჩნდა მარტვილის სამრეკლო, თვით ტაძარი... ვუახლოვდებით.. და რაც უფრო მხიარულად შემოვდიოდი აქ სულ პირველად, როცა აქაურობას არ ვიცნობდი, იმდენად ფეხი უკანა მრჩება ახლა, როცა ვიცი, თუ სად, რა მხარეში შემოვდივარ და რა სალმობანი მომელის, რა განსაცდელი მიდევს წინ, რა დაბრკოლებანი უნდა ვძლიო, რომ ჩემი ბედის ნავი მყუდრო ნავსაყუდელს მივაყენო, თუ კი არის სადმე ასეთი ნავსაყუდელი. ორი კვი-

რის სახლში ყოფნამ თითქმის დამავიწყა შვიდი თვის წამება და ახლა კვლავ უნდა განვაახლო, კვლავ შევუდგე გოლგოთას.

აი, ოხრად კი დარჩეს, ოხრად!..

აჰა დაიწყო მარტვილში შესასვლელ გზის ორსავ პირას ორი რიგი სახლებისა... სუნი მოგვედინა სიღარიბისა, სიღატაკისა, გაჯახირებული ცხოვრებისა. რომ შესაძლებელი ყოფილიყო, სულ დიდხანს, დიდხანს არ შემოვიდოდი, სულ დიდხანს არ გავეკარებოდი სათოფეზე აქაურობას... მაგრამ ვის როდის უკითხავს ტყვისათვის, კატორღელისათვის—სად გეამება ყოფნა!... ბედმა ეს გვარგუნა, უბედო ბედმა, და უნდა დავჯერდეთ... სხვა გამოსავალი არ არის, უნდა გავუძლოთ, აჰა, თვით სასწავლებელი, ყაზარმულად წამოჭიმული, კირით შელესილი და მთელ აქაურ სახლთა შორის ამაყად, გამოჩინებით მდგარი, როგორც ერთადერთი სახლი, რომელიც გაჯით არის გაგოზილი და სიცივესთან საბრძოლველად სხვა აქაურ სახლებზე უკეთესადაა მოწყობილი. იქვეა ღელე, სადაც ადიდებულ წყალს, ბევრჯერ დაუბრკოლებია მოწაფეობა და სასწავლებელში არ მიუშვია. იმდენი ვერ მოუხერხებიათ აქაურებს, ამ ღელეზე მცირე რამ ხიდი გაეკეთებინათ. ურჩევნიათ იმნაირადვე იარონ, როგორც უვლიათ მათ წინაპრებს.

აგერ შუკა. ჩვენი მასპინძლის სახლის მისასვლელი, სადაც განიადაგებული საფლობებია და არაერთხელ ჩამრჩენია ჩუსტები წებოს მსგავს წითელ ტალახში. აი ალაყაფის კარები, ეზო, შიგ წამომდგარი ხურმა და კაკლის ხე. მხიარულად გამომეგებნენ ყველანი, როგორც „მსუქან ღვდლის“ შვილს, რომელსაც თან მოჰქონდა მთელი ხურჯინი სავსე ნაირნაირ სანოვაგითა: გოჭის ხორცით, კვერცხებით, ხაჭაპურებით, ქორფა ვარიებით, სულგუნებით... რამდენიმე დღეს ყველას დაავიწყდება შიმშილობა, დაინახავს, რომ ნჭადს თუ ღომს მეტად უხდება გოჭის ხორცი და ახალი ტყემლის საწებელი ან კამეჩის რძის მსუქანი, ერბოიანი სულგუნი...

დავიწყეთ სასწავლებელში სიარული. კლასში მასწავლებელი რომ შემოდის, სწავლის წინ ლოცვის მაგიერ მორიგე კითხულობს „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“-ს. მერე მასწავლებელი გვეუბნება „ქრისტე აღსდგას“, ჩვენ „ჭეშმარიტად აღდგა“-თი ვუპასუხებთ და შევუდგებით გაკვეთილს; ასევე იქცევა მეორე, მესამე, მეოთხე მასწავლებელი. დასვენების დროს ერთმანეთს ვუზიარებთ ჩვენ-ჩვენს

შთაბეჭდილებას. ერთმანეთს ვახარებთ წითელ კვერცხებს, რომელ კირკიტა კვერცხმა რამდენი გაუტეხა სოფლის ბიჭებს, რამდენი საკურთხი ვჭამეთ, ვისი საკურთხი იყო კარგი, კისი ცუდი და სხვ. ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი ბაასი ტრიალებდა ჭამა-სმის გარშემო. ყველას სახე გვეცინის, მხიარულ გუნებაზე ვართ, ერთიმეორეს თავაზიანად ვეკიდებით და ასე ვიქნებით მანამდე, სანამ შინიდან წამოღებული მარაგი შეგვყვება, გვეყოფა. მაგრამ ვაი, რომ გამოგვეცლება ეს მარაგი!...

„საგზალი" სხვა „დიაკვნებმაც" მოიტანეს, შეძლებისდაკვალად. ზოგმა მეტი, ზოგმა ნაკლები, დიაკვნის მამის ქონების მიხედვით, რადგან მღვდლები ერთნაირი შეძლებისანი არ არიან. მათშიაც არიან შეძლებულები, „მსუქნები" და ხელმოკლენიცა. ეს დამოკიდებულია, თუ ვის როგორი მრევლი ჰყავს. თუ მრევლი მსუქანია და ეკლესია შემოსავლიანი, მათი მოძღვარიც მსუქანი იქნება, მაგრამ ღარიბი მრევლის მღვდელს ზოგჯერ დახეული ჩუსტებიც კი ენატრება.

სკოლაში ხალისით დავდივართ. მხიარული გუნება არა გვშორდება. ჯერ ეს ერთი, და უმთავრესი, იმიტომ, რომ გაზაფხულია, თბილა, ცხრათვალა მზე დილიდან საღამომდე შემოგვცინის, მინდორ-ველი ამწვანებულია. საცაა, გაჩნდება ხილი. ჯერ ტყემალი გვაქვს საჭმელად, მალე ბალიც შემოვა, კაპიკად მთელი ჯამი! ათასგვარი მხალია: ეკალა, ფშალა. ტყემლით შეზავებული მჭადთან საუცხოო საჭმელია. ამავე დროს ტარანი ჩნდება ფოთიდან მოტანილი. მთელს დიაკვნობას და მასპინძლის აჭალუჭულებს ორი ტარანი თავსა გვდის. მხოლოდ ეს კია, რომ უმცროსებს ყველაზე ნაკლები გვერგება.

ასე გადის აპრილი, მაისიც. დგება ივნისი. გამოცდები. შემდეგ მოსამზადებელ განყოფილებაში გადაყვანა. დათხოვნა საზაფხულო არდადეგებისათვის. ლოდინი შინიდან გამოგზავნილ კაცისა ჩემს წასაყვანად.

ყოველი დღე, აქ ლოდინში გატარებული, საუკუნედ მიმაჩნია. ხშირად დავდივარ აბაშის პირისაკენ, რომ მივეგებო ჩემს წასაყვანად წამოსულს. უმეტესობა შეგირდებისა გაიკრიფა. ძალიან ცოტანიღა ვართ დარჩენილი. ეს ლოდინი, შემდეგში, როცა ციხეში ჯდომა განვიცადე, სწორედ ამ ციხეში ყოფნას შევადარე, არც მეტი, არც ნაკლები....

ბოლოს, ერთ მშვენიერ ნაშუადღევს, უსასოო, დალონებულიკაკლის ძირას, მწვანეზე რომ ვტრიალებ, ჭიშკარს მოადგა ჩემი მამამძუძე ცხენით. გავიხარე და მერე როგორ! გადავეხვიე მამამძუძეს, არ ვიცი, რა საალერსო სიტყვა ვუთხრა, არ ვიცი, ცხენს როგორ მოვუალერსო... რიგიანად ვერკ კი ვაჭამეთ ამ სიშორიდან მოსულ კაცს. ცხენს სადღაც ტოტები მოვუტეხე ხისა.

ჩემმა მამამძუძემ გადაწყვიტა ღამით გავდგომოდით გზას, რაკი მთვარიანი ღამე იყო, იმიტომ, რომ დღისით ვაი თუ მზეს დავესიცხე, მე, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ გავუხდი. შევკაზმეთ ჩვენი ლურჯა, საბან-გობანი უნაგირზე დავაკარით, ზედაც მე დამსვა მამამძუძემ და თვითონ კი ქვეითად გაუძღვა ცხენს. გავიარეთ ბობოთი, უკვე ბანძის მინდორს თავს მივატანეთ, რომ მთვარეც ამოვიდა. დღის სითბო სიგრილედ შეიცვალა. ახალი ამოსული სიმინდი გზის აქეთ-იქით ბიბინებს, მთვარის სინათლეზე მწვანედ გაუდის ლაპლაპი. მსუბუქი ნიავი ნაზად არხევს სიმინდს. ისეთი სინათლეა, ნემსი რომ დაუვარდეს კაცს, იპოვნის. ჩემი ცხენისა და ჩემი ჩრდილი ფანტასტურად წვება მიწაზე. ხან ტყის მეფის სახით წარმომიდგება, ხან ჭინკას სახით და მამამძუძე რომ არ მიმიძღვებოდეს წინ, სიარულს ვერ გავბედავდი, ისე შებოჭა ჩემი ფანტაზია ათასგვარმა სურათებმა... რაც მასპინძელთან ღამით ცეცხლის პირას ლაპარაკის დროს გამიგონია ავ სულებზე, სულ ერთად თვალწინ დამიდგა, შემომეხვია და ლამის არის, მომიტაცონ. ამ სურათების ფიქრზე, ცხენზე რითმულად ქანაობაზე, ძილი შემომპარვოდა, წონასწორობა დამკარგოდა და მაშინღა გამოვფხიზლდი, როცა ჩემმა მამამძუძემ შეშინებულმა ფეხზე წამომაყენა და მკითხა: ხომ არაფერი იტკინე, შვილო. მაგრამ რბილ ნიადაგზე დავეცი და სრულიად უვნებლად გადავრჩი.

ისევ შემსვა ცხენზე მამამძუძემ და მირჩია მეფხიზლა, თორემ შეიძლებოდა მეორეჯერ უფრო მაგარი ნიადაგი შემხვედროდა და ისე იოლად არ გადავრჩენილიყავ. მეცა ვცდილობ მის რჩევაზე გავიარო და თან მოვუყევი რაღაც ამბავს საღმრთო სჯულიდან, რაც მესწავლა სკოლაში, რომ ამით ლაპარაკს შევყოლოდი და ძილი გამეფრთხო.

მოვადექით ტარჩენის ხიდს. მამამძუძეს შეეშინდა, ღამით ხიდზე ტურამ არ გადაირბინოს, ცხენი არ დააფრთხოს და თავის პატარა მხედრიანად წყალში გადააგდოსო. ამიტომ არჩია ქალამნები გაეხადა, წინ გამძღოლოდა და ფონს გავეყვანე, მით უფრო, რომ თვით მდინა-

რე დიდი არ იყო. გავედით მშვიდობით მეორე ნაპირას. მე და ჩემი ცხენი გაჩერებულები ვართ, მამამძუძე კი ნაპირას ჩამოჯდა და ქალამნების ჩაცმას შეუდგა. ამასობაში მეორე ნაპირიდან გამოვიდა და თავს წამოგვადგა სამი შეიარაღებული ცხენოსანი. სამნივე მაღლები იყვნენ, მთლად იარაღში ჩამსხდარნი: ხმალი, დამბაჩა, სატევარი ტანს უმშვენებდათ. თვით ცხენები ჩემს ბავშვურს ფანტაზიას მოეჩვენა სწორედ ისეთ რაშებად, როგორებსაც ჩვენი მხატვრები წმ. გიორგის შესაჯდომად ხატავდნენ. ჯერ აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერეს და მერე ვინაობა გვკითხეს. ჩემმა მაჩამძუძემ შესაბრალისი და მორჩილებითი კილოთი მოახსენა: დიაკვანი მომყავს, ბატონო, მარტვილიდან სახლშიო. მისი აზრით, ჩემს „დიაკვნობას“ მათზე დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. მერე ერთმა მათგანმა ჩაილაპარაკა: „მოდი ამ ყაზახს ეს ცხენი წავართვათო“... ჩემმა გამზრდელმა ამაზე ასე უპასუხა: „ჩემზე უკეთესი ვაჟკაცისათვის ღმერთმა ნუ წაგართმევინოთ ცხენიო“. ხმა-კრინტი არ ამოუღიათ, ისე მოტრიალდნენ, ცხენებს მათრახები შემოჰკრეს და თავიანთ გზას გაუდგნენ.

მერე, როცა კარგა მოვშორდით მუდამ სახიფათო და განსაცდელიან ადგილს, როცა ჩვენი თავი სამშვიდობოს ვიგულვეთ და გული საგულეს მოგვეცა, ჩემმა მამამძუძემ ღმერთს მადლი შესწირა, პირჯვარი გადაიწერა და თან ჰკვირობდა: რამ გააბედვინა და ისეთი თამამი და კადნიერი პასუხი რამ მიაცემინა იმ ადამიანთათვის, რომელთაც ისევე ეადვილებათ ხმლის მოქნევა და ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევა, როგორც ეადვილებათ... თუნდაც ცხენის წართმევა!... იმისთვის ბოლომდე გამოსაცნობად დარჩა: რამ იმოქმედა ამ ბრწყინვალე რაინდებზე: ჩემმა დიაკვნობამ აღუძრა სიბრალული, თვითონ ცხენი არ მოუვიდათ თვალში და ხელის გასვრის ღირსად არ ჩასთვალეს, თუ შერცხვათ გლეხის მიერ სიტყვის მოჭრისა, თუ საშინელ ერთად?

ახალსენაკის დუქნებში რომ შემოვედით, ჩემმა გამზრდელმა ორი შაურის თეთრი პური იყიდა. რა თქმა უნდა, შესატანებლისათვის არ გვიფიქრია, რადგან იმ დროს თუ კი ფქვილის ღომის შემდეგ პურს ვიშოვიდით როგორმე საჭმელად, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ეს იყო „დელიკატესი“, რომელსაც არავითარი შესატანებელი არა სჭიროდა....

ვუახლოვდებით ქვალონს და იწყება გზის აქეთ-იქით მხარეზე გაგრძელებული, შეუწყვეტელი და დაუსრულებელი ყიყინი ათი, ოცი და ორმოცი ათასი ბაყაყისა!.. წარმოგიდგენიათ, არაფრის ხმა არ ისმის ამ არემარეში ამ ხმის გარდა! და ეს გრძელდებოდა მთელი ოთხი თუ ხუთი კილომეტრის მანძილზე. შუა გზაზე წამოღგმული იყო სოფლის კანცელარია და იმის პირდაპირ — სასოფლო სკოლა. სხვაგან სახლს ვერ დაინახავდა ადამიანი. მთლიანი ჭაობი, ბაყაყეთი და ბუდე მალარიისა! ამ ჭაობში ბუდობდა გარეული ღორი და აუარებელი ხოხობი. ათასში ერთი თავმოძულებული მოსახლე თუ შეგვხვდებოდა, ერთს ადამიანის ფერი არ ედო, ყველანი სამარიდან ამოღებულსა ჰგვანდნენ. რამდენადაც მართობდა ბაყაყების ხმაურობა, იმდენად ინსტინქტურად თავზარსა მცემდა ამ სიკვდილის სამეფოში გავლა... სული მიმდიოდა, სანამ ჩემი გზის ამ უბანს გავივლიდი.

მზე ჯერ ისევ ცაზე იყო, როცა გავიარეთ ტყე, რომელიც შოსედან იწყებოდა და ჩემის ძიძის სოფელში თავდებოდა. შევუდექით აღმართს, გავუარეთ მსხალს, რომელზედაც არაერთხელ გავსულვარ გასაკრეფად!.. ახლა მოლეულა, ერთიც არ აბია. აგერ კაკლის ხე, მინდორზე, სადაც გვითამაშნია, დრო გვიტარებია... გული მიფანცქალებს... იმის იქით ჩემი ძიძის სახლის ეზოს მაღალი ხეები გამოჩნდა. ჭიშკრიდან დაგვინახეს ძიძამ და ძიძიშვილებმა: ყვავილანი ყივილ-ხივილით გამოექანენ. მამამძუძემ ცხენიდან ჩამომსვა და დამიწყეს დაუსრულებელი კოცნა და ალერსი.

კოცნა-ხვევნის შემდეგ მაკვირდებიან და ვეღარ ჰმალავენ თავის გრძნობას, თავის შეკრთომას: ასეთ გამხდარს, დასუსტებულს, გაძვალტყავებულს რომ მხედავენ!... ვინ ყოფილა ის მოუნათლავი, ვინც ასე უჭმელად გატარა, ბავშვისათვის ერთი ლუკმა როგორ გაუწყდა იმ ურჯულოს! ხობის ხვთისმშობელმა არ გაახაროს, ვინც შენ ასე მოუვლელად გამყოფა და მოგამშიაო... პეტრე-პავლობის მარხვა იყო, მაგრამ მაინც რაკი ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა იყო, ჩვენი ძროხის რძე ნახევარი წველა ჩემთვის გადასდეს, ორ-ორი კვერცხი მოხარშული. ახალი წიწილები... თან მწვანე ლობიო, თაფლი... არაფერი აკლდა თქვენს „დიაკვანს“... განცხრომაში იყო. მეორე დღე გათენდა თუ არა, გავიყოლიე ძიძიშვილები და დავუარე საადრეო ხეხილის ხეებს. ყველა მოლეულა. შერჩენია მხოლოდ

თითო-ოროლა კენწეროში. ყველგან ავედი ჩიტის სიმსუბუქით, არაფერი დამიტოვებია, ყველა მოვიმცვრიე. კენწეროზე გასული რომ დამინახა, ძიძამ იკივლა, მაგრამ სანამ არ მოვწყვიტე, არ მოვეშვი.

ძიძიშვილმა გუჯამ დამატარა ჩვენი მრევლის გარშემო ადგილები. ანგარიში მომცა, სად რა ცვლილება მომხდარიყო, რომელი მსხალი როდისთვის იქსებოდა მწიფე, უმთავრესი—ყვავის ბუდე მაჩვენა თავის პატარა ბახალებით. დავჯერდით ამოყვანას და გასინჯვას და ისევ ჩავუსვით უბუმბულო, გაყვლეპილი ღლაპები ბუდეში. მაჩვენა აგრეთვე შაშვის ბარტყები, რომელთაც ყვითელზოლიანი ნისკარტები გადმოეყოთ ბუდის ნაპირებიდან და მოელოდნენ დედის მიერ საჭმლის მოტანას. ესენიც გადმოვიყვანეთ, გავსინჯეთ, ხელი გადავუსვით და ისევ უკანვე ჩავსვით.

ჩავირბინეთ ღელეში, ვიხელავეთ, ღორჯოები დავიჭირეთ, კიბოცა, კიბოებმა თავის გაბარჯღულ მაკრატლის მსგავსი ფეხებით გვიკბინეს და მწარედაც გვიკბინეს.

ჩემი ღაბუა ქათმისათვის ძიძაჩემს უკვე წიწილები გამოეჩეკინებინა. თოთხმეტი ბამბიქულა წიწილა დასდევდა! და ისიც იმშვნევდა დედობას და რუკრუკით ნისკარტს ურტყამდა მიწას, სადაც დაყრილი იყო ღომის მარცვალი, და მომავალ თაობას ასწავლიდა საკენკის აკრეფას.

დედალ ღორსაც ცხრა გოჭი დაუყრია, ჭრელები, გარეული ღორის გოჭების მსგავსები. ერთი შავხალებიანი დედალი გოჭი, ყველაზე ლამაზი, საჩემოდ მიიჩნიეს და ძიძამ ჩემი სახელი დაარქვა.

ვნახეთ ბოსტანიც. ძიძას ყველაფერი დაეთესა: ლობიო, ხახვი, პრასა, ოხრახუში, ნიახური. ლობიო უკვე შემოსული იყო და ძიძამ მწვანე ლობიო მაჭამა, ტყემლის წვნით შეზავებული.

პირველ დღეს მოვუნდი სახლისა და ეზოს დათვალიერებას. ყველაფერს თვალი გადავავლე, ყველაფერი შევამოწმე ძიძიშვილებია თანადასწრებით. ახლა მრჩებოდა ვიზეტები მახლობელ და შორეულ მეზობლებთან, რომლებიც, როგორც თანამოგვარენი ჩემის მამამძუძისა. თავიანთ საერთო გაზრდილადა მთვლიდნენ. ახლა, როგორც სასწავლებელში მყოფს, უფრო მორიდებით და პატივით მეკიდებოდნენ. ვინ ხილი დამახვედრა, ვინ წიწილები მომცა, ვინ კიდევ—კვერცხები... ყველა მლოცავდა ნახვისათვის; შინ რომ დავბრუნდი, და-

ტვირთული ვიყავი სიყვარულითა, ალერსითა, ხილითა, კვერცხებითა და წიწილებითა. რაც მთელ წელიწადს მარტვილში დამაკლდა, რაც მთელ წელიწადს მარტვილში სიმწარე განვიცადე, აქ, ძიძასთან, ერთ-ორ დღეში შევივსე, აქ, ძიძასთან, ერთბაშად სიტკბოებად შემეცვალა, წარსული ნაღველი დამავიწყდა, უცებ ბედნიერებამ და ნეტარებამ მოიცვა მთელი ჩემი არსება.

ამნაირსავე ვიზიტებს მოუნდა ჩემი მესამე და მეოთხე დღე ძიძასთან ყოფნისა, შემდეგ შევუდექით მზადებას შინ, მამაჩემთან წასასვლელად.

ძიძამ ხაჭაპურები გამოგვიცხო. საუზმედ ფაფა მოგვიხარშა. და გაგვაძღო, გამოთხოვებისას, სანამ ცხენზე შემსვამდა, მამამძუძემ ხელი შემომავლო თავზე, სამჯერ მარჯვნივ შემომატრიალა, დამკოცნა. ძიძიშვილებმაც დამკოცნეს და მთელი ერთი ვერსის მანძილზე გამომაცილეს თვალცრემლიანებმა.

დილას გამოსულები შუადღეზე უკვე მამასთან ვიყავით. დიდი ეზო გვქონდა. გამოგვეგება ჩვენი მოახლე, დედაჩემის ძიძიშვილი ქალი, ფეჩეია. მამა სახლის კიბეზე ჩამომეგება, გაუხარდა ჩემი ნახვა, გამხდარი რომ დამინახა, ეწყინა: იმ ურჯულოებს როგორ გაუწყდათ შენთვის ერთი ლუკმა, რომ უჭმელად დაუგდიხარო!.. ერთი იქიდან რომ ჩამოვიყვანეთ, მაშინ გენახათო,—უთხრა ჩემმა მამამძუძემ,—რამდენიმე დღეა ცოტათი მოიხედაო.

ამოვიღე ჯიბიდან ჩემი ბილეთი, სადაც ყველა საგანში ოთხები მქონდა. ეამა, მაკოცა, თავზე ხელი გადამისვა და თან ვუთხარი, რომ ასეთი ნიშნიანი ბილეთი ჩემს გარდა კიდევ ერთსა ჰქონდა-მეთქი.

მაშინათვე შეუდგნენ ზრუნვას, რომ საჭმელი არ მომკლებოდა: რძე, სულგუნები, ფაფა, მაწონი, ვარიები შემწვარი. მე კიდევ ვცდილობდი ხილი თუ სადმე იყო, არ დამეტოვებინა მოუკრეფავი, ტოლები ყველა ვინახულე და გავაჩაღე მათთან თამაშობა.

შევუდექი მეოჯახეობას: დილით ქათმებს გამოვუშვებდი საქათმიდან, საკენკს დაუყრიდი, გადიას ძროხის მოწველაში ვშველოდი—ხბოს დავიჭერდი, თოკმოპმულს. ის მაინც იწევდა დედისაკენ და რამდენს გაიწევდა, იმდენს წამაქაჩავდა, მოწველის შემდეგ ძროხას უკანა ეზოდან მინდორში საძოვრად გავაგდებდი.

წინაღამით მორჩენილ ღომს დავჭრიდი და ნაღვერდალზე დავდებდი გასაფიცხებლად. მოხალულ ღომს, გაცხელებულს, ყველის

ნაჭერს შევატანდით მე და ჩემი უმცროსი ძმა და გადავეშვებოდით ბოსტანში, სადაც კიტრი გვეგულებოდა. მერე ტოლებთან ერთად სათამაშოდ გავიქცეოდით. ამასობაში მზეც გადაიხრებოდა და სადილობაც დადგებოდა. სადილად გვქონდა მაწონი, ყველი და ზოგჯერ ქათმის ხორციც. ბედს ვერ დავემდურებოდით..

ყანების დამუშავება დაიწყო. მაშინ ყანებს თითქმის ყველა ნადით ამუშავებდა და ჩვენც ნადი უნდა მოგვხმარებოდა სიმინდის გათოხნაში. წინადღით ოჯახის წევრებმა, შეძლებისა და კვალად, ყველამ გავინაწილეთ საქმე: ზოგს საჭმელი უნდა გაგვეკეთებინა, ზოგს მეზობლები მოგვეწვია, ყველას შევატყობინეთ. ხალისით მოიყარეს თავი მენადეებმა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, რომ ისინი თავისი თოხებით ყანაში იყვნენ. ერთი გამოცდილი, კარგ მუშად ცნობილი ყველასაგან, მეთაურად დაუდგა სხვებს და ოცი კაცის გალესილმა თოხებმა ლაპლაპი დაიწყო მზეზე. თვალის დახამხამებაში მხიარულად, მხარშეწყობით აჰქონდათ სვე; სარეველა ბალახი ძირს წვებოდა, ოთხმუხლიან სიმინდს გარშემო მიწა ეყრება. ეს მეორე თოხია, ახლა სიმინდს არ ეშინია, ვერავინ დაჩაგრავს, თამამად გაიზრდება, დატაროდება. მეთაური ჟამ-ჟამ წამოიძახებს: აბა, ბიჭებო, აბა ბიჭებო!.. მზე ორი ცულის ტარზე იქნება ამოსული. სუფრად იშლება ხის ფოთლიანი ტოტები ხის ძირას. ზედ აგებენ ღომს, ხის ჯამებზე ტყემლის წვენს ასხამენ. თითო ნაჭერ ფარგას ყველას ურიგებენ. მერიქიფე ადესის ღვინოს ასხამს. თუთუნს მოსწევენ, ცოტას წაიხუმრებენ და ისევ შეუდგებიან მუშაობას.

ახლა კი, უფრო მარჯვედ, უფრო ხალისით იწყეს თოხების ქნევა. ერთმა ცნობილმა სოფლის მომღერალმა დაიწყო „საყანურა“, სხვებმა ბანი მისცეს და იმის ხმაზე ააყოლეს თოხები. სიმღერასთან გაისმის რითმული ტრიალი, წკრიალი ქვას მოხვედრილ თოხებისა, მიწა ეყრება სიმინდს, სარეველა ბალახი იცელება და გააქვთ და გამოაქვთ სვეები. შუბლზე ხვითქი გადასდით, ხელით იწურავენ ოფლს, მკათათვის მზე თანდათან აჭერს... საქმე სანახევროდ მომთავრებულია.

აჰა, მზე საშუადღეოზეა. სადილობის დროა. ღომი აქვე, ყანაში იხარშება.

მორთხმით მიწაზე სხდებიან და შეექცევიან სადილს. მამაჩემი ლოცავს ყველას ერთგული მუშაობისათვის და სადღეგრძელოსა

სვამს, თან ბოდიშს იხდის, რომ მარხვაში მოუხდა მათი გამასპინძ-ლება.

ნასადილევს ცოტახანს თვალი მოატყუეს, თუთუნი მოსწიეს. მზეს რომ სიცხარე ცოტათი შეუნელდა, ისევ შეუდგნენ მუშაობას გაორკეცებული მხნეობითა და ერთგულებით.

მზე ჩავიდა, დღე მიიწურა და მონადეებმაც მოლიეს დასამუშა-ვებელი ყანა... მხიარულნი, სიმღერით წამოვიდნენ მამაჩემის სახლი-საკენ, სადაც გემრიელი ვახშამი ელოდათ. გულიანად ივახშმეს, და-ლოცეს მასპინძელი გამასპინძლებისათვის, იოხუნჯეს და კარგა შე-გვიანებით წავიდ-წამოვიდნენ, რომ ახლა, მეორე დღეს სხვას მიშვე-ლებოდნენ, დაემუშავებინათ ყანები რიგ-რიგად.

საუცხოვო დარი დგას. მოწმენდილ ლურჯ ცაზე დიდებულად ამოზიდულია მზე და ბღუჯა-ბღუჯა მჭევლებს ისვრის დედამიწაზე. ხალხს კმაყოფილების ღიმი უთამაშებს სახეზე: სიმინდი მოსატეხი იქნება, ყურძენი დასაკრეფი, სასიმინდეები სიმინდით და ქვევრები ღვინით ასავსები. უხვება უნდა შემოვიდეს გლეხის ოჯახში, უნდა გაძღეს ადამიანი, უნდა გაძღეს საქონელი, ეაიმართოს ქორწილები, ლხინი, მხიარულება, ერთდროულად მაინც ავიწყდება მაშინ გლეხს გაჭირვება, ნაკლებობა...

მამაჩემს ისევ სკოლისაკენ მივყევარ... გავიარეთ ახალსენაკი... დაიწყო ზეგანი სამეგრელო. შხეფის გორაკები... დობილოები... აჰა, თვით შხეფიცა და ჩვენი მგზავრობის სადგურიც—ჩვენი ქაქუჩას სახლიც! ჭიშკრიდან დავუძახეთ, რომ გამოგვგებებოდნენ და ძაღლე-ბი მოეგერიებინათ. თვით უფროსი გამოგვეგება სახლისა, უფროსი შვილი ქაქუჩასი, მძიმე შავებში... მოგვეგება, ცხენებიდან ჩამოსვლა გვიშველა, გადაგვკოცნა და დაღონებული სახითა და ხმით გვითხრა: ქაქუჩა აღარა გვყავსო... ძალიან ეწყინა მამას, მეც მეწყინა. თვალწინ გვედგა მისი თეთრი წვერით შემოსილი ტკბილი სახე, ნიადაგ მოღი-მარე, ალერსიანი. თითქოს ახლაც გვესმოდა მისი ტკბილი ლაპარაკი.

მამამ ტრილით მიუსამძიმრა შვილებს, რძლებს ოჯახის უფროსის სიკვდილი. ნუგეში სცა ყველას, გული გაუმაგრა, დაარიგა,—ღვთის ნებაა, დაილოცოს მისი სახელი, იმის ნების წინააღმდეგ ხომ ვერ წავალთო, ახლა თქვენ, შვილებს, გმართებთ ხელი გამოიღოთო, გაისარჯოთ, სავსე ოჯახი არ წააქციოთ, იმის დატოვებულს ჭკვიანად

მოუაროთ, ერთმანეთის სიყვარული გქონდეთ, ერთმანეთს მხარში ამოუდგეთ მტკიცედო.

მამაჩემმა ჯიბიდან პატარა ოლარი ამოიღო, ვახშმობამდე მცირე პანაშვიდი გადაიხადა ქაქუჩას სულის მოსახსენებლად. შინ ჩამოქნილი სანთელი აანთებინა, ნატეხარათი ნაღვერდალი მოატანინა და დასაფლავების დროს გადარჩენილი საკმეველი დააწვევინა. მე ვდიაკვნობდი და რუსულად ლოცვებსა და საგალობლებს, რაც შემეძლო, გულმოდგინედ და ეშხით ვამბობდი. ვახშმად სუფრას მოვუსხედით. ლაპარაკი ქაქუჩას გარშემო ტრიალებდა, შვილებს ვერ წარმოედგინათ, როგორ უნდა გასძღოლოდნენ უმისოდ სახლს, როგორ ეცხოვრათ, მტერ-მოყვარისათვის პასუხი როგორ გაეცათ. მართალია მოხუცებული იყო, ამბობდა—ოთხმოცდაათისა ვარო, მაგრამ შეეძლო ოჯახში ყველაფერი ეკეთებინა და აკეთებდა კიდეც. მაგრამ ჩვენ მისი კეთება არა გვჭიროდა. ჩვენთვის საკმაო იყო, ისე, უსაქმოდ გაჩერებულიყო, მხოლოდ ეთვალყურნა ყველაფრისათვის, ჩვენთვის ეთქვა, როგორ რა გვეკეთებინა, ეხელმძღვანელა, გზა ეჩვენებინაო...

მეორე დილას გამოვემშვიდობეთ მასპინძლებს და გავუდექით გზას. მოვდივართ იმ სოფელზე, რომელიც ჯერ ისევ ამ 10—15 წლის წინათ საუკეთესო ოჯალეშის ღვინოს იძლეოდა. ხურმები, რომლებზედაც გასული იყო ძველი ჯიშის ვაზები, ისევე დგას, მხოლოდ ოჯალეშის ვაზის ალაგას „ადესის“ ყურძნის ვაზებია. აბა, რა თქმა უნდა, ადესის ღვინო „ოჯალეშისას“ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ სამეგრელოს სხვა ადგილებთან შედარებით, აქ საუკეთესო ადესის ღვინო დგება. სიმინდსა და ვაზს. გარდა სხვა კულტურულ მცენარეს ჩვენი გლეხი იმდროს არ იცნობდა. თამბაქო ყოველ ოჯახს ეთესა, მაგრამ იმდენი, რამდენიც პირადი საჭიროებისათვის უნდოდათ. გზის პირას ღობესთან ჩარიგებული იყო ბროწეული, რომელიც ერთგვარ ცოცხალ ღობესაც ქმნიდა თავისი ეკლებითა, და იმავე დროს ნაყოფსაც აძლევდა პატრონს.

გრძელ ზოლად მოსდევს გზის პირს ვაზით მოფენილი ეკის მთის კალთები, აჰა, გამოჩნდა ტეხურის ხიდი, ქუჯის ციხე, ძველისძველი ჭადრები ციხის ბოლოს. თვით კალთა მთისა, რომელზედაც ციხეა გაშენებული, დაფარულია დაფნითა და მერე ისეთი ხშირითა, რომ სუნი მისი გზამდე მოდის. უკვე ნაცნობი ადგილები ერთიმეორესა ცვლის. მცხოვრებნი ისე ხშირნი არ არიან, ეტანე-

ბიან უფრო გზის პირს. სახლები ხისაა, ისლით დახურული. ფეხ-შიშველა პერანგის ამარა ბავშვები მგზავრის გამოვლაზე ჭიშკარ-თან მირბიან და გამვლელ-გამომვლელს ცნობისმოყვარე თვალე-ბით უყურებენ, ძაღლებიც გამორბიან, თვით გზაზე გადმოდიან და ცხენებს უტევენ და ცოტა არ იყოს, გვიფრთხობენ.

გამოვდივართ მარსილის მინდორზე, რომელსაც მოსდევს ბან-ძის მინდორი—დათესილი სიმინდითა, ღომითა და ფეტვითა. ღომს ყანების ნახევარი ეჭირა. მაშინ ძალიან მისდევდნენ მის მოყვანას. სიმინდი თითქმის შემოსულია, ღომი ჯერ ისევ მწვანეა. აქა-იქ ყანებში სანადირო თავადები ან აზნაურები გამოსულან. რა თქმა უნდა, ყანის პატრონი გლეხი ვერაფერს შეჰბედავს ყანის გაქელვი-სათვის ბატონს, რომელმაც ინება მის ყანაში დროს გატარება.

მთელი ქარავანი შესდგა მოწაფეებისა და მათი პატრონებისა. მივდივართ თამამად, სიმღერით, მღვდლებს შორის იარალიანი ერისკაცებიც ურევია, დიაკვნების მამები. ასე რომ, შიში არ გვაქვს, თავად-აზნაურებმა წაგვართვან ცხენები და მარტვილამდე ფეხით მოგვიხდება ჩასვლა. მართალია, დიდი მანძილი უკვე გავ-ლილი გვაქვს და გასავლელი სულ რაღაც 8—9 კილომეტრი თუღა იქნება, მაგრამ მაინც არ არის სასიამოვნო ლოგინისა და ხურჯი-ნების ზურგით თრევა.

შემოვდივარ მარტვილში უკვე ერთი წლის აქ ნაცხოვრები, ერთი წლის გამოცდილებით აღჭურვილი. ახლა საქმე ისაა, რომ ზურგი უნდა შევაქციოთ ჩვენს შარშანდელ მასპინძელს, მის კარ-მიდამოს სათოფეზე არ გავეკაროთ, ვიკმაროთ, რაც ერთი წლის განმავლობაში გვაწვნევინა. ჩემს დღეში არიან სხვა „დიაკვნებიცა“, ისინიც აღარ უბრუნდებიან ძველ მასპინძლებს, რომელთაც „დია-კვნების“ ხარჯზე უნდა გამოჰკვებონ თავიანთი ცოლ-შვილი. ბინის გამოცვლა სულ მუდამ ჩხუბითა და უსიამოვნებით თავდება, თუმ-ცა დამწაშავე ყოველთვის მასპინძელია, მაგრამ უფრო მეტი პროტესტი მისგან მოისმის და თავისას თხოულობს: „დიაკვანი“ მასთან დარჩეს და შემოსავლის წყარო არ დააკლდეს. სახელის ბატეხას ერიდება. მომდურავი „დიაკვანი“ ქვეყანას მოსდებს ამა თუ იმ მასპინძლის „კაიკაცობის“ ამბავს და სხვა „დიაკვნების“ მოტყუების იმედი სამუდამოდ უნდა დაჰკარგოს ასეთმა მასპინძელმა.

მეც ამ წელიწადს უნდა დავმდგარიყავ ახალ მასპინძელთან, სადაც ერთი შორეული ნათესავი დიაკვანი იდგა. რადგან ეს ნათესავი უფროსი იყო ჩემზე, მამაჩემს იმედი ჰქონდა, ყურს მიგდებდა და მიპატრონებდა, სწავლაშიაც ხელმძღვანელობას გამიწევდა. პირობები იგივე იყო: თვეში ხუთი მანეთი უნდა გვეძლია და ამ ხუთ მანეთში უნდა მქონოდა: ბინა, სასმელ-საჭმელი, გარეცხვა საცვლებისა. ხუთ მანეთს ზევით რასაც ყველს თუ ხორცს მოაწვდიდა მამა, ეს ანგარიშში არ ჩაითვლებოდა, ეს დაამტკიცებდა მხოლოდ მამაჩემის გულუხვობას და თავისი შვილის სიყვარულს.

ახალი მასპინძელი და მისი ოჯახის წევრები ალერსიანად დამიხვდნენ. ეს ალერსიანობა, რა თქმა უნდა, გამოწვეული იყო ოცზე მეტი სულგუნით, რაიც აქაურებს, მერე ამდენი ერთად, თავის დღეში არ ენახათ. ამ სულგუნების წყალობით საფერებელი ვიყავი. თუ ახლა მოვიტანეთ, კვლავაც შეგვეძლო მოგვეტანა, და მეორეც ისა, რომ მამაჩემი ჩვეულებრივ ღარიბ მღვდლებს არა ჰგავდა გარეგნობით: კარგად ეცვა და გარეგნობაც მაძღარი მღვდლისა ჰქონდა, რომელსაც შეეძლო შვილისათვის ხშირად მოეწოდებინა შესატანებელი.

მამა ერთ დღეს დარჩა ჩემს მასპინძელთან, სასწავლებელში წამყვა, სასწავლებლის მთავრობას ჩემი თავი ჩააბარა, თან დაათვალიერა საკლასო ოთახი, რომელშიაც მეორე მოსამზადებელი კლასის მოწაფენი მოგვათავსეს, და მესამე დღეს დამლოცა, აბაზიც ჯიბის ფულად მომცა, მაკოცა და, ცოტა არ იყოს, დაღონებული გამოვიდა ეზოდან. მე და ჩემი ნათესავი „დიაკვანი“ გავყევით და ფეხით ერთი კილომეტრის მანძილზე გავაცილეთ. გამოთხოვების შემდეგ დიდხანს, სულ დიდხანს ვიდექი და გავცქეროდი მიმავალ მამას, რომელმაც ცხრა წლის ბავშვი დამტოვა ამ უპატრონო ადგილას ღვთის ანაბარა, უმწეო, ყოველ ზრუნვას, ალერსს მოკლებული...

ტოლებს რომ დავუბრუნდი, ერთ წამს დამავიწყდა დარდი და შევურიგდი ჩემს ბედს. უნდა ვეცადო, როგორც გარემოება ნებას მომცემს, როგორც ჩემი პატარა ძალ-ღონე შემაძლებინებს, ისე ვებრძოლო ცხოვრების პირობებს, ჩემდამი შეუბრალებლად მომართულს, ისე გავიტანო ძნელად გასატანი ლელო. განა მე მარტო ვარ ამ ბედში. ასი და ორასი სხვაა ჩემზე უარეს დღეში.

*
* *

ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ სასწავლებელს მოშორებულნი ვართ მთელი სამი კილომეტრით. სასწავლებლისკენ მიმავალ გზას აქეთ-იქით თხრილი ჩაუდის, რომლის ერთ ნაპირზეა ღობე, გლეხის ეზოს მსაზღვრელი. ამ გზას მოყრილი აქვს მჭადა ქვა, დაუმტვრეველი, ისიც უსწორმასწოროდ. ურმის თვალი რომ შედგება ასეთ ქვაზე, ასე იტყვი, აღმართზე შედგა და მერე იქიდან დაეშვაო. რახრახით მიდის ურემი. დარში, ასეა თუ ისე, გაივლით ამ გზაზე, მაგრამ ავ-დარში მუხლამდე საფლობად იქცევა და ასეა, სანამ არ გამოიდა-რვბს და მზე არ გააშრობს. ზოგჯერ იმ ზომამდე გაუვალია, რომ ბავ-შვები იძულებულნი ვიყავით, გლეხების ეზოებში გადავმხტარიყა-ვით და ეზო-ეზო გვევლო, სანამ რომელიმე გლეხი არ დაგვიფრენდა.

ჩვენს ახალ მასპინძელს ერთი სახლი ჰქონდა ხისა, ისლით გადა-ხურული, უიატაკო და უჭერო, უფანჯრო, ერთთვალიანი. ჩვეულებ-რივ, როგორც ყველა სახლი სამეგრელოსი, ორკარიანი იყო. ერთი კა-რი წინიდან ჰქონდა, მეორე მის პირდაპირ. სინათლე სახლში თუ არ ამ კარებიდან და ჭუჭრუტანებიდან, სხვა მხრივ არ შემოდიოდა, ასე რომ, დღისით კარი სულ ღია უნდა ყოფილიყო, რომ ბნელში არ ვმსხდარიყავით.

იქით-აქეთ კედლებზე მიკეთებული ჰქონდა ტახტები და შუაში კიდევ კერია, რომლის გარშემო თავს მოიყრიდნენ ხოლმე ოჯახის წევრები.

ცალ მხარეს ტახტზე ჭილობი ეფინა და დღისით ზედ ეწყო აკე-ცილი საბან-გობანი. ღამით ჭილობზე გაიშლებოდა თხელი, სიფრი-ფანა, ლავაშის მსგავსი ბამბის ლეიბი, ბალიშს ქვეშ მუთაქას ამო-გვიდებდნენ, ზევიდან მეტისმეტად ულმობელ გაწევ-გამოწევისაგან დაგლეჯილ, ისიც თხელ ბამბის საბანს დაგვხურავდნენ. თუ იძასაც გაიხსენებთ, რომ აქ წესად არა ჰქონდათ საბნის პირის გადაძრობა და გარეცხვა, არ გაგიჭირდებათ წარმოიდგინოთ, თუ რაფერისა უნ-და ყოფილიყო ეს საბან-ლეიბი. ან რა სახისა და რამდენ პარაზიტს ჰქონდა გაკეთებული შიგ ბუდე გასამრავლებლად შთამომავლო-ბისა...

ამ ტახტის მოპირდაპირე კედლის გასწვრივ მიკეთებული იყო ცულით ოდნავ გაჩორკნილ ფიცრებისაგან შეკრული ტახტი, ანუ,

უკეთ რომ ვთქვათ, სამი ათ-ათ სანტიმეტრიანი სიგანის ფიცარი, რომელთაც ჩამოჯდომის ან დაწოლის დროს გულისგამწყალებელი ჭრიალი გაჰქონდათ. ჩვენც ჭილობები გვეფინა და ზედ გვეშალა ჩვენი საბრალო საბან-ლეიბი. აქ ვიყავით ძოთავსებული სამი მოსწავლე, რომლებიც ერთი ოჯახურის ცხოვრებით ვცხოვრობდით სახლის პატრონის ოჯახის სხვა წევრებთან ერთად: ჩვენ სამს გარდა იყო აგრეთვე ხუთი სხვა დიაკვანი, უფრო მოზრდილები, 14—15—16 წლიანი, რომელთა გაჩერება ერთ ჭერქვეშ, საცა ამავე ხნის ქალებიც იყვნენ მასპინძლისა, უხერხულად ითვლებოდა. ამიტომ ესენი მოთავსებულნი იყვნენ სახლიდან ათი მეტრის მოშორებით მდგარ ფაცხაში, ანუ სენაკში. ფაცხა წკნელისაგან იყო მოღობილი, ტალახით შელესილი და ისლით დახურული. იატაკი, რა თქმა უნდა, მიწისა ჰქონდა, ასე რომ, მტვერი ნიადაგ იდგა შიგ, კედლებს გარშემო ფიცრები ჰქონდა მიკეთებული საწოლად. სულ სენაკის სივრცე ექვსი კვადრატული მეტრი იქნებოდა. ტახტებს გარდა სხვა არავითარი ავეჯი არ იდგა შიგ, როგორიცაა მაგალითად სკამი ან მაგიდა. ყველა დიაკვანს უბრალო ბოქლომით დასაკეტი ყუთები გვქონდა, სადაც გველაგა სახელმძღვანელო წიგნები, საცვლები, ყაჭის ძაფი ფირფიტაზე დახვეული და ნემსი, თაფლის სანთლის ნამწვი, ხის სავარცხელი და ათასი სხვა რამ. როცა წერა მოგვინდებოდა, საწოლი სკამად იქცეოდა, ხოლო ზანდუკები მაგიდად. დაჯდომის დროს ფეხები ყუთის გასწვრივ უნდა დაგვეწყო; ეს ცოტა უხერხული იყო. მაგრამ რაკი უკეთესი არ გვენახა, პროტესტს არ ვაცხადებდით და ვჯერდებოდით იმას, რაცა გვქონდა. ნავთი იმ დროს ფუფუნების საგნად ითვლებოდა, მაშასადამე—ლამპაც. ბედნიერს თუ ექნებოდა ჭრაქი. მაგრამ რაკი საშინლად ჭვარტლავდა, სენაკში მისი დადგმა შეუძლებელი იყო. ამიტომ, რასაც დღისით ვერ მოვასწრებდით გაკვეთილების სწავლას, ღამით ეკლესიიდან გამოტანილ თაფლის სანთლის ნამწვავებით იოლად გამოვდიოდით. მართალია, სინათლე ნაკლები ჰქონდა, მაგრამ ცოტასა ზედა კმაყოფილი ვიყავით, რათა... შემდეგში მიკვირდა, თვალის სინათლე როგორღა შეეჩრა ამ თაფლის სანთლის სინათლეზე მეცადინეობის მერე.

რაკი ახალ ბინაში ვცხოვრობდით, ისიც ახალ მასპინძელთან, იმედი გვქონდა, ერთხანს მაინც გვექნებოდა შედარებით უკეთესი პირობები ცხოვრებისა და სასწავლებელში მეცადინეობისა. კლას-

ში სამოცამდე ვართ დიაკვანი. მოგვემატა საგნები. გვასწავლიან ძველი აღთქმის ისტორიას. მასწავლებელი გვიამბობს (ქართულად, რა თქმა უნდა) ქვეყნის გაჩენის ისტორიას, ადამიანის გაჩენას, მერე ამბავს იმ იერარქიისას, რომელიც ცაზე არსებობს, სერაბიმ-ქერუბიმების, ზოგიერთი ანგელოზის გაამპარტავნებას იქამდე, რომ ანგელოზებს ეშმაკებად აქცევენ და სულ კინწისკვრით ზეციდან ჩამოუძახებენ... და ზეცას კი დარჩნენ ღვთისმორჩილი ანგელოზნი, რომელნიც, ღირსებისა და კვალად, ზოგი ახლოსაა ღმერთთან, ზოგი კიდევ მოშორებით... მერე ნოეს ისტორია დაიწყებოდა, ებრაელთა ტყვეობა ეგვიპტეში, იქიდან აღთქმის ქვეყანა... მოსეს მედიატორობა ღმერთსა და ებრაელთა შორის, ჩხუბი, უსიამოვნება... მთელი ხუთი ათასი წლის მანძილის გარბენა და გადასვლა ახალ აღთქმაზე, რომელიც უფრო რეალურად გვეჩვენებოდა.

ამ ისტორიას კარგად ვსწავლობდით, რადგან, ჯერ ეს ერთი, ქართულად გვასწავლიდნენ და გვესმოდა, რასაც გვეუბნებოდა კლასში მასწავლებელი, მეორეც ისა, რომ გასართობი, ცოცხალი ამბები იყო, რომელსაც გატაცება შეეძლო ბავშვების ყურადღებისა, ფანტაზიისა, მაგრამ საქმე იყო სხვა საგნები, რომელსაც რუსულ ენაზე გვასწავლიდნენ, ე. ი. იმ ენაზე, რომლისა არაფერი გვესმოდა. რუსული ენის სახელმძღვანელოდ გვქონდა გერასიმე კალანდარიშვილის მიერ თარგმნითი მეთოდით შედგენილი წიგნი, რომელსაც ერქვა „Руководство для изучения русского языка.“ ეს წიგნი ქართველებისათვის იყო. ჰქონდა რუსული და ქართული პარაგრაფები და თითოეულ პარაგრაფს უძღოდა რუსული სიტყვების განმარტება. პირველი პარაგრაფის ლექსიკონი ასე იწყებოდა: **Бог**—ღმერთი, **Ангел**—ანგელოზი, **Книга**—წიგნი, **Корова**—ძროხა, **Дом**—სახლი და სხვ. გვეჭირა ხელში წიგნი და მთელი დღე გავიძახოდით: ბოგ—ღმერთი, ანგელ—ანგელოზი. ბოგ—ღმერთი, ანგელ—ანგელოზი, ბოგ—ღმერთი, ანგელ—ანგელოზი. ყოველი სიტყვა ჩვენთვის უცნობი იყო, ყოველი სიტყვა უნდა გვესწავლა დაზეპირებით თუთიყუშივით... თვით ცოცხალი სიტყვა არავისგან გვესმოდა, ამ ენაზე მოლაპარაკეს ვერავისა ვხედავდით.

პირველ გაკვეთილზე წაგვაკითხა მასწავლებელმა პირველი პარაგრაფის სიტყვები, რიცხვით ათი, ჯერ ეცადა კლასშივე გაემეორებინებინა თითოეულისათვის ყოველი სიტყვა და მისი ქართული მნი-

შვნელობა. ხმის ამაღლება. განსაკუთრებით ეს ხმის ამაღლება გვიჭირებდა საქმეს, ერთმარცვლიან სიტყვებს, ასე იყო თუ ისე, ვუძლებდით, მაგრამ ორ და მეტმარცვლიანი სიტყვები პირდაპირ წამება იყო. არ ვიცოდით, სად, რომელ მარცვალზე აგვემაღლებინა ხმა და ვიყავით ერთ ჭაპანწყვეტაში. ერთი რომ იტყოდა „ანგელ“-სა, მეორე მახვილს უეჭველად „გელ“-ს დაუსვამდა, ერთი რომ „კნიგა“-ს იტყოდა, მეორეს „კნიგა“ უნდა ეთქვა. მასწავლებელი გვიყვიროდა, გვტუქსავდა, მაგრამ ხმის ამაღლების წესის დარღვევას მაინც ბოლო არ უჩანდა. შინ რომ დავბრუნდებოდი, ცოტას დავნაყრდებოდი, ზედ წყალს დავაყოლებდი და შევუდგებოდით ზეპირობას ანუ, როგორც იქ ვისწავლეთ, „ზუბრობას“. თითქმის მთელი ნასადილევი გაკკიოდით: ბოგ—ღმერთი, ანგელ—ანგელოზი, სობაკა—ძაღლი და სხვ. მერე თვალხუჭელა ვიტყოდით, დაწოლის დროსაც გავიმეორებდით, რომ კარგად დაგვხსომებოდა. სკოლაში წასვლამდეც ისევ გავიმეორებდით. თუ ყველამ ასე იგულმოდგინა, როგორც მე, მასწავლებელთან თავს ვისახელებთ-მეთქი, ვამბობდი გუნებაში.

მეორე დღეს პირველი გაკვეთილი რუსული ენა გვქონდა. შემოდის მასწავლებელი. ყველას გვაკანკალებს, ვაითუ ვერ ვუთხრათ გაკვეთილი... მასწავლებელი 26—27 წლის ყმაწვილი კაცია, სემინარიელი, გვარად კაპანაძე, ფილტვებით დაავადებული.

ამოიკითხავს ჟურნალში ყველას გვარსა და სახელს, შეამოწმებს—ხომ ყველანი აქა ვართ. გამოძახებაზე ყველანი ზეზე ვდგებით და ვეუბნებით რუსულად „ზდეს“ („აქა ვარ“. ეს სიტყვა კარგად ვიცით). რომ გამოიძახა ყველანი და კლასში დაკლებულნი აღნიშნა, ყველას თვალი მოგვავლო. ყველანი ვკანკალებთ, ვაითუ ვერ ვუთხარით „ბოგ—ღმერთი, ანგელ—ანგელოზი“..

— შენგელაია ანდრეი, აბა „ურროკი“ სთქვი,—გამოიძახა მასწავლებელმა.

წამოდგება შენგელაია და იწყებს:

—ბოგ—ღმერთი, ანგელ—ანგელოზი, კოროვა—ძროხა... და ასე ბოლომდე ჩაარაკრაკა ათივე სიტყვა, ერთიც არ შეფორხილებულა.

მასწავლებელმა ახლა სიტყვების ჯგუფიდან ცალკე გამოჰყო სიტყვა თუ უნდა გაიგოს—იგივე შენგელაია შესძლებს, მისი მნიშვნელობა უთხრას თუ არა.

— აბა მითხარი, რა არის ანგელ?

— ღმერთი,—მაშინვე უპასუხა მოწაფემ.

— აი, გაგიწყრეს ღმერთი! აბა სთქვი, რა არის ბოგ?

— სახლი...

— აი, დაგენგრეს სახლი და კარიცა!... დაეგდე. არა გცოდნია, „ედინიცა“ უნდა დაგიწერო!—და ჟურნალში შენგელაიას გვარის პირდაპირ იმოდენა ხაზი ჩამოუსვა, რომ ერთ უჯრედში ვერ დასტია და ერთი ნაწილი ქვემოთ მოთავსებულ ამხანაგს უწილადა.

შენგელაია ცოცხალ-მკვდარი დაეშვა მერხზე. აქეთ-იქით ამხანაგებმა გული გაუმაგრეს, როგორც შეეძლოთ.

— ოდიშარია!—ახლა სხვა გამოიძახა მასწავლებელმა.

წამოდგა ოდიშარია. შენგელაიას მარცხით ცოტათი შემკრთალი, ლაპარაკს ვერა ბედავს.

— რა ვირივით გაჩერებულხარ, სთქვი „ურროკი“!

ოდიშარია აკანკალებული ხმით იწყებს:

— ბოგ—ღმერთი, ანგელ—ანგელოზი, კოროვა—ძროხა. სტოლ-სტოლი...—ბოლომდე მშვიდობიანად ჩავიდა.

მასწავლებელი:

— რა არის ანგელ?

— ძროხა.

— შენი ანგელოზი ძროხა იქნება, მა რა იქნება, შე უტვინო. აბა მითხარი, რა არის კოროვა?

— ღმერთი,—ცოტა მოკრძალებით ეუბნება ოდიშარია.

— აი, ღმერთი შენ გაგიწყრეს და ხატი! დაეგდე!

შემდეგ გვალია გამოიძახა, ხოჭოლავა, ფაშტიანი, კვეკვეცია, გაბისონია... ყველამ სირცხვილი ჭამა... მასწავლებელს გული მოსდის, ხველება აუტყდება... ჩვენს გაჭირვებაში თვით გაჭირვებული მასწავლებელი კი არ გვახსოვს და მისდამი სიბრალულის გრძნობა ჩვენს გულს ახლოსაც არ ეკარება. ვერ მოგვინელებია, რომ გუშინდელმა თავის მტვრევამ ასე ტყუილუბრალოდ ჩაგვიარა...

მასწავლებელს საქმეს უჭირებდა აგრეთვე რამდენიმე მოწაფის მიერ თავისებური გამოთქმა რუსული „ლ“-სი. ეს ასო რუსულად ე-სა და ი-ს წინ.რბილად გამოითქმის, ხოლო სხვა ხმოვანების წინ მაგრად. ერთი ჯგუფი მოწაფეებისა, საცა მაგრად უნდა გამოეთქვათ, სწორედ რბილად გამოთქვამდნენ. მაგალითად სიტყვა „Лошадь»-ში ისე სასაცილოდ გამოთქვამდნენ „ლ“-ს (როგორც მაგალითად

ქართული სიტყვა ლიზაში გამოითქმის ლ), რომ გარეშე, ალბათ სიცილით მოკვდებოდა, მაგრამ ჩვენი მასწავლებელი ყურებში თითს იცობდა და უზომოდ ანჩხლობდა.

ამ ვაი-ვაგლახში გაკვეთილიც თავდებოდა და შემდეგ გაკვეთილად მასწავლებელი იგივეს გვაძლევდა და თან დაგვემუქრებოდა— თუ არ გისწავლიათ, მარტო ერთიანების დაწერას არ დაგაჯერებთო.

ვსწავლობდით როგორც იყო, ჯანს ვიგდებინებდით, მაგრამ სწავლება კი არ იყო, უფრო წვალება იყო. განსაკუთრებით ამ ხმის ამაღლებამ გაგვიჭირა საქმე. ყველაფერი ვძლიეთ. Бог-ს ღმერთს ვეძახდით და არა ანგელოზს, Корова-ს ძროხას და არა ცხენს, მაგრამ ხმის ამაღლებას ვერაფერი მოვუხერხეთ, ვერსაიდან მოვუარეთ.

ავადმყოფი მასწავლებელი რუსულისა დიდხანს არ შეგვრჩენია, იმის მაგიერ დაგვინიშნეს სხვა მასწავლებელი, ბრაზიანი, რომელსაც ძალიან უყვარდა მასაჟი ბავშვების ლოყებისა და ყურისა. ლოყაში რომ გაარტყამდა, დიდხანს აჩნდა ბავშვს ხუთი თითი ფიცხი პედაგოგისა. ცოტა მოზრდილ მოწაფენი შეითქვნენ: მოდი, გადავაჩვიოთ ამ ცემასაო. ერთ-ერთს რომ გაარტყამს, გულის წასვლა მოიგონოსო. მასწავლებელს შეეშინდება და აიღებს ხელს ამ ჩვეულებაზეო. ძველად ასეთი ცემა წესად იყო შემოღებული, ცემა იყო ერთ-ერთი ხერხთაგანი მაშინდელ პედაგოგებისა მეცნიერების შეთვისებინებისათვის და ეს პროტესტს არ იწვევდა მოწაფეთა მხრივ. შიმშით ან „ლინეიკით“ ცემა ხელისგულზე ხომ სულ ნორმალური მოვლენა იყო. აგრეთვე დაჩოქება კლასის კუთხეში და მუხლებქვეშ სიმინდის მარცვლების დაყრა. ზნეობრივს შეურაცხყოფას სრულებით ავიწყებდა ბავშვს ფიზიკური წამება, როცა ტილოს შარვალს ადვილად გაატანდა სიმინდის მარცვლები და პირდაპირ ხორცში შეიჭრებოდა...

ჰოდა, გადაწყდა მასწავლებლის დაშინება. სამ შეთქმულთაგან ერთი გამოიძახა მასწავლებელმა და უნდა ათქმევინოს ფრაზა «Ку́рица снесла́ яйцо́» ისე, რომ მთავარი ყურადღება მიექცეს ხმის ამაღლებას.

— გეგეჭკორი, აბა სთქვი.

— Кури́ца сне́сла я́йцо— განგებ ამახინჯებს მოწაფე სიტყვების ხმის ამაღლებას.

— შენ მუტრუკო, სთქვი: Ку́рица снесла́ яйцо́.
— Кури́ца сне́сла я́йцо—ჯიუტობს გეგეჭკორი.
— შე ვირო სთქვი: Ку́рица снесла́ яйцо́.

გეგეჭკორი მართლაც ვირივით გაჯიუტდა და ცდილობს გამოიწვიოს მასწავლებლის სილა. მასწავლებელი ისე მიუდგა მოწაფეს, რომ სილა მთელი ძალ-ღონით მოხვედროდა ყბაში, მერე გაუშალა და გააწნა. მოწაფემ თვალები დახუჭა და გადაიქცა. ამის შემდეგ რაც მოხდებოდა, ადვილად მიხვდება მკითხველი. აირია მთელი კლასი. იძახიან—მოკვდა, მოკვდა საწყალი ბიჭი, ზოგი წყალს იძახის, ზოგი მერხებიდან ხტება, ისეთი ბუღი დადგა, რომ ერთ მეტრზე საგნის გარჩევა არ შეიძლება. დაშინებული მასწავლებელი ურჩევს მოწაფეებს—ყური აუწიონ, საფეთქელი დაუზილონ გულშეწუხებულ ყმაწვილს. როდის, როდის თვალები გაახილა და მოიხედა მოწაფემ. მასწავლებელმა თავისუფლად ამოისუნთქა. მერე მიუბრუნდა მის ამხანაგებს და უთხრა: ყმაწვილებო, არავის უთხრათ ეს ამბავი და დღეის ამის იქით ცემაზე ხელს ავიღებო. ის დღე იყო და ის დღე, რუსული ენის მასწავლებელი ხელით არავის შეხებია, მხოლოდ სიტყვით, თუ რამ საგინებელი სიტყვები იცოდა, ცდილობდა არ დაეკლო მოწაფეთათვის. რომ უფრო კარგად შეგვეთვისებინა „რუკოვოდსტვო“, როგორც ვეძახდით ჩვენს სახელმძღვანელო წიგნს რუსული ენისა, იმავე მასწავლებელმა შემოიღო „მარკა“, ეს იყო ოთხკუთხი ფირფიტა ხისა, ზედ დანიშნული იყო სიტყვა და ებარა კლასში მორიგე მოწაფეს. ყველას გამოცხადებული ჰქონდა, თუ არ რუსულად, ხმა არ ამოეღო, ვინც კლასში მეგრულად ან ქართულად დაილაპარაკებდა, მორიგე ფირფიტას მიაჩეჩებდა ახლა ის ვალდებული იყო, თვალყური ეგდო, ვინ ამოიღებდა ხმას ქართულად და იმისთვის მიეჩეჩებინა; ეს კიდევ თავის მხრით ცდილობდა როგორმე მოეშორებინა მარკა და ვინმესთვის გადაელოცნა. დასვენების ანუ, როგორც ვეძახდით, „პერემენის“ დროს იმის მაგიერ, რომ მართლა დაგვესვენა და გავრთობილიყავით, იმასღა ვცდილობდით, მარკა არავის ჩაეტოვებინა ჩვენთვის ხელში. ვისაც გაკვეთილების გათავებისას ჩარჩებოდა ხელში მარკა, უსადილოდ („ბეზაბედა“) დატოვება მოელოდა, უკეთეს შემთხვევაში—შიმშის დარტყმა ხელისგულზე. ვერ ვიტყვი, დადებითი რეზულტატი მოჰყოლოდეს ამ შემოღებულ წესს. პირიქით, შეგვა-

ძულა, საფრთხობელად გაგვიხადა „რუკოვოდსტვო“ და თვით რუსულის მასწავლებელი. საქმე იქამდე მივიდა, რომ სრულებით ავიღეთ ლაპარაკზე ხელი. რუსული არ ვიცოდით და მშობლიურ ენაზე გამოთქმასაც თავი ვანებეთ და კლასში დამუნჯებულები დავდიოდით, პირველყოფილ ადამიანებივით ხელით ან თავის დაქნევით ვუზიარებდით ჩვენს აზრს ერთმანეთს. ამ „მუნჯობას“ თითქმის მთელ წელიწადს განვაგრძობდით, სანამ მასწავლებელი არ გამოგვეცვალა და ახალმა მასწავლებელმა ცოტა სხვა წესები არ შემოიღო და ენა ისევ არ ამოგვადგმევინა.

ანგარიშს მეორე მოსამზადებელში ქართულად გვასწავლიდნენ მასწავლებლად გვყავდა ერთი ახალგაზრდა სემინარიელი, უზომოდ მყვირალა კაცი. როცა რასმე ვერ გავიგებდი, ისეთს დაგვიყვირებდა, რომ მთავარი სული წაგვივიდოდა, ცელქობას ჭკუათმყოფელი აბა ვინ გაბედავდა მის გაკვეთილზე! ჩვეულებრივი მისი მუქარის სიტყვები იყო: „აგიღებ და იმ ფანჯრიდან გარეთ გადაგისვრი“, ანდა „აგიღებ და კედელს მიგანარცხებ, შე გამოტვინებულო, შენა!“ გაკვეთილის ჩატარება და ჩვენი სწავლება პირდაპირ სასჯელი იყო მისთვის! ოქროს საათი ჰქონდა, ოქროსავე ძეწკვით დაკიდებული. წამდაუწუმ შიგ იცქირებოდა და სულისულზე გაკვეთილის გათავებას და ზარის დარეკვას მოელოდა. გაკვეთილზედაც ყველა მასწავლებელზე გვიან შემოდიოდა. სულ უკანასკნელი, ნახევარი საათი მაინც იმას ანდომებდა, რომ ჟურნალში სხვა კლასებში მიცემული გაკვეთილები ჩაეწერა. სახელმძღვანელოდა გვქონდა ევტუშევსკის არითმეტიკულ ამოცანების კრებული. მაგრამ, რადგან რუსული ჯერ იმდენად არ ვიცოდით, რომ რუსული ამოცანები გაგვეგო, სახელმძღვანელოდან ჯერ მხოლოდ მიმატება-გამოკლების ციფრებს ვიწერდით, ხოლო თვით ამოცანებს ქართულად სთარგმნიდა და ისე გვეუბნებოდა. უმეტესობა ამ ამოცანებისა რუსების ცხოვრებიდან იყო, თვით ზომა სიგრძისა, საწყაოსი და სხვ. სულ რუსულები იყო და, რა თქმა უნდა, არ გვესმოდა, და რაკი თვით სიტყვების მნიშვნელობა არ გვესმოდა, ამოცანის შინაარსიც გაუგებარი ხდებოდა და აუარებელი თავისმტვრევა გვჭირდებოდა, რომ სულ უბრალო ამოცანა გამოგვეყვანა. მაგალითად, ვერ წარმოგვედგინა, რა ჭირი იყო „ბოჩკა“ ან „ვედრო“, რომლებშიაც ღვინოს ასხამდნენ. ქვევრი გაგვეგონა ღვინის ჭურჭლად, ტიკიც, ტიკჭორაც, კოკაც,

დოქიც, მაგრამ ბოჭკის სურათი რა არის, სურათიც კი არავის უჩვენებია ჩვენთვის. წლის დასასრულს ვიცოდით შაურად რამდენი ჯამი ხურმა მოგვივიდოდა; ან ორი აბაზი რომ გვქონდა, აბაზის ყველი რომ გვეყიდა, კიდევ რამდენი დაგვრჩებოდა. ეს იყო და ეს. თვლაც ვიცოდით ასამდე და ასის ფარგლებში მიმატება-გამოკლებას ვახერხებდით, 50-ის ფარგლებში—გამრავლება-გაყოფას.

ერთადერთი საგანი, რომლის გაკვეთილზეც თავს თავისუფლადა და მოსვენებით ვგრძნობდით, იყო ქართული ენა, ისიც პირველად—სახელმძღვანელოს წყალობით, ხოლო შემდეგში—კარგი მასწავლებლის წყალობით. იაკობ გოგებაშვილის „დედაენა", რომელზედაც აღიზარდა ჩემი და შემდეგი თაობა, პირველად 1876 წელს გამოვიდა და ბავშვებს სულზე მოგვისწრო მეორე მოსამზადებელში. ეს იყო პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე და ქართული ენისათვის, შედგენილი ქართულ ცხოვრებასთან შეფარდებით. როცა მასწავლებელმა თბილისიდან ჩამოიტანა და ორ-ორ აბაზად დაგვირიგა ეს წიგნი, ყველას უზომოდ გვიხაროდა. გვახარებდა მისი ყდა და სურათები. გვიხაროდა მისი ფურცვლა, სოფლის ნაცნობი ცხოვრების სურათების ნახვა, თუმცა როგორც პირველი გამოცემა, ძალიან განსაზღვრულ რიცხვს შეიცავდა სურათებისას. კანს მაშინვე ქაღალდი შემოვაკარით გარედან და ასე სათუთად ვინახავდით. ამის მეტი წიგნი გარდა გ. კალანდარიშვილის „სახელმძღვანელოსა" არცა გაქონია. ადვილად და ხალისით ვკითხულობდით შიგ მოთავსებულ მოთხრობებსა და ლექსებს, თუმცა ბევრი სიტყვისა არა გვესმოდა რა და ზოგჯერ თვით შინაარსიც გაუგებარი რჩებოდა ამის წყალობით. ასეთები იყო ქართლში ხმარებული და ქართლელ ბავშვისათვის საყველპურო სიტყვები, განსაკუთრებით საოჯახო და სამეურნეო იარაღების სახელები, სახელდობრ, პურის დამუშავებისა, რომლებიც იმ დროს სამეგრელოში არ იხმარებოდა, რადგან პურის მოყვანა გადავარდნილი იყო და სიმინდის თესვაზე იყვნენ გადასულნი. ასეთები იყო მაგალითად: გუთანი, არნადი, კევრი, კალო, ხვავი. ქართულის მასწავლებელი იმერელი იყო, გვარად დოღონაძე. რამდენადაც ახლა ვუკვირდები, თვითონაც არ უნდა სმენოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ არ ცდილობდა მათ ახსნას, შემოვიდოდა, წაგვაკითხებდა მოთხრობას თუ ლექსს და გვეტყოდა: ისწავლეთ აქედან აქამდეო (წაკითხვით თუ ზეპირად). მორჩა და გათავდა. არა-

ვითარ ახსნა-განმარტებას არ გვიტარებდა დასასწავლი მოთხრობისა თუ გასაზეპირებელი ლექსის შესახებ. რაც „სახელმძღვანელო“-ში საზეპირო იყო, ვზეპირობდით, „დედაენის“ საზეპიროსაც არ გა-ვურბოდით, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი უფრო გასაგები იყო. თუმცა ვერ ვიტყვით, ხალისიანად ვსწავლობდით-მეთქი.

სწავლაში ძალიან გვახალისებდა და გვაქეზებდა ნიშნები. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად გვიყვარდა ხუთები. გვიყვარდა არა მარტო მიღება ასეთი ნიშნისა, არამედ მისი გამოსახვაცა. წიგნი, რვეული, კედლები სულ ხუთიანებით იყო გადაჭრელებული. რა გა-ვაგრძელო, ამაზე ლამაზი, ამაზე ნანატრი რიცხვი სხვა არ არსებობ-და ჩვენთვის. თუ ვსწავლობდით, ვსწავლობდით ხუთიანებისათვის.

ასე მიდიოდა საქმე ერთ-ორ თვეს. ჩვენს ბედზე, პირველი მას-წავლებელი ქართულისა—დოღონაძე შემოდგომაზევე მოიხსნა და მის მაგიერ მოგვიყვანეს ახალი მასწავლებელი. ეს იყო პოლიევკტოს კვიცარიძე*. კეთილშობილ, სათნო სახის ახალგაზრდას ტკბილი ღიმი არ შორდებოდა პირზე, ტკბილი ხმა და ტკბილივე მოპყრობა ერთმანეთს იყო შეხამებული; მისი ამაღლებული ხმა არ გაგვიგონია. სხვა მასწავლებელთა ყვირილს, გინებას, ცემას, დასჯას შეჩვეულთ, პირდაპირ გვეუცხოვებოდა ეს მართლა და უცნაური „უჩიტელი“, რომელიც ასე გამოირჩეოდა თავის ამხანაგებში. როცა რომელიმე ანცი მოწაფე გააჯავრებდა, მისი გაჯავრება, სულ ბევრი, ის იქნებო-და, თუ იტყოდა: „ახ, შე წუწკო, შენა“.

წარუშლელია ჩემს მახსოვრობაში, დღესაც ნათლად მიდგას თვალწინ ეს კეთილშობილი სახე. პ. კვიცარიძისა, რომელმაც მოწა-ფეთა ცხოვრებასა და სწავლის საქმეში სულ ახალი შუქი შემოი-ტანა, შუქი, უცნობი ყველასათვის, შუქი ნანატრი და მხოლოდ და მხოლოდ სიზმრად სანახი. ჯერ ისა, რომ ყველას ისე გვიცქეროდა, როგორც უფროსი ძმა, რომელსაც მარტოოდენ სიკეთე სწადდა ჩვენი, ჩვენი წარმატება, ჩვენი გაადამიანება სწყუროდა, მის კოლე-გებისათვის სრულებით უჩვეულო, სრულებით უცნობი პედაგოგიუ-რი ხერხით. ჩვენც ალღოთი ვიფერებდით მის ჩვენდამი გულკეთი-ლობას და მაგიერითვე ვუხდიდით. ამიერიდან ქართულის გაკვეთი-

* შემდეგში სწორუპოვარი მოქართულე და „სწორმეტყველების“ ნიჭიერი ავტორი.

ლი, ე. ი. კვიცარიძის შემოსვლა კლასში, ჩვენთვის სასიამოვნო მომენტი იყო, რომელსაც მოუთმენლად მოველოდით. ახლა თქვენ ისა ბრძანეთ, როგორ გააცოცხლა წინა მასწავლებლის ხელში უსულგულო საგანი, როგორ სახალისოდ, სატრფიალოდ გახადა!.. ყოველი, მისი აზრით, ჩვენთვის ოდნავ გაუგებარი სიტყვა უნდა აეხსნა, დაეღეჭნა და ისე ჩაედვა ჩვენთვის პირში, რომ თავისდღეში არ დაგვივწყებოდა.. ლექსები უეჭველად სიმღერით უნდა ეთქმევინებინა, ყოველ მეოთხე მარცვალზე ხმის აწევა-დაწევით. ყოველი მოწაფე, ჩაძორჩენილიც კი, გამოცოცხლდა, იგრძნო, რომ მისი ჩამორჩენის მიზეზი მარტო მისი მიუხვედრელობა, გონების სიჩლუნგე ან სიზარმაცე არა ყოფილა, ცოტა რამ ბრალი მასწავლებელსა და მისი სწავლების უნარსაცა სდებია, მასწავლებელზე თუ ყველაფერი არა, ბევრი რამ ყოფილა დამოკიდებული.

პირველად პ. კვიცარიძემ დაგვანახა, რომ რისამე სასწავლებლად ძველებური მეთოდების—ცემისა, გინებისა და საერთოდ ფიზიკური ჩაგონების გარდა არსებობდა სხვა მეთოდი, სხვა ხერხი: ტკბილი მოპყრობა, წახალისება, ახალი პედაგოგიური მეთოდებიც. ამით სულ ახალი ქვეყანა, სულ ახალი ჰორიზონტები გადაგვიშალა თვალწინ, სულ ახალი, მანამდე უნახავი და გაუგონარი სანახავები რამ გვაჩვენა, საამო და თან საკვირველი! პირდაპირ სასწაული მოხდა: თუ წინათ მოწაფე, მუნჯსავით იჯდა, პირველი მასწავლებლის მიერ რეგვენად იყო წოდებული, სიცოცხლის ნიშანწყალ მოკლებული მერხზე კუნძივით ეგდო, ახლა ამავე რეგვენს, მუნჯს გონების თვალთაგან ბინდი გადაეყარა, ენა ამოედგა, თვალებით რაღაცას ხედავდა, გამოცოცხლდა, მონაწილეობას ღებულობს სხვა მოწაფეებთან ერთად მეცადინეობაში, საერთო ფერხულში ისიც ჩაება, წინანდელი ზარმაცი გახალისიანდა, „უნიჭოსა“ და „რეგვენს“ ნიჭი დაუბრუნდა.

პ. კვიცარიძე გაკვეთილზე დაღლას რომ შეგვატყობდა, თუ ავდარი იყო, კლასშივე აგვაყენებდა და გიმნასტიკას გვაკეთებინებდა: ვისწორებდით ტანს, ხელებს, თავს. ეს გვართობდა და თან წელში ვიმართებოდით. მასწავლებლებში პირველმა კვიცარიძემ მიგვაქცევინა ყურადღება იმისათვის, რომ წელი სულ პერპენდიკულარულად უნდა გვჭეროდა, მერხის ზურგს მიყუდებული, რომ მოხრილად ჯდომას უნდა მოვრიდებოდით, გულის ფიცარი წინ უნდა გვქონოდა გამოშვერილი, თავისუფლად უნდა გვესუნთქა. 5—10 წუთს ასე რომ

დავისვენებდით, ისევ ხალისით, ცქვიტად, სრულებით გამოცოცხლებულები განვაგრძობდით გაკვეთილს. თუ დარი იყო, გავვიყვანდა ეზოში და გაშლილ ჰაერზე დიდი სიამოვნებით ვასრულებდით ვარჯიშს და ვეჩვეოდით ფეხშეწყობით, ნაბიჯითა და ძუნძულით სიარულს.

სასწავლებლის ეზოში, სასწავლებლის შენობიდან ათიოდ მეტრის მოშორებით, ერთი კარგა მოზრდილი ორმო იყო. იგი წვიმაში წყლით ამოივსებოდა და მთელი გუბე დგებოდა, რომელშიაც დასვენების დროს გარეთ გამოსული მოწაფეობა ცვიოდა და იწუწებოდა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ორი-სამი მაინც არ ჩავარდნილიყო შიგ. მთელი წელიწადი იყო ეს გუბე. კვიცარიძის მოსვლამდე ვერავინ მიხვდა—ვერც მასწავლებლები და ვეღარც მოწაფეები—ეს გუბე ამოევსოთ ქვებით და სამუდამოდ დაეხსნათ თავი შიგ ჩავარდნისაგან. კვიცარიძემ ეს დაინახა თუ არა, გვითხრა: აბა, ყმაწვილებო, დატრიალდით, თითომ თითო ქვა რომ მოიტანოთ და ჩააგდოთ, მეტი აღარც კი უნდა, მაშინვე ამოშრეაო. მართლაც, მასწავლებლის ნათქვამის ასრულებას მაშინვე შევუდექით და თვალის დახამხამებაში ამოვავსეთ ჩვენი მტერი გუბე... მერე თვითონვე გვიკვირდა, რა ცოტა რამ კმარებულა ასეთ საბრკომის მოსასპობად, თუ კი ვითავებდით და ერთობლივ შევუდგებოდით საქმის კეთებას... ამნაირად აგვიმუშავა ტვინი, მიგვითითა, რომ ცხოვრებაში წიგნს გარეშე სხვაც არის, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთო.

გარდა ამისა, მასწავლებელი წარმოდგენილი გვყავდა, როგორც მტერი მოწაფისა. ორი ბანაკი იყო: ერთი—მოწაფეთა და მეორე—მასწავლებელთა. ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო, მასწავლებელს სიყვარული/სდებოდა გულში მოწაფისადმი, მისთვის ეზრუნა. სადმე რომ თვალს მოვკრავდი, ვაშავებდით რასმე, თუ ჭკუით ვიყავით, მაინც გავრბოდით, გვეგონა, თუ დაგვინახავდა, უეჭველად ცუდ ნიშანს დაგვისვამდა, ან უსადილოდ დაგვტოვებდა. ეს მტრული განწყობილება იმით გამოიხატებოდა, რომ ზოგჯერ მაღალი კლასების მოწაფენი საცემრად გაიმეტებდნენ საძულველ მასწავლებელს. ასეთი შემთხვევა არა ერთი და ორი ყოფილა. და აჰა, კვიცარიძემ დაგვანახა, რომ ეს არაბუნებრივი იყო; დაგვანახა, რომ ის უფროსი ძმა იყო ჩვენი, ჩვენი სიყვარულით ჰქონდა გული სავსე და ჩვენი მწუხარებით

ისიც სწუხდა, ჩვენი ტკივილი მასაც სტკიოდა და ჩვენი სიხარული მასაც ახარებდა.

პირველადვე კვიცარიძემ წაგვიკითხა „დედა ენის“ გარეშე საკითხავი ქართული წიგნი და გაგვიღვიძა სიყვარული წიგნის კითხვისა. იმ დროს ქართულ ენაზე ძალიან ცოტა იყო საკითხავი წიგნი. მაშინლა იწყებდნენ თითო-ოროლა წიგნის ბეჭდვას. ამ დროს პ. უმიკაშვილის რედაქციით გამოვიდა „არსენას ლექსი“. აი ეს წიგნი წაგვიკითხა, რომელმაც ისე გაგვიტაცა, რომ კითხვის დროს სმენად გადაგვაქცია და მერე სულ ამ წიგნს ვაბარებდით ქუთაისში სასყიდლად. არსენას ვაჟკაცობა, უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრება, გაჭირვებულთა გამოქომაგება, მტრების შურისძიება გულსა გვფხანდა, ჩვენი ნორჩი გულის გამოძახილი საუკეთესო პასუხი იყო წიგნში გატარებული იდეისა. მეორე საკითხავი წიგნი, რომელიც გაგვაცნო იმავე კვიცარიძემ, იყო იაკ. გოგებაშვილისვე გამოშვებული ხვანთქრის ვეზირის—ალის თავგადასავალი. შინაარსი წიგნისა ასეთი იყო: დიდი თანამდებობა კარგია ცხოვრებაში, მაგრამ ეს წარმავალია, შეიძლება თანამდებობაზე ბედმა ხელი აგაღებინოს კაცსა და ისე ჩამოქვეითდე, რომ ლუკმაპური გენატრებოდეს. ამიტომ ყოველმა კაცმა, რაც უნდა დიდი გვარის და თანამდებობის შთამომავალი იყოს, უნდა იცოდეს რამე ხელობა, რომლითაც შეეძლება გაჭირვების დროს ლუკმაპური იშოვნოს, თავი დაირჩინოს, სანამ დიდ ალაგს ისევ უკან დაიბრუნებდესო. შინაარსი ამ წიგნისა ყველას ძალიან მოგვეწონა და ძლიერ გვინდოდა მისი საკუთრად შეძენა. მაგრამ აბა სად ვიშოვნიდით მარტვილში, საცა არავითარი წიგნის მაღაზია არ არსებობდა. ისევ თვითონ მასწავლებელი, ან ვინმე თუ ჩამოიტანდა, ისიც პირდაპირ თბილისიდან კი არა, საცა იბეჭდებოდა ყოველგვარი ქართული წიგნი, არამედ ქუთაისიდან. იმის მადლობელი უნდა ვყოფილიყავით, რომ კვიცარიძემ თავისი საკუთარი წიგნი წაგვიკითხა კლასში.

ორ წელიწადს გვყავდა პ. კვიცარიძე. თუ რამ ვისწავლეთ ქართულში, მის ხელში ვისწავლეთ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ქართულის ცოდნას საძირკველი კვიცარიძემ ჩაუყარა და დიდხანს მივტიროდით უკან მოწაფეები ასეთ სწორუპოვარ მასწავლებელს და ადამიანს, დიდხანს ვერ შევრიგებოდით მის მოშორებას, უიმისობას.

ზემოჩამოთვლილ ოთხ ძირითად საგანს გარდა გვქონდა რუსული და ქართული სუფთა წერისა და სიმღერის გაკვეთილები.

ქართულის სუფთა წერის დედნად გვქონდა „მრისხანება“ ტარასი არქიმანდრიტის დედნიდან ამოღებული, მრგვალი ხელით, პირდაპირი ასოებით საწერი, ხოლო რუსული წერის დედნად კი— ოთხი რუსული სიტყვა, რომელთა მნიშვნელობა სულ გვიანობამდე არ გაგვიგია. ეს სიტყვები იყო: **Ширина, тишина, истина, чистота.** როგორც ხედავთ, თითქმის ოთხსავე სიტყვაში ერთნაირი მოყვანილობის ასოებია; გარეშე ამ ასოებისა, სხვა ასოები ჩვენთვის დასაწერად მიუწვდომელი რჩებოდა. რუსული წერისათვის დახაზული რვეულები, როგორიც ექვსი წლის შემდეგ ჰქონდათ მოწაფეებს, არა გვქონია. ამისათვის ქაღალდს ვყიდულობდით მარტვილის დაბის მედუქნეთაგან. საუკეთესო ღირსების ქაღალდი იყო № 4, მერე მოსდევდა № 6 და № 7. № 7 სულ უკანასკნელი ღირსებისა იყო, თალხი ფერისა და თხელი, მაგრამ საწერად მაინც კარგი იყო, მეორე მხარეს მელანი არ გადიოდა და აღარც კალმის წვერი ერჭობოდა შიგ წერის დროს. ხუთ თაბახ № 4 ქაღალდში ვაძლევდით შაურს, ამას ოთხად გავკეცავდით და კარგი სქელი რვეული გამოვიდოდა, ორმოც გვერდიანი. მერე ბზის სავარცხლის წვერით დავხაზავდით სახაზავის დახმარებით და ვწერდით ჩვენს რუსულ დედანს წერისას ან, როგორც ვეძახდით, „შირინა-ტიშინას“. ასე ვწერდით ნიროუცვლელად მთელი სამი წლის განმავლობაში, სანამ ერთსა და იმავე მასწავლებლის ხელში იყო ჩვენგან კალიგრაფების გამოყვანა. ლამაზი წერის, თითქმის ნაბეჭდს მიმსგავსებულის სწავლა ტრადიციით მოდიოდა მონასტრებიდან. ყოველ სასულიეროს უნდა სცოდნოდა: ლამაზი წერა, ხატვა (ხატების ხატვა ზეთის საღებავებით), წიგნების კინძვა და საეკლესიო გალობა.

საინტერესო და საკვირველი ის იყო, რომ ამ ხანებში ასეთი წერის დედანი სხვა სასწავლებელშიაც ყოფილა. მაგ. მარტვილიდან შორს მდებარე ქუთაისის გიმნაზიაში მასწავლებელი წერის დედნად იმავე «Ширина, тишина-ს» ხმარობდა, მხოლოდ ბოლოში უმატებდა მინსკის გუბერნიის ერთ-ერთ სამაზრო და თავისი პირველ-ხარისხოვან ციხე-სიმაგრით ცნობილი ქალაქის—ბობრუისკის სახელს, ასე რომ, გამოდიოდა: „Ширина, тишина, истина, чистота, Бобруйск». მიზეზი ამ სახელის მიმატებისა ისა ყოფილა, რომ მას-

წავლებელი ამ სიტყვას თურმე მეტისმეტი ოსტატობითა წერდა.

ქართული წერის გაკვეთილები მესამე მოსამზადებელში კიდევ გვქონდა და მერე სავსებით რუსულ ასოთა წერაზე გადავედით.

სუფთა წერის გარდა ცალკე საგნადა გვქონდა სიმღერა-გალობა. დავიწყეთ საერო სიმღერებიდან და გადავედით სასულიერო გალობაზე. სიმღერების სიტყვები სულ «Родное слово»-დან და «Детский мир»-იდან ამოღებული ლექსებისა იყო. რა თქმა უნდა, არც ერთი ლექსის სიტყვები არ გვესმოდა. თუმცა თვით ლექსები საუცხოვო იყო, როგორც გვიან გავიგე. ქართული სიტყვები თუ შეეწყობოდა სიმღერას, ან საერთოდ ქართულად სიმღერა ითქმოდა თუ არა, არ ვიცოდით. სიმღერები მხოლოდ და-მხოლოდ რუსული იყო. ეს იყო პირველ წელიწადს. მეორე წელიწადს გალობის მასწავლებელმა ევგენი მამფორიამ სიმღერაში ქართული სიტყვებიც შემოაპარა, მოტივი სიმღერისა, რა თქმა უნდა, რუსული დატოვა. ეს იყო: გ. ჭალადიდელის ლექსები: „მახსოვს პირველად“, „შუილ-ხუილით გადმოდის“, „მორბის არაგვი“ (ნ. ბარათაშვილისა) და „ალვის ხე წამოქცეულა“ (ხალხური). მოტივი ოთხივე სიმღერისა რუსული იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ხალისითა ვმღეროდით, რადგან სიტყვები გვესმოდა. სანამ სიმღერის გაკვეთილები გვქონდა (მე-3 კლასში) ერთი წმინდა ქართულის კილოს სიმღერა არ გაგვიგონია. რა თქმა უნდა, ხალხურ მეგრულ სიმღერებს სასწავლებელში ვინ გვამღერებდა.

პირველ მოსამზადებლიდანვე ვსწავლობდით საეკლესიო საგალობლებს. მერე საუკეთესო ხმის მქონე მოწაფენი ცალკე გამოჰყვეს და იმათგან გუნდი შეადგინეს, რომელიც წინასწარ ვარჯიშობის შემდეგ მარტვილის ტაძარში აჰყავდათ და ჭყონდიდელის წირვაზე რუსულად აგალობებდნენ. ისე გავათავეთ სასწავლებელი, რომ ქართული საგალობელი არაფერი ვიცოდით და არც არავინ ცდილობდა მის სწავლებას. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული სიმღერების კრებული (მაჭავარიანისა და ანდრო ბენაშვილისა) გვიან გამოიცა. გვიან გამოიცა ვას. კარბელაშვილის ნოტებიც ქართული საეკლესიო საგალობლებისა.

ეს მეორე წელიწადია ჩემი აქ ცხოვრებისა. გამოცდილება მეტი მაქვს: ხალხს, ამხანაგებს უკეთ ვიცნობ. როგორც იცით, მე ახლა

ახალი მასპინძლის ოჯახში ვცხოვრობ, მაგრამ ცხოვრების პირობების გაუმჯობესების იმედი მაინც არ გამიმართლდა.

მზის ამოსვლამდე წამოიშლებიან მასპინძლის ოჯახის წევრები. სახლში დამწყვდეული ხბოს აღავილს გარედან ძროხა აძლევს ბანს, ახლა ხიდან ჩამოფრენილ ქათმების რუკრუკს, მამლის ყივილს, ღორების ჭყვირილს. არ იკითხავთ?—ყველანი დიდის ამბით უხვდებიან ახალი დღის დადგომას, საზრდოს თხოულობენ... ცხოველებისა და ფრინველების ხმას ახალი გამოღვიძებული ბალღების ხმაც უერთდება. ხმიანობა ავსებს სახლსა და ეზოს. ერთ-ერთი წევრი ნაცარში წახვეულ ნაკვერცხალს ფიჩხებს აყრის და უბერავს ცეცხლის გასაჩაღებლად. ამ ორომტრიალში დღიური ცხოვრების დაწყებას ძალაუნებურად მეც ვაყოლებ ფეხს და ლოგინიდან თავს გამოვყოფ, ვიცვამ, საჩქაროდ მივრბივარ ჭისაკენ, ამომაქვს წყალი და პირს ვიბან. მერე ნათლიდედის მიერ ბამბის მსხვილი ბაწრით მოქსოვილ ერთადერთი პირსახოცით ვიწმენდ სახეს. ამის მერე კი დავდგები და, რაკი მარტო ჩემი თავის იმედი არა მაქვს, პირჯვარს ვიწერ და შველასა ვთხოვ ღმერთსა: „ღმერთო, შენ შემეწიე, მიცოცხლე მამა, მიცხონე დედა, . მიცოცხლე ბაბა (მამამძუძე), ნანა (ძიძა), მომეცი ნიჭი სწავლისა, ტანთ სიმრთელე!“

ამასობაში სენაკში გამოღვიძებული დიაკვნებიც ადგებიან. იმათ, როგორც უფროსებს, პირის დასაბანად წყალი მე უნდა დავუსხა დოქით. ეს პირის ბანა დარში სახლს გარეთა ხდება და ავდარში სახლის მიწურ აივანზე. უფროსი „დიაკვნები“ ფეხებსაც კი აბანინებდნენ უმცროსებს.

წინადღით ნასწავლ გაკვეთილებს ვიმეორებ. ვიწყებ უფრო ძნელიდან—რუსულიდან და ვათავებ უფრო ადვილით—ქართულით. მერე ყველანი—„დიაკვნები“ და მასპინძლის ოჯახის წევრები მოვუსხდებით კერას ზოგი ჯორკოზე, ზოგი კუნძზე; დიასახლისი ქვაბიდან ამოიღებს ვახშმად გადარჩენილ ღომის ნატეხებს და დიდ-პატარაობის მიხედვით დაგვირიგებს. მერე, დიდ-პატარაობის მიხედვითვე, დიასახლისი „კიპუყველს“ მოგვიჭრის, მაგრამ უფრო ხშირად ეს „კიპუყველი“ არ იყო და ყველის მაგივრობა წიწაკიან მარილს ან წმინდა მარილის კვნიტს უნდა გაეწია. ერთი კიდევ ჯოხით კარებთან იდგა და გააფთრებულ ძაღლს იგერიებდა, რომელიც იმდენად იყო გამწარებული, რომ პატარებს პირდაპირ ხელიდან გვტაცებდა

ღომს. ეს საგზალი უნდა გაგვყოლოდა საათის ორამდე, როცა სასწავლებლიდან დავბრუნდებოდით სადილად.

სადილი მასპინძლისა საათის თორმეტს არ გადასცდებოდა. ღომი თუ ექნებოდათ, თვითონ ცხელსა სჭამდნენ და ჩვენთვის ჯერ ტაბაკზე ამოაგებდნენ და მერე ისევ ქვაბში ჩაალაგებდნენ, ზევიდან ჯამს დააფარებდნენ და ნაჭაზე დაჰკიდებდნენ, რომ არ გაცივებულიყო, მაგრამ ჩვენს დაბრუნებამდე ღომი მაინც ცივდებოდა. ყველის ნაჭერს უნდა დაეკარგა ცივი ღომის უგემურობა ჩვენს პირში. თუ მჭადი გვექნებოდა სადილად, ხშირი იყო, რომ შესატანებლად ყველის მაგიერ სანელებელი გვქონდა, ნიგვზიანი სანელებელი პირდაპირ ნატვრის საგანს შეადგენდა. ათასში ერთხელ თუ, შემოდგომაზე, ქორწილიდან წამოღებულ ღორის ხორცს მოგვაწვდიდა რომელიმე „დიაკვნის“ მამა. რა თქმა უნდა, ბევრი არ გვერგებოდა, სულ ასე 30—40 გრამი, მაგრამ ამისათვისაც მადლობასა ვწირავდით ზენაარსს, რომ სულ არ დაგვივიწყა. ოთხშაბათ-პარასკევს, როგორც მართლმორწმუნე მღვდლის შვილები და მომავალი მღვდლები, აბა მარხვას როგორ გავტეხდით და უეჭველად ლობიო უნდა გვეჭამა. კვირაობით ათასში ერთხელ ქათამს გაიმეტებდა დიასახლისი, იმდენად ყაირათიანი იყო, რომ რვა „დიაკვანს“ და რვა თავის ოჯახის წევრს დაგვირიგებდა, ყველას დაგვაკმაყოფილებდა და შიმშილისაგან ფერდებჩავარდნილ ძაღლსაც ერგებოდა ძვლები სახრავად. ეს კვირადღე დიდხანს გვქონდა ხოლმე ტკბილად მოსაგონებლად. მახლობელ მდინარე აბაშასაც ვეწვეოდით სახელაოდ. ვიჭერდით, ჩვეულებრივ, ღორჯოს, ან მდინარის ტოტს გადავუგდებდით და ფაცერით სხვა თევზებსაც დავიჭერდით. ნანადირევს შინ რომ მივიტანდით, ერთი მხიარულება შეუდგებოდა ყველას. თევზის გამოწელვა, გახურებულ კეცზე შეწვა, მერე ნიგვზის საწებლის გაკეთება ღომთან შესატანებლად, დიასახლისის საქმე იყო.

შემოდგომა მეტისმეტად თბილი იყო. ბუნებამ სასწაული გამოიჩინა. გაზაფხულის ფოთლები ჯერ კიდევ ზედ ესხა ხეხილის ხეებს, რომ ერთბაშად თეთრი ყვავილებით გადაიპენტა ტყემლებისა და ალუბლის ხეები. ჩვენი მაჟალო სოსან ყვავილებით დაიხუნძლა. ყვავილობა ნორმალურად მიდიოდა. მერე ხილად გამოინასკვა და ბოლომდე რომ სითბო დასცლოდა, პატიოსნად გაიზრდებოდა და ჩვენც თავს დაგვალოცვინებდა. მაგრამ ნოემბრის სიცივემ ზრდა შეაჩერა

და ისევ მწვანედ დარჩა თავის ჩვეულებრივი სიდიდის მესამედის ტოლა. მეტი გზა არ იყო, შევურიგდით ბედს. იმედი გვქონდა, რომ ამაზე მაინც არავინ დაგვეცილებოდა და ჩვენც, მიუხედავად იმისა, რომ სრულებით მწვანე იყო და სიტკბოს ნასახიც არა ჰქონდა, მაინც ავდიოდით ზედ და ისეთი გემოთი ვჭამდით, თითქო თურაშაულ-ვაშლი ყოფილიყო.

თუ სადმე ყურძენი იყო, ვცდილობდით თუნდა რამდენიმე კუმპალი გვრგებოდა, მაგრამ ამ მხრივ ვერ გვიმარჯვდებოდა, რადგან მასპინძელს ორი თვალი ოთხად ჰქონდა ჩვენს დარაჯობაში და საქმე რომ გაუჭირდებოდა, ცდილობდა მალე დაეკრიფა და დაეწურა. რთველი უჩვენოდ არ ჩაივლიდა, რადგან ხეზე უნდოდა გასვლა და გასასვლელად კიდევ ჩვენზე უკეთეს ოსტატებს აბა სხვას ვის იშოვნიდა! ამ კრეფის დროს კუმპალი პირდაპირ ყურძნის ჩენჩოიანად ჩადიოდა კუჭში მოსანელებლად. კრეფა გათავდებოდა და ჩვენს განცხრომასაც ბოლო მოეღებოდა სიმინდის ტეხვამდე.

ენკენისთვის (სექტემბრის) გასულისათვის სიმინდიც მოსატეხი და დასაბინავებელი იყო. სასწავლებლიდან დაბრუნებულები მივესეოდით მასპინძლის ყანას, სახლიდან ორი კილომეტრით მოშორებულს. ეს ყანა ნაბატონარის მიწაზე იყო და დამმუშავებელი გლეხი მიწის პატრონს მოსავლის მეოთხედს აძლევდა. ნაბატონარიც იქ იყო, მაგრამ ის ტეხვაში მონაწილეობას არ ღებულობდა. თვალის დახამხამებაზე მოვტეხდით, კალათებით რამდენსამე კალოს დავაყენებდით. გაყოფაშიაც (სამი კალათი მასპინძლისა, ერთი—მიწის პატრონისა) ვუშველიდით და მერე მასპინძლის ურმით მის წილს სახლში წამოვულებდით და აივანზე დავუყრიდით. იმავე დღეს ან იმ ორ-სამ დღეში ღამით გავფურჩქნიდით ტაროებს, ვახშმად ჭყლინტ სიმინდს შევიწვავდით კერაზე, ცოტა გოგრასაც მოვაყოლებდით და მეორე დღეს ნასადილევს კალათებით სასიმინდეში შევუყრიდით და ასე დავუბინავებდით წლიურ მოსავალს—ორმოციოდ გოდორ სიმინდს.

საუკეთესო დღე კვირაში პარასკევი იყო.-ამ დღეს ბაზრობა იმართებოდა ნაოღალევში და ხალხი თავს იყრიდა გარშემო შორეულ სოფლებიდანაც კი; აქვე მოდიოდნენ ბანძიდან ებრაელები თავიანთი ფართლით, სავაჭროდ. მოდიოდნენ აგრეთვე ლეჩხუმელები და მოჰქონდათ ლეჩხუმიდან ხილი. განსაკუთრებით თურაშაულ-

წითელი ვაშლები და თონეში გამომცხვარი მტრედის ფორმის პურები, გომიჯებად წოდებულები. თითო პური ოთხ კაპიკად იყიდებოდა, გარშემო სოფლელთ მოჰქონდათ გასასყიდლად კვერცხები, ფრინველი, მატყლი, მოქსოვილი წინდები, შალები, ხილი, ყველი, ცაცხვის ხისაგან შინ გათლილი თაბახები და ჯამები, თიხის ქოთნები, ლიტრები და სხვ. ეს ბაზრობა ერთგვარი გამოფენა იყო აქაურების შინახელსაქმისა, პრიმიტიული ნაწარმისა და მესაქონლეობის პროდუქტისა. ეს ბაზრობა აერთებდა, ერთმანეთს ახვედრებდა მწარმოებელს, მომხმარებელს, სოფელსა და ქალაქს.

ასე მივათრევდით დროს ნოემბერ-დეკემბრამდე, როცა ჩნდებოდა ხურმა—ჩვენი მხსნელი. მთელი ფერდობები მარტვილის მონასტრის გარშემო მხოლოდ ხურმის ხეებით იყო დაფარული.

ნოემბერშივე დაიწყებდა დასავლეთიდან ქროლვას მეტად ცივი ქარი. პირდაპირ სულთქმას გვიძნელებდა. ჩვენს საზაფხულოდ შემოსილ სხეულს მეტად ცუდი დღე ადგა. ერთ ასეთ ცივ, ქარიან ნოემბერში იყო, რომ გაცივდნენ და სამი თუ ოთხი მოწაფე ზედიზედ გამოგვაკლდა. მიზეზი ასეთი სიკვდილისა არავინ იცოდა. ექიმი არა გვყავდა. შიშის ზარი დაგვეცა მოწაფეებს, ელვის სისწრაფით მოედო მთელ მარტვილს:—„დიაკვნებს“ ჭირი დაერიაო, ბევრმა წაიყვანა თავისი შვილი, კინაღამ დაგვითხოვეს ყველანი. ბედად, ამ ოთხი შემთხვევით გათავდა ეს „ჭირიანობა“ და მოწაფეთა შორის შედარებით მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ექიმი არა გვყოლია. ჩვენი საუკეთესო ექიმი იყო: საუცხოო წყაროს წყლები და, სამეგრელოს სხვა კუთხეებთან შედარებით, მშრალი ჰაერი. იშვიათად თუ ვინმე ხდებოდა ავად.

დეკემბრის პირველიდანვე ავდრები დაიწყო. ატალახდა გზები, იმატა სიცივეებმა და ამას ყველაზე მეტად ჩვენი შეუმოსავი, საზამთროდ ნაკლებ მომზადებული სხეული გრძნობდა. გარშემო მთები, განსაკუთრებით ტაბაკონა, თოვლით დაიფარა. ამ თოვლის ბარად მოსვლას დღე-დღეზე მოველოდით. მით უფრო, რომ ეგრეთწოდებული „გოლას ჩიტი“ (მთის ჩიტი), რაკი თოვლში სარჩოს შოვნა გაუჭირდა, ჩვენთან ჩამოფრინდა, იმედი ჰქონდა გულუხვ მასპინძლად დავუხვდებოდით. საქონელი უკვე სახლში დააბეს და აქ აჭმევდნენ, აქ ასმევდნენ. მათი ბაგა ზედ ჩვენს ტახტზე იყო მოდგმული.

*
* *

ქრისტეშობისთვის (დეკემბრის) 15-მდე ერთთავად წვიმდა. 15-ს ნასადილევს კი წვიმას თოვლიც გამოერია. ჩამობნელებისას წმინდა თოვლი წამოვიდა ფართო ნაფერთლებად. გვიხაროდა: გუნდაობა, ჩიტების რაგვები, შაშვებისათვის ბარდებში ძუის დადგმა, მშვილდ-ისარი, ყველა თვალწინ წარმოგვიდგა.

თოვლის მოსვლა გვიხაროდა, ერიამულითა და ტაშის კვრით ვეგებებოდით, მხოლოდ ერთი რამ გვაფიქრებდა: ვაითუ შარშანდელივით დიდი თოვლი დაედო, გზები შეეკრა და მშობლებს საშობაოდ ჩვენი შინ წაყვანა ვერ მოეხერხებინათ. წინასწარი გრძნობა გაგვიმართლდა. ღამით ისე ხვავიანი თოვლი წამოსულიყო, რომ მუხლებამდე დაედო და დილით ჩიტები და ქათმები ერთად შეერთებულიყვნენ და აივანზე მიყუჟულიყვნენ საცოდავად. ჭიდან პირის დასაბანი წყალი პატარებმა ვერ მოვიტანეთ, ისევე დიდებს უნდა ეკადრებინათ ეს საქმე, ნასაუზმევს მასპინძელმა სახლიდან ეზოს კარამდე თოვლი გაგვიკვალა.

მატყლის წინდები გვაცვია, ჩუსტები, ტილოს შარვალი და ტილოსივე ხალათი, ქვეშ ჩითის პერანგი, თავზე ყაბალახი გვახვეია. ეს არის მთელი ჩვენი სამოსი. თბილი პალტო რა არის, არ ვიცით. ათასში ერთს თუ აცვია შინ მოქსოვილი შალის ხალათი და შარვალი და გარედანაც ნაბდის გვაბანაკი (ასეთები აცვიათ მხოლოდ ჯვარელებს, სადაც თელავენ ნაბდებს).

მივდივართ დალონებულნი სასწავლებლისაკენ. ტილოს ხალათი და შარვალი თბილ ტანისამოსად ვერ გამოდგა და სიცივეს ვერ გაუწია წინააღმდეგობა. მთავარი გზა მარტო ქვეითა მგზავრთათვის არის გაკვალული. არც ურემსა და არც ცხენოსანს გაუჭაჭანია ჯერ, რომ გზა ფართოდ გაეკვალათ, ასე რომ, მოპირდაპირე მომავალი რომ შემოგვხვდება, გზის ასაქცევად უეჭველად განზე უნდა გადავიწიოთ და მკერდამდი თოვლში ჩავეფლათ. პირველად ეს გვართობს, მაგრამ, როცა ჩუსტები დაგვისველდა და წყალმა წინდებშიაც გაატანა, როცა შარვალიც დაგვისველდა, თოვლს ჩვენს თვალში სილამაზე დაეკარგა. გზა, რაც უფრო მივდივართ, თითქო უფრო გრძელდება, დამოკლების მაგიერ. გარშემო ჩამიჩუმი არ ისმის. თოვლის სიმძიმე გადასწოლია ხეებს, სახლებს, მთელ სოფელს: თით-

ქოს უნდა დაფლას, ქვეშიდან აღარ გამოუშვასო. ძაღლის ყეფაც კი არ ისმის, არ ვიცით, კლასი გამთბარი დაგვიხვდება თუ არა, რომ გათოშილ ხელ-ფეხს მოძრაობა დავუბრუნოთ, წელში გავიმართოთ, სიცოცხლის ნიშანწყალი დაგვეტყოს.

როგორც იქნა, მივატანეთ სასწავლებელს. მძიმე საყურებელი იყო დასველებული ტანისამოსი ბავშვებისა, მათი გალურჯებული სახეები, დაბუხული ხელები, რომელთაც პირით იორთქლავდნენ. კლასში ცეცხლი არ დაგვიხვდა. მეტი გზა არ არის, ერთმანეთთან ბღლარძუნით, ჭიდაობით უნდა გავთბეთ და სიცივეს არ დავეჩაგვრინოთ. ამ ჭიდაობაში მტვრის ისეთი კორიანტელი დგება, რომ მარტო ჩვენ თუ შეგვიძლია შიგ გაჩერება. მასწავლებლები კლასებში შემოსვლას ვეღარა ბედავენ. ჩვენც აბა სწორედ ეს გვინდა! უფრო გაორკეცებული მხნეობით ვმოძრაობთ, ეს მოძრაობა, საცაა, ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცევა. კლასში არაფერი ჩანს, მასწავლებელი ცხვირის შემოყოფასაც ვერ ბედავს, რომ დაგვტუქსოს, ხელი აგვაღებინოს მტვრის დაყენებაზე. ასეთი ამბავი იყო მეორე, მესამე, მეოთხე გაკვეთილზე, სანამ სიცივისაგან შეწუხებულ ბავშვებს სახლებში დაგვითხოვდნენ.

ასეთი ხასიათისა იყო ჩვენი გასართობები, სხვა უკეთესი ვერაფერი მოეგონებინა ჩვენი პრიმიტიული მოთხოვნილების მქონე ბუნებას.

ცა ჩამობნელებულია, ბარდნის, სიღრმე ემატება. ვბრუნდებით ჯგუფად შინ, რომ ერთად ვებრძოლოთ გზის სიძნელეს. დილას ვაკვალული გზა პირთამდე ამოუვსია თოვლს. ზევიდან გვათოვს, წამდაუწუმ თოვლში ვცვივით, ვსველდებით, გზა ვეღარ გავლიეთ, ის კი არა, თითქოს უარესად გრძელდებაო, გათავებას აღარ აპირებსო...

როგორც იქნა, მივედით სახლში. მაშინვე ქვაბით წყალი გააცხელეს და ხელ-ფეხი შიგ ჩავყავით ნელ-თბილ წყალში. როგორც ნამგზავრებს, საპატიო ადგილი, კერის შუა ადგილას, ჩვენ დაგვითმეს. საზამთროდ დამზადებული შეშა მხიარულად იწვოდა და გვათბობდა. მალე ორთქლი აუვიდა ჩვენს ტანისამოსს, ჩუსტებს, წინდებს. გაგვითბა ხორცი, ძვალი. კარგ გუნებაზე დავდექით. დაგვავიწყდა განვლილი წამება.

თოვას სულ უმატა და უმატა. ორ დღე-ღამეში ერთი მეტრი თოვლი დასდო. შეიკრა გზები.

დიდი თოვლისა და გზების შეკვრის გამო ერთმანეთს მოსწყდა სოფლები. მთიდან აუარებელი მგელი ჩამოვიდა ბარად, ხროვად დადიოდნენ და გლეხებს სახლებიდან სტაცებდნენ საქონელს. გზებზე მგზავრებს უხვდებოდნენ და ცხენიანად ჭამდნენ. ზოგი თოვლისა და ზოგიც მგლების შიშით მოწაფეების წამოსაყვანად ვერავინ ბედავდა მარტვილში წამოსვლას. საშობაოდ 18 თუ 19-ს დაგვითხოვეს და გაგვიშვეს ღვთის ანაბარა. თვითონ მასწავლებლები, რომელთაც სახლში მიუხაროდათ, შობის დღესასწაულებზე იძულებულნი გახდნენ მარტვილში დარჩენილიყვნენ. არ ვიცი, ჩვენს მდგომარეობაზე რამდენით იყო მათი მდგომარეობა უკეთესი. ჩვენ სახლის პატრონთან მაინც ვიყავით „პანსიონში", სადაც საჭმელს გვიხარშავდნენ. ესენი ამასაც კი მოკლებულნი იყვნენ. რესტორანი არსად იყო, რომ ესადილნათ. სამზარეულო არა ჰქონდათ, რომ წყალი აედუღებინათ ჩაისთვის. ზოგი მათგანი გარიგებული იყო გლეხთან, რომ მჭადები გამოეცხოთ მათთვის და მოხარშული ლობიო მოეტანათ ქოთნით. პარასკეობას ნაყიდ ყველს თუ შეატანდნენ მჭადს. უმრავლესობა შიმშილობდა.

ზოგიერთი ერისკაცის შვილს ჩამოუვიდა მამა წასაყვანად. ასეთებმა გაბედეს ჩამოსვლა იმიტომ, რომ თავადნი იყვნენ ან აზნაურნი, იარაღს ატარებდნენ: სატევარს, ლეკურს, დამბაჩას, ცხენებიც საუკეთესონი ჰყავდათ, გაჭირვების დროს, ცხენის გაჭენება შეეძლოთ. მღვდლებს კი, უმრავლესობას, ჯორები ჰყავდათ, რომლებმაც ჭენება არ იცოდნენ და გაჭირვების დროს ცხენივით ვერ გამოადგებოდნენ პატრონს.

ასე რომ, საშობაოდ შინ ვერ წავედით. მშვიდობით, ათასგვარო ტკბილო მოგონებავ ძიძის სახლისა! ძიძა უეჭველად ჩურჩხელებს და ტკბილის კვერს დაგვახვედრებდა; მამამძუძე საშობაოდ ღორს დაგვიკლავდა...

აქაც დაიკლა ერთი საცოდავი, მჭლე ღორი საშობაოდ, მაგრამ ჩვენ, დიაკვნები, უცხოსებრ ვუყურებდით ყველაფერს, ოჯახის წევრის მსგავს მონაწილეობას ვერა ვღებულობდით ამ პროცესში, რომელიც დამახასიათებელია ჩვენებური შობისა და ურომლისოდ შობა უფერულია. ვიცით, რომ ამ ღორისაგან ძალიან ცოტა რამ გვერგება, პირისგასახსნილებელი თუ მხოლოდ...

უფერულად, შიმშილსა და გაჭირვებაში გაიარა შობა-ახალწლის დღეებმა. ახალ წელიწადს მოჰყვა მეორე, მესამე დღე. ახლა სერიოზულად დავფიქრდით. წაყვანით ვერ წაგვიყვანეს მშობლებმა, მაგრამ მოსულიყვნენ მაინც და ვენახეთ იმ დალოცვილებს!.. რაც დღე გადის, ნაღველი უფრო და უფრო გვემატება, მაგრამ გულის სიღრმეში იმედი მაინც ბჟუტავს, რომ შეუძლებელია, ადრე იქნება თუ გვიან, არ მოგვაკითხონ, ჩვენი ამბის გასაგებად არ მოვიდნენ, რამე საჭმელი არ მოგვაწოდონ, ისიც ნაშობევ-ნაახალწლევს, როცა მღვდლის ოჯახი პირამდე სავსეა ხოლმე ყველაფრით.

მართალია, გვიმძიმს კერის მოშორება, მაგრამ ხანდახან მაინც გამოვდივართ აივანზე და ჭიშკრისაკენ გავიხედავთ,—აბა რომლის მამა მოდისო.

ერთ მშვენიერ დღეს ჭიშკართან გამოჩნდა მამაჩემი ნაბადწამოსხმული და ქუდს ზემოდან თავზე ყაბალახშემოხვეული. აბა სიხარული მაშინ უნდა გეკითხათ ყველასი და განსაკუთრებით ჩემი! გავექანე და მეც სხვები გამომყვნენ მისაგებებლად, ჭიშკრის გასაღებად. მიხაროდა მამის მოსვლა, მისი ნახვა, მაგრამ უფრო მიხაროდა ნახვა ხურჯინისა, რომელიც იტევდა ყოველსავე, რაც ჩვენ გვაკლდა და რამაც ასე სული-სულზე მოგვისწრო. ცხადი იყო, რომ მის მოტანილს უნდა გამოესყიდა მისი დანაშაული ჩემი საშობაოდ მარტვილში დატოვებისა.

შემოვიყვანეთ სახლში მამაჩემი. ხურჯინი დიდი მოწიწებით შემოვიტანეთ.

მამასთან ერთად დამსვეს სუფრის თავში. მერე მამამ მუხლებში ჩამიყენა და მომიალერსა, რომ ცოტათი მაინც დაეამებინა წყლული, ცოტათი მაინც დავემშვიდებინე ამდენი ნაწვალები. ბრძანა, ხურჯინი მასთან მოეტანათ, და ამოიღო საშობაო ღვეზლები და თავის ხელით დაგვირიგა თითო ნაჭერი. ნეტავ თუ რამ იქნებოდა იმის უტკბესი. ღორის ხორცი და სულგუნები მასპინძლის ცოლმა ცალკე ამოალაგა და შეინახა ვახშმად და მეორე-მესამე დღის საგზლად.

ლაპარაკის საგანი ეს დიდ-თოვლობა იყო. სამეგრელოს მკვიდრნი ასეთ თოვლიანობას არ მოსწრებიან. არაერთხელ შეკრულა გზები, სოფელი სოფელს მოწყვეტია, თუ ასეთ დროს ვინმე გარდაიცვლებოდა, მთელი კვირაობით დაუმარხავი ესვენა. წისქვილები

ჩერდებოდა, ტყიდან შეშა ველარ მოეტანათ და ვაზიან ხეებს სჭრიდნენ, ღობეებსაც კი სწვავდნენ ხოლმე.

ასეთივე სურათი იყო აქაც, ჩვენთან, ასე რომ, მამის ნალაპარაკევი საეჭვოდ არ მიგვაჩნდა და ძალზე გასაგებიც იყო ყველასათვის, ვინც საკუთარ თავზე განვიცადეთ ბუნების სიმკაცრე. ლაპარაკში მასპინძელი ცდილობდა, პირწყლიანობა გამოეჩინა და მამისათვის ეჩვენებინა თავისი ჭკუა, მიხვედრილობა, ეჩვენებინა, რომ დიაკვნების სიყვარული აიძულებდა შეენახა ასეთ გაჭირვებულ დროს, თავისთვის მოეკლო და მათთვის კი ეჭმია, მოევლო, ეპატრონებია,—ერთს დროს მღვდლებად გამოვლენ, იქნება ჩემს შვილებს უპატრონონ ან მე მაინც კეთილად მომიგონონო. ჰო, თქვენმა მადლმაო,—დაასრულა გაქნილმა მასპინძელმა ლაპარაკი, მხოლოდ და მხოლოდ მათი სიყვარულით ვიჭირვებ საქმესო...

არა მგონი, მამას დაეჯერებინა მასპინძლის ნათქვამი, და ჩვენ თუ გვკითხავდა ვინმე, ვეტყოდით, რომ ერთი კნინი გულწრფელობისა არ ერია მის ნათქვამში. არც ისე მიუხვედრელები ვიყავით, რომ შიმშილი სიმაძღრისაგან ვერ გაგვერჩია.

ვახშმად ღერღილის ღომი და მამის მოტანილი ქათმები გვქონდა.

მამაჩემი ლოგინში მოასვენეს იმავე სახლში, საცა მასპინძლის ოჯახობა იყო. ბარემ უმძიმდა ფეხის გამართვა ჩემს პატარა საბანს ქვეშ. მთელი ღამე არ დაეძინებოდა სიცივისაგან, რომ სახლიდან ნაბადი არ წამოეღო და არ დაეხურა. დიასახლისმა, რა თქმა უნდა, ვერ შეძლო ამ სიცივეში ცოტა რამ თავის საბან-გობანიდან მიემატებინა ჩემის სარეცელისათვის. ჩვენს ცხენსაც, რა თქმა უნდა, იმავე ჭერქვეშ მიუჩინეს ბინა, საცა ჩვენ უნდა მოგვესვენა. გობით ჯერ წყალი დაალევინეს, მერე სიმინდი აჭამეს და შემდეგ სიმინდის ჩალა დაუყარეს.

დავწექით და ცეცხლიც ჩაქრა კერაზე. სიცივე გაბატონდა მთელი თავისი სიძლიერით. მამაჩემმა იმ ღამეს თავისი თვალით დაინახა, თუ რამდენად ხელისშემწყობ პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება და სწავლა ან მე და ან ჩემთან მყოფ დიაკვნებს. მე არაფერი მითხრა, მაგრამ თვალებზე ეტყობოდა, რომ მამის გული იწურებოდა ჩვენი საცოდაობით. მაგრამ თავის პატარაობაში არც იმას უნახავს ამის უკეთესი დღე! ალბათ,—ფიქრობდა გულში,—ბედისაგან ასე

გვიწერია, სიმწარეში აღზრდილებმა სიმწარეში აღვზარდოთ ჩვენი შვილები, იქნებ ბოლოს უკეთესი დღე დაადგეს, ვინ იცის, დროებას რა მოაქვს, რა ბედს გვიმზადებსო.

ძროხის ზმუილმა, ხარების ბღავილმა, ცხენის ხვიხვინმა, ქათმების ტკრციალმა და ბატების ღაღანმა წამოგვშალა თბილი ლოგინებიდან. პირველი მე ავდექი. მამას ტანისამოსი მივაწოდე ჩასაცმელად, მერე დოქით წყალი მოვიტანე და პირი დავაბანინე, ჩემი საცოდავი პირსახოცით პირი შევაწმენდინე.

როცა ჩაცმას მორჩა, ილოცა, ამასობაში კერაზე ცეცხლი გაღვივდა და მივუჯექით, რომ ცოტა რამ გვეჭამა. ღომი გაათბეს, ხორცი გამოიღეს, ხელადით „შუაღვინო“ მოიტანეს და გვასაუზმეს. ამასობაში უფროსმა „დიაკვნებმა“ ცხენი შეჰკაზმეს მამაჩემისათვის. მამა დამპირდა, ეს თოვლმა შეგვიშალა ხელი და სააღდგომოდ უეჭველად წაგიყვან სახლში, შენი მამამძუძე მოგიყვანს ცხენს, ბზობის პარასკევს აქ იქნება, რომ მეორე დღეს წამოგიყვანოს და ზედ ბზობას შინ იყოო.

ასეთმა დაპირებამ, მომავალი აღდგომის წითელმა კვერცხებმა ერთ წამს დამავიწყა აწინდელი იწროება და სალმობანი და სანამ ცხენზე შეჯდებოდა მამა, გულმაგრად ვიდექი. ჭიშკრამდე მივყევი და იქიდან რომ გავიდა და თვალები გავადევნე, თავი ვერ შევიკავე და ცრემლები ღაპაღუპით წამომივიდა და ნიკაპს ქვეშ მესკვნებოდა. თოვლი, სიცივე, შიმშილი... ისევ თოვლი, ისევ სიცივე, ისევ შიმშილი!.. სანამდე? დიდხანს, სამ თვეს მაინც, სრულ სამს თვეს, არც მეტი და არც ნაკლები!..

ყველა უბედურებას დაერთო ხელ-ფეხის ტკივილი. ხელები ყველას დახეთქილები გვქონდა სიცივისაგან. თითებს ველარ ვშლიდით, ვერც ვკაკვავდით. ხელ-პირის დაბანა ჩვენთვის წამება იყო. რაკი კარგად ვერ დაგვებანა ხელები, ზედ ჭუჭყი გროვდებოდა და დახეთქილ ადგილებს გარშემო თითქო შავი არშია იყო შემოვლებული.

თქვენ ფეხები ბრძანეთ! აბა ტანჯვა თუ გნებავთ, სწორედ ფეხებისაგან განვიცადეთ. თოვლისაგან წინა ზამთარში დაძრულმა ფეხებმა ახლა ქავილი დამიწყო. მერე რა ქავილი! მთავარი სულ მძვრებოდა.

დაიწყო გაკვეთილები. კლასშიც ცეცხლი არ ანთია. მასწავლებელს წაღები აცვია, წაღებზე—კალოშები. ეტყობა, არა ცხელა კლასის სითბოსაგან, მაგრამ არც ჩვენს დღეშია. მის წინ ვსხედვართ გალურჯებული, მობუზული ბავშვები, რომლებსაც ტილოს ხალათშარვალი და სველი ჩუსტები გვაცვია, ფეხის თითების იარები ყოველ ფეხის განძრევაზე ან ამხანაგის მიერ უცაბედად ზედ ფეხის დადგმაზე უზომოდ გვაკვნესებს. ჩვენი გონება სხვაგანაა, შორს, სულ შორს, „სადა არა არს არცა ურვა, არცა სულთქმა", არცა უჭმელობა, არცა სიცივე, ჩვენი ოცნება დიდ ცეცხლს დასტრიალებს, ,,ქარგ-ქარგ საჭმელებს, მშობელთა ალერსიან სახეებს.

ამ ოცნების დროს მოწაფეს ერთბაშად გამოიძახებს მასწავლებელი. ერთბაშად წაუშლის საოცნებო სურათს და დაანახებს შიშველ პრობზას, აჩვენებს მის სრულ საცოდაობას, არარაობას... ეკითხება გაკვეთილს, სთხოვს მის ცოდნას მთელი სისასტიკით, უშეღავათოდ, შეუბრალებლად. სრულებით ბუნებრივი იყო სიცივისაგან შეწუხებულნი გასათბობად გავნძრეულიყავით, მივწეულ-მოვწეულიყავით, რომ ესეც კი დანაშაულად ჩაეთვალათ ჩვენს მასწავლებლებს. მხოლოდ პოლ. კვიცარიძე სთვლიდა საჭიროდ, ზოგჯერ გიმნასტიკა გაგვეკეთებინა გაკვეთილის დროს და ცოტაოდენ სითბოს დაევლო ჩვენს დაბუჟებულ სახსრებში. სიცივე მით უფრო საგრძნობელი იყო კლასში, რომ ორგან ფანჯრის შუშა ბავშვებმა მარცხად ჩაამტვრიეს და რადგან მთელს დაბაში, ხონს აქეთ, შუშის ჩამსმელი არსად იყო, ჩვენი კლასის ფანჯრის შუშებიც ჩაუსმელი რჩებოდა. მართალია, ქაღალდი გააკრეს შუშის მაგივრად, მაგრამ ბავშვებმა პირდაპირ ცნობისმოყვარეობით დააცხავეს ქაღალდი,—უნდოდათ გაეგოთ, ქაღალდის გახვრეტა შეიძლებოდა თუ არა. ასეთივე დღე ადგა სხვა კლასებსაც, საცა განგებ თუ მარცხად ჩაემტვრიათ მინები.

ფეხის თითების მოსარჩენად ხალხური წამალი ბევრნაირი იყო, მაგრამ უებარი კი არც ერთი. სხვათა შორის, აქებდნენ ყვავის თავის ტვინს, მაგრამ ეს ჩვენთვის მიუწვდომელი იყო, რადგან ყვავს მოკვლა უნდოდა და მისი მოკვლა თუ არ თოფით სხვაფრივ არ შეიძლებოდა, თოფს კი ჩვენ ვინ მოგვცემდა! გარდა ამისა, როგორც მოგეხსენებათ, ყვავი ეშმაკ ფრინველად ითვლება, მის სამტროდ წამოსულ მონადირეს შორიდანვე კოჭებში შეატყობს განზრახვას და თავსა შველის. დიდი გამოცდილი მონადირე უნდა იყო, რომ ეს

ფრინველი მოკლა. მეორე, უფრო ხელმისაწვდომ წამლად ითვლებოდა მჭვარტლი, თაფლში ადუღებული. ამ წამალს ცხელ-ცხელს გულმოდგინედ ვისვამდით და მოთმინებით ვუძლებდით, მაგრამ ჩვენი მოთმინების ეფექტი მეტად უმნიშვნელო იყო. ასე რომ, ვიტანჯებოდით ჩვენი დაიარებული თითებით, სანამ თოვლი სულ არ გადნებოდა და არ გამოთბებოდა. გაზაფხულზე იარები გაგვივლიდა, სამაგიეროდ, ერთ ხანს ქავილი დაგვრჩებოდა, ზოგჯერ წყლულზე არანაკლებ მწვავე, იმდენად მწვავე, განსაკუთრებით ფეხის გულზე, რომ გამწარებულმა ათი წლის ბავშვმა კარგად გალესილი დანა ავიღე და ფეხის გულზე ცერს ქვემოთ ღონივრად მოვუსვი და ერთი სანტიმეტრის სიღრმეზე და სიგრძეზე ჩავჭერი... წამოვიდა მელანივით შავი, სქელი სისხლი, მეგონა ამით განმეკურნებოდა სატკივარი, თუმცა მაშინ კი მომეშვა ქავილი, მაგრამ მეორე და შემდეგ წელიწადებში ქავილიცა და თითებზე იარები მაინც მიჩნდებოდა. მაშინდელი თოვლით დამძრალი ფეხები ახლაც მაგონდება და ნათლად წარმომიდგენს მოწაფეობის განვლილ სურათს და მასთან დაკავშირებულ მწარე დღეებს. გაიარა აღებამ, დიდმარხვამ. აჰა, ძლივს გათენდა პარასკევი, ის ბედნიერი დღე, როცა მეორე-მესამე გაკვეთილს შემდეგ უნდა დაგვირიგონ სააღდგომო „ბილეთები“, ანუ შინ წასასვლელი მოწმობა, რომელშიაც ჩვენი სწავლა-ყოფაქცევის ნიშნებიც უნდა ყოფილიყო. ისიც დაგვირიგეს. საგნებში კარგი ნიშნები მაქვს, ისეთები, როგორიც ეკუთვნის კლასში მესამე მოწაფეს. ვამაყობ კიდეცა ამით, იმედი მაქვს მამას გავახარებ და კვერცხებს უფრო მეტს მოვაცემინებ.

უკვე მზე ჩასულიყო, რომ მეზობელი დიაკვნების წამყვანნი მოვიდნენ: ჯერ ერთისა, მერე მეორესი, მესამესი, მეოთხესი... შეიქნა ერიამული, სირბილი, სიცილი, ფაცაფუცი, ნამგზავრი ცხენებისათვის ჩალის საშოვნელად იქით-აქეთ წყვეტება. ბოლოს, გამოჩნდა ჩემი მამამძუძეც. ჩვენი ლურჯა ცხენის მაგიერ თეთრი ცხენით მოვიდა. მეზობლისაგან ეთხოვა. მე რომ ვკითხე ჩვენი ცხენის ამბავი, მითხრა: მოიპარეს, შვილო, ან აქამდე როგორ შეარჩინეს ქურდებმა მამაშენსაო. მართლაც ცხენის ქურდები მაშინ მხოლოდ ჯორს არ ახლებდნენ ხელს, ცხენს კი, ისიც მღვდლისას... თუ კი ცოტათი ვარგოდა, მოუპარავს არ გაუშვებდნენ.

ბარემ საწყენი ამბით დაიწყო მან ჩემი სახლის ამბების მოყოლა, მაგრამ მალე დამავიწყდა. წასასვლელი ვიყავ, აქაურობას უნდა მოვშორებოდი, სააღდგომოდ მივდიოდი. ხუმრობა ხომ არ იყო!... ნაღვლისა და დარდისათვის განა მეცალა, როცა ფრთაშესხმული სიხარული და დაუსრულებელი ნეტარება მომელოდა...

დიდ ზამთარ გამოვლილ გლეხებს სიმინდის ჩალა სრულებით გამოელიათ. უკანასკნელ ხანში საქონელი თითქმის უჭმელად ებათ.

ასე რომ, ჩვენს წასაყვანად მოსული ცხენისათვის ჩალის შოვნის იმედი არ გგქონდა. არც ის შეიძლებოდა, რომ ნამგზავრი და მეორე დღეს ისევ გზისათვის შესაყენებელი ცხენი უჭმელად დაგვეტოვებინა. დავტრიალდი, საცა კი მანეულები მეგულებოდა, ყველას დავურბინე. პირველი ფოთოლი ამ ხეებს ესხათ, ჩუმად დავამტვრიე ქორფა ტოტები და დავუყარე იქავ დაბმულ ცხენს, თან ხმისამოუღებლად, თითქოს ბოდიშს ვიხდიდი მის წინაშე, რომ მეტი ვერაფერი მოვუხერხე. დამშეული ცხენი ხარბად ახრამუნებდა დაყრილ ქორფა ტოტებს და მათ შიგ აყოლებდა ქორფავე ფოთლებს. მერე აქა-იქ მივატარ-მოვატარე, რომ ამოსულ ბალახისათვისაც გაეკრა კბილი. ყოველსავე ამას მასპინძლის უჩუმრადა ვშვრებოდი, თორემ რომ დავენახე, შუბლზე არ მაკოცებდა.

საღამოს ცხენი სახლის ახლო დავაბი, რომ ქურდებისაგან დამეფარა და მე წაუსვლელი არ დავრჩენილიყავ. ჩემმა მამამძუძემ ქალამნები მიწაში ჩაფლა, რომ ჯერ ეს ერთი—ძაღლს არ მოეპარა და, მეორეც —დარბილებულიყო. მამამძუძე ჩემს საცოდავ მოკლე ლოგინში მოვასვენე. ღამე ბანჯგვლიან გულში მაგრად ჩავეხუტეტკბილი იყო, სულ პატარა ბევრჯერ ჩავხუტებივარ გულში, მოუალერსნია. მერე მხარზე შესმული რამდენი ვუტარებივარ მეზობლებში.—კარგ ბროწეულს, თუ ვაშლს სადმე იშოვნიდა, სულ ჩემთვის მოჰქონდა, საკუთარ შვილებს აკლებდა და მე მაძლევდა. როცა გულზე მიმიკრა, ყველაფერი ეს მომაგონდა, თვალწინ წარმომიდგა და გული ამიჩვილდა...

ინათა თუ არა, ავდექით. შევკაზმეთ საჩქაროზე ჩვენი ცხენი. მცირე რამე ვიხმიეთ. ცხენზე შემსვა მორდუმ, თვითონ ქვეითად გამომყვა, პირჯვარი გადვიწერეთ და გავუდექით გზას. გზაში ზოგს ჩვენ დავეწიეთ ჩვენისთანებს, ზოგი ჩვენ დაგვეწია და შეგვექნა მთელი ქარავანი. მივდივართ მხიარულად, ჟივილ-ხივილით, სიმღე-

რით. ქვეყანას გვინდა შევატყობინოთ ჩვენი მხიარულება. გზის პირას გადმომდგარ სახლებიდან გვიცქერიან მიმავლებს და ერთმანეთს გასძახიან—დიაკვნები მიდიან, დიაკვნებიო! ბუნებაც მხიარულადაა და მგზავრობას სასიამოვნოდ გვიხდის. მზე გვათბობს, ისმის ხშირი ჭყიპინი ჩიტებისა, საქონელი გარეთ გამოშლილა და ზამთრის შიმშილობის შემდეგ ამწვანებულ მინდვრებზე საკვებს ეძებს. ხეხილის ხეები აყვავებულია და თვალს გვიხარებს.

ცხენზე მორდუც დავსვი და მე უკნიდან მოვუჯექი. ცხენი, რაც შეუძლია, ჩქარობს, მაგრამ არა იმ სიჩქარით, როგორითაც მე მინდა. ოთხ ამდენად რომ განავითაროს ეს სიჩქარე, მე მაინც არ მეყოფა. მე მინდა ზღაპრის „ნატვრის ხალიჩა“, რომ ერთბაშად ამწიოს და ჩემებთან დამსვას, რომ იქ ციბრუტივით დავტრიალდე და ყველას დავუარო. მორდუმ უკვე მიამბო ყველაფერი, რაც საამბობელი იყო. სათქმელი არაფერი დარჩა. მე კიდევ ვუამბე, რა გვასწავლა მასწავლებელმა ებრაელების მიერ ქრისტეს წვალების შესახებ. მორდუ მოწიწებით მისმენდა და ბოლოში რომ ჩავედი, სასოებით პირჯვარი გადაიწერა, პატივება სთხოვა იმას, ვისი აღდგომაც ამ ერთ კვირაში უნდა გვედღესასწაულა, რომ არ შეგვეძლო თავის დროზე მივშველებოდით...

საღამო ხანზე ძიძასთან მივედით. ყველანი ჟივილ-ხივილით ჭიშკართან მოგვეგებნენ. შეიქნა ერთი ხვევნა-კოცნა...

იმ ღამეს ძიძასთან ვიწექი. ძალიან მომიალერსა ამდენი ხნის უნახავს, საშობაოდ მარტვილში დარჩენილს. მე ძუძუებში ჩავუყავი ხელი, მოვიგონე პატარაობა, ოდეს ამ ძუძუს მაწოვებდა, მზრდიდა, საკუთარ შვილებში არ მარჩევდა. ტკბილი იყო მოგონება. ამასობაში დღისით ნამგზავრს ძიძის მკერდზე ტკბილად მიმეძინა. ტკბილი სიზმრები ვნახე... მეორე დღეს გვიანობამდე არ გამღვიძებია.

სადილად ხობში ნაყიდი ფარგა გვქონდა, ნიგვზის საწებელი და ღერღილის ღომი. დიდი ხანია, ნახევარ წელიწადზე მეტი, რაც ასეთი დამშვიდება და ლხენა არა ღირსებია ჩემს მუცელს. სხვა მოსუფრალნიც მასვე განიცდიდნენ მთელი ორმოცი დღე მარხულობის შემდეგ. ჩემმა გამზრდელმა მუცელზე კმაყოფილებით გადაისვა ხელი და თქვა—ბარემ კარგი იქნებოდა, ასეთი სადილი ხშირად ჰქონდეს კაცსო.

ნასადილევს ერთი მივირბინ-მოვირბინე, ამასობაში ჩემს მორდუს ცხენი შეეკაზმა და მამაჩემთან წასასვლელად გამოვეწყვეთ. ჩემს ძიძას, ძიძიშვილებს ბარემ სწყდებოდათ გული, რომ აღდგომას მათთან არ ვიქნებოდი. გამომეთხოვენ, ძიძამ თავზე ხელი შემომავლო, შემსვეს ცხენზე, მორდუ წინ გამიძღვა და გავუდექით გზას.

***

მზე ჩასული არ იყო, რომ მივადექით ჩვენს სახლს. ჭიშკართან ჩვენი მურა მოგვეგება ყეფით. რომ დამინახა, კუდი მოიღრიკა და ცხენიდან ჩამომხტარს შემომახტა და თავისებურად კოცნა დამიწყო. გამომეგებნენ ყველანი. მამამ დამკოცნა, მერე მოშორებით დამაყენა და ისე მიცქეროდა დაკვირვებით. ცხადია, მეტად გამხდარი ვეჩვენე. „იმ მოუნათლავებს შიმშილით მოუკლავხარ, შვილო!“—მითხრა მწუხარედ. შიმშილით და მერე როგორი შიმშილით!... ძველებური დაყუდებულების მარხულობა და შიმშილობა ჩვენს შიმშილთან მონაგონი არ იქნებოდა. მანუგეშა: მარხვა ერთი კვირაღა დაგვრჩა, მერე სულ ბევრი ხორცი და მაწონი გვექნებაო. „ჭარამეს“ მაგიერ ახალი ძროხა შევიძინეთ, ხბო მოიგო და სანამ აქ იქნები, რძე და ფაფა გამოულეველი გექნება, ნათლიდედა დუდუხანი მაწონსა და სულგუნებს არ მოგაკლებსო.

მერე მამამ ბილეთი გამისინჯა. ეტყობოდა, ნიშნებით კმაყოფილი დარჩა, თვალები გაუბრწყინდა, თავზე ხელი გადამისვა, მაკოცა, მე ცას ვეწიე, რომ მეცადინეობა დამიფასდა, მამის გული მოვიგე.

როცა სახლში მივიარ-მოვიარე, მეზობლებს დავურბინე. ყველას უხარიათ ჩემი ნახვა, უკვე სხვანაირად ვეჩვენები, თავზე ხელებს მავლებენ, მლოცავენ უდიდესი ლოცვით: შენი მღვდლობა მოასწროს მამაშენსაო!... თან, გამოთხოვებისას, სააღდგომოდ კვერცხებს მაძლევენ, ზოგი სულგუნს მატანს. ნათლიდედა დუდუხანთანაც კი მოვასწარ მისვლა. თავზე შემომევლო, რომ ჩემი მისვლა ვაღირსე. მას სამი ციცრის კვერცხი ეშოვნა სადღაც და შესაღებავად, აღდგომის კვერცხებზე დასარტყმელად მომცა.

ზედ წითელ პარასკევს სააღდგომოდ ბატკანი მოგვიყვანა ჩვენმა შორეულმა ნათლიმამამ. ყველას საქმე გაგვიჩნდა: ყველანი თავს ვევლებით თეთრ, ლამაზ, ფუნჩულა პირუტყვს... კვერცხები რომ

შეგვიღება ფეჩეიამ, ბატკანსაც შევუღებეთ წითლად შუბლი, კუდი, გვერდები. ასე რომ, თეთრ-წითელა ცხოველი გამოგვივიდა. დაგვყავს, საცა კი ახლად ამოსული ბალახი გვეგულება. ხის ტოტებს ვუმტვრევთ, ძალათი ვჩრით პირში, მაგრამ როგორღაც ერიდება, სულ კიკინებს, დედას ეძახის. ცხადია, რძე უნდა. აბა საღამომდე რაღა იქნებოდა და საღამოს ძროხა რომ მოწველეს, ფეჩეიას ერთი ჯამი რძე გამოვართვით, მე ბატკანი დავიჭირე, სხვებმა ჯამი, ტუჩები ჩავუყავი რძეში და ამით ვანიშნე—უნდა ჭამო-მეთქი. ისიც სვლეპდა, მაგრამ, ეტყობოდა, გემოს ვერ ატანდა,—დედის ძუძუები სულ სხვა იყო, სულ სხვა გემო ჰქონდა. ამასობაში ორი გოჭიც მოიყვანეს. აბა მაშინ გაგვიჩნდა თავში საცემი! სიმინდი დავუყარეთ, არა სჭამეს, ბატკანივით ვერ ვატარეთ ჩვენს ჭკუაზე, სულ სადღაც იწევდნენ, გაქცევას რჩეობდნენ, ალბათ, დედისკენ. მეტი გზა არ იყო, კალათს ქვეშ დავამწყვდიეთ და კალათსაც ზევიდან ქვა დავადეთ, რომ არსად გაქცეულიყვნენ.

რაკი ჩუსტები ძალზე შებერტყილი მქონდა, ახალი წუღები შემიკერეს, შემიკერეს აგრეთვე საზაფხულო ხალათი და შარვალი. შაბათს მოჯამაგირემ დანა გალესა და ერთი გოჭი დაჰკლა. მისმა ჭყვირილმა იქაურობა აიკლო, თან გვეუბნება—ბატკანიც უნდა დავკლაო. ჩვენ პროტესტი განვუცხადეთ, ბატკანს დასაკლავად არ ვაძლევთ. მამა ჩაერია საქმეში და დაგვარწმუნა დაგვეთმო მოჯამაგირისათვის. როცა მოჯამაგირემ ყელში დანა გამოუსვა და სისხლი წამოვიდა, ცრემლები ვეღარ შევიკავეთ. დავცქეროდით ჩვენს ბეკეკას, რომელსაც არც 'დანის გამოსმამდე ამოუღია ხმა და აღარც მერე, ისე ჩუმად დალია სული და დახუჭა თვალები. აივნის ბოძზე ჩამოჰკიდეს, გაატყავეს და გამოსწელეს, მერე გრძელ შამფურზე წამოაგო მოჯამაგირემ გოჭი და ბატკანი, რომ საღამოს შესდგომოდა კერის იქით-აქეთ მათ შეწვას. ფეჩიამ აღდგომისათვის ღომის-ღომი მოამზადა მოსახარშად, ტყემალიც დაკრიფა ბატკნისათვის საწებლად, ხოლო ქათმისა და გოჭისათვის ნიგვზის საწებელი გააკეთა. ასე რომ, აღდგომის სადილისათვის ღომიღა იქნებოდა მოსახარში, სხვა ყველაფერი მზად იყო. ჩვენც თავები დაგვაბანინეს და 8 საათზე დაგვაწვინეს, რომ დილით, 3 საათზე წირვაზე წასასვლელად გავეღვიძებინეთ, არ გვეძინებოდა, მაგრამ მაინც დავწექით. ახალი ტანისამოსი, სამო-

გვის წუღები თავთან დავილაგე, იქვე დავაწყვე ნაწილი შეღებილი კვერცხებისა, წირვაზე წასაღებად.

მამა დიდი ხანია წასულია ეკლესიაში. ჩვენ მერე უნდა წავიდეთ. მოგვესმა ძახილი მეზობლის ბავშვებისა: ეკლესიაში წავიდეთო. გავიღვიძეთ, საჩქაროზე ტანთ ჩავიცვით, პირზე წყალი შევისხით, ჯიბეებში აქეთ-იქით კვერცხები ჩავიწყვეთ და გამოვედით გარეთ. წირვაც გამოვიდა. ყველანი გამწკრივდნენ ეკლესიის მოაჯირის გასწვრივ. ყმაწვილები ვადგენთ ჯგუფებს, ჯიბიდან კვერცხებს ვიღებთ, ვსინჯავთ კბილებით და ვურტყამთ ერთიმეორეს. გატეხილ კვერცხს ვფცქვნით, თითქმის მთლიანად ვყლაპავთ ამდენი ხნის მარხულობით დასუსტებულნი და სახსნილოს დანატრებულები...

ამასობაში მამასა და მის დიაკვანს მეც ვუერთდები და ვეხმარები საფლავებზე საკურთხების კურთხევაში. სხვა სურსათთან ერთად აქ საპატიო ადგილი უჭირავს წითელ კვერცხებს. სააღდგომო საკურთხში უეჭველად წითელი კვერცხებიც შედის. მიცვალებულს წითელი კვერცხებით ულოცავენ ჭირისუფალნი ჯვარცმულის აღდგომას. დიაკვანი რომ იტყვის თავის სათქმელს, მე „ქრისტე აღსდგა“ რუსულად ვუგალობებ, ასე რომ, ჩემი წილი დიაკვნობა მეც გაწეული მაქვს და ამისათვის დავიმსახურებ უფლებას წითელი კვერცხებიც ავიღო, რამდენსაც ჩემი ორი ჯიბე ჩაიტევს და მერე დავახარბო ტოლებს.

ნასადილევს დაიწყებოდა ჯარობას წასვლა ეკლესიის გვერდით მდებარე მინდორზე, სიმღერები, ცეკვა-თამაში, ბურთაობა, კვერცხების დარტყმა, ფალავან-კვერცხების გამოსვლა ასპარეზზე: ციცარის კვერცხები, ჩაკირული კვერცხები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ვისაც დაუნახავდნენ ჩაკირულ კვერცხებს, შინაური სასამართლო აიძულებდა ასეთი კვერცხებით გატეხილი კვერცხების დაბრუნებას პატრონისათვის და თვით კვერცხს დაუმტვრევდნენ. იმასაც ხმის ამოღება არ შეეძლო, თუ უარესი აურზაური არ უნდოდა აეტეხა.

არდადეგებიც გათავდა. ახალი კვირის ორშაბათს სკოლაში უნდა გამოვცხადებულიყავი. უკვე დაბნელებული იყო, როცა მარტვილში მასპინძლის ჭიშკარს მივადექით. მოგვეგებნენ, ჭიშკარი გაგვიღეს, მხიარულად დაგვიხვდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ ცარიელები არ მიუვიდოდით. ხარბად უყურებდნენ თავმოკრულ ხურჯინს, რომელიც საჯდომის შორიახლო იდო, და რომელშიაც ეგულებო-

დათ ათასი რამ გემრიელი. თვალები უფრო გაუბრწყინდათ და კინაღამ უპეებიდან ამოუცვივდათ, როცა მამაჩემმა ხურჯინი მოსწია, ბაწარი შეახსნა და იქიდან სასოებით ამოალაგა შემწვარი დედლები, ბატკნის ფეხები, პურები, ხაჭაპურები, შეღებილი კვერცხები, სულგუნები... ყველას პირზე ნერწყვი მოსდიოდა..

ვახშამი სანაქებო იყო. ჩემი მოსვლა დიახაც გასახარელი გამოდგა. მამაჩემთან ყველანი ქათინაურებს მეუბნებოდნენ. იშვიათი მეცადინე და ჭკვიან დიაკვნად გამოვყავდი. მამაჩემს უხაროდა ჩემი ქება, მე კი გულში ვიცინოდი და ვამბობდი,—გიცნობთ, შვილონიასა, ვიცი, რისთვისაც დავიმსახურე თქვენი ქება და ჩემი აღმატება მამიჩემის თვალში. ერთი ორი დღე გავიდეს, შემოგველოს მოტანილი საგზალი, აბა მაშინა ვნახოთ, რა ლექსებით დამიწყებთ შექებასმეთქი.

მეორე დილას მამა, სანამ უკან დაბრუნდებოდა, სასწავლებელში გამომყვა, რომ ბილეთი და ჩემი თავი თავისი ხელით ჩაებარებინა სასწავლებლის უფროსისათვის. ჩ

რეთ. უმთავრესი საგანი საღმრთო ისტორია იყო. რაკი ამას გადავრჩით, დანარჩენების არ გვეშინოდა. რუსული «Руководство»-ს რამდენიმე პარაგრაფი გავიზეპირეთ. გამოცდაზე მასწავლებელს გარდა ინსპექტორიც დაესწრო. გამოცდის დროს ცოტა რამეს ისიც გვკითხავდა. მაგრამ მის კითხვას ჩვენი პასუხი, ეტყობოდა, სათოფეზე არ უდგებოდა, ღიმილს კი ჰგვრიდა. თქვენ წარმოიდგინეთ ჩვენი მარტვილური რუსული, სიტყვების დამახინჯება, განსაკუთრებით ხმის ამაღლება! დიდხანს არ დარჩენილა ჩვენთან, მეორე წელიწადს საღღაც წავიდა, თორემ იმასაც დავავიწყებდით რუსულს, უკეთეს შემთხვევაში ჩვენებური ხმის ამაღლებით ავალაპარაკებდით...

ვერ წარმოგვედგინა, ჩვენებურს როდისმე ისე ესწავლა რუსული, რომ ამ ენაზე ლაპარაკი შეძლებოდა. ბედნიერად, ნეტარად, არაჩვეულებრივ კაცად მიგვაჩნდა, ვინც შეძლებდა ამ დაბრკოლების დაძლევას. ჩვენი ორი წლის „სწავლა“ ამ ენისა სრულ საბუთს გვაძლევდა ასე გვეფიქრა, თუ ასეთი ტემპით ვივლიდით და მასწავლებელიც ამ ენის მცოდნე არ შეგვხვდებოდა.

ანგარიშსაც გადავურჩით. სალაპარაკო არაფერი გვქონდა, თორემ სულ თავი მოგვეჭრებოდა. გამრავლების ტაბულიდან საკლასო დაფაზე დაგვიწერდნენ მაგალითს და ჩვენც წერითვე უნდა მიგვეცა პასუხი.

ქართულში კი თავი ვისახელეთ. ლექსები, რაც გვესწავლა „დედა ენაში“, თითქმის ყველამ ვიცოდით ზეპირად. ცოტა მეგრული აქცენტით ვამბობდით, მაგრამ უამისობაც არ შეიძლებოდა. პატარა მოთხრობებიც კარგად წავიკითხეთ. საქმე რომ კარგად მიდიოდა, იმაზე ვატყობდით, რომ მასწავლებლის ასისტენტები სულ „ბარაქალას“ გვეუბნებოდნენ.

გათავდა გამოცდები. ორმოცდაათი კაცისაგან ხუთი დარჩა იმავე კლასში. სხვები გადაგვიყვანეს მესამე მოსამზადებელში. დაგვირიგეს ბილეთები „ეგზამენების“ გათავებისა და შემდეგ კლასში გადასვლის აღსანიშნავად. პარასკევობას თითო ჯამზე მეტი ბალი ვიყიდეთ. ვისაც საყიდელი ფული არა ჰქონდა (1 კაპიკი), დავპატიჟეთ და ამით აღვნიშნეთ ჩვენი სიხარული და კმაყოფილება.

შევუდექით წასასვლელად მზადებას. ყოველი აქ გატარებული ზედმეტი დღე თითო წელიწადად გვეჩვენებოდა. თვალი სულ ჭიშკრისაკენ გვეჭირა, საიდანაც მოველოდით მხსნელს. ფოსტა მაშინ ან

იყო, რომ წერილით შეგვეტყობინებინა მშობლებისათვის გამოცდების გათავება და ჩვენი მზადყოფნა წასასვლელად, ან იმათ შემოეთვალათ რამე ჩვენთვის.

გავიდა ზაფხულიც, შეიქნა მზადება სამარტვილოდ; ჩემთან ერთად ამ წელიწადს მარტვილში უნდა წამოგვეყვანა ჩემი უმცროსი ძმაც. ისიც უნდა შეგვეყვანა სასწავლებელში, ისიც უნდა მომზადებულიყო სამღვდლოდ. მამასაც ხარჯი ემატებოდა. ტანისამოსის შეკერვა, მერე თვიურად იმისთვისაც ხუთი მანეთის გადახდა. ყოველთვიურად თუმნის გადახდა მაშინდელი სოფლის მღვდლისათვის ადვილი საქმე არ იყო.

ერთს ცხენზე საბან-გობანი აჰკიდეს და ზედაც მე დამსვეს, ხოლო მამამ ჩემი პატარა ძმა უკან მოისვა და გავუდექით გზას.

ჩემი უმცროსი ძმაც მამამ სასწავლებელში ჩაარიცხვინა. მე, როგორც უფროსს, დამავალა უმცროსის ყურისგდება, პატრონობა და თვითონ კი წასასვლელად მოემზადა. კარგა მანძილზე გავაცილეთ მამა, გამოვეთხოვეთ დაღონებულს და შინ დავბრუნდით. ჩემმა პატარა ძმამა თავი ვერ შეიკავა და ტირილი დაიწყო,—მამა წავიდა და აღარ მოვაო. მე როგორც უფროსი და გამოცდილი, ვანუგეშებდი—მამა საშობაოდ ჩამოვა, შინ წაგვიყვანს და ყველაფერი გვექნებამეთქი, მანამდე აქ პარასკეობა იციან, ხილს ვიყიდით და ვჭამთ-მეთქი.

* * *

მეორე დღეს სასწავლებელში წავიყვანე ძმა, შევუძეხ კლასში, მივიყვანე მერხთან და ადგილი ვუჩვენე, აქ დაჯექი-მეთქი. თან სხვებს დავანახვე: ჰა, ფრთხილად, არ დამიჩაგროთ, ხომ ხედავთ, უფროსი ძმა ვყავარ პატრონად და მზრუნველად და თუ ვინმემ რამე გაუბედეთ, ჩემთან გექნებათ საქმე-მეთქი.

მე მესამე განყოფილებისაკენ გავწიე. როგორ იქნებოდა სიამაყე არ მეგრძნო. ხუმრობა ხომ არ იყო: მთელი ორი წლის სტაჟი მქონდა სწავლისა და გამოცდილებისა, მესამე განყოფილების მოწაფე მერქვა, არც ისე ადვილად ხელწამოსაკრავი ვიყავი.

სწავლა დაიწყო. მასწავლებლები ძველები შეგვრჩნენ. მხოლოდ სწავლებაში ახალი ის იყო, რომ ქართულს გარდა, ყველა საგანს რუსულად გვასწავლიდნენ.

დავიწყეთ საღმრთო ისტორიიდან—უმთავრესი საგნიდან. სახელმძღვანელოდა გვქონდა დეკანოზ სმირნოვის წიგნი «Священная история ветхого и нового завета». ამ საგნის მასწავლებელი კლასში რომ შემოვიდა, პირდაპირ რუსულად დაგვიწყო ლაპარაკი იმათ, ვინც შარშან გ. კალანდარიშვილის «Руководство»-ს საშუალებით ოთხიოდ პარაგრაფი გავიარეთ და იმდენი რუსული ვისწავლეთ, რომ ვიცოდით «человек» კაცი იყო და არა ხე. რა თქმა უნდა, რასაც გვეუბნებოდა მასწავლებელი, არაფერი გვესმოდა, მხოლოდ სურათების საშუალებით ვხვდებოდით, რაც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იგივე მოკლედ შარშან ქართულად გვასწავლა იმავე მასწავლებელმა. რადგან არც მასწავლებლის ნათქვამის განმეორება შეგვეძლო და აღარც წაკითხულის შინაარსის თუნდ დაახლოებით გადმოცემა, მივმართეთ იმავთავითვე სამეგრელოს სასწავლებელში შემოღებულ და ნაცად ხერხს სწავლისას—ზეპირობას. სახლის პატრონის ეზოში თითოეულს ამოჩემებული გვქონდა ადგილი, ხესა და ხეს შუა მდებარე, ასე 10—15 მეტრის მანძილისა. გვეჭირა წიგნი და თითოეულ წინადადებას წავიკითხავდით და ვიმეორებდით ოთხჯერ-ხუთჯერ. მთელი გაკვეთილი ათ-თხუთმეტ წინადადებიანი ან სტრიქონიანი იქნებოდა. ჯერ, ასე ვთქვათ, შავად ვისწავლიდით თითოთითო წინადადებას, ხმამაღლა, მერე „თეთრად“ მოვყვებოდით თავიდან ბოლომდე და მანამ ვიძახდით, სანამ თვალხუჭელა პირზე დორბლმორეულები ყველა წინადადებას ერთმანეთს გადავაბამდით და ერთად ვიტყოდით მთელ მოთხრობას. საინტერესო და შესაბრალისი საყურებელი უნდა ყოფილიყო შორიდან, ეზოში ექვს-შვიდ ალაგას მანქანასებ იქით-აქეთ მოსიარულე „დიაკვნები“, ღანღალა-გამოლეულები, წაქცევაზე მისულები!..

მეორე დღეს მასწავლებელმა ჯერ ამოიკითხა ყველა მოწაფის გვარი, შეამოწმა კლასში ვინ მოვიდა და ვინ აკლია. ახლა უყურებს გვარებს ხან ზევიდან, ხან ქვევიდან, არჩევს ვისა ჰკითხოს, ჩვენ გულისფანცქალით ვადევნებდით თვალს ყოველ მის თვალის მოძრაობას, ანბანის წესზე გვარებში რომელ მოწაფის გვარს ამოიღებდა ნიშანში, ვის დაადგება განსჯა-განკითხვის დღე. ყველა იმასა ვნატრობთ, აგვცდეს ასეთი ბედი. გამოიძახა გვილავა.

— Отвечай урок!

— Сотворение мира. В первый день Бог сотворил свет...— ესა თქვა და გაჩერდა.

— Дальше!

— В первый день Бог сотворил свет.

— Тебе говорят—дальше!

— Бог сотворил свет....

— Садись, осел!...

— Панцулая, отвечай урок!

— В первый день Бог сотворил свет. Во второй день Бог отделил небо от земли...—გაჩერდა.

— Дальше!

— Во второй день Бог отделил небо от земли....

— Дальше!..

დუმილი.

— დაეგდე!..

«Бог отделил небо от земли»-ის იქით ვერ წავიდა ვერც მესამე, ვერც მეოთხე. მასწავლებელი ცხარობს. გამოიძახა მეხუთე. აწყობილ მანქანასებ დაიწყო. სამი წინადადება კარგად თქვა და გაჩერდა. ამ დროს ამხანაგმა „უპადსკაზა“ ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა, და იმანაც ბოლომდე ჩაუკენჭა ნირშეუცვლელად, იმავე კილოთი, რა კილოთიც დაიწყო. ყურადღება არ მიუქცევია სასვენი ნიშნებისთვისაც, თითქო ასეთები არც კი არსებულა. მთელ კლასს ჭირის ოფლმა დაასხა. ყველას სული კბილით უჭირავს. მეექვსე და მეშვიდე გამოძახებულიც უსირცხვილოდ გამოდის. პირველ სამს მასწავლებელი ერთიანებს უსვამს. მეორე სამს—სამიანებს და გადადის ახლა შემდეგი გაკვეთილის „ახსნაზე“ რუსულად; ქართულად ერთი სიტყვა არ მოიშველია, ისე „აგვიხსნა“ გაკვეთილი, წიგნშიაც დაგვინიშნა „აქედან აქამდისო“. ამასობაში ზარიც დაირეკა.

ასე მიდიოდა ამ საგნის სწავლება წლის დასასრულამდე. გავიარეთ შემოკლებით ძველისა და ახალი აღთქმის ისტორია. იმის წყალობით, რომ იგივე ქართულადა გვქონდა გავლილი, მთავარი ფაქტები ჩაგვრჩა მახსოვრობაში, ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობაც შექანიკურად შევითვისეთ.

ახლა რუსული.

დავიწყოთ იქიდან, რომ რუსული ენის სწავლება ჩაბარებული ჰქონდა სხვა მასწავლებელს. გ. კალანდარიშვილის «Руководство», სადაც ქართულ სიტყვებს და ქართულად ახსნას რუსული სიტყვებისა მაინც შევხვდებოდით, უკუგდებულ იქნა. მის მაგიერ გვაყიდვინეს უშინსკის «Детский мир», ეს წიგნი შედგენილია საკუთრივ რუსი ბავშვებისათვის, აღებულია რუსული ცხოვრება და ამ ცხოვრებაზე აგებულია ყველა შიგ მოთავსებული მოთხრობა თუ ლექსი. რუს საუკეთესო პოეტებს—პუშკინს, ლერმონტოვს, ნეკრასოვს საპატიო ადგილი უჭირავთ. რუსული სკოლებისა და რუს მოწაფეთათვის, იმ დროისათვის ეს წიგნი საუკეთესოდ იყო შედგენილი.

მაგრამ რამდენადაც ახლო იყო წიგნი რუსი ბავშვის წარმოდგენასთან, რამდენადაც ხვდებოდა ყოველი მოთხრობა თუ ლექსი რუსი ბავშვის გულს, ახარებდა, აღელვებდა, ხან ატირებდა, იმდენად არას ეუბნებოდა ქართველი ბავშვის, ისიც რუსულის უცოდინარის გულსა და გონებას. ვერავინ დაგვარწმუნებდა, რომ ეს წიგნი ჩვენს სატანჯველად, ჩვენს საწამებლად არ იყო გაჩენილი...

მასწავლებელი გვაძლევდა გაკვეთილებს, ეს გაკვეთილები შედგებოდა როგორც მოთხრობისა, ისე ლექსებისაგან. ხშირად იყო აღწერილი რუსული სოფელი, რუსული ზნე-ჩვეულება, ცხენით ხვნა მიწისა, თიბვა ბალახის, მკა, ლეწვა პურისა, სოფლის მეურნეობის იარაღები, ზამთრობით ციგაობა, მდინარის გაყინვა, რაც არამც თუ არ გვინახავს, გაგონებითაც კი არ გაგვიგია.. განსაკუთრებით თავებს ვიმტვრევდით და მაინც ვერ წარმოგვედგინა, ისიც სამეგრელოს მცხოვრებთ, დიდი მდინარე როგორ უნდა გაყინულიყო, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ იმოდენა წყალი გაემაგრებინა, გაეჩერებინა, დენა შეეწყვეტინებინა... თევზებიც ხომ შიგ უნდა მოჰყოლოდნენ, ისინიც უნდა გაყინულიყვნენ, დახოცილიყვნენ და ზაფხულში თევზის ჭერა შეუძლებელი გამხდარიყო... სურათზე გლეხს რომ ვუყურებდით, რომელსაც ცალ ხელში გუთნის ხელი უჭირავს და მეორეთი შოლტსა სცემს გუთანში შებმულ ცხენს, რომ გააწევინოს, გვიკვირდა. რაც თავი გვახსოვს, სახნისის გამწევად ხარები გვინახავს და ახლა ე ცხენი რაღაა?— ვეკითხებოდით ჩვენს თავს. ან კიდევ, საუცხოო ლექსი ლერმონტოვისა «Три пальмы». ბრალი იყო! ისეთი ლექსის მნიშვნელობა კი არა, თვით სიტყვებიც და შინაარსიც არ გვესმოდა. ესენი და ბევრი სხვა რამ აუხსნელი, განუმარტებელი

რჩებოდა. ჩვენთვის მასწავლებელს საჭიროდ არ მიაჩნდა, რასაც ვკითხულობდით წიგნში, განემარტებინა, აეხსნა, რა იყო «Аравийская земля». ჩვენ ხომ არაფერი ვიცოდით, სრულებით არაფერი, მაგრამ ახლა რომ წარმოვიდგენ მაშინდელი მასწავლებლის ცოდნას რუსული ენისას, ნათლადა ვხედავ, რომ ისიც უკაცრავად ბრძანდებოდა, და რაც არ იცოდა, აბა რა უნდა აეხსნა ჩვენთვის?!..

ასე რომ, გვეტყოდა: „აქედან აქამდეო“ და ჩვენც იმავე წესით, რა წესითაც საღმრთო ისტორიის გაკვეთილებსა ვსწავლობდით, ხესა და ხეს შუა გატკეპნილ ბილიკებზე ვზეპირობდით მოცემულ გაკვეთილს და მეორე დღეს, რომ წამოგვაყენებდნენ, თუთიყუშივით ზეპირად ვეუბნებოდით როგორც ლექსს, ისე პროზას. მექანიკურად ვიმახსოვრებდით სიტყვებს, წინადადებას, მთელ მოთხრობას. ასე იყო ერთ კვირას, ერთ თვეს, ორ თვეს, სამ თვეს, წლის გასვლამდე, გამოცდამდე და გამოცდაზე...

მასწავლებელმა მესამე მოსამზადებელშივე დაგვიწყო რუსული ენის გრამატიკის სწავლება.

სწავლის მეორე თვე იყო. მასწავლებელი მოულოდნელად გვეუბნება: გრამატიკა უნდა გასწავლოთ და კარგად დამიგდეთ ყურიო. ყველას კანკალი აგვივარდა. ვთქვით, ყურს კი დავუგდებთ, მაგრამ გრამატიკა როგორღა უნდა ვისწავლოთ, როცა «Детский мир»-ს ვერ მოვრევივართო. არ ვიცოდით, რა იყო ეს „გრამატიკა“, რისთვის იყო საჭირო, ან რაში გამოგვადგებოდა.

დაიწყო არსებითი სახელის ახსნიდან. გაგვაფრთხილა: აბა, ყმაწვილებო, სმენა!

მაგიდაზე უდევს გადაშლილი, თხელი წიგნი. ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა. საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

დაიწყო ზეპირად:

— Имя существительное есть часть речи...—აქ სიტყვა გაუწყდა. ცალი თვალით ჩაიხედა წიგნში, მერე ჩვენ შემოგვხედა და განაგრძო: обозначащая предмет. ისევ გაუწყდა სიტყვა. ისევ ჩაიხედა წიგნში, მერე ჩვენ შემოგვხედა და განაგრძო:—одушевленный или неодушевленный,—ისევ პაუზა, ისევ ჩაიხედა და განაგრძო:—видимый или невидимый...

ამოისუნთქა თავისუფლად. ჩვენც მივბაძეთ და ამოვისუნთქეთ. მაგრამ განცვიფრებულ სახეებზე ალბათ გვეტყობოდა, რომ მაინცადამაინც გარკვეული წარმოდგენა არ უნდა გვქონოდა „имя существительное»-ზე. მით უფრო, რომ აშკარადა ვხედავდით, „имя существительное"-ს თვისების წარმოდგენა თვით მასწავლებელსაც უჭირდა, რადგან, სანამ იმის განმარტებას მოგვცემდა, სამჯერ მაინც მიმართა მაგიდაზე დადებულ წიგნს. ჩვენ კი ვინ მოგვცემდა, რომ მოგვეშველებინა...

შეუდგა განმეორებას.

გაიმეორა. გამეორება გაუადვილდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა წიგნში მხოლოდ ორჯერ ჩაიხედა.

საჭიროდ დაინახა მესამეჯერაც გაემეორებინა. ამჯერად ერთხელ ჩახედვა ეყო.

მოგვმართა წინადადებით—გაგვემეორებინა. ჩვენ ერთმანეთს ვეკვრით, ვცდილობთ, რაც შეიძლება მოვიკრუნჩხოთ, რომ მასწავლებლის თვალებმა ვერ დაგვინახოს, არ გამოგვიძახოს გასამეორებლად. ვიცით, რომ შევრცხვებით, რადგან ვერც წიგნში ჩავიხედავთ და ვერც ამხანაგი მოგვეშველება ჩურჩულით. გამოიძახა ერთი: ნუ გეშინია, დაიწყე, თუ გაგიჭირდა, მე გიშველიო. ხმის კანკალით დაიწყო მოწაფემ:

— имя..

გაჩერდა პირობის თანახმად, მასწავლებელი უნდა მიშველებოდა. მასწავლებელი თავზე გვადგას. აქეზებს მოწაფეს:

— მერე?

— имя..

მასწავლებელსაც გაუჭირდა მიშველება, აშკარა იყო ყველასათვის, რომ ძნელი დასახსომებელი იყო ეს წინადადება. ჩვენც გული მოგვეცა, გავთამამდით,—რაც თვით მასწავლებელს უჭირს, ჩვენთვის მით უფრო გასაჭირი და შესანდობარია მისი უთქმელობაო. ჩაიხედა და უთხრა მოწაფეს სამი სიტყვა. ახლა შენ განაგრძეო.

— существительное есть часть речи...

ისევ გაჩერდა. მასწავლებელმა ისევ წიგნს მიმართა. უთხრა. გაიმეორა. მერე მეორე მოწაფე წამოდგა. იგივე ისტორია განმეორდა, მესამე, მეოთხე, მეხუთე... წინსვლა არავის ეტყობა.

დაბოლოს, მასწავლებელმა საჭიროდ დაინახა ეკარნახებინა და ჩვენთვის რვეულში ჩაეწერინებინა არსებითი სახელის განმარტება. ჩავიწერეთ, ვისწავლეთ ზეპირად, მაგრამ ყოველი სიტყვა ჩვენთვის ახალი იყო და განმარტება უნდოდა. მხოლოდ მაგალითები გვითხრა მასწავლებელმა. რაც გვითხრა, ვიცოდით, რომ ის არსებითი სახელი იყო, მაგრამ სხვა, გარდა დასახელებული სიტყვისა არსებითი სახელი იყო თუ არა, ვერ ვიტყოდით. რისთვის იყო საჭირო, რასა შველოდა ეს გრამატიკა, მაგალითით ერთხელ არ დაუნახვებია.

მერე გადავედით ბრუნვაზე. ვისწავლეთ ბრუნვების სახელები, საბრუნებელი სიტყვების დაბოლოებანი სხვადასხვა ბრუნვაში. თუ სახელობითი ბრუნვიდან დავყვებოდით არსებითი სახელის ბრუნებას, ასე იქნებოდა თუ ისე, ზოგი ჩვენით, ზოგიც ამხანაგის მიშველებით გასაჭირს თავს დავაღწევდით, მაგრამ თუ შიგადაშიგ გამოიჭერდა რომელსამე ბრუნვას, თქვენი მტერი, სირცხვილი უნდა გვეჭამა ჩვენცა და ჩვენს მასწავლებელსაც! თავს ვიმტვრევდით, მაგრამ ვერავინ აგვიხსნა, თუ რისთვის იყო გაჩენილი ეს ბრუნვები, რა დანიშნულება ჰქონდა და ან რომელმა უსაქმურმა კაცმა გამოიგონა...

«Детский мир»-ის მიხედვით გავიარეთ დანარჩენი კანონები გრამატიკისა, იმავე წესით, რა წესითაც დავიწყეთ. ერთმანეთს მიჰყავა ზედსართავი სახელი, ზმნა, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, ზმნისზედა, თანდებული და სხვ. ყველას, ასე იყო თუ ისე, შევურიგდით. მაგრამ, საქმე სქესებმა გაგვიჭირა. ვერ გაგვეგო, რად იყო стол მამრობითი სქესისა და комната კი მდედრობითისა. მდედრობითი სქესი ისე გვყავდა წარმოდგენილი, როგორც სულიერი არსება, რომელიც წარმოშობს თავისსავე მსგავსს. ხოლო მამრობითი სქესისა ის უნდა ყოფილიყო, ვინც ეხმარება, შველის მდედრობით სქესს ამ წარმოშობაში. თავს ვიმტვრევდით, ერთმანეთთან ვდავობდით იმის ასახსნელად: „комната“-ს შეიძლებოდა თუ არა ჰყოლოდა პატარა „комнат“-ები და რომელი მამრობითი სქესის საგანი უნდა მიშველებოდა ამ გენერაციის საქმეში, და ბოლოს იმით გავათავეთ დავა, რომ გადავწყვიტეთ დაგვეხსომებინა: „комната“ მდედრობითი სქესისაა, ხოლო „стол“—მამრობითისა.

ამგვარად, მოგვემატა ახალი თავსამტვრევი საგანი. მით უფრო, რომ ჯერ «Детский мир»-ს ვერ მოვრეოდით და ახლა გრამატიკას

დაგვაჭიდეს!.. ვხედავდით ჩვენ ბედს, რომ ზეპირობის იქით ჩვენი ხსნა არ იყო და ჩვენც ვზეპირობდით და უნდა ვთქვათ, რომ მახსოვრობა ძალზე განვივითარეთ გონების სხვა ფუნქციების ხარჯზე. გვასწავლიდა უვიცი მასწავლებელი, მისი გაკვეთილი უინტერესო იყო. უხალისო, მოსაწყენი, ძალზე მოსაწყენი. ასე მიდიოდა ჩვენი საქმე როგორც ამ წელიწადს, ისე შემდეგ წლებში.

გადავედით ანგარიშზე. ევტუშევსკის **«Сборник арифметических задач»** იყო ჩვენი ალფა და ომეგა. უმეტეს წილად ამოცანა არ გვესმოდა რუსულის უცოდინარობის გამო. მასწავლებელსაც რომ შევბრალებოდით, თუ მთელ ამოცანას არ გვითარგმნიდა ქართულად, ზოგი გაუგებარი სიტყვა მაინც აეხსნა, მაშინ ამოცანის დაძლევა გაგვიადვილდებოდა. მაგრამ არ ვიცი, ეზარებოდა, თუ ნაბრძანები ჰქონდა, ერთ სიტყვასაც არ იტყოდა ქართულად. ჩვენ თვითონვე უნდა გაგვეგო, აგვეხსნა და გვეთქვა ამოცანა. ქართულს მაშინლა მიმართავდა, როცა ჩვენი პასუხი ან საქციელი დიდყურას მოაგონებდა და მასთან დადარების ან ჩვენი დანათესავების თქმა დასჭირდებოდა.

ამოცანებთან ერთად დაგვიწყო არითმეტიკის ოთხი მოქმედების კანონების სწავლება. ის მაინც ვერ გაგვაგებინა, თუ რად ეჭირა მეორე ადგილი ბოლოდან ათეულს, ან მესამე—ასეულს. ან ათეულიდან ერთის სესხებით ერთი ათად როგორ გახდებოდა. ამიტომ შეერთება-გამოკლების დროს ორივე მოქმედებას მექანიკურად ვაკეთებდით.

საღმრთო სჯულის, რუსულის, რუსული გრამატიკისა და ანგარიშის საშინელებას გვავიწყებდა პ. კვიცარიძის ხელში ი. გოგებაშვილის „დედაენის“ სწავლება. გაკვეთილი კი არა, დასვენება იყო ჩვენთვის, გართობა! ან რა ხალისითა ვსწავლობდით ყოველ ლექსს, ყოველ პატარა მოთხრობას! თუ სხვა საგნის გაკვეთილზე გვეძინებოდა, ან შიშით ვკანკალებდით, ქართულის გაკვეთილზე მკვირცხლად, თამამად და მხიარულად ვიყავით. გული გვწყდებოდა, როცა ზარი დაირეკებოდა. თვითონ კვიცარიძე გატაცებული იყო გაკვეთილით, ერთ წამსაც არ გაჩერდებოდა და ჩვენც გადმოგვდებდა თავის სიმკვირცხლეს. თუ ანგარიშისა ან რუსულის მასწავლებლები კლასში ამთქნარებდნენ, წამდაუწუმ საათში იხედებოდნენ და სული სულზე მოელოდნენ გაკვეთილის გათავებას, ქართულის გაკვეთილზე სიამოვ-

ნებითა და სწრაფად მირბოდა დრო და დარეკვისას ვნატრობდით: ნეტა ცოტა ხანს კიდევ გაგრძელებულიყო გაკვეთილი. ყოველ ახალ სიტყვას ადვილად და ხალისით ვითვისებდით და ამ სიტყვებთან ერთად ჩვენს წინ გადაიშლებოდა ახალი და ახალი ჰორიზონტი შეგნებული ცხოვრებისა.

მე-3 მოსამზადებელში დაგვიწყო პ. კვიცარიძემ ქართულ მართლმეტყველების და მართლწერის კანონების საძირკვლების ჩაყრა. დაგვიწყო ბრუნვებიდან. ყოველ ბრუნვას შესაფერისი წინადადებით აგვიხსნიდა, ასე, რომ, ჩვენთვის გასაგები ხდებოდა დანიშნულება ამა თუ იმ ბრუნვისა. როცა პოლიევკტ კვიცარიძემ ქართული გრამატიკის ელემენტარული კანონები შეგვათვისებინა, მაშინღა მივხვდით და წარმოვიდგინეთ, თუ რას ნიშნავდა რუსული «Имя существительное» და «Именительный».

პ. კვიცარიძე ჯერ ერთი, რომ მცოდნე იყო საგნისა, მოყვარული და მეორე ისა, დაბადებული იყო პედაგოგად. ვინც მასწავლებელი გვყავდა, არც ერთზე ითქმოდა: მოწოდება ჰქონოდათ პედაგოგობისადმი, მოწაფეების სიყვარულით მოსულიყვნენ ჩვენთან. საუკეთესო დრო, ტკბილად მოსაგონარი მომენტები თუ გვქონდა, გვქონდა პოლიევკტ კვიცარიძისაგან. სამწუხაროდ, მესამე სასწავლო წლის გასულს პ. კვიცარიძე მოგვშორდა, პეტერბურგში წასულიყო, უნივერსიტეტში, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე შესასვლელად. ამგვარად, ჩვენს სასწავლებელს მოშორდა ეს ერთადერთი მასწავლებელიც, რომელმაც გააცხოველა სწავლების საქმე, შეგირდებს შეაყვარა საგანი, აძლევდა ცოდნას, შეაყვარა მასწავლებელი და დაამყარა მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის ძმური, მეგობრული ურთიერთობა, ურთიერთ სიყვარული, ურთიერთ პატივისცემა...

გალობის გაკვეთილზე განვაგრძობდით რუსული სიმღერების, რუსული ჰანგების შეთვისებას. მასწავლებელი თითქოს დაფიცებული იყო, რომ ერთი ქართული სიმღერა რა არის, არ გაეგონებინა ჩვენი ყურებისათვის, ბარემ არ მოგვწონდა ეს, მაგრამ თქმით აბა რას გავბედავდით.

რუსული წერა ისევ გვქონდა. აქ საქმე სულ ადვილად მიდიოდა სასწავლო წლის გასვლამდე. ვყიდულობდით საწერად ექვს ფურცელ ქაღალდს, ჩვეულებრივადა ვკრავდით, მერე ბზის სავარცხლით ვხაზავდით და ვწერდით «Ширина, тишина»-ს.

ქართული წერის სწავლისათვის ჯერ კიდევ მეორე მოსამზადებელში დაგვანებებინეს თავი.

*
* *

ჩვენი სენაკი მასპინძლის სახლიდან ორმოცი ნაბიჯის მანძილზე, დგას. უჭირავს 15 კვადრ. მეტრის სივრცე. კედლები წკნელისაგანაა მოწნული და ტალახით გაგოზილი. ზევიდან ისლითაა დახურული. წინ აივნის მსგავსი ადგილი აქვს დატოვებული. ჭერი არა აქვს. იატაკი მიწისაა, ასე რომ, მტვერი განუწყვეტლივ დგას ჰაერში. სინათლის შემოსასვლელად წინა მხარეს, კარის მარცხნივ, კედელში გამოჭრილი აქვს პატარა სარკმელი. მთავარი სინათლე შემოდის კარიდან, რომელიც თბილ დღეებში სულ ღია უნდა იყოს. სამი მხრით ცულით გათლილი ფიცრების ტახტებია მიკრული მეტრის სიგანის, ზედ აფენია ჭილობები, რომლებზედაც ღამით იშლება ლოგინი, დილით კი აიკეცება. თავსთუმალთან დგას თითოეულის ზანდუკი, ადგილობრივი დურგლის მიერ გაკეთებული. ზანდუკი ჩვენი გარდერობიც არის, საწიგნე და საჭმლის შესანახი განჯინაც. ამ ზანდუკს ორშაურიანი ბოქლომი ედო და გასაღებს ჯიბით ვატარებდით. ეს ზანდუკი მაგიდაც იყო ხოლმე, რადგან ნამდვილი მაგიდა არა გვქონდა.

სენაკის ხელოვნურად გათბობასაც, რა თქმა უნდა, საჭიროდ არავინ თვლიდა და კიდეც ამიტომ იყო, რომ ბუხარიც არ ჰქონდა ჩვენს სენაკს. რკინის ღუმელები მაშინ არ იცოდნენ. შუაში კერა იყო გაკეთებული და თუ დაინთებოდა ცეცხლი, ისევ ამ კერაზე უნდა დანთებულიყო, მხოლოდ კვამლს გარეთ გასასვლელი გზა თვითონ უნდა ეპოვნა, რადგან ამის ამშენებელს ფიქრადაც არ მოსვლია, ჩვენებური ხეროთმოძღვრების მიერ იმთავითვე შემოღებული წესი დაერღვია და საკვამლე გაეკეთებინა.

ამ სენაკში ვცხოვრობდით: მე, ჩემი ძმა და ექვსი სხვა, სულ რვა დიაკვანი, სამეგრელოს სხვადასხვა ადგილებიდან წამოსულები. ყველაზე უფროსი ჩვენში 16 წლისა იყო, მესამე კლასის მოწაფე, სულ პატარა კი 8 წლისა. უმეტეს დროს, თუ დარი ხელს არ გვიშლიდა, სკოლიდან დაბრუნებულები გარეთ ვატარებდით. ვიზეპირებდით გაკვეთილებს, გარეთ ვთამაშობდით. ასე რომ, სენაკში მხოლოდ

ღამით და ისიც დასაწოლად შემოვდიოდით, ავდარში კი შიგ ვიჭუჭ-კებოდით. მასპინძელთან საჭმელადღა გამოვდიოდით.

უფროს მოწაფეებს უმცროსები ვემსახურებოდით. ამ სამსა-ხურს ურთიერთი დახმარების, თავაზიანობის ხასიათი არა ჰქონდა. ეს ხომ პირველად არ იწყებოდა! ტრადიციით მოდიოდა, რაც აქ, მარ-ტვილში, სასწავლებელი დაარსებულა. აქა-იქ თუ ურჩი გამოერეოდა, უფროსს უფლება ჰქონდა, ეს დაკანონებული იყო, მიემართა ყოველგვარი საშუალებისათვის, ურჩის „სწორ“ გზაზე დასაყენებ-ლად: ყვირილისა, გინებისა და, ბოლოს, ცემისათვისაც კი. ამისთვის პასუხს არავის წინაშე არ აგებდა. ერთი სიტყვით, თუ ბატონყმობა ბატონებსა და ყმებს შორის უკვე ათი წლის გადავარდნილი იყო, სასწავლებლის მოწაფეთა შორის ეს ინსტიტუტი კიდევ იყო დარჩე-ნილი. ეკონომიურად ჩვენი ცხოვრება არაფრით არ გაუმჯობესებუ-ლა. მაშასადამე, წელიწადი ისევე დაიწყო და მიმდინარეობდა, რო-გორც შარშან ამ დროს.

ენკენისთვეში რაც ჩამოგვყვა შინიდან, ერთ თვეს გვეყო და მე-რე მასპინძელი ცდილობდა თავისი შინაური რესურსებით გასული-ყო ფონს. მაგრამ ვაი რომ მეტად მწირი იყო ეს შინაური რესურსები! ხშირად ლობიო გვქონდა, ათასში ერთხელ (კვირაობით) 20—50 გრამი ყველი, მჭადთან სანელებლიანი მარილი, და არაჩვეულებრივს შემთხვევაში (ორ თვეში ერთხელ), ქათამი, რომლისა თითოეულს (განსაკუთრებით პატარებს) მიკროსკოპული ნაწილი თუ გვერგებო-და, მხოლოდ იმისთვის, რომ ქათმის ხორცის „გემო“ გვენახა.

ყველაზე უხვი სეზონი შემოდგომა იყო. სხვა რომ არა ვთქვათ რა, მასპინძელს მივეხმარებოდით სიმინდის ტეხვასა და დაბინავება-ში. მოგეხსენებათ, ვინც თაფლში ხელს ჩაჰყოფს, თითსაც ის გაი-ლოკავსო, რაკი სიმინდში ხელს ვურევდით, ჩვენცა გვხვდებოდა ჭყლინტი, შემოუსვლელი სიმინდი. ზოგჯერ ყანაშივე ვწვავდით, შინ წამოღებამდე, ისე კი, სახლში აბა ვინ დაგვიშლიდა მუქთ მუ-შებს ორი-სამი ტარო ჭყლინტი სიმინდი ცეცხლაპირას შეგვეწვა.

სიმინდი რომ დაბინავდებოდა, რთველიც დაიწყებოდა. აქაც ვშველოდით ხეებზე ყურძნის კრეფაში. რთველში სადილად არა-ფერს არ დაგვახვედრებდნენ,—ადით ხეებზე, თან ჭკრიფეთ და თან სჭამეთო. უსადილობას ვურიგდებოდით და ამ დავალებას ხალისია-ნადაც ვასრულებდით. საქმის გათავებისას თამამად შეგვეძლო გვე-

თქვა: სავსებით დავიმსახურეთ ყურძნით გაძღომაო. მერე მასპინძელი ყურძენს დასწურავდა, ღვინოს ქვევრში ჩაასხამდა, შემდეგ მიწით მოუგოზავდა თავს, ხელებს დაიბანდა და მორჩებოდა ყველაფერი, ღვინის დალევის დაწყებამდე გემოსაც ვეღარ გავუსინჯავდით.

*
* *

გაჭირვებამ გაქცევაც გვასწავლა და მერე როგორი გაქცევა! ჩვენს სოფელში ერთი ძველი დიაკვანი ცხოვრობდა, ბერებთან, მონასტერში ნამყოფი. იქ ესწავლა ძველთაგან დარჩენილი ხელობა— წიგნის აკინძვა. ასაკინძავად აბრეშუმის ძაფსა ხმარობდა, მისი ნამუშევარი ლამაზიაო, ვერ იტყოდა კაცი, მაგრამ სიმტკიცით შეუდარებელი იყო, სწორედ ისეთი, როგორიც ძველებური აკინძული საეკლესიო წიგნებია. ამ დიაკვნისაგან ბევრსა ჰქონდა ნასწავლი წიგნის აკინძვა. ეს ხელობა მით უფრო საჭირო იყო, რომ ამ დროს ქართული სახელმძღვანელოების გამოსვლამ იმატა. „დედა-ენის“ გარდა გამოვიდა ი. გოგებაშვილისავე „კონა“, მერე—„ბუნების კარი“, წიგნი საკმაოდ სქელი, და არ შეიძლებოდა აუკინძავად მისი ხმარება. მეც ვისწავლე აკინძვა, მისგანვე შევიძინე ასაკინძავი ჭახრაკი, ორფიცრიანი, გავიჩინე კარგი მჭრელი დანა და შევუდექი საქმეს. ვერ ვიტყვი, პირველადვე კარგი ყდიანი წიგნები გამოვიდა ჩემი „სახელოსნოდან“-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებდა ის საყვედურები, რომლითაც მომმართავდნენ შემკვეთლები ჩემი ოსტატობის შესახებ. მართალია, მათი პრეტენზიები, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული იყო, მაგრამ იმის თქმა, რომ ზოგი მათგანი დაუმსახურებელი იყო-მეთქი, ჩემის მხრით უსამართლობა იქნებოდა. მაგალითად, ათი წლის ბიჭი ზოგჯერ ვერ გამოვზომავდი და დანა განზე წამივიდოდა და წიგნი ცულით ჩანათალს უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე გალესილი დანით ჩამოჭრილს... ზოგჯერაც საყუე ტყავის მაგიერ ნარმის ნაჭერს ვახმარდი. მუყაო მაშინ არ იშოვებოდა და ყდას მე თვითონ ვწებავდი რვეულის ქაღალდებისაგან ხის წებოთი. რა თქმა უნდა, უსწორმასწორო, ნაოჭებიანი გამოდიოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, წიგნი აკინძული მაინც იყო, მაგრად შეკრული, არ დაიფურცლებოდა. ასე იყო თუ ისე, ჩემი ფირმის სახელი თანდათან იზრდებოდა, კლიენტები სულ მემატებოდა, მით უფრო, რომ მეძვირის

სახელი არა მქონდა. წიგნში ვართმევდი 8 კაპიკიდან სამ შაურამდე. ეს დამოკიდებული იყო ვაჭრობაზე და კლიენტის შეძლებაზე. რომ გავიწაფე, მასწავლებელმაც კი მომცა წიგნი ასაკინძავად. ბთელი ჩემი ცოდნა, გულმოდგინება ვიხმარე, მაგრამ ყდა მაინც ყდას არა ჰგავდა. გადაწყვეტილი მქონდა, მასწავლებლისათვის სულაც არ გამომერთმია ფული, მაგრამ იმან ძალათი მომაჩეჩა სამი შაური.

ერთიმეორეზე კვირაში სამი შაური მრჩებოდა. ჩემი შრომის ფული—ორი შაური—რომ ავიღე პირველად, ვეგმა დავაწყე, თუ რა უნდა მეყიდა პარასკეობას ნაოღალევის ბაზრობაზე. ვფიქრობდი, ლეჩხუმური გომიჯი, ჯამით მაჟალო, ხურმა, კომში და ნაპლი მეყიდა. ცოტა ფული მეორე პარასკეობისათვის უნდა გადამენარჩუნებინა. შაურის ხილს, ორი შაურისას სულგუნს ვყიდულობდი ნაოღალევის ბაზარზე, რაც კვირიდან კვირამდე გვყოფნიდა მე და ჩემს ძმას ღომთან შესატანებლად. ხილი კი იმ დღესვე გაგვითავდებოდა, რადგან ამხანაგებსაც ვუნაწილებდით.

პატარაობიდანვე დამაჩვია ცხოვრებამ გაჭირვებასთან ბრძოლას, უნდა მომეგონებინა ათასგვარი ხერხი, რომ ამ ცხოვრებას არ დავეჯაბნე, არ გავეთელე. რაც დრო გადიოდა, ჩემს ოსტატობას გაუმჯობესება ეტყობოდა, თან აგენტებიც გავიჩინე, რომლებიც სიტყვიერ რეკლამას მიკეთებდნენ და კლიენტებიც მემატებოდნენ და ყოველკვირეული შემოსავალი ხუთ შაურამდე ადიოდა.

შემიჩნდნენ ამხანაგები, დროა, თუთუნის წევა დაიწყოო. ფულიანობის გარდა, თუთუნის მოწევის დაწყების საბუთად ისიც უნდა გამომდგომოდა, რომ მე-3 მოსამზადებელში ვიყავი, მთელი ორი მოსამზადებელი კლასი იყო ჩემ კლასს ქვემოთ.

ჩვენს მასპინძელთან ერთი მეზობელი ყმაწვილი დადიოდა 20—22 წლისა, გვარად კვესელავა. მასპინძელს ერთადერთი ვაჟი რომ მოუკვდა, მისი სამგლოვიარო თმა ამ მეზობლის ყმაწვილს შეაკრეჭინა და შვილად აიყვანა. დიდი ვახშამი გამართეს; კვესელავამ მასპინძლის ცოლს შვილობა შეჰფიცა, მის ქალებს ძმობა, ამათაც სანაცვლოდ დედობა და დობა შეჰფიცეს. თითქმის ყოველდღე მოდიოდა ყმაწვილი, ზოგჯერ ღამეც მათთან რჩებოდა, როგორც ნამდვილი შვილი, კარგ-კარგი სანუკვარი საჭმელები მისთვის უნდოდათ. ერთი სიტყვით, ანებივრებდნენ, როგორც ახლად შეძენილ ვაჟს, სახლის ბურჯს. ყველანი შევნატროდით მის ბედს. ქალაქში ნამყოფი იყო,

სოფლური თუთუნის ნაცვლად დაბეჭდილ თუთუნსა სწევდა. პაპიროსს რომ გააკეთებდა და სალოკსა და შუა თითს შუა კოხტად ჩაიდებდა, გვშურდა მისი ყურება. ამ ყმაწვილმაც შემაქო, მე-3 „პრიგატავიტელის“ დიაკვანი დიახაც დროა თუთუნსა სწევდეო! მე თავბრუ დამესხა შექებისაგან, უარის თქმა შემრცხვა, იმან ჩემ თანხმობას აღარ დაუცადა, პაპიროსი გამიკეთა და ხელში დამაჭერინა, თვითონაც მომაკიდებინა. მოვწიე, პირიდან ამაყად გამოვუშვი კვამლი და თავმომწონედ გადავხედე სხვა ყმაწვილებს და მასპინძლის გოგოებს, რომელნიც გარშემოგვხვეოდნენ და შურის თვალით მიცქეროდნენ. მაგრამ... დიდხანს არ შემრჩენია სახეზე ეს სიამაყე... პაპიროსის გადაგდება ვიკადრე. გულის რევამ ყველაფერი დამავიწყა. ამ დროს ჩემი სახე, ათასფრად დამანჭული, ალბათ, ყველაფერს გამოხატავდა... თვინიერ სიამაყისა. მასაქმა და მთელი საღამო ცუდად ვიყავ. დავწყევლე ვინც თუთუნი მოიგონა და ისიცა, ვინც ასეთ მყრალ რასმე სწევდა.

*
* *

ავდივართ მარტვილის ტაძრის აღმართზე. ფერდობი ბროწეულის ბუჩქებით, ხურმის ხეებითაა მოფენილი. ვერთობით ამ სასუსნავით და არც კი ვგრძნობთ დაღლას. მაგრამ როცა ესენი მოილევა, არაფერი წაგვიტყუებს ზედ ასასვლელად, მაშინ პირდაპირ რაღა გოლგოთას მთა და რაღა მარტვილის აღმართი! ყოველი მაბათ საღამო და კვირა დილა ჩვენთვის წამების წუთები იყო. გვაკვირვებდა, რა ზურგმა აიტანა ამდენი ქვა ასეთი უზარმაზარი შენობის ასაგებადაო. თან გულში ვწყევლიდით კიდეც, ვისაც ჩვენდა საწვალებლად ასეთი ტაძარი აეშენებინა...

ერთ ზამთრის საღამოს კარგი ცეცხლი გვენთო. „ვახშამი“ გათავებული გვქონდა და თბილ ცეცხლს გარშემო ვუსხედით. ველოდით, ვისმე რამე კარგი ამბავი ეთქვა და კარგი შთაბეჭდილებით დაგვეძინა. სწორედ ამ დროს ჩვენმა მასპინძელმა, რაკი იცოდა, რა რიგ გვაინტერესებდა მარტვილის ტაძრის აშენების ამბავი, ცნობისმოყვარეობა ასე დაგვიკმაყოფილა.

საქართველოს დიდი მეფე ყოფილა ვინმე დავითი. მეტსახელად აღმაშენებელი დაურქმევიათ. დაურქმევიათ ეს სახელი იმიტომ, რომ

ჰყვარებია ტაძრების აშენება და მცოდნეცა ყოფილა ამ ხელობისა. ერთსა და იმავე დროს განუზრახავს სამ ალაგას აეშენებინა ტაძარი: გელათს, მარტვილსა და ბიჭვინთაში. ერთ ქვას რომ გელათში დასდებდა ტაძრის კედლად, მეორეს—მარტვილში და მესამეს—ბიჭვინთაში. ერთ ხანს ასე უშენებია და კედლებიც კარგა მაღლა ამოუყვანია. ეშმაკს უყურებია, უყურებია და ბოლოს, რა დაუნახავს, დავითი აღარ ხუმრობს და თუ ასე მივუშვი, მალე დაამთავრებს კიდეც სამსავე ტაძარს ღვთის სადიდებლად და ჩემს მეუფებას ბოლო მოეღებაო, გადაუწყვეტია როგორმე ხელი უნდა შევუშალოო. ამიტომ დავითი რომ გელათში კედლის ასაყვანად ქვას დასდებდა და იქიდან მარტვილში წავიდოდა, ეშმაკი მიეპარებოდა ღამე და ამ ქვას გადააგორებდა. მერე მარტვილში მიჰყვებოდა კვალდაკვალ დავითს და იქაც იმასვე იზამდა, შემდეგ ბიჭვინთაში. ერთი-ორჯერ ასე რომ უქნა დავითს ეშმაკმა, დავითი გაჯავრდა და ღმერთს შესთხოვა დაეჭერინებინა მისი ხელისშემშლელი. დაუგო ხაფანგი, რომელშიაც ეშმაკი მოჰყვა. დავითმა ჯვარი გადასახა და ეშმაკი ჯორად აქცია, მოაჯდა და მერე სულ ამ ჯორით დაჰქონდა ტაძრის საშენებელი ქვები. ამავე დროს ვაკიდან მოყოლებული ტაძრის გორაკის თავამდე გამწკრივებული იყო ხალხი და ერთიმეორეს გადასცემდნენ საშენ მასალას და ამნაირად დავითსა შველიდნენ ტაძრის აშენებაში.

ჯორად გადაქცეული ეშმაკი ბარემა სწუხდა თავის მდგომარეობას, მეტისმეტი ჯაფა ადგა, ძალზე იღლებოდა და ცდილობდა, როგორმე განთავისუფლებულიყო ამ ტანჯვისაგან, მაგრამ როგორ? რა გზით? თუ ჯორი, რომელსაც აღვირი ჰქონდა ნიადაგ ამოდებული პირში, როგორმე მოიშორებდა ამ აღვირს, ეშმაკს ისევ თავისი პირვანდელი მდგომარეობა დაუბრუნდებოდა. მაგრამ ჯორის მომვლელს ნაბრძანები ჰქონდა, ჯორისათვის არც დღე და არც ღამე, არც ჭამის დროს აღვირი პირიდან არ მოეშორებინა. ერთხელ წყლის სასმელად რომ წაიყვანა მომვლელმა ჯორი, პირუტყვმა კრიჭა შეიკრა და წყალი არაფრით არ დალია. ბევრი უწრუწუნა მომვლელმა, მაგრამ ჯორმა შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი. შეეცოდა მომვლელს,—ალბათ აღვირი უშლის საწყალ პირუტყვს წყლის სმასო და აღვირი წაჰყარა პირიდან. აბა ჯორსაც ეს უნდოდა, ხელად ეშმაკად იქცა და გაუჩინარდა. ბარემ ეწყინა დავითს, ეს რომ გაიგო, მაგრამ რაღას

იზამდა. მაინც განაგრძო ტაძრების შენება და სანამ სამივე არ მოამთავრა, მანამ არ მოუსვენია.

ამ ამბის გაგონების შემდეგ, რომლის სინამდვილესა და უტყუარობაში ეჭვიც კი არ გვეპარებოდა, დიდხანს გვიდგა თვალწინ გოლიათი დავით აღმაშენებელი, გოლიათ ჯორადქცეულ ეშმაკის ზურგზე შემჯდარი, თავისი ტანის საფერი ლოდების მზიდავი იმერეთ-სამეგრელო-აფხაზეთის სამ უმთავრეს ტაძრისათვის და ხუროთმოძღვრების ხელოვნებაში სასწაულის მოქმედი. ასეთი ფანტასტიკური ამბავი ბევრი მოგვისმენია მთელი შვიდი წლის განმავლობაში, როგორც სასწავლებელში, ისე სასწავლებლის გარეთ,—ოდეს მოკლებულნი ვიყავით ყოველსავე, რასაც სინამდვილესთან რაიმე ერთობა ჰქონდა.

ზამთარია. გვცივა, გვშია... ჩვენს სენაკში მოყუჟულები ვსხედვართ, აღრენილები. ნავახშმევია. უფროსი „დიაკვნები“ განაგრძობენ სახვალიო გაკვეთილების ზეპირობას. განსაკუთრებით ერთი, მე-2 კლასის მოწაფე, რომელიც ხმამაღლა გაჰკივის ლათინური ენის მოთხრობითი ბრუნვის თანდებულებს ლექსად, თვალებდახუჭული, პირზე ქაფმორეული დადის სენაკში წინ და უკან და იმეორებს ამ თანდებულებს დაუსრულებლად. რეტი ესხმის, მაინც იმეორებს, არ ესმის რისთვის სწავლობს, რაში გამოადგება. ესღა იცის, რომ მასწავლებელმა წიგნში დაუნიშნა და უთხრა: ზეპირად ისწავლეთო. და ისიცა სწავლობს. რომ დაიღლება, შეისვენებს, სულს მოითქვამს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღისითაც იძახდა ამ სიტყვებს, რომლების მოსმენაზე, ჩვენ, ჯერ რომ არ ვიცოდით მათი მნიშვნელობა, პირველად გვეგონა, გაგიჟდა და რაღაც გაუგებარ სიტყვებს ისვრისო. მერე ყური შევაჩვიეთ. მეორე მოწაფე კატეხიზმოს იზეპირებდა, ისიც თვალებდახუჭული, პირდორბლიანი დადიოდა და მაღალი ხმით გაიძახოდა საზეპიროს. პატარები როგორ გავბედავდით ხმის ამოღებას. უნდა დავწოლილიყავით და ამ ხმაურობაში დაძინებაც მოგვეხერხებინა, მაგრამ ხმაურობისთვის რომ გაგვეძლო, სულ ერთია, სიცივე არ დაგვაძინებდა. ერთს აზრად მოუვიდა ფიჩხის შოვნა და ცეცხლის დანთება. ერთმა ჩემზე უფროსმა „დიაკვანმა“ იკისრა გარეთ გაშოსვლა და ღობის ფიჩხის შემოტანა. ყველას ეძინა, ღობის პატრონსაც. ფიჩხის მომტანს ერთი თანაშემწედ გაჰყვა. შემოვიტანეთ ფიჩხი, ცეცხლი დავანთეთ, ცოტა კვამ-

ლი დადგა. პატარა სენაკში იმდენი ადგილი არა აქვს კვამლს, რომ გაიფანტოს და ჩვენი თვალებისათვის იმდენად სატანჯველი არ იყოს. ამასაც ვუძლებთ და, როგორც არის, ვწვებით.

გავიდა ზამთარი. დადგა გაზაფხული. თბილა. გვიხარია მზის ყურება, მისთვის ზამთრისაგან გაციებული სხეულის შეშვერა. ბუნება მწვანე სამოსლით იმოსება.

გამოცდების დრო დგება. ვწვალობთ, ძალას ვატანთ ჩვენს მახსოვრობას. ვკანკალებთ წითელი მაუდით გადაფარებულ მაგიდასთან, რომელსაც საგნის მასწავლებელი და ორიც სხვა მასწავლებელი უსხედან. ვაბარებთ გამოცდებს. გვირიგებენ ბილეთებს, გადავყევართ პირველ კლასში. მივდივართ საზაფხულოდ შინ. ენკენისთვემდე თავისუფლები ვიქნებით.

შინ ბილეთთან ერთად მიმაქვს ჩემი საბან-გობანიც. შეკეთება სჭირია. აქ რომ დავტოვო, მასპინძელი მოუბოდიშებლად თავის შვილებს ახმარს. გარდა ამისა, გადაწყვეტილია, მასპინძლის გამოცვლა. უკვე შეთვალიერებული მაქვს ახალი ბინაც, სადაც შინიდან დაბრუნებული ენკენისთვეში უნდა გადავიდე. ხუმრობა ხომ არ არის, ერთ ალაგას ორი წელიწადია ვცხოვრობ. იშვიათია, ორ წელიწადს ზევით „დიაკვანი“ მასპინძელთან გაჩერდეს და ახალი მასპინძელი არ ეძებოს.

ნაწილი მეორე

პირველ კლასში

მარიამობისთვის ბოლო რიცხვებში შინიდან რომ ჩამომიყვანა მამამ, პირდაპირ ახალ ბინაზე წავედით, ახალ მასპინძელთან, რომელიც საზაფხულოდ შინ წასვლამდე მყავდა შეპირებული, ხოლო ძველ ბინაზე დარჩენილი ზანდუკის წამოსაღებად მეორე დღეს მივედით. თან მიმყავდა ორი მოზრდილი დიაკვანი, ჩემთან ერთად რომ ცხოვრობდნენ ახალ მასპინძელთან, რომ, თუ ვინიცობაა საჭირო იქნებოდა, თავიანთი ფიზიკური ძალ-ღონეც ეჩვენებინათ ძველი მასპინძლისათვის და რომ ეს საჭირო იყო, მისვლისთანავე დავრწმუნდით. მასპინძელმა ქალმა (ქმარი ერთი წლის მკვდარი ჰყავდა) დაგვიწუნა საქციელი, ნოტაცია წამიკითხა (ვერ ვიტყვი ტკბილი სიტყვებით), რომ არ უნდა დამენებებია თავი, ორი წელიწადი მიცხოვრია მასთან, კარგის მეტი (მისი აზრით) არაფერი მახსოვს და ახლა აქედან გადასვლით მე დავამტკიცებ მხოლოდ ჩემს უმადურობას, მის პურმარილზე ფეხის დადგმას, ამდენი პატივისცემის დაუფასებლობას (რა თქმა უნდა, ჩვენი შიმშილობა არ უხსენებია). ჩემი მხლებლების ენერგიული სახის გამომეტყველება რომ არა, ყუთი შეიძლება არც კი დაენებებინა. დანებებით კი დაგვანება, მაგრამ მარტვილის ღვთისმშობელსა სთხოვა ჩვენს გასაგონად: უმადურისათვის მადლობის გადახდა ესწავლებინა და როგორც მე მართალი ვიყავ, ისე წარემართა ხელი ჩემთვის როგორც სწავლაში, ისე ცხოვრებაში... წყევლა მაინც კარგი მოსასმენი არ იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მე მართალი ვიყავ და იმედი მქონდა, ღვთისმშობელიც არ ინებებდა უდანაშაულოს დასჯას... დიასახლისს ბოლომდე არ გაუგია ჩემი ოინები ქათმების შესახებ, რომ სცოდნოდა, დამწყევლიდა და შეიძლება წყევ-

ლასაც არ დავეჯერებინე.. ალბათ ჩემი ძიძის ლოცვამ, ხობის ღვთისმშობელმა და ხეთის წმინდა გიორგიმ მფარველობა გამიწიეს და ჩემი თავი ისე ადვილად არვის დააჩაგვრინეს.

ასე იყო, თუ ისე, დიასახლისმა თავისებურად პროტესტი განაცხადა ჩემს მიერ მისი ბინის დატოვების გამო. ხუმრობა ხომ არ იყო ორ-ორი დიაკვნის (ჩემი და ჩემი ძმის) მოშორება, როცა მთელი მისი იმედი თავის გატანისა დიაკვნებზე იყო დამყარებული. ქმრის სიკვდილის შემდეგ მიწის დამმუშავებელი სახლში არავინ დარჩენია; რასაც ჩვენ მივუტანდით, იმით იოლად გამოდიოდნენ თვითონაც და ახლა ნაწილი ასეთი მაღალი შემოსავლისა ხელიდან ეცლებოდა... ეკარგებოდა არსებობის უტყუარი წყარო, ექსპლოატაციის ობიექტი, ერთმეოდა საკუთრება და ამასთანავე მის პანსიონს დიაკვნების თვალში სახელი უტყდებოდა.

მოვეწყვეთ ახალ ბინაზე. ყველანი ალერსიანად გვეკიდებიან ახალმოსულებს. პირველ დღეებში თითქო საჭმელიცა გვაქვს, ხილი თუ რამ გაჩნდება, პირველად ჩვენ გვიწილადებენ. ეტყობათ, ჩვენი გულის მოგებასა ცდილობენ. „დობერაც“ შევათვალიერეთ: ბლომადაა ძველებური ვაზებიანი ხეები. ჯერ ერთი, რთველამდე შეგვიძლია ჩუმად, რა თქმა უნდა, ვიგემოთ ყურძენი და რთველში ხომ კანონითაც გვერგება საძღომად, როგორც მკრეფავებს.

დაიწყო სწავლა. ახალი საგანი მოგვემატა—ლათინური ენა. უცნობი რუსულის საშუალებით უნდა ვისწავლოთ უცნობი ლათინური. მისი ენა და გრამატიკა ერთად მოგვეხვია თავზე. არაფერი გვესმის. ის ხომ არ ვიცით და არ ვიცით, თუ ვინ და სად ლაპარაკობს (ან და თუ კი სადმე ვინმე ლაპარაკობს) ამ ენაზე, ან რისთვის არის საჭირო მისი სწავლა, რაში გამოგვადგება. აბა საიდან რა მოგვაფიქრებდა, რომ ქრისტეს დაბადებამდე იყო რომში დიდი ორატორი და ფილოსოფოსი ციცერონი, რომელიც სწორედ ლათინურ ენაზე ლაპარაკობდა, წერდა საფილოსოფოსო ტრაქტატებს და ყველას აკვირვებდა თავისი უმწვერვალესობამდე აყვანილი სტილით. მხოლოდ ეს ვიცი, რომ უნდა ვისწავლოთ, რათა შემდეგ კლასში გადავიდეთ. რუსულად მოლაპარაკეს თითო-ოროლას ვხედავთ, თვით რუსიც გვინახავს (ჩვენი სასწავლებლის ინსპექტორი), მაგრამ ეს ლათინური სად ჯანდაბიდან გამოტყვრა, ვინ გამოიგონა? ან თუ არის ვინმე ამ ენაზე მოლაპარაკე? ეს კითხვები პირველად მოსვენებას არ გვაძ-

ლევდა, მაგრამ შევეჩვიეთ, შევურიგდით გაჭირვებას და გადავწყვიტეთ, უდრტვინველად ვწიოთ ჭაპანი ჩვენი. ჩვენს მახსოვრობას, რომელსაც ეს მეოთხე წელიწადია ვტვირთავთ სხვადასხვა გაუგებარი ცნებებით და სიტყვებით, ძალას ვატანთ, სირცხვილი არ გვაჭამოს, საცა სხვაა, ესეც იქ იყოსო, ვეუბნებით ჩვენს თავს. ვიზეპირებთ გაუგებარ სიტყვებს რუსული სიტყვების საშუალებით, ვიზეპირებთ ფრაზებს. კიდევ კარგი, ჩვენი მახსოვრობა ყველაფერს უძლებს, ჯერ-ჯერობით მაინც. ეს მახსოვრობა გადაგვექცა მაღაზიად, რომელშიაც ვტენით ყველაფერს, რაც მოგვხვდება და ისიც იტევს და იტევს. სანამდის?

რუსულში განვაგრძობთ „ეტიმოლოგიის“ ზეპირობას, იმავე ტემპებით და წარმატებით, როგორითაც მესამე მოსამზადებელში დავიწყეთ. მასწავლებელი იგივე გვყავს, ვინც მესამე მოსამზადებელში გვყავდა. ყოველი განმარტებისათვის გრამატიკის წიგნში უნდა ჩაიხედოს. არაფერი ეშველა. აქამდე ზეპირად ვერ ისწავლა თუნდა „შემასმენლის“ განმარტება. ზოგჯერ იმის მაგივრად მოწაფეებსა გვრცხვენია გამოცდაზე, როცა იმის გარდა, სხვებიც იქნებიან ასისტენტებად. რაღა მიწა უნდა გაითხაროს?! იქაც ხომ წიგნს არ დაიდებს და შიგ არ ჩაიხედავს?!.. გრამატიკასთან ერთად განვაგრძობთ «Детский мир»-ის მოთხრობების ზეპირად სწავლას, რადგან არავის მიაჩნია საჭიროდ გაუგებარი (და რომელი არ არის გაუგებარი?!) ადგილები აგვიხსნას ქართულად, გაგვაგებინოს.

მძიმედ, მაგრამ მაინც წინ მივდივართ.

საღმრთო სჯულის ისტორიას უფრო ვრცლად ვსწავლობთ. პირველ კლასში უნდა გავიაროთ ძველი აღთქმა. ყველაფერი რუსულადაა. გვესმის, არ გვესმის, ვზეპირობთ, ყველაფერი ისე ვიცით, როგორც „მამაო ჩვენო“.

არითმეტიკაში იგივე მასწავლებელი გვყავდა და იმავე მეთოდით გვასწავლიდა, ისევ ევტუშევსკის რუსულ ამოცანებს გავდიოდით. აქაც ვზეპირობდით.

ქართულად მარტო ქართულსა ვსწავლობდით. მაგრამ აქაც დაბრკოლება დაგვხვდა: ჩვენი საყვარელი მასწავლებელი პოლ. კვიცარიძე, რომელმაც შეგვაყვარა ქართული, სასწავლებელი და მასწავლებელი, საზაფხულოდ რომ წავიდა, უკან აღარ დაბრუნებულა. ახალი მასწავლებელი მოგვივიდა, ერ. მ-ძე, რომელიც სპეციალობით

ქართული ენის მასწავლებელი არ ყოფილა. თვით საგანს უგულოდ გვასწავლიდა, სახელმძღვანელოდ „ბუნების კარი“ გვქონდა, შიგ საბუნებისმეტყველო მოთხრობები ბევრი იყო, რაც გვახალისებდა ძალზე, მაგრამ მასწავლებელს იმდენი უნარი არა ჰქონდა, რომ მოთხრობების შინაარსი უფრო გაეცხოველებინა. გაკვეთილზე ხშირად ამთქნარებდა და ჩვენც აგვიყოლიებდა. რამდენად პ. კვიცარიძის ხელში ხალისით ვეკიდებოდით ქართულს, იმდენად ახალი მასწავლებლის ხელში უკან-უკან მივდიოდით ამ საგნის სწავლაში. მესამე მოსამზადებელში დაწყებული გრამატიკა ქართული ენისა მესამე მოსამზადებელშივე გათავდა. შემდეგ ისე განვლო ოთხმა წელმა და ისე დავასრულეთ სასწავლებელი, რომ ქართული გრამატიკა ჩვენთან კლასში არავის უხსენებია. მხოლოდ სემინარიაში რომ გადავედით, თ. ჟორდანიამ გაგვაცნო საფუძვლიანად ქართული გრამატიკა და მტკიცე საფუძველიც ჩაუყარა ჩვენს ქართულის ცოდნას.

გალობაში ჩვენს რეპერტუარს ახალი სიმღერები (რუსული, რათქმა უნდა) მოემატა. სიმღერებს მოემატა საეკლესიო საგალობლებიც, ისიც რუსულად. ქართულის ხსენებაც არ იყო, თუმცა ქართული ეკლესიის და ქართველთა მრევლების მღვდლებად ვემზადებოდით და უნდა გვცოდნოდა ქართული საეკლესიო გალობა, მაგრამ განა მარტო ეს გვაკლდა?

სუფთა წერის გაკვეთილზე ისევ „შირინა-ტიშინას“ ვწერდით. ამას ვწერდით მეორე მოსამზადებელში, ვწერდით მესამე მოსამზადებელში, განვაგრძობდით მის წერას პირველ კლასში და ალბათ მეორე კლასშიც, სადაც წერის გაკვეთილები თავდებოდა. ეს „შირინა-ტიშინა“ უნდა გვეწერა, რომ ერთ გარემოებას თითქმის მოულოდნელად, შემთხვევით ხელი არ აეღებინებინა ჩვენთვის ამ უქმურ, უშინაარსო და ნირშეუცვლელი გამოხატულების სიტყვების წერაზე.

პირველ კლასში რომ ვართ, წერის მასწავლებელი სადღაც გადაიყვანეს. სანამ სამაგიერო მასწავლებელი მოგვივიდოდა, წერის გაკვეთილზე ჩვენთან შემოვიდა ლათინური ენის მასწავლებელი, რომელმაც მეტად ლამაზი წერა იცოდა, და თან ეტყობოდა პირველზე უფრო მეტი მიხვედრილობა ჰქონდა წერის საქმეში.

ახალი მასწავლებლის შემოსვლაზე მოწაფეებმა თავი გამოვიდეთ, ყველანი ვცდილობდით არ შევრცხვენილიყავით, ჩვენი „შირინა-ტიშინა“ სანაქებოდ გამოგვეყვანა რვეულებში და მასწავლებლი-

სათვის თავი მოგვეწონებინა. თითქმის სამი წელიწადი იყო, ერთსა და იმავე ოთხ სიტყვას ვწერდით და ოღონდაც რომ დიდი სირცხვილი იქნებოდა, ეს ოთხი სიტყვა,—არც მეტი და არც ნაკლები,—ლამაზად ვერ გამოგვეყვანა.

მასწავლებელმა გადაგვხედა ყველას და სათითაოდ თითო რამ შენიშვნა მოგვცა: ზოგს ზურგის დაჭერა დაუწუნა,— გვერდელა კი არა, პირდაპირ უნდა გეჭიროსო,—ზოგს თავისა და ზოგსაც რვეულისა და კალმისა. მართლაც, ახლა შევამჩნიეთ, რომ ზოგი მთლად დაწოლილი იყო ზედაწელით მერხზე, ენა გამოეყო და ცხვირისაკენ მიჰქონდა, რვეულიც იმდენად ახლო მიეტანა თვალებთან, რომ თვალებსა და რვეულს შუა ადგილი აღარც კი იყო; ზოგ მოწაფეს თვალები ცალკე ჰქონდა ცერად, რვეული ცალკე, ზოგს კიდევ კალმისტარი ძალზე მოკრუნჩხულ თითებში გაეკვეხებინა. საერთოდ, ყველანი წელში მოხრილები ვისხედით. მასწავლებლის მხრივ შენიშვნა წერის დროს თავის დაჭერისა, ჩვენთვის პირველი და, უნდა ითქვას, საკვირველი გაგონება იყო: ვწერდით, როგორც მოგვეგუნებოდა, ან როგორც გვემარჯვებოდა; ხერხემლის ძვალი გაგვიმრუდდებოდა თუ სკოლიოზი დაგვემართებოდა ასეთი უწესო ჯდომის გამო, ამაზე ჩვენს მასწავლებელს არ უფიქრია და რა გასაკვირველი იქნებოდა, არც ჩვენ გვეფიქრა და ახლა, ამდენ ხანს ერთგვარად ჯდომასა და თვალებისა და ხერხემლის ძვლის დაჭერას ერთგვარად დაჩვეულთ, ამ მასწავლებლის შენიშვნა, ცოტა არ იყოს, გვეუცხოებოდა და ჭკუაში არ გვიჯდებოდა, მით უფრო, რომ ძნელი იყო, სამი წლის მანძილზე შეთვისებულ ჩვეულებაზე ხელის აღება. ერთ ხანს ვითომ გავუგონეთ მასწავლებელს, მაგრამ ხუთ წამს უკან ისევ ძველებურ წესს ვუბრუნდებოდით, წელი, თვალები, თავი ისევ ძველებურად გვეჭირა: თითქმის დაწოლილი მერხზე და ცერად. «Ширина, тишина, чистота, истина», რა თქმა უნდა, დიდი გულმოდგინებით გამოგვყავდა ჩვენს რვეულებში.

მასწავლებელმა ბოლოს ერთ მოწაფეს გამოართვა რვეული, დაიწყო შიგ ყურება და ხმის ამოუღებლად წაიკითხა ნაწერი. პირველ მოწაფეს უკან დაუბრუნა რვეული. ახლა მეორის გასინჯა. იგივე წაიკითხა, ისევ ხმის ამოუღებლად. მესამესაც გამოართვა და როცა მეოთხის რვეული აიღო ხელში და დაინახა იგივე სიტყვები, რაც

პირველს სამსა ჰქონდა რვეულებში, ველარ მოითმინა და წამოიძახა: «Что за ширина, что за тишина, что за ширина, что за тишина... Боже ты мой»... კარგა ხანს აქნევდა თავს. მერე გაჩერდა და გვკითხა: ხომ არ მასხარაობთო!.. ჩვენ გაგვიკვირდა მისი შეკითხვა. გულწრფელად, მორიდებით მოვახსენეთ: რაც სასულიერო სასწავლებელი დაარსებულა, ყველას ასე უწერია, რაც ჩვენ წერა დაგვიწყია, ამისთვის ერთი ბეწვით არ გადაგვიხვევია. ეს სიტყვები ასე გვიწერია და საყვედური არავის უთქვამსო. მასწავლებელი მაინც აქეთ-იქით იყურება, თავის ყურებსა და თვალებს არ უჯერებს. რა თქმა უნდა, წინანდელ მასწავლებლებზე არაფერი უთქვამს, მაგრამ ჩვენ კი გვითხრა: ამიერიდან ხელი უნდა აიღოთ ასეთ წერაზეო. მერე აიღო ცარცი, გააწმენდინა სუფთად საკლასო დაფა, რაღაც სამწინადადებიანი ამბავი გადმოსწერა წიგნიდან ლამაზი ხელით და გვითხრა: აბა ეს გადმოსწერეთ თქვენს რვეულებშიო. გვეოცა, როცა დაფაზე უკვე ნაცნობი ასოების გვერდით დავინახეთ ისინიც, რომლებიც პირველად უნდა დაგვეწერა სუფთა წერის რვეულში. გვეუცხოვა, მაგრამ მაინც ჭკუაში დაგვიჯდა და ამ დღიდან უკუვაგდეთ ძველი წერის დედანი—„შირინა-ტიშინა“ და შევუდექით ადამიანურ წერას.

ახალ მასპინძელს პირწავარდნილი მსგავსება ჰქონდა ძველთან; თითქოს მოლაპარაკებულან, პირი შეუკრავთო — არ გაახარონ დიაკვანი. ერთ სახლში თვითონ ცხოვრობენ თავისი ცოლშვილითურთ, ხოლო მეორე დიაკვნებისათვის აქვთ დათმობილი. წინანდელ სენაკთან შედარებაც არ შეიძლება, მაგრამ ესეც უიატაკო, უჭერო და უფანჯრო, ისლით გადახურულია. შუაში კერაა, მაგრამ აქ ცეცხლი არ ინთება, არც ზაფხულში და არც ზამთარში, ზაფხულში ხომ არ გვინდა და არ გვინდა ცეცხლი, ხოლო ზამთარში, სადილია თუ ვახშამი, მასპინძლის სადგომ სახლში ვჭამთ ცეცხლაპირა. ჩვენს სახლში დასაწოლად შემოვდივართ. იგულისხმება, როგორ თბილად ვიქნებოდით ჩვენს სიფრიფანა ბამბის საბანსა და ბამბისავე ლეიბში. ზამთარში სიცივე და ოთხივე სეზონში შიმშილი ჩვენი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი იყო. პირდაპირ საკვირველია, როგორა გვრჩებოდა ხალისი სწავლისათვის, ან როგორ შედიოდა თავში რამე!.. ან ავად რატომ არა ვხდებოდით! მართალია, გამხდრები ვიყავით, მაგრამ ისე ჯანსაღები დავიარებოდით.

ალბათ, აქაური წყაროს წყალი და სამეგრელოს სხვა ადგილებთან შედარებით მშრალი ჰაერი ძალიან გვშველოდა. პირადად მე სასულიერო სასწავლებელი ისე გავათავე, ე. ი. მის კედლებს შორის შვიდი წელიწადი ისე გავატარე, რომ ერთხელაც ავად არ გავმხდარვარ.

სასწავლებლის ადმინისტრაციაც არ ერეოდა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის საქმეში. არ კითხულობდნენ, რა დღეში ვიყავით, არ ედარდებოდათ, რა გვაბრკოლებდა, რა გვიშლიდა ხელს მეცადინეობაში. ათასში ერთხელ, კარგ დარში მოეგუნებებოდათ ჩვენი ბინების დავლა. შემოვიდოდნენ ჩვენს სენაკებში, იკითხავდნენ, ხომ ყველანი შინ ვიყავით, ხომ ყველანი ვმეცადინეობდით. ერთგვარი საბინაო რვეული გვქონდა და ამ რვეულში აღნიშნავდნენ, რომ ამა და ამ რიცხვში დაგვათვალიერეს და მორჩა, ამით თავდებოდა მათი მისია, ჩვენი მდგომარეობის გამოკვლევისა. ინსპექტორად ერთი რუსი გვყავდა—კორნიევსკი. ჩვენებური ჩოხა-ახალუხით დადიოდა ჩვენს დასათვალიერებლად, ეტყობოდა მოსწონდა ეს ტანსაცმელი. მთელი მისი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, თუ ყველანი უყურებდნენ საფერი ყურადღებით მის გარეგნობას და ან რა ეფექტს ტოვებდა ჩვენზე მისი სამოსი.

არ მახსოვს, ასეთი ინსპექციის დროს, სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს ჩვენთვის ეკითხოს: როგორ, რა პირობით გვაცხოვრებდა მასპინძელი, გვაჭმევდა რასმე თუ არა, ან ზამთარში უცეცხლოდ ხომ არ ვიყავით, და საერთოდ, რა გვიშლიდა ხელს ნორმალურად მეცადინეობაში.

ამგვარად, სავსებით მასპინძლების ხელში ვიყავით: უნდოდათ გვაჭმევდნენ, უნდოდათ—გვაშიმშილებდნენ, უნდოდათ—მთელი ზამთარი სიცივეში გვამყოფებდნენ. ვერავინ ეტყოდა, შავი თვალები გაქვსო. თუ სულ არ ვიხოცებოდით შიმშილით, ამაში ვუმადლიდით საშობაო-სააღდგომო-საზაფხულო არდადეგებს, როცა ჩვენ-ჩვენს მშობლებს სახლში მივყავდით და რაც მარტვილში გვემარხულა, იქ გვახსნილებინებდნენ...

ძალაუნებურად ჩნდებოდა ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე ბანაკი: ბანაკი მასპინძლისა და ბანაკი დიაკვნებისა. რამდენადაც მასპინძელი ჩვენდამი ულმობლობას იჩენდა, იმდენად ჩვენში იზრდებოდა გრძნობა სამაგიეროს გადახდისა, გასაჭირისაგან თავის დაღწევისა. მაგრამ თვით მოწაფეთა ბანაკში იყო აგრეთვე ორი ბა-

ნაკი: ბანაკი უმცროსებისა და უფროსებისა. უფროსი კლასის მოსწავლენი, ჩვეულებრივ, ფიზიკურადაც დიდები იყვნენ უმცროსი კლასების მოსწავლეებზე. ეს უფროსობა მათ უფლებას აძლევდა, უმცროსები დავეჩაგრეთ, ვემსახურებინეთ, მათი ბრძანება აგვესრულებინა.

მართალია, უკვე პირველ კლასში ვარ, ხნითაც უკვე მეთერთმეტეში გადავდექი, წიგნების კინძვას და ამით ფულის შოვნას განვაგრძობ და ერთგვარი დამოუკიდებელი მდგომარეობა მაქვს, მაგრამ მაინც განვიცდი ჩაგვრასა და შევიწროებას უფრო დიდი მოწაფეებისაგან. მათთვის ერთგვარი სპორტია ჩვენი ცემა, ჩაგვრა, აბუჩად აგდება. იშვიათი იყო მოწაფე, უფროსი დიაკვნებისაგან მიყენებული სიმწარე არ ხსომებოდა. ამიტომ ვცდილობდით მათი გული მოგვეგო: თუ სადმე ხილი ჩაგვივარდებოდა ხელში, უმეტესი წილი მათთვის გვინდოდა, წყაროდან წყალს იმათ მაგიერ ჩვენ ვეზიდებოდით, სახლში შემოსატანი თუ რამე იყო გარედან, ჩვენ, უმცროსებს, შემოგვქონდა. ერთი სიტყვით, სულ თვალ-წარბში შევცქეროდით, სულ წითელ კვერცხს ვუგორებდით ხელისგულზე. ალბათ ასე ყოფილა ძველად: ღონიერი უღონოსა ჩაგრავდა, უღონო ღონიერის ყმა და მორჩილი უნდა ყოფილიყო.

უფროსებისაგან სწავლით ვერას ვსწავლობდით სასწავლებელში გამოსადეგს. შინიდან წამოყოლილ თვისებებს თუ ზნე-ჩვეულებას და შეხედულებას აქაური სასწავლებელი ფეხს არ უცვლიდა საბიკეთოდ. ამ მხრივ აქაურობა გაგრძელება იყო ოჯახის ცხოვრებისა. სასწავლებელი ერთგვარი დაწესებულება იყო, სადაც რაც წიგნში ეწერა, იმას გვაზეპირებინებდნენ. გარეშე ამისა ჩვენი გონებრივისა თუ ზნეობრივი გაფაქიზება-გარდაქმნისათვის არავინა ზრუნავდა, არავინა ფიქრობდა, სასწავლებლის პროგრამაში ეს არ შედიოდა.

***

შემოდგომა მიიწურა. დაიწყო ქარი, წვიმები,—ნიშნები კარზე მომდგარი ზამთრისა. ეს მეოთხე ზამთარი იქნება, მარტვილში რომ ვატარებთ, სამი წარსული ზამთარი ერთმანეთს გავდა თავისი სუსხითა, დიდი თოვლიანობითა, უშეშობითა, ჩვენი უმწეო ყოფითა. არავითარი ნიშანი არ ჩანდა იმისა, რომ ეს მეოთხეც წინანდელ სამს არ დაემსგავსებოდა და გაჩენის დღეს არ გვაწყევლინებდა. ჩვენს ბინაში კერა არის, მაგრამ კერა დაგვილია ისე, რომ ცეცხლი ზედ არ

უნდა დაინთოს. ჩვენს მასპინძელსაც საზამთროდ შეშა მომარაგებული არა აქვს. ტყე შორსაა, ძალიან შორს, მთელი 15—19 კილომეტრის მანძილზე, იქიდან შეშის მოსატანად ხარებია საჭირო. ეს ხარები კიდევ ჩვენს მასპინძელს არა ჰყავს. ურმით შემოტანილი შეშის ყიდვა გლეხების მიერ ჯერ წესად არ არის შემოღებული. დაგვრჩენია ღადაღუდეებში ფიჩხის მოგროვება, ღობეებიდან გამოძრობა ფიჩხისა და, როცა სახრინავზე მიდგება საქმე, მოჭრა ეზოში მდგარი თხმელებისა, მათი დაპობა და ნედლად, შეშად ხმარება. იცით, რა არის თხმელის ნედლი შეშა კერაზე? აბა საიდან გეცოდინებათ! ჯერ დაპობა თვით თხმელის კუნძისა!... სოველს სათარეს რომ შემოსდებთ კერაზე და დაიწყებს დაუსრულებელ შიშინს და ქაფიანი და გაცხელებული წყლის გამოშვებას განუწყვეტელ ზოლებად, თან ტკაცუნს, მისი ყურება, თუ თბილადა ხართ, ერთ რადმე ღირს! ახლა კვამლი სთქვით, კვამლი, რომელიც უსულღმერთოდ თვალებსა გწვავთ, ემალებით, ეფარებით ამხანაგის ზურგს, მაგრამ მაინც ვერაფერი გშველით. ზოგჯერ გამწარებული გარეთაც გავარდებით, ოღონდ ამ ჯოჯოხეთს თავი როგორმე დააღწიოთ, გაწითლებული და აცრემლებული თვალები აარიდოთ.

შიმშილთან და სიცივესთან ერთად იწყებოდა ჩვენი ხელის თითების დახეთქა და ფეხის თითების ჯერ დასიება და მერე დაწყლულება,—შედეგი წინა წლებში ფეხების დაზრობისა. ჩუსტები და წინდები გვეცვა, რომელიც ყოველდღე სველდებოდა და ფეხები, ერთი ბეწოთიც არი, სითბოში არ გვენახებოდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გულისყურით უნდა ვყოფილიყავით სწავლისა და მასწავლებლის ნათქვამის მოსასმენად და შესათვისებლად!

დეკემბრის პირველიდანვე გაისმის კლასებში სიტყვა „ბილეთი“. გასაკვირველი არ არის სამი თვის ინტენსიური მეცადინეობის, შიმშილობის, სიცივეში ყოფნის, ათასი ჭირისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ გვესწრაფებოდეს, სული მიგვდიოდეს საშობაო დათხოვნისათვის, ამ შვიდგზის წყეულ და შეჩვენებულ მარტვილიდან თუნდ ორის კვირით მოშორებისათვის.

დადგა ეს ნანატრი დღეც — ქრისტეშობისთვის ოცი! დაგვირიგეს ბილეთები, სადაც ნიშნებია ჩვენი სწავლისა და ყოფაქცევისა. სასწავლო წლის პირველ მეოთხედში ნიშნები კარგები მაქვს, მშობ-

ლებს გავახარებ და უფრო მეტის უფლებით მოვითხოვ საშობაო სიამოვნებას, ხილსა და ხაჭაპურებს. შემერგება კიდეც.

შინიდან თავის დროზე გამომიგზავნეს ცხენი. თოვლითაა დაფარული მიწა, მაგრამ მაინც დაუბრკოლებლად მივდივართ. გზაში შხეფში ვათევთ ღამეს, ჩემს ნათესავ ქაქუჩას შვილებთან. მეორე დღეს სახლში მივედით, როგორი სიხარულით შემხვდნენ, თითქოს დიდი ხნის დაკარგული უცბად გამოვჩენილიყავ და ამდენი ხნის მათი ლოდინისათვის ბოლო მომეღოს და სიმწარე სიხარულად გადამექციოს.

*
* *

საშობაო არდადეგების ორმა კვირამ ისე გაიარა, რომ არც კი შემიტყვია. და მოღონიერებული, დასვენებული, მაგრამ დაღონებული მამამძუძემ მარტვილში ჩამომიყვანა, დატვირთული ღორის ხორცითა, სულგუნებითა და ღვეზლებით. მასპინძელი და მისი ჯალაბი მხიარულად და სახემოცინარე დამიხვდნენ. ჭიშკარი გამიღეს, ცხენიდან ჩამომსვეს და სავსე ხურჯინი თვითონ ჩამოხსნეს. დიასახლისმა რომ ამოალაგა ხურჯინიდან შინიდან გამოტანებული და თაბახზე დააწყო, ყველას თვალები ზედ დარჩა და ვახშმობამდე ყველას დაურიგა თითო ნაჭერი ღვეზელი და ღორის ხორცი და თან ქებით მოიხსენია მღვდლის მარჯვენა, რომელსაც ამდენი სანოვაგე შემოაქვს სახლში. გამოითქვა საერთო აზრი, რომ მღვდლობისთანა ხელობა ღმერთს სხვა მეორე არ გაუჩენიაო. მე ვამაყობდი, რომ ასეთი ქება მესმოდა მამისა, მიხაროდა რომ ასეთი კაცის შვილი ვიყავ, მხოლოდ როცა ვუყურებდი, როგორ ილუკმებოდნენ ჩემს მიერ მოტანილ ღორის ხორცსა და ღვეზელს და ამით როგორ მაკლდებოდა მე თვითონ, ვერ ვიტყვი, ძალიან არა მწყინდა-მეთქი.

იანვრის გასულს, სრულ მთვარეს ამოსვლისთანავე მოულოდნელად ნელ-ნელა შავი ლაქა გადაეფარა და ბოლოს სრულიად დაბნელდა. მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავებიღა ციმციმებდა. თავზარი დაგვეცა ყველას. შეიქმნა დაუსრულებელი პირჯვრის წერა. დავასკვენით: მთვარე ნამდვილად გველვეშაპმა გადაყლაპაო. დავიღუპეთ, ღამით აწ რაღა გაგვინათებსო, ვიძახდით. კარგს არავინ მოელოდა. ზოგმა ქვეყნის დასასრულად ჩასთვალა ეს ამბავი. ალბათ, ჩვენი ცოდვებისათვის ვისჯებითო. ჯერ ყველას ნათლად ახსოვდა

სწორედ ამ ოცდაათი წლის წინათ (1851) დაბნელება მზისა. მაშინდელი შიში ჯერ კიდევ არ დავიწყებოდათ.

„ქეთილშობილნი“ და საერთოდ ძველი ნაბატონარნი ბუნების ამ მოვლენას საშინელს ამბავს უკავშირებდნენ. მაგალითად, 1851 წლის მზის დაბნელებას, მართალია, ცოტა გვიან, 10 წლის შემდეგ, მაგრამ მაინც მოჰყვა ისეთი საშინელება, როგორიც იყო ბატონყმობის გადავარდნა. ეს ხომ ქვეყნის დაქცევას უდრიდა!.. ახლაც, ალბათ, ღმერთმა სხვა რამ ასეთივე საშინელი ამბის მოწმედ უნდა გაგვხადოს, თორემ ნახავთ, თუ არაო!.. გლეხებიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ მთვარე ისე, უმიზეზოდ არ დაბნელდებოდა, გველვეშაპმა დაიჭირა, გადაყლაპვა უნდოდა, მაგრამ წმ. გიორგიმ არ დაანებაო. მაინც რამე უნდა მოჰყვეს ამას, ისე უბრალოდ არ ჩაივლისო. ისიც შეიძლება: ვინმე დიდი, სულ დიდი კაცი მოკვდესო...

მარტვილელებს კაცი ვერ დაარწმუნებდა, რომ მთვარის დაბნელებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა რუსი ხალხოსნების განზრახვასთან—სიცოცხლე მოესპოთ იმპერატორ ალექსანდრე მეორისათვის, რომელიც სათავეში ედგა რუსეთში გამეფებულ ყოველგვარ სოციალურ უსამართლობას და რომლის მოკვლით შესაძლებელი იქნებოდა შეცვლა არსებული წყობილებისა, როგორც ამ ხალხოსნებსა სწამდათ.

ასე იყო თუ ისე, ყველას ეგონა, რომ ეს მთვარის დაბნელება იყო საშინელი სასწაული: განვარისხეთ ალბათ ზეციერი და ახლა დასჯას და ჭკუის სწავლებას გვიპირებსო. მართლაც, ამ ამბის შემდეგ გაიარა სულ ერთმა თვემ და 1881 წლის მარტის პირველს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლის ამბავი მოვიდა...

დიდმარხვაა. მარხვა სინანულისა. პირველი კვირა, ჩვეულებრივ, გავლიეთ ზიარებასა და ზიარებასთან დაკავშირებულ უჭმელობაში. მეორე თუ მესამე კვირაში სოფლის ახალგაზრდები მკითხაობენ, ცდილობენ, გაიგონ, რა მოელით მომავალში. ყველაზე საინტერესოა ახალგაზრდათათვის გაიგონ მომავალი ბედი ცოლ-ქმრობისა, ყველას ენატრება გამწარებული ცხოვრება ერთხელ მაინც გატკბილდეს და ამის იმედიცა აქვთ. მოწიფულ ქალს ახალგაზრდა ჭაბუკი ენატრება, ლამაზი, კარგი გვარიშვილისა, შეძლებული... ყმაწვილს— ლამაზივე ქალი ენატრება, კარგი ოჯახისა, მზითვიანი. შაბათ საღამოსთვის ხელსაფქვავით მარცხნივ და მარჯვნივ დატრიალებით დაფქვავდნენ

ხორბალსა და ღომის-ღომს, შიგ გაურევდნენ ბლომად მარილს, მოზელდნენ და გამოაცხობდნენ კვერებს. შემდეგ წავიდოდა სამი ახალგაზრდა: ორი ქალი და ერთი ვაჟი, ან ორი ვაჟი და ერთი ქალი სხვადასხვა გვარისა, დადგებოდნენ უჩუმრად ისეთ ალაგას, სამი გზა ერთად რომ იყრება, აქ შეჭამდნენ თითო კვერს და წამოვიდოდნენ შინ.

დაწვებოდნენ. წყუროდათ საშინლად მლაშე კვერებისაგან, მაგრამ წყალს ალარა სვამდნენ. რომ დაელიათ, მაშინ სიზმარს ვერ ნახავდნენ. სიზმარში ქალი ხედავს თავის საქმროს, ტანადს, ლამაზ ყმაწვილს, ჭიქა გაუვსია წყლით და მოაწოდებს: აჰა, დალიე, გენაცვალეო. ქალსაც ეგ უნდა. მაგრამ ერთი ჭიქით ვერა ძღება, კიდევ უსხამს. კიდევა სვამს, მაინც ვერ ძღება და ამასობაში გამოეღვიძება და გახარებული დაეწაფება წყლით სავსე ლიტრას, რომელიც თავთით უდგას. რაკი ნახა, ვის ნახვასაც ნატრობდა, შეუძლია წყურვილი მოიკლას. თან ნუგეშმიცემულია იმით, რომ მისი საბედო არამც თუ ახალგაზრდა, ლამაზი, ტანადი ყმაწვილია, არამედ კეთილშობილიცაა. ის ქალი, რომელსაც სიზმარში თავისი საბედო გამოეცხადება და წყალს ჭიქის მაგივრად ხრიკათი ასმევს, გლეხური სასმისით, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გვირგვინ ქვეშ ეყოლება საქმრო გლეხის ჩამომავლობისა. რას იზამ: ბედი ყველას კი არა სწყალობს, ყველას კი არ შეახვედრებს კეთილშობილ ჩამომავლობის საქმროს.

ბედის მაძიებელი ვაჟის საქმეც ასე იყო. თავისი საბედოს ჩამომავლობას გაიგებდა იმ სასმისის წყალობით, რომელსაც ქალი მიაწოდებდა მლაშენაჭამს.

ასეთი ჩვეულების ასრულებაში აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდით, დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს ჩვეულება ნაცადი იყო, უტყუარი, მთელ რიგ მოდგმათა მიერ შემოწმებული.

***

უკვე გაზაფხულის პირია. მზეს, რომელიც ალერსიანად გვათბობს, მშობელსავით შევხარით, შევცინით, თითქოს ცოცხალი არსებაა, რომელიც ყველასაგან დავიწყებულთ გვიფარავს და გვშველის. გაკვეთილებს მეტი ხალისით ვზეპირობდით. სააღდგომოდ ბილეთები დაგვირიგეს. მამამძუძემ ჩემს წასაყვანად ცხენი ჩამოიყვანა. მხიარულია ბუნება, ჩვენც მხიარულნი მივდივართ შინისკენ, გზაში ყველაფერი შემოგვცინის. მხიარულად დაგვიხვდნენ

ყველანი. გავიდა აღდგომა. მალე ჩვენი მარტვილში დაბრუნების დროც დადგა. კვირაცხოვლობის მეორე დღეს წამოვედით. შევუდექით ზეპირობას დაუსრულებლივ. ორ კვირას უკან სასწავლებელში ყველა მასწავლებელი შეუდგა განმეორებას იმისას, რაც სასწავლო წლის განმავლობაში გავიარეთ. კიდევ ორი კვირა და გამოცდებისათვის დაგვითხოვენ. ყოველ საგანში მოსამზადებლად 3—4 დღეს გვაძლევენ. ამ გამოცდების დროს ორ-ორნი შევამხანაგდებით, დიასახლისს მჭადს ვაცხობინებთ და გავდივართ მთელი დღით სოფლიდან, რომ არავინ და არაფერმა ხელი არ შეგვიშალოს საგნის სწავლაში. ვიწყებთ მეცადინეობას დილით ადრე. სახლში დაღამებულზე ვბრუნდებით, ნერწყვგამშრალნი, ღანღალა გამოლეულნი, საგნის ზეპირობის დროს თითქმის თვალხუჭელა ორ ხეს შუა წინ და უკან სიარულისაგან თავბრუდახვეულნი. ადრევე ვწვებით და ადრევე ვდგებით და განვაგრძობთ მეცადინეობას, სანამ თვით გამოცდაც არ დადგება.

აჰა, პირველი გამოცდაც. სუფთა ხალათები გვაცვია. სახლიდან გამოსვლისას ყველანი ჩვენ-ჩვენს სალოცავს თაფლის სანთლის დანთებასა ვპირდებით, თუ გამოცდაზე გაგვამარჯვებინებს. მივედით სასწავლებლის დიდ ეზოშიაც. საკლასო ოთახი, სადაც გამოცდა უნდა მოხდეს ჩვენი, არაჩვეულებრივად დაგვილ-დასუფთავებულია. მასწავლებლის მაგიდას გადაფარებული აქვს წითელი მაუდი და სამი სკამი აქვს შემორიგებული. ამ სკამებმა და წითელმა მაუდმა, თუ რამ გამბედაობა კიდევ გვქონდა შერჩენილი, საბოლოოდ დაგვიკარგა, ვსხედვართ მერხებზე და თან მთელი ტანით ვკანკალებთ გამოცდის მოლოდინში. რუსულის გამოცდა გვაქვს. ლექსია თუ პროზა, ზეპირად ვიცით ყველაფერი, თუ სხვანაირად არ გვკითხეს და მარტო საზეპიროზე მიგვიშვეს, მასწავლებელს არ შევარცხვენთ, ოღონდ შიშმა უკანასკნელი ღონე არ გამოგვაცალოს. შემოდის ინსპექტორი და მას მოჰყვება ერთი ჩვენი მასწავლებელი, მეორე სხვა საგნისა და სხვა კლასის მასწავლებელი. სამსავე სერთუკები აცვიათ. ასე ჩაცმულები ჯერ არ გვინახავს. მათმა ჩაცმულობამ უარესად დაგვიხეთქა გულები. „ალბათ რაღაც საშინელება უნდა დატრიალდეს ჩვენს თავს, რომ მასწავლებელნიც არაჩვეულებრივი გარეგნობით ეგებებიან ამ განსჯა-განკითხვის ჟამს“,—ვფიქრობთ გულგახეთქილები და ერთმანეთს ძალზე ვეკვრით მერხებზე.

ჩვენი საგნის მასწავლებელი ცალკე ფურცელს იღებს ხელში და ანბანურ რიგზე დაწერილ გვარებიდან, ა-ნზე დაწყებულ გვარის მოწაფეს გამოიძახებს. ვაი იმისი ბრალი! დასვენებულმა მასწავლებლებმა იერიში ამ საცოდავზე უნდა მიიტანონ. ვიცით, რომ ერთ ლუკმად არ ეყოფათ. ამ წუთას მასწავლებლები ადამიანები არ გვგონია. ერთი დანამდვილებით ვიცით, რომ ჩვენს სასიკეთოდ არ მოუყრიათ თავი სამს და ისიც წითელმაუდგადაფარებული მაგიდის გარშემო. განა ბევრი რამ უნდა ჩვენს დაშინებას, ჩვენი საცოდავი გულის გახეთქვა, ისიც სამი დღის მოუსვენებელი, ნახევრად უძინარი, უჭმელი, ნერვებდაძაგრული, აკანკალებული მოწაფეების გულების გახეთქვა. მათი შემოხედვა რისხვიანი, წარბებშეკრულია. სამში ერთი არ ურევია ისეთი, ცოტა ლმობიერად შემოგვხედოს, გაგვამხნეოს, გული გაგვიმაგროს. ყველა მოპასუხე მოწაფე მთელი ტანით კანკალებს, თითქოს ძალზე გაუცივებიაო. ათასში რამდენიმე თუ გამოერევა ბედნიერი, რომ შედარებით დამშვიდებულად უპასუხოს მასწავლებლის შეკითხვაზე.

ჰოდა, რუსულის გამოცდაა. არ ვიცი, მასწავლებელი და მისი ასისტენტები რა აზრისანი დარჩნენ ჩვენი ცოდნისა და განსწავლულობის შესახებ, რამდენად შეგვაფასეს, ჩვენ კი ის ვიცით, შინაარსის გადმოცემა თუნდაც მშობლიურ ენაზე არ შეგვიძლია. უმალ ყველა მდინარე აღმა დაიწყებს დენას, ვიდრე ჩვენ ამას შევიძლებდეთ. მთელი წლის განმავლობაში ერთი კარნახი არ დაუწერინებია მასწავლებელს, ერთი „სოჩინენიე“ რა არის, არ ვიცით.

ამასაც მოვრჩით. ამას მივაყოლეთ ამავე წესით სხვა საგნები და, მადლობა ღმერთს, თავი არ შეგვირცხვენია. გამომცდელები კმაყოფილნი არიან ჩვენი ამგვარი ცოდნითა და კლასიდან კლასში გადასაყვან ნიშნებს ან, როგორც მაშინ ვეძახდით, ბალებს გვისვამენ და და ჩვენ ხომ მეტი არა გვინდა რა, ამ „ბალებისათვის“ ვიხოცავთ თავებსა, ეს ბალებია საგანი ცხოვრებისა, ჩვენი წამქეზებელი... უკანასკნელი გამოცდისათვის ვემზადებით სოფელს გარეთ, ერთ ნასახლარზე. ორი ქცევა მინდორი იქნება, ამაზე მიდებულია ხრამი, ანწლნარით დაფარული, მერე მოსდევს ღელე და მდინარე. სწორედ ხრამის გადასახედზე ორი სამი ბუჩქი თხილი დგას. თიბათვის პირველია. მე და ჩემთან მყოფმა ამხანაგებმა გადავწყვიტეთ მუცლის სიცარიელე ამ ახალი თხილით ამოგვევსო, მით უფრო, რომ პატრონი შორს იყო

და რომ გამოჩენილიყო კიდეც, გაქცევას და დამალვას მოვასწრებ-
დით. ავედით: ერთზე მე, მეორეზე—ჩემი ამხანაგი. დავუწყეთ
თხილს კრეფა. გული ქინძისთავის ტოლად აქვს ჩასახული. რომ ვამ-
ტვრევთ, პირში არაფერი გვრჩება. ცოდვაც არის ასეთი თხილის
მტვრევა, მაგრამ ჩვენ უფრო ცოდონი არა ვართ? ამ დროს პატრო-
ნიც გამოჩნდა, ამხანაგს შორიდანვე მოუკრავს თვალი და ისე ჩამ-
ხტარა, რომ მე არც კი გამიგია. მხოლოდ პატრონის ხმამ გაშომაფხიზ-
ლა, გაქცეულ ამხანაგს რომ უკნიდან მისძახოდა. სამი მხრით გასაქ-
ცევი გზა შეკრული მქონდა. მრჩებოდა მეოთხე მხარე—ხრამი, ქვე-
ბიანი და მეტად საშიში. მეც ამ ხრამისაკენ გადავეშვი. მართალია,
პატრონს ვერ დავუნახივარ, სამაგიეროდ, ისე მძიმედ დავცემულვარ,
რომ, მგონი, სულ უკანასკნელი, ნახევარ საათს გონს ვერ მოვსულ-
ვარ. როდის-როდის მოვახერხე ადგომა, გამოვერკვიე, სადაც ვიყავი,
რაც დამემართა. წავედი ღელე-ღელე, ავიარე გორაკები და მეტად
დაგვიანებით დავბრუნდი შინ. წმინდა გიორგის მადლობა შევწირე,
ასე იოლად გადარჩენისათვის.

ნააღდგომევს სახლებიდან მოსულებს ჩვენს ბინაზე სიურპრიზი
დაგვხვდა: ცალ მხარეს ჩვენ რომ ვიყავით, მეორე მხარე მთლად
ახლად გამოჩეკილ აბრეშუმის ჭიისათვის დაეთმოთ. ჭიის მეზობლო-
ბა გვაკისრებდა აგრეთვე ერთგვარ მოვალეობას: გვეზრუნა თუთის
ფოთლის შოვნას და ამ პატარა ცხოველების გამოკვებაზე.
სანამ პატარები იყვნენ და ფოთოლი იმდენი არა სჭიროდათ, კიდევ
ვუძლებდით იმათ მოვლას, მაგრამ რომ გაიზარდნენ და სუნიც დაა-
ყენეს, მაშინ კი ვიკადრეთ პროტესტის გამოცხადება, მაგრამ დიასახ-
ლისმა გაიკვირვა ჩვენი განცხადება: ერთ ბეწო ჭიას რა სუნი უნდა
ჰქონდესო. მხოლოდ მერე, სულ გვიან, გავიგე, რომ ის ჰაერი, სადაც
ჭია ჰყავთ, მაინცა და მაინც სუფთა და მარგებელი არ ყოფილა ფილ-
ტვებისათვის. ჩვენც შევურიგდით ამასაც, როგორც ბევრ სხვა რამეს
და არამც თუ მის სუნს ვითმენდით, თუთის ფოთოლიც არ დაგვი-
კლია, თუნდაც ორი კილომეტრის მანძილიდან დაგვჭირებოდა მისი
მოტანა. ვზრუნავდით აგრეთვე იმისათვის, რომ არავის დაჯარბებო-
და ჭიების ნახვა და არ გაეთვალა. ახალშემოსულს, ჭიას რომ დახე-
დავდა, უნდა ეთქვა: „ჯვარი სწერია!“. თან იმ მწერების სახელს,
რაც ჭიას ემტერებოდა, მაგალითად ჭიანჭველისას, არ ვახსენებდით.
ეს ერთგვარი ტაბუ იყო: რომ გვეხსენებინა, გაიგონებდნენ და მაში-

ნათვე გაჩნდებოდნენ. ჭიანჭველის მაგივრად ვამბობდით: „კუზიანი“. ჩვენი ასეთი ზრუნვისა და შრომისათვის დიასახლისმა ენკენისთვეში, სახლიდან რომ დავბრუნდით, ჯილდოდ დახვეწილი ყაჭის ძაფი გვიწილადა.

სიცხეები დადგა თუ არა, დავიწყეთ იქვე ჩამომდინარე პატარა მდინარის მორევში ჭყუმპალაობა. ეს მდინარე პირდაპირ მისწრება იყო. მთელი წლის უბანლებს ძლივს გვშორდებოდა ამ წყალში ყოფნით ჭუჭყი. თან ცურვასაც ვსწავლობდით.

გამოცდები გაგვითავდა, მაგრამ ჩვენც გავთავდით. ძლივს დავლასლასებთ. ადამიანის ფერი არც ერთს არ გვადევს. თიბათვის ათია, დაგვირიგეს ბილეთები, გადაგვიყვანეს შემდეგ კლასში და ენკენისთვის 1-მდე თავისუფლები ვართ. ახლა სახლიდან გამოგზავნილი ცხენის მოსვლის და შინ წასვლის მეტი არაფერი გვაკლია. პარასკეობას მოწაფეები ერთმანეთს ვპატიჟობთ ბლით, ალუბლით, ალუჩით. გვინდა შინაც ჩავუსწროთ ამეებს და ჩვენი ხელით დავკრიფოთ ხეებზე.

ცხენიც მოგვივიდა. ერთიორად მხიარულები მოვდივართ. ჯერ ეს ერთი, მეორე კლასში გადავედით. მეორეც, მთელი სამი თვე დასვენება მოგველოდა, ხილით, საჭმლით გაძღომა, ტყეში ბარტყების ძებნა, დღეობებში სიარული. ძიძის, ძიძიშვილების, ნათლიდედის ნახვა, თაფლის, სულგუნების, პიტნიანი ჭყლინტი ყველის, შემწვარი ვარიების ჭამა. ზაფხულის განმავლობაში წიგნში არ ჩავიხედავთ! გაკვეთილები არა გვაქვს და თვინიერ სახელმძღვანელოებისა, სხვა საკითხავი წიგნები არ არსებობდა, ჩვენთვის მაინც. ზოგს ამ ხნის განმავლობაში თითქმის კითხვაც კი ავიწყდებოდა.

სულ მალე გაირბინა საზაფხულო არდადეგებმა. გავძეხით ჭამით, ალერსით, თავისუფლებით, მინდორ-ველზე თუ ტყეში რბენით. მარიამობისთვის მიწურულს მოგვამზადეს გასამგზავრებლად. მოვდივართ მარტვილისაკენ ერთგვარი ხალისით, თითქოს მოგვწყინდა თავისუფლად ყოფნაო.

წვალებასაც შეჩვევა სცოდნია...

ენკენისთვის პირველს უკვე მარტვილში ვართ ყველანი. ბინა ისევ შარშანდელ მასპინძელთან გვაქვს. მართალია, შარშან დიდი სიტკბო არ გვახსოვს მის სახლში, მაგრამ, ორ წინანდელ მასპინძელთან შედარებით გასაძლისი მასპინძელია. ამის უკეთესის ძებნას რომ შევუდგეთ, ვაითუ უკეთესი ვერ ვიპოვოთ და ეს მდარეც დავკარგოთ. რაც ბედმა მოგვცა, იმას უნდა დავჯერდეთ, იმას უნდა შევეგუოთ: შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო, ნათქვამია.

გამოვცხადდით სასწავლებელში. ახლა სრული უფლება გვაქვს დიდებში გავერიოთ, ჩვენზე პატარებს ქედმაღლურად ვუცქიროთ და ზოგჯერ ჩვენს თავს იმის ნებაც მივცეთ—პატარებს ვაგრძნობინოთ ჩვენი ძალა და უპირატესობა, ისე, რომ ეს გრძნობინება მის თვალებზე ცრემლების მოდგომით გამოიხატოს. ბურთის თამაშის დროსაც, როცა ოთხი კლასის დიაკვნები ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყოფოდა, მეორეკლასელები, იმათივე შემოღებული წესის თანახმად, მეოთხეკლასელებს უჭერდნენ მხარს, ხოლო პირველკლასელები—მესამეკლასელებს. მასწავლებლებიც თითქო სხვა თვალით გვიყურებენო. მასპინძელი და მისი ჯალაბი უფრო მორიდებით გვეპყრობა, ჩვენს დაჩაგვრას ერიდებიან, ექსპლოატაციას ისე ადვილად ვერ გვიბედავენ.

მეორე კლასში გადასვლასთან ერთად გვემატება ახალი საგანიც—ბერძნული ენა. მასწავლებლად დაგვინიშნეს თბილისის სემინარიაში ახალკურსდამთავრებული ობოლენსკი, ქოსა, პაჭუა, გვერდელა მოსიარულე. პირველადვე შევიძულეთ იგი და „ძიტა“ დავარქვით. ამ სიტყვით გვინდოდა გამოგვეხატა: უკარებელი, თავის კერძო, უჯილაგო ადამიანი, რომელსაც ვერც აღმა აფხან და ვერც დაღმა. ეს სახელი მესამე გაკვეთილზევე მოვიფიქრეთ. ობოლენსკი მეორესა და მესამე კლასში ბერძნულს გვასწავლიდა, მეოთხეში—რუსულს. ასე რომ, სამ წელიწადს შევრჩით და ეს სახელი „ძიტა“ არ მოშორებია. როდი ვამბობდით ბერძნული ენის „ურროკი“ გვაქვსო, არამედ ვიტყოდით—„დღეს ძიტა გვყავს, გაუწყდეს სახელიო“...

მეტად გულღრძო ვინმე იყო ძიტა. ჩაცივება იცოდა. თვალში რომ ამოიღებდა მოწაფეს, მერე არ გაახარებდა. კლასს გარეთ მის

შეხვედრას ჭირივით ვერიდებოდით და თუ შეგვხვდებოდა სწავლის დაწყებამდე, ცუდად გვქონდა დაცდილი მისი შეხვედრა: დღეს დავინავსებით უეჭველადო, ვიტყოდით ხოლმე.

მერე ჟურნალის კითხვის დროს იყო მთელი სეირი. შეუძლებელი იყო, ამა თუ იმ მოწაფის გვარი დაუმახინჯებლად გამოეთქვა. ერთი მოწაფე გვყავდა გვარად ხორავა. ბერძნულის ენის მასწავლებელს ხორავას მაგიერ უეჭველად კოროვა უნდა ეთქვა და შეგვექნებოდა სიცილი. მასწავლებელი ჯავრობდა და ვერავის გაგვებედნა გვეთქვა, რომ ჩვენი სიცილის მიზეზი ის იყო და არა სხვა ვინმე. მერე ჩვენ ამ მოწაფეს კოროვა დავარქვით და ეს სახელი ბოლომდე შერჩა, თუმცა თვითონ მისი ბრალი სრულებით არ ყოფილა ასეთი სახელით მონათლულიყო.

თვით საგანი პირველადვე ისევე შეგვძულდა, როგორც ანტიპატიური იყო მისი მასწავლებელი. ჯერ ხომ ლათინური გვიჭირვებდა საქმეს, რომელსაც ჩვენთვის გაუგებარი ენის საშუალებითა ვსწავლობდით, მაგრამ ლათინური ბერძნულთან მონაგონი არ იყო. განსაკუთრებით საქმეს გვიჭირვებდა ხმის ამაღლება. ახლა გრამატიკა, ისიც ჩვენთვის, რომელთაც გრამატიკის შესახებ, გარდა იმისა, რაც პოლ. კვიცარიძემ გვასწავლა მესამე მოსამზადებელში, წარმოდგენა არ გვქონდა. თან ვერ გაგვეგო, რაში უნდა გამოგვდგომოდა, რა ჭირად გვინდოდა ეს ენა!.. ვიცოდით, რომ მღვდელმსახურებაში ბერძნულის ხსენებაც არ იყო. თვით „კირიუ ელეისონ“, რა თქმა უნდა, ქართული გვეგონა. შიოს ან სხვა მღვდლებს თუ ბერძნული არ ესწავლათ, აბა იმიტომ არ ტრიალებდა მათს ოჯახებში ღვთის თვალი და ყველაფერი იმიტომ არ სდუღდა და არ გადმოსდიოდა! ჩვენს ბედზე, მეოთხეში რომ გადავედით, უწმინდესი სინოდის (რომელსაც ექვემდებარებოდა ყველა სასულიერო სასწავლებელი და მათ შორის ჩვენიც) განკარგულებით გაუქმებულ იქნა ეს ბერძნული ენის სწავლება დასავლეთ საქართველოს ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, ქუთაისის გუბერნიის სასულიერო სასწავლებლებში. დარჩა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს სასწავლებლებში—თბილისისა, თელავისა და გორისაში, სამაგიეროდ ეს სასწავლებლები განთავისუფლებულ იქნენ ლათინურის სწავლისაგან. ასე რომ, შემდეგში, თბილისის სასულიერო სემინარიაში რომ გადავედით, იმერეთიდან გად-

მოსული მოწაფეები ლათინურსა ვსწავლობდით, ხოლო ქართლ-კახელები—ბერძნულსა.

მეოთხეკლასელებისაგან ჯერ ისევ საზაფხულო არდადეგებს წინ გვქონდა შეძენილი ბერძნული ენის სახელმძღვანელოები, ვისაც ცულით არ დაეკეპა, როგორც ეს იცოდნენ მოწაფეებმა სწავლის დამთავრებისას. განსაკუთრებით საძულველი საგნის, როგორიც იყო უმეტესად ლათინური და ბერძნული, გამოცდას რომ ჩააბარებდნენ, ჯირკვზე დასდებდნენ და ამხანაგების თანადასწრებით, საჯაროდ ცულით დასჭრიდნენ და თან დაატანდნენ წყევლას: „წმ. გიორგიმ ამოაგდოს იმის ძე და მომავალი, ვინც შენ შეგადგინაო". ამხანაგებიც „ამინს" ეტყოდნენ გაგრძელებით. მერე მეორე მიჰყვებოდა, მეორეს მესამე და ასე ბოლომდე, სანამ ყველანი ჯავრს არ იყრიდნენ თავის მაწვალებელ წიგნისას. ამას არ დააჯერებდნენ: შემდეგ ერთად მოაგროვებდნენ ქაღალდის ნაკუწებს და ფერფლად აქცევდნენ და დასძენდნენ: „ასე ცეცხლი მოუკიდე, ღმერთო ძლიერო, ვინც ეს მოიგონაო". ამ პროცესს მოწაფეები წიგნების „ხატზე გადაცემას" ეძახდნენ.

ანბანი ბერძნულისა ზეპირად უნდა გვცოდნოდა. ცოტა გვიჭირდა, სმენისათვის მეტად ძნელი დასამახსოვრებელი ბგერები იყო. მაინც ვიმახსოვრებდით. მაგალითად, ერთი სიმღერა ვიცოდით მეგრული. ერთი დაიწყებდა ლექსს და ყოველ მის ნათქვამ სტრიქონზე ამხანაგები ბანს ეუბნებოდნენ. ამაში პირველობა მე მქონდა. ვიტყოდი: ალფა, ბეტა, გამმა, დელტა-ს და ტოლები მოძახილს იტყოდნენ. ასე ოთხ-ოთხ ასოს თქმით ექვს მოთქმაზე მთელ ანბანს ბოლომდე ჩავიდოდით. მეც უფრო მაგრად მრჩებოდა ხსოვნაში ანბანი და ამხანაგებიც უფრო ადვილად იზეპირებდნენ ჩემთან ერთად. მერე ისე მოგვეწონა ასე სწავლა, რომ თვით სიმღერასაც „ალფა, ბეტა" დავარქვით. აბა ერთი „ალფა-ბეტა" შემოვძახოთო, რომ მეტყოდნენ სწორები, მეც ჩავჯდებოდი შუაში და გაგვქონდა და გამოგვქონდა მეგრულ კილოზე ბერძნული ანბანი. აბა რას წარმოიდგენდა ჰომეროსი, რომ ერთ დროს იმისი ენის ანბანს მეგრელი დიაკვნებიც ისწავლიდნენ და მერე ისიც ასეთი მართლა და ორიგინალური ხერხით!..

საღმრთო ისტორიას იგივე მასწავლებელი გვასწავლიდა და იმავე ხერხით, როგორც ეს იყო ამ სამის წლის წინათ, მხოლოდ უფრო ვრცლად და, რა თქმა უნდა, რუსულადვე.

რუსული ენის მასწავლებელი იგივე შეგვრჩა. გრამატიკას ვერაფერი ეშველა. ლაპარაკის სწავლებას ვერც თვითონ ახერხებს და ჩვენც ვერა ვსწავლობთ. ეგ არის, ზოგიერთი რუსული ლექსი ვისწავლეთ ზედმეტი, ვიდრე ვიცოდით. ამ ლექსების არც მნიშვნელობა გვესმოდა და არც შინაარსის გადმოცემა შეგვეძლო. კარნახით წერა რა იყო, არ ვიცოდით. მასწავლებელი ხალისით ვერ მეცადინეობდა ჩვენთან, სმას უმატა და ბოლოს ამ სმამვე გადაიტანა კიდეც.

ლათინური ენის მასწავლებელი ბეჯითობს და ჩვენც გვაბეჯითებს. ვზეპირობთ სიტყვებს, გრამატიკის კანონებს. მოთხრობითი ბრუნვის თანდებულებს, რომელსაც მე რომ პატარა ვიყავი, უფროსი კლასის დიაკვნები, ჩვენს სენაკში მყოფნი რომ სწავლობდნენ ზეპირად და მთელი ღამე არ გვაძინებდნენ, ახლა მე ვიზეპირებ.

ქართული ენის სწავლების საქმე ძალიან ცუდადაა. პ. კვიცარიძის წასვლას შემდეგ ეს საქმე სულ უკან-უკან წავიდა. მასწავლებლადა გვყავს ერთი ახალკურსდამთავრებული სემინარიელი. თვითონ ხონელია, ხონური კილოთი მოლაპარაკე. ქართული ენის სწავლება მისი სპეციალობა არ ყოფილა, მაგრამ ეკისრა ამ ენის სწავლება ისე, როგორც ყველა სემინარიელს უფლება ჰქონდა, ყველა საგანი ესწავლებია, რასაც სასულიერო სასწავლებელში ასწავლიდნენ. თავისუფალი იყო ქართული ენის გაკვეთილები, იმასაც მასწავლებლობა უნდოდა და სწორედ ამ გაკვეთილების მასწავლებლად გაამწესეს. იმის გამოძიებას არავინ შესდგომია, რამდენად გამოსადეგი იქნებოდა, ან რამდენად ეადვილებოდა და იცოდა ეს საგანი. საერთოდ, მაშინ ქართული ენის მასწავლებლებს ქართული ენის ცოდნა არ მოეთხოვებოდათ, საკმარისი იყო ქართველი ყოფილიყო და ქართული იცოდა თუ არა, არავინ კითხულობდა. ის კი არა; რაც უფრო ნაკლებად იცოდა ეს ენა, რაც უფრო ნაკლებ გულმოდგინებას გამოიჩენდა ამ საგნის სწავლებაში, მით უფრო შეეძლო დაემსახურებინა მადლობა და ყურადღება მთავრობისა.

სასწავლო წიგნად გვქონდა იაკ. გოგებაშვილის „ბუნების კარი“, საიდანაც რამდენიმე ლექსი და მოთხრობა ვისწავლეთ ზეპირად. ლექსში შეხვედრილი გაუგებარი სიტყვების ახსნა-განმარტე-

ბისათვის არავინ იცხელებდა თავს, ლექსის შინაარსს არავინ მოგვაყოლებდა და ხშირად არც ჩვენ გვესმოდა. შინ ერთხელ არ დაგვიწერია ქართულად რაიმე თემა. გრამატიკა ხომ არავის უხსენებია. „ბუნების კარის“ გარდა თუ არსებობდა წიგნი ქართულად, არ ვიცოდით. ასე გვეგონა, მთელ ქართულ ლიტერატურას „ბუნების კარი“ შეიცავდა, მთელ ქართველობის ნააზრევს ეს წიგნი წარმოადგენდა, ეს იყო ალფა და ომეგა ქართული მეტყველებისა. ქართული წიგნის ერთადერთ ავტორად იაკობ გოგებაშვილი მიგვაჩნდა, დიდი ჭკუისა და უნარის კაცი, რომელმაც ამნაირი ენციკლოპედიური ხასიათის წიგნი შეადგინა. ერთხელ ერთი მასწავლებლის ხელში გაზეთიც დავინახეთ, „დროება“ ეწერა თავში. კითხულობდა და სხვა მასწავლებლებიც გარშემო ეხვეოდნენ. გვიკვირდა იმ სიფართე ქაღალდის ნახვა. ვიძახდით, ნეტავ, რა უნდა ეწეროს ისეთი, რომ ჩვენი მასწავლებლები—ეს ყველაფრის მცოდნენი, ასე ჩასცქერიან, ნუ თუ ისეთი რამე წერია, რაც ამათ არ იციანო. ზოგმა რა დაუძახა ამ გაზეთს, ზოგმა რა. ეს კი ვიცოდით, რომ მსხვილი ასოებით „დროება“ ეწერა. ყველანი შევთანხმდით, რომ ასეთ ფურცელს საერთოდ „დროება“ უნდა რქმეოდა. მერე, სამი წლის შემდეგ, უკვე თბილისის სემინარიაში ყოფნის დროს, როცა „დროება“ მეც მეჭირა ხელში, გავიგე, რომ ეს გაზეთი იყო, ყოველდღიური გაზეთი, მკითხველებისათვის ცხოვრების ყოველდღიური ამბების მიმწოდებელი.

ასე იყო თუ ისე, წაკითხული მოთხრობები „ბუნების კარისა“ საზოგადოდ გვესმოდა, გვახალისებდა, სხვა მოთხრობის სასწავლად გვაქეზებდა. „Детский мир“-იდან ამოკითხული მოთხრობების გაგებაშიც რომ დაგვხმარებოდა მასწავლებელი, ჩვენი საქმე ისე სატირელი არ იქნებოდა.

აღარც არითმეტიკაში მიდიოდა ჩვენი საქმე სახარბიელოდ. ევტუშევსკის ამოცანათა კრებულს ძალას ვატანდით და არითმეტიკის ოთხ მოქმედებას მექანიკურად ვიზეპირებდით. მასწავლებელი განაგრძობდა გაკვეთილზე ნახევარი საათის მოპარვას: ჩვენ გვაჩუმებდა და თვითონ ჟურნალში სხვა კლასებში მიცემულ გაკვეთილებსა წერდა. ერთ-ორს გამოიძახებდა და გაკვეთილიც გათავდებოდა. მეტად მიაჩნდა რაიმე აეხსნა, განემარტებინა, გაეგებინებინა ჩვენთვის, გაეადვილებინა არითმეტიკის კანონების სიძნელე...

წერისა და გალობის სწავლას განვაგრძობდით. წერაში უკვე მეორე წელიწადი იყო, რაც „შირინა-ტიშინაზე“ ხელი ავიღეთ და სხვა სიტყვებსაცა ვწერდით. ორივე საგნის სწავლება მეორე კლასში დამთავრდა. სიმღერა-გალობას მეორე კლასის შემდეგ ვსწავლობდით მხოლოდ ისინი, ვისაც კარგი ხმა გვქონდა და ვინც სასწავლებლის მგალობელთა გუნდში ვიყავით. ასეთთა რიცხვი 15—20 კაცამდე ადიოდა. მგალობლები ვსწავლობდით საეკლესიო საგალობლებს სლავიანურად, თუმცა ქართულ ეკლესიებისათვის ვიზრდებოდით.

ნოემბრის გასულია. ქარმა, ზამთრის წინამორბედმა, ბრძოლა დაიწყო, ხეებზე არაფერია შერჩენილი ჩვენი სასუსნი. ყურძენი დიდი ხანია დაკრეფილია, მაჟალოს ხსენება არ არის, ხურმაღა შერჩა აქა-იქ. შიმშილობის, თოვლის, ტალახის, სიცივის სეზონი უნდა დადგეს, უნდა ვიტანჯოთ მთელი სამი თვის განმავლობაში. ეს მეხუთე ზამთარი გვიკაკუნებს კარებზე და საბრძოლველად გვიწვევს. მარტო ფეხის თითების იარები და ხელის თითების დასკდომა რადა ღირს, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ...

დავითკა გეგეჭკორი

მარტვილის მონასტრის გარშემო ეკლესიის ნაყმევი აზნაურები და გლეხები ესახლნენ. მათ შორის ვტრიალებდით მოსწავლეებიც.

აზნაურები ოცდაათ კომლამდე იქნებოდნენ, გვარად ჭალაგანიძეები, გეგეჭკორები და ჟორდანიები, რაიცა შეადგენდა მთელი მოსახლეობის ხუთ პროცენტს. დანარჩენი, გლეხები იყვნენ. აზნაურებში სასულიერონიც ერივნენ; ესენი შედარებით, კარგად ცხოვრობდნენ, კარგი სახლები (ხისა) ედგათ, ჰყავდათ საქონელი, ცოტას მრევლისაგანაც ღებულობდნენ და, შეიძლებოდა ეთქვა კაცს, თითქოს უზრუნველად ცხოვრობდნენო.

სულ სხვა იყო, აგრე ვთქვათ, უსწავლელი, რაიმე ხელობის ცოდნას მოკლებული აზნაურების მდგომარეობა. ბატონყმობა სულ ათიოდ წლის გადავარდნილი იყო. ყმების დაკარგვასთან ერთად გამოეთხოვენ მატერიალურ სახსრებსაც, რაც ბატონყმობის დროს ჰქონდათ. მათთვის უსასყიდლოდ არავინ მუშაობდა, ნატურით გადასახადი არავის მოჰქონდა. წავიდა ის დრო, როცა შემოდგომაზე თუ საშობაოდ ზოგს დაკლული ღორები მოჰქონდათ, ზოგს ყველიერში—

ყველი, კვერცხები, დიდმარხვაში—სადიდმარხვო საჭმელები: ლობიო, ხახვი, მსხალი, კაკალი, ღომისღომი და სხვ. ეს ნეტარი დრო სამუდამოდ იყო წასული, მისი დაბრუნება არავის შეეძლო. ახლა აზნაური ყაზახს (გლეხს) შესცქეროდა, რომელსაც მისი მიწა დასამუშავებლად ჰქონდა აღებული. სულ რაღაც ასიოდე გოდორი სიმინდი უგროვდებოდა წელიწადში და ეს იყო მთელი მისი წლიური შემოსავალი, სტუმრისა თუ შინაურის გასაძღოლი. თვითონაც რომ მოეკიდა ხელი თოხისათვის, ესირცხვილებოდა, გვარში „თავი მოეჭრებოდა“... როგორ უნდა ექნა ისეთი საქმე, რაც მის წინაპრებში არავის უქნია! რა საკადრისია! სამზარეულოსათვის უბრალო შეშის დაპობა რა არის, ისიც კი ეთაკილებოდათ, კეთილშობილისათვის შეუფერებელ საქმედ მიაჩნდათ, გამოწყობილნი და შეიარაღებულნი (სატევარით, დამბაჩით, ხმლით) მთელი დღეობით სახლიდან გამოდიოდნენ, რადგან ცხენი აღარა ჰყავდათ, ქვეითად (ესეც დიდი დათმობა იყო მათი მხრით), ხელში მათრახი ეჭირათ და ნაოღალევის ბაზარში, განსაკუთრებით პარასკეობას, აივლ-ჩაივლიდნენ, ხან ვის შეევაჭრებოდნენ, ხან ვის; რა თქმა უნდა, არაფერს ყიდულობდნენ, რადგან ფული მათ ჯიბეში დიდი ხანია აღარ იყო, გამობრუნდებოდნენ თუ არა, იმის ფიქრს შეუდგებოდნენ, თუ რომელ გლეხს მისდგომოდნენ სწორედ სადილობისას, რომ თავი ძალით დაეპატიჟებინათ და ერთი დღე როგორმე „გადაეგორებინათ“.

ტიპიური წარმომადგენელი და განსახიერება ამ წარმავალი, დრომოჭმული მოდგმისა იყო დავითკა გეგეჭკორი ანუ, როგორც ჩვეულებრივ ეძახდნენ, დავითკა-ხვლიკი.[1]

მაღალი, ძალზე გამხდარ დავითკას ჩამოგრძელებულ სახეს გრძელი, ჭაღარაშერთული წვერი და გრძელივე ულვაშები მოსავს. მთელ სახეზე ნიშანიღაა დარჩენილი მისი ძველებური „კეთილშობილებისა“, არისტოკრატობისა... გრძელ თითებზე გრძელი ყვითელი ფრჩხილები აქვს, განსაკუთრებით ნეკზე, რომელსაც დავითკა კბილებში ჩარჩენილი საჭმლის და ყურში დაგროვილი გოგირდის გამოსაწმენდად ხმარობს ხოლმე. ეს ფრჩხილები მოწმობს, სხვათა შორის, მის კეთილშობილებას, მის წმინდა სისხლს, რომელიც ასარევი

[1] ხვლიკი—გაკოტრებულ, გაყვლეფილ, ყოველ უძრავ-მოძრავ ქონებას მოკლებულ ადამიანს ერქვა.

არაა ყაზახის „უჯიშო“ „შავ“ სისხლთან, ეს ფრჩხილები მოწმობს, რომ ის გაჩენილი არ არის ფიზიკური მუშაობისათვის, რომ მას არ შეჰფერის ხელში თოხი დაიჭიროს...

ტანზე აცვია გახუნებული ჩითის ახალუხი, ღირკილოებიანი, მაღალი, ძალზე გაქონილი საყელოთი, ახალუხს ზემოდან შალის ჩოხა აცვია, ხმარებისაგან გახეხილი, განსაკუთრებით იდაყვებზე, რომელთაც ჩითი აქვთ საკერებლად. დაბლა დახეულია და ფოჩებივით ფრიალებს კალთის ნაწილები, ახალუხს ქვეშ აბრეშუმის ხონჯრით შესაკვრელი შალისავე შარვალი აცვია, პაჭანიკებიანი. შარვალი ორივე მუხლთან, საცა ძალა ადგება ხოლმე სამოსს, და საჯდომთან, ხელის სიფართედ ამოგლეჯილია და შალისავე ნაჭერი აქვს დაკერებული, მხოლოდ სხვა ფერისა. ფეხთ აცვია შალის წინდები და ადგილობრივი ხარაზის შეკერილი წაღები, ხმარებისაგან ფერგადასული, ზოგან დახეული და საკერებლებიანი. თავზე ხურავს ბუხრის ქუდი, რომელსაც ალაგ-ალაგ ბალანი მოშორებია და ცარიელი ტყავილა მოჩანს თალხად, ქაჩალ ადამიანის თავის მსგავსად. ცალ მხარეზე ყაბალახი აქვს გადაგდებული. გულისპირზე ძვლის მასრები აქვს, გაყვითლებულები, და წითელი ძაფის ფოჩვებით თავდაცმული. წელზე არტყია ორ-სამ ალაგას გაკერილი ქამარი, რომელსაც, ეტყობა, ვერცხლის ბალთები ჰქონია, საპირწამლე და საქონეც ჰკიდებია, მაგრამ ახლა შესაკვრელიღაა დარჩენილი.

ამ შებერტყილ ტანისამოსს ამშვენებს ჩოხის მარცხენა მხარეს დაკიდებული ჯვარი წმ. გიორგისა, რომელიც არავინ იცის, როდის, სად ან რისთვის მიუღია. თვითონ კი ამბობს: ჩერქეზეთში ლაშქრობის დროს (1863 წ.) მომცა „ატრიადის ნაჩალიკმაო“. ჩვენი სოფლიდან მარტო მე მერგო ასეთი ჯვარიო. მოგეცათ ღვთის წყალობა, ბიჭი მე ვიყავ და თავიც ვისახელეო. ვისაც ჩემი მახვილი მოხვდა (ამის თქმაზე ხმლის კოტაზე უეჭველად ხელს დაიდებდა და ქარქაშიდან ერთ მტკაველზე ამოსწევდა), ერთი ცოცხალი არ გამიშვია... სულ უკანასკნელი, ათ ჩერქეზს მაინც დავუბნელე მზე, ეს ულვაში შემირცხვეს, თუ ტყუილს ვამბობდეო (ამის თქმაზე კი მარჯვენა ულვაშზე ჩამოისვამდა ხელს), თითქო ჰგრძნობდა, რომ მსმენელი უნდობლად უყურებდა მის ნათქვამს...

სასაცილო რომ არა ვთქვათ, საინტერესო საყურებელი იყო დაკითკა-ხვლიკი, როცა თავის „ლურჯაზე“ იჯდა. მარცხენა ხელით

აღვირის წვერი უჭირავს, ხოლო მარჯვენაში—ენამოგლეჯილი მათრახი და თვითონ ხელი მარჯვენა ფერდში აქვს შემოდებული... მისი „ლურჯა“ იმდენად გამხდარია, რომ ნეკნები თითოეულად დაეთვლება; ლასლასით ფეხებს რომ ადგამს, ერთმანეთში ედება სისუსტისაგან. კისერი განწირულად წაუგრძელებია, ყურები ჩამოუშვია, ცალი თვალით ბრმა, მეორე თვალს ხშირად ხუჭავს, თითქო მწარე რამე ტკივილი გულ-ღვიძლს უღრღნისო. მთელი თავისი არსებით იმის მთხოვნელია: მიჰხედონ ღმერთს, მოასვენონ, აკმარონ ამდენი შიმშილი, ხედნა... მაგრამ ბედი ყოფილა მისი ასეთი: სანამ სიცოცხლის ასპარეზს დაასრულებდეს, უნდა ემსახუროს თავის პატრონს... ხედნას კიდევ გაუძლებდა ახლო მანძილზე, მაგრამ აღლეტილი ზურგია, რომ სულსა ხდის. არაფერი ეშველა მის მორჩენას... ერთი თვე მაინც უნდა შეასვენოს პატრონმა, უნაგირი არ დაადგას, ცოტა რამეც აჭამოს. იმას კი ვინ მოაცლის ამისთვის... თითქოს ესღა აკლდაო, მოუვლელობით მუნი დაემართა. საცა ხეს ნახავს, უნდა მიეიდეს და ზედ მანამდე ეხახუნოს, სანამ სისხლს დაიდენდეს. მის საცოდავ ჩაქჩაქს დავითკა თოხარიკს ეძახის. ზოგი ხუმრობით გაყიდვას რომ ურჩევს, ამაზე დავითკა ეტყვის: „ას მანეთადაც[1] არ შეველევიო“.

შორს მანძილზე არ დადის დავითკა თავისი ლურჯაოი. არც საქმე აქვს. სულ ბევრი—სახლიდან ნაოღალევის ბაზარში ამოვიდეს და ეჩვენოს ყველას, ან კვირაობით, თუ კარგი დარია, მარტვილში[2] ამოვიდეს. აქ დავითკას შეუძლია ფეხით მოვიდეს, მაგრამ „ქუთილშობილს“ არ შეჰფერის ის, რასაც „ყაზახი“ იკადრებს.

ცალი ყურით დაკიდულ ჭიშკარს შეჰყავხართ დავითკას სახლში, ანუ, როგორც აქაურნი დაცინვით ეძახდნენ, დოხორეში (სასახლეში). შორიდანვე დაინახავდით ერთ დაბერებულს, ბალანგაცვენილ და და გაძვალტყავებულ ძაღლს, რომელიც, გარეშეს დანახვაზე, ერთ ხმაჩახლეჩილად ყეფას დააპირებდა, მაგრამ ამასაც ვერ ახერხებდა და, თითქოს რცხვენია კაცს ეჩვენოსო, დასამალავად მირბოდა... ჭიშკრიდან ახლოს, ერთ მტკაველა ეზოს შუაგულში იდგა ფიცრული, გვერდელა სახლი. ამ ეგრეთ წოდებულ სახლს ცალის მხრიდან

1 ბევრი ფულის გამოსახატავად ძველად ამბობდნენ—ას მანეთს.

2 მარტვილის ტაძარს შემოკლებით მარტვილს ეძახიან.

შეყენებული ჰქონდა გრძელი სამი ბოძგინტი, რომ არ წაქცეულიყო. ფიცრები თითო მეტრიანები იყო, ცულით გათლილები. საძირკველი პირდაპირ მიწაზე ჰქონდა დადებული და იმაზე კედლები იყო ამოყვანილი. ზევიდან ისლი ეხურა.

სახლის კედლებს ფანჯარა არა ჰქონდა. კარი ურაზო იყო. სარაზის ადგილას გახვრეტილი იყო და შიგ ეყარა გამონასკვილი წვრილი თოკის ნაწყვეტი, რომელიც გადაეგდებოდა კარის ჩარჩოში ჩასობილ ერთ ციდა ჯოხს. შიგნიდან ურდულით იკეტებოდა. იატაკი მიწისა ჰქონდა. შუაში კერა იყო, მის ზემოდან დვირზე ჩამოკიდებული იყო მჭვარტლისაგან გაშავებული რკინის ნაჭა. ცალ მხარეზე ჭილოფგადაფარებული ტახტი იდგა, ზედ აწყობილი იყო საბან-გობანი, თუ საბანი დაერქმეოდა ბამბაგამოცვენილ და საპირედაგლეჯილ საბანს, რომელიც ზამთარში სიცივეს წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ორგან მუთაქა იდვა და მუთაქის გვერდით—ზანდუკი. სახლის მეორე მხარეს გრძელი ძველებური სასთუმლიანი მერხი იყო, რომელზედაც დღისით სხდებიან და ღამით ზედ დაწოლაც შეიძლება. მერხს უდგას ორი ჯორკო. მის გარშემო კუთხეში დგას კოკა, ღომის მოსახარში თუჯის ქვაბი, რამდენიმე თეფში და ოთხიოდ ხის ჯამი, ხისავე კოვზი და ქოთანი ლობიოს მოსახარში. კედელზე ჰკიდია: დავითკას ცოლის კაბა, დავითკას მოკლე, გახუნებული და ნახვრეტებიანი ჯვარული ნაბადი.[1] ეს იყო მთელი გარდერობი, ბუფეტი და ოთახის მოწყობილობა.

ეს ოთახი მთავარი სადგომი და სამზარეულოც იყო მისი პატრონისა. სამი წელიწადია, რაც დავითკამ გაჰყიდა თავისი მამაპაპეული სამთვალიანი ოდა. გაჭირვებას დაუდგეს თვალები, გაჭირვებას, თორემ იმ სახლს კაცი შეელეოდა?! მერე ვინ იყიდა?—ყაზახმა, დავითკას ნაყმევმა ყაზახმა... როცა მყიდველმა მეზობლები მოიყვანა და სახლს დაშლა დაუწყო, დავითკამ ველარ მოითმინა ყურება და თქვა: ახლა „კეთილშობილები“ სრულებით აღარ ვიყოთ, ისა სჯობიაო. ეზოდან გავიდა და მანამ არ დაბრუნებულა, სანამ უკანა-

[1] ჯვარი სოფელია სამეგრელოში. აქ ნაბდებსა თელავდნენ, მთელი სამეგრელოს გლეხობა ამ ნაბდებით იოლად გამოდიოდა. აქაური ნაბდები მოკლეები იყო, მუხლებამდე ვერა სწვდებოდა ადამიანს, ღირსებითაც ჩამორჩებოდა კავკავის ნაბადს. ამ ნაბდისავე პალტოებს იკერავდნენ, მას გვაბანაკს ეძახდნენ.

სკნელი ურემი, ფიცრებით დატვირთული, იქიდან არ გავიდა.

სახლის მოშორებით იდგა წნული სასიმინდე, რომლის ქვეშ დავითკა თავის „ლურჯას“ აბამდა ხოლმე ავდარში და ზამთარში. სასიმინდის გვერდით საქათმე და საღორე იყო. ეზოში იდგა ერთი ძირი ტყემალი, ერთი კაკლის ხე და ერთიც მსხალი. სახლს უკან პატარა შემოღობილი ვითომ ბოსტანი იყო, მაგრამ ბოსტნეულს შიგ ვერც ერთ სეზონში, ყოველ შემთხვევაში, ზაფხულშიაც ვერა ნახავდით.

ამ „დოხორეს“ შემოვლებული ჰქონდა თხმელისა და ძენძის ტოტების ღობე, რომელსაც ჭიშკარს ახლო სარებზე ეკეთა: გახვრეტილი ქვა და ცხენის თავი, ავის თვალისაგან დასაფარავად დავითკას ავლადიდებისა. თვით ღობე რამდენისამე წლის წინანდელი შეღობილი იმდენად დაძველებული ჩანდა, რომ ოდნავ მიკარებაზე წინააღმდეგობას ვერა სწევდა და იმტვრეოდა. ამიტომაც ამ ეზოში თავისუფლად შედიოდა და ძირიანად ამოჰქონდა ბალახი უღლიან თუ უუღლო ღორს, ყველა ოთხფეხს, ორფეხს და უფეხოს, სხვის ძროხას, ცხენს, ბატებს... დილიდან საღამომდე ამ ნიადაგზე გაუთავებელი დავიდარაბა იყო: დავითკა თავის ცოლ-შვილს მიიშველიებდა და იჭერდა ცხენს, ძროხას, უჩიოდა მეზობელს, ფული უნდა გადაიხადო „წანახდენისაო“, თუმცა წასახდენი არაფერი ჰქონდა. ჩემი ეზო ჩემთვის მინდა და არა სხვისი საქონლის მიერ გასაოხრებლად. თქვენი საქონლის შიშით ბალახს თავი ვერ ამოუყვია მიწიდან, რომ ამოჰყოს, გაზრდას არ აცლითო.

იმართება თხოვნა, ხვეწნა, დაბოლოს, შაურის მიცემით გადარჩება გლეხი... დავითკა დაამუნათებს: „მეცეცხლე“ მეზობელი ხარ, აბა რა გიყო, თორემ სხვას მანეთსაც არ დავჯერდებოდიო. დავითკა კმაყოფილია, რომ დღეს შაური იშოვა. ბაზარში ტარანის ყიდვა შეუძლია და სადილად იოლად გამოვა...

მისი ოჯახი შედგება ცოლისა, ათი-თორმეტი წლის ვაჟისა და ძველთაგან შერჩენილ და ოჯახში ჩაბერებულ ყრუ-მუნჯ მოახლე ვარდისახარისაგან.

ცოლი აზნაურის ქალია. თავად ღარიბი, დავითკას ხელში ოცდაოთხი საათის განმავლობაში სიკვდილსა ნატრობს. სიშიშვლეს სანახევროდ უფარავს ჩითის კაბა, თავზე სამშაურიანი ჩითი უკეთია, ფეხთ აცვია საცოდავად დახეული ჩუსტები. გამხდარი, უჭმელი,

ლანდივით დადის და უვლის თავის ოჯახს, საცა მოსავლელიც არაფერია. რა ხანია დავითკას ცოლი გარეთ გასული, ეკლესიაში ან „შეკრებილობაში“ თავგამოყოფილი არავის უნახავს. ერცხვინება თავისთავისა, ერცხვინება დავითკასი, რომელიც ბედმა ქმრად არგუნა. მეზობელი რა არის, მეზობლისასაც ვერ გადასულიყო, იმ მთისა, ამ მთისა რამე ეთქვა. სულ ბევრი, ღობესთან მისულიყო და დალაპარაკებოდა მეზობლის ქალს ან და იქიდანვე ეთხოვა საცერი, მიეწოდებინა მუგუზალი ცეცხლის გასაჩაღებლად, ესესხებინა „ერთი კათხა“ ფქვილი, სანამ წისქვილიდან საფქვავს მოიტანდნენ.

ბატონყმობის დროიდან დავითკას მეუღლეს ვარდისახა რომ არ დარჩენოდა, წყალი წაიღებდა ქმარ-შვილიანად!.. წისქვილში დასაფქვავად ზურგით სიმინდის წამღები ვარდისახა იყო. იგივე იყო სახლს გარეთ გამსვლელი და ფიჩხის მომტანი ცეცხლის დასანთებად. ვარდისახას მიჰქონდა წისქვილში საფქვავი, ვარდისახა აცხობდა კერაზე მჭადს, ხარშავდა ღომსა, ჭიდან წყალი ვარდისახას ამოჰქონდა. ერთი სიტყვით, ვარდისახა იყო ყველაფერი ოჯახში. ყველა ამ სამსახურის სამაგიეროდ ორი დაგება ღომი და ერთი ჯამი ლობიოს შეჭამანდი თუ ერგებოდა!.. ტანთ ემოსა დახეული, დაკონკილი ჩითის კაბა რამდენიმე წლისა. რამდენიც უნდა დაეფარა, ხორცი მაინც უჩანდა; ფეხთ ზამთარ-ზაფხულ არაფერი სცმია და დახეთქილი ფეხიც თავისუფლად უძლებდა ზამთრის სიცივეს და ზაფხულის სიცხეს. გაცივება ან სურდო რა იყო, ჯერ ვარდისახას არ გამოეცადა.

უჩივოდა დავითკა ალექსანდრე მეორეს ყმების ჩამორთმევისათვის... მაგრამ მისი მდგომარეობა, კრიტიკულიაო რომ იტყვიან, აბა მაშინ იქნებოდა, ვარდისახა რომ არ ჰყოლოდა! პირდაპირ ბედმა გამოუგზავნა ისეთი მუშა საქონელი, რომელსაც არავინ დაეცილებოდა, არავინ წაართმევდა და არც თვითონ ვარდისახას მოუვიდოდა ფიქრად სადმე წასულიყო. მის ვიწრო გონებას ვერ წარმოედგინა სხვა ოჯახში ყოფნა, თუ არ დავითკას სახლში, სხვაგან შოვნა საჭმლისა, თუ არ დავითკას ოჯახში, დავითკასათვისაც ხელსაყრელი იყო ასეთი ერთგული, ძაღლზე ერთგული მოახლის ყოლა, რომელიც თავისი ულუფით არა მარტო კმაყოფილი, ბედნიერიც იყო. დავითკა ამაზე უკეთესს ვერც ინატრებდა! წარმოდგენილიც ისე ჰქონდა: რაკი მუნჯი და ყრუა, არც უნდა იმდენი, რამდენიც მეტყველსა და სმენის პატრონს სჭირდებაო... ალბათ ვარდისახაც ასე ფიქრობდა, თუ-

კი რისიმე ფიქრი შეეძლო, ასე ფიქრობდნენ მეზობლებიც. ვარდისახას ცხოვრების პირობები ყველას ნორმალურად მიაჩნდა. მოახლეს, ისიც ყრუსა და მუნჯსა, მეტი რა უნდაო!

დავითკას, როგორც ნაბატონარს, ვერ წარმოედგინა, რომ ვარდისახაც ადამიანი იყო, მაშასადამე, ყოველივე ადამიანური მისთვის საფერი ყოფილიყო, რადგან ეს მისთვის, დავითკასათვის, არ იყო ხელსაყრელი. მაგრამ გარეშეთათვისაც რომ ეს ნორმალურად ითვლებოდა, აი ეს იყო მაჩვენებელი იმდროინდელი აზროვნების ჩამორჩენილი დონისა.

ოჯახის წევრების გარეგნობაში დისონანსი არ შეჰქონდა თავის გარეგნობით დავითკას ქონების ერთადერთ მემკვიდრეს თორმეტი წლის კოსანტილეს. მაღალი, გამხდარი, უსიცოცხლოთვალებიანი, ყოველ გამომეტყველებას მოკლებული სახისა, პირღია, ხანტი მიმოხვრისა—აი ასეთი იყო კოსანტილე. ტანთ ემოსა ტილოს ხალათი და ტილოსავე შარვალი, მრავალს ალაგს დაკერებული. მუდამ აჩეჩილ თმას დახეული, ცალტოტნახევრადმოგლეჯილი ყაბალახი უფარავდა. ფეხთ ეცვა ჩუსტები, დახეული იმდენად, რომ თითები უჩანდა; რომ მიდიოდა, გადად-გადმოდიოდა, თითქოს კოჭლიაო.

რა თქმა უნდა, კოსანტილე დავითკას მარტვილის სასულიერო სასწავლებელში ჰყავდა შეყვანილი. აქ მარტო მღვდლის შვილები სწავლობდნენ და დავითკას, ცოტა არ იყოს, ეთაკილებოდა თავისი შვილი მღვდლების შვილებთან (რომლებიც ანაფორის ჩაცმამდე იგივე გლეხები იყვნენ) ერთად ემყოფებინა სასწავლებელში, მაგრამ მღვდლები თუ ჩამომავლობით არ იყვნენ კეთილშობილნი, პრივილეგიურ კლასს მაინც ეკუთვნოდნენ და კეთილშობილებთან უფრო ახლოს იდგნენ, ვიდრე „შავი სისხლის“ პატრონი გლეხები. ჰო, მღვდლის შვილებთან, მღვდლების მოსამზადებელ სასწავლებელში შესაძლებელი იყო ევლო მის კოსანტილეს, ამაში საეჭვო, გვარის შესარცხვენი, „კეთილშობილობის“ ჩირქის მომცხები ნაინცადამაინც იმდენი არაფერი იყო...

დადიოდა კოსანტილე სასწავლებელში, მშიერ-მწყურვალი, ტანთ-ჩაუცმელი. უკანასკნელი ღარიბი მღვდლის შვილი იმაზე გაცილებით უკეთეს პირობებში იყო. მისდა საუბედუროდ „წიგნიც“ არ შედიოდა მის თავში. დავითკა თავის ლურჯაზე შემჯდარი, სატევარ-დამბა-

ჩა გადაკიდებული მოდის სასწავლებელში. მასწავლებლებისაგან უნდა გაიგოს სწავლაში თავისი კოსანტილეს წარმატების ამბავი.

— თუ შეიძლებოდეს, ერთი ჩემი კოსანტილეს ამბავი მითხარით. ხომ კარგად სწავლობს?—ეკითხება დავითკა მასწავლებელს.

— ვერა სწავლობს თქვენი შვილი. სასწავლებელში ტყუილად დადის...—გახარების მაგიერ გული მოუკლა დავითკას მასწავლებელმა.

— როგორ თუ ვერა სწავლობს?—არ ერიდება დავითკა შეკამათებას, — ჩემს გვარში უნიჭო და უსწავლელი არავინ ყოფილა. ჩემს შვილს რა დაემართებოდა! უნიჭობა ვისგან უნდა გამოჰყოლოდა, მამამისისაგან თუ დედისაგან?! ჯერ სულ პატარა იყო, ყველას აკვირვებდა მისი მიხვედრილობა, მისი სიტყვა-პასუხი! არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელი!..

მასწავლებელი მაინც თავისაზე ადგა. ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ ვერც ერთმა და ვერც მეორემ თავისი აზრი ვერ შეიცვალეს კოსანტილეზე.

წამოვიდა სახლში განაწყენებული დავითკა. გზაში ყველას შესჩიოდა: ჩემი ბიჭი კარგად სწავლობს, ცარიელი ნიჭია, ნიჭი, მაგრამ რად გინდა, მასწავლებელი გადაემტერა და სჩაგრავსო. ქრთამი უნდა. ფული კი მაქვს, მაგრამ როგორ უნდა მივცეო...

ამხანაგები ვხედავდით, კოსანტილეს საქმე არ იყო კარგად. სწავლა მის თავში არ შედიოდა. მასწავლებელი რომ ააყენებდა, ვცდილობდით ჩურჩულით დავხმარებოდით, მაგრამ ნაჩურჩულევის გაგონებისა და გამოყენების თავიც არა ჰქონდა. დარჩა პირველ მოსამზადებელში მეორე წელიწადს. ორი წლის შემდეგაც გაუჭირდა გადასვლა მეორე მოსამზადებელში. უნდა სასწავლებლიდან გამოეგდოთ, მაგრამ დავითკამ ქვეყანა შეჰყარა: ერთადერთი შვილი მყავს კეთილშობილს და იმასაც მიღუპავენო?! გადაიყვანეს მეორეში. არც იქ დაეტყო წარმატება და ორ წელიწადს ლესა ცერხი. მამა კი იძახდა: კაცმა შვილი თუ ინატროს, ჩემისთანაო! მოწაფე კი არა, ოქროა, ოქრო, სულ „ჩეთირფეთი“ (ვითომ ოთხიანი და ხუთიანი) ჰყავს ყველა საგანშიო. ცარიელი ნიჭია, ნიჭიო! თუ ღმერთმა მშვიდობით გაათავებინა აქაურობა, მერე უეჭველად ქართში (თბილისში) უნდა წავიყვანო სწავლის გასაგრძელებლადო. მართალია, სხვა მემკვიდრე არა მყავს და ამას უნდა დარჩეს ჩემი ქონება, უძრავ-მოძრა-

ვი, მაგრამ ქონება რად უნდა, როცა სწავლა ექნება, „ჩინონიკი“ კაცი გახდებაო!..

მიუხედავად დავითკას ქებისა, კოსანტილემ ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება და მესამე მოსამზადებელში გადასვლა და მეორე მოსამზადებლიდან დაითხოვეს. ველარც ქუთაისში წაიყვანეს გიმნაზიაში შესაყვანად. ამოუდგა დავითკას გვერდით და საოჯახო საქმეებში შველოდა. მის მთავარ მოვალეობას შეადგენდა მეზობლებში სიარული და დავითკას სხვადასხვა დავალებათა ასრულება. ხშირი სტუმარი იყო გლეხ თომა გელანტიასას. წამდაუწუმ მოადგებოდა, ხან რასა თხოვდა და ხან რასა. პირდაპირ ისტორიული შეიქნა ორი შაური ვალის გადახდევინება. თომა გელანტიას სადღაც, როდისღაც და რისთვისღაც ორი შაური დასდებია დავითკასი. ამის სამოციქულოდ კოსანტილე ბარემ ოთხჯერ იყო თომასას ამ სამი თვის წინათ. მაგრამ გაუჭირდათ მისი დაკმაყოფილება. მერე თვითონ დავითკამ იწყო სიარული ამისთვის. მოადგებოდა ჭიშკარს, გამოუძახებდა ვისმე და შემოუთვლიდა თომას—ჩემი ვალი გამომიგზავნე როგორმეო. აქედან ბოდიშს უთვლიდნენ: რახან ამ დრომდე გვადროვეთ, კიდევ გვადროვეთ ცოტაო. მეორეჯერაც მოვიდა, მესამეჯერაც.. ახლა უკვე გული მოუვიდა. ჩემისთანა „კეთილშობილ“ კაცს არ ეკადრება ამდენჯერ გაცუდება, პატივი მიცია, ფული მისესხებია, მართალია, ბევრი არაა, მაგრამ მაინც ფული ჰქვია. ჩემსასა გ'თხოვ, შე კაი კაცო, შენსას ხომ არაო! როგორც იქნა, ხუთი თვის შემდეგ ეღირსა დავითკა თავისი უპირული მევალისაგან დაკმაყოფილებას.

კვირაში ორი დღე იყო განსაკუთრებული დავითკასათვის: პარასკევი და კვირა. პარასკევს ნაოღალევში ბაზრობა იცოდნენ და მარტვილის მცხოვრებნი, ქალი და კაცი, ყველანი თავიანთ თავს ვალდებულადა თვლიდნენ ბაზარში გამოუსვლელი არ დარჩენილიყვნენ. ეს იყო ერთგვარი გამოფენა, კლუბი, საცა ერთმანეთსა ხვდებოდნენ; ეს იყო ადგილი, სადაც გამოჰქონდათ ნაწარმოებნი მარტვილისა თუ უფრო შორეული ადგილებისა, იმართებოდა გახურებული ვაჭრობა. როცა სოფლელები თავიანთ ჩამოტანილ შინ მოქსოვილ შალებს, მატყლს, ქათამს, კვერცხს, ხილს გაასაღებდნენ, აღებული ფულით ბანძიდან მოსულ ებრაელებისაგან ყიდულობდნენ ფართლეულს, აქაურებისაგან—თევზს, მარილს, სხვადასხვა სამეურნეო იარაღს: თოხს, დანას, ბარს. თუ ერთი რიგი აღებ-მიცემობისათვის მოდიოდა

აქ, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სავაჭრო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ მაინც მოდიოდნენ, რათა თვალისთვის წყალი დაელევინებინათ. ამ მეორე ჯურის მობაზრეთა წრეს ეკუთვნოდნენ აქაური აზნაურები და მათი ქალები. გამოწყობილები, შეიარაღებულნი აუვლიდნენ და ჩამოუვლიდნენ ბაზარს, ზოგს სადაურობასა ჰკითხავდნენ, ზოგს ვინაობას, გასაყიდ საქონლის ამბავს გამოჰკითხავდნენ, ერთიდან მეორესთან მივიდოდნენ, მეორიდან მესამესთან, სანამ ასე არ დაუვლიდნენ ყველას და ბოლოს უკან არ გამობრუნდებოდნენ.

დავითკაც ერთი მათგანი იყო. თუ კარგი დარი იდგა, ბაზარში შემოვიდოდა ქვეითად. ხმალ-სატევარი უეჭველად ეკიდა. ხელში— მათრახი, დამბაჩა უკან, ქამარში, ჰქონდა გარჭობილი. თავზე ქუდი ეხურა, ყაბალახი ცალ მხარეზე ჰქონდა გადაგდებული. ჩამოუვლიდა ყველას. შეევაჭრებოდა. დაუწუნებდა საქონლის ხარისხს, ფასს იბევრებდა და თან დაატანდა: „ჰაი გიდი, ძველო დროებავ, ჰაი გიდი, ძველო დროებავ! ასეთ საქონელს ვინ გამოიტანდა ბაზარზე, ან ასეთ ფასად ვინ იკადრებდა გაეყიდა! ბეჩა! ან ხილს გაჰყიდნენ? თუ კი შეგეძლო გეჭამა ხილი, ვინ დაგიჭერდა, ან მისთვის ფასს ვინ მოგთხოვდა! როგორ წახდა, გაფუჭდა დროება, როგორ წახდა ხალხი!.. ვაჭრებად გადაიქცნენ, არც კი რცხვენიათ!“..

მიუხედავად „ქვეყნის გაფუჭებისა“, დავითკას არ უნდოდა შინ ხელცარიელი წამოსულიყო და მივიდოდა თავის მედუქნესთან, ვიხთანაც ტარანი ეგულებოდა. გამარჯობას ეტყოდა, ნიშნად თავდაბლობისა, ხელსაც ჩამოართმევდა. ამით აგრძნობინებდა: „კეთილშობილი“ კაცი შენისთანა გლეხის ხელის ჩამორთმევას არა ვთაკილობ, ამას დიდად უნდა აფასებდეო...

იქით-აქეთურზე ლაპარაკს შემდეგ ეტყოდა:

— ამას წინათ ტარანი რომ მომეცი, უნდა გითხრა, კარგი გამოდგა. მოდი ერთი, ახლაც ამირჩიე კარგი... ქვირითიანი...

— კი, ბატონო, მაგრამ თქვენზე სამი შაური ისედაც ვალად არის. სანამ იმას არ გადამიხდით, მეძნელება საქონლის მოცემა. მოგეხსენებათ, ვაჭრობაა, რომ მოგვაქვს ფოთიდან, ფულს ვაძლევთ. ჩვენი „სერემია“ კი დიდი არ გახლავთ. თქვენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ მეტის მოცემა ნისიად არ შემიძლია...

— შე კაცო, ერთ შაურს როგორ არ მენდობი! დავიჯერო, ჩემი ქონება იმდენად არა ღირს, რომ შენი ვალი გადავიხადო?! ახლა თან არ წამომყვა ფული; რომ მოვდიოდი, სულ გადამავიწყდა.

— შე დალოცვილო, შენა სულ ასე „გავიწყდება“ ხოლმე ფულის წამოღება!.. რა იქნება, ერთხელაც არის, მოიგონო და გავსწორდეთ და მაშინ კიდევ განისიავებ. ხომ იცი, დიდი თავნის პატრონი არა ვარ, თუ ყველას ნისიად მივეცი, უნდა დუქანი ავალაგო კიდეცა...

— დღეს პარასკევია და მარხვა არ მინდა გავტეხო, თორემ ხსნილი რომ იყოს, ტარანს რა მაჭმევს. ტარანის იმედით, ლობიოც არ შემოვადგმევინე ჩვენს მოახლეს. შაურის გულისთვის ნუ გამაცუდებ, თუ ძმა ხარ! ქვირითიანი ამირჩიე, თუ გიყვარდეს... მაგიერ პატივსა გცემ, შე კაი კაცო!

მედუქნე ხედავდა, რომ რასაც დავითკას ნისიად მისცემდა, უეჭველად დაკარგულად უნდა ჩაეთვალა, მაგრამ მაინც თავზე შემოივლებდა ერთ გამხმარ, უქვირითო ტარანს, აძლევდა და თავიდან იშორებდა.

მოაქვს სახლისაკენ ტარანი დავითკას, როგორც ნადავლი და თან თანამგზავრებს შესჩივის ქვეყნის წახდენას, ზნე-ჩვეულების გაფუჭებას, უსამართლობის გამეფებას. „რას ხედავს კაცის თვალი!— წამოიძახებს „უსამართლობით“ აღშფოთებული დავითკა და იმავე კილოთი განაგრძობს:—ქალი, კაცი, დიდი, პატარა აღებ-მიცემობაში ჩაება, ჰყიდის ყველაფერს: ქათამს, ყველს, კვერცხს, ხილს... გაგონილა, მე, კეთილშობილი, გუშინდელი ბატონი, დღეს იძულებული ვარ, ყაზახისაგან ტარანი ვიყიდო და ისიც ნაზობდეს, ნისიად მოცემას აჭირებდეს; გლეხის დედაკაცისაგან ყველს ვყიდულობდე და ისიც, მე რომ მინდა, იმ ფასად არ მაძლევდეს და სიტყვის შემობრუნებასაც მიბედავდეს!.. სულ კი იმ დალოცვილმა ხელმწიფემ, იმპერატორმა ალექსანდრემ, გვიყო კეთილშობილთ. თორემ სად გლეხი და სად ყმობისაგან განთავისუფლება! გლეხს ინთანითვე, ადამის დროიდან მოკიდებული, უღელი სდგმია კისერზე და უნდა დღესაც სდგმოდა. იმისთვის იყვნენ გაჩენილნი, რომ კეთილშობილთათვის ემსახურათ. ღმერთს დასაბამითვე ასე გაუჩენია: კეთილშობილი კეთილშობილად იყვეს, დრო ატაროს, მტერს ეომოს, ხოლო გლეხმა მისთვის იმუშაოს, ყველაფერი მზამზარეულად მიართვას. კეთილ-

შობილს შეეძლო გლეხისთვის ეცემნა, ხუნდზე დაესვა, ხაჯალურით[1] დაება, მოეკლა კიდეცა, ამისთვის განაჩენს არავის აძლევდა,—ჩემთან ვის რა ხელი ჰქონდა; მე რომ ჩემი საქონელი მომეკლა!.. სად კეთილშობილის წმინდა სისხლი, სად გლეხის შავი სისხლი!.. ერთ სასწორზე რომ არ აიწონებოდა!.. როგორ, მე, კეთილშობილი აზნაური, ვიღაც შავსისხლიან, უჯიშო ყაზახის—გელანტიას, კვესელავას ან კვეკვეციას სწორი უნდა ვიყვე? დაალოცოს ღმერთო, შენი სახელი! რა დღეს მოვესწარით, რა ესმის ჩვენს ყურებს, რა! ისე გავუბედურდით, რომ ღვთისაგან დაწესებული კანონის წინააღმდეგაც კი მივდივართ... მე, აზნაურ გეგეჭკორს, სასყიდელი უნდა მქონდეს რამე, ისიც გლეხისაგან? განა გლეხს არ უნდა მოჰქონდეს ჩემს სახლში, რაც მჭირია? სულ ათი წელიწადი არ არის, რაც ბატონყმობა გადავარდა და გლეხებს უკვე ისე უჭირავთ თავი, თითქო თავის დღეში ბატონი არ ჰყოლოდეთ, თითქო ბატონისათვის არ ემსახუროთ, თითქო სწორი ყოფილიყვნენ მისნი! იმათ სახლი უნდა ჰქონდეთ, კარი, ჰყავდეთ მუშა-საქონელი, მეწველი ძროხა, ჰქონდეთ ღვინო და მე კი, კეთილშობილი, იძულებული ვიყვე მათა ვთხოვო, მასესხეთ-მეთქი. იმის მაგიერ, რომ თვითონ მოდიოდნენ ჩემთან, მოჰქონდეთ თავთავის დროზე ყველაფერი, მე უნდა ვეხვეწო: მასესხეთ, ან მომყიდეთ-მეთქი? თან უფულოდ ვერაფერი გამომირთმევია... არა, აბა იმპერატორის, მის სახელს კი ვენაცვალე, ძვირი როგორ უნდა თქვას კაცმა, მაგრამ არ შემიძლია არ ვუსაყვედურო: კეთილშობილთ მტერიც კი არ უზამდა ასეთ საქმეს, რაც იმან გვიყო!.. თუმცა, ღმერთო შეგცოდე, იმასაც ამბობენ, რომ თვითონ კი არ უნდოდა ბატონებისათვის ყმები ჩამოეშორებინა, მაგრამ ზოგიერთებმა „სოციალისტებმა“,—აი გაწყდეს მაგათი ხსენება!—თურმე ძალა დაატანეს: თუ ასე არ გიქნია, არ გაცოცხლებთო. მაგრამ, ჩემო ძმაო,—ეტყოდა ხოლმე დავითკა დასასრულს თანამოსაუბრეს,—ასეთი ყოფა შეუძლებელია, ასე გაგრძელდეს, შეუძლებელია, შეუძლებელი!.. მალე ბოლო მოეღება, ისევ უნდა დაგვიბრუნდეს ძველი დრო, ბატონს მოსამსახურედ უნდა ჰყავდეს ყმები. სხვაფრივ არ ჰქმნილა, არ გაგონილა. თვითონ ღმერთს გაუჩენია ბატონისათვის ყმები და ღვთის გაჩენილი კანონი ადამიანმა შეიძლება დროებით გადააქციოს სხვა კანონად,

[1] დამნაშავის დასაბმელი რკინის ჯაჭვი.

მაგრამ მხოლოდ დროებით; სამუდამოდ ისევ თავის ძველებურს კალაპოტში უნდა ჩადგეს“...

დავითკას არ უნდა შეურიგდეს სინამდვილეს, არ უნდა გაიგოს, რომ დრო უკარნახებს: უკან აღარ მოიხედოს, მხოლოდ წინ იყურეს, წინ, მომავლისაკენ! დარწმუნდეს, რომ ეს წარსული არ მობრუნდება, ძველი წესწყობილება საუკუნოდ ჩაბარდა ისტორიას, რომ იწყება ახალი ცხოვრება, ცხოვრება გარჯისა, რომ უნდა შრომობდეს გლეხთან ერთად „კეთილშობილიცა“.

დავითკას წოდების ხალხი ზოგიერთი შეურიგდა ამ სოციალურ ცვლილებას, რაც ბატონყმობის გადავარდნას მოჰყვა და ნამალევად იწყეს მუშაობა. ჩუმად გაიპარებოდნენ ყანაში, თოხნიდნენ სიმინდს, ცდილობდნენ შინისაკენ მიმავალი თოხიანი არავის დაენახა. დავითკა ხედავდა ამ „ქვეყნის დაქცევას“: კეთილშობილს „არაკეთილშობილის“ როლში. მაგრამ ის მაინც მაგრად იდგა, კეთილშობილ ულვაშებს არ ირცხვენდა: მოვკვდები და რაც ჩემს მამა-პაპას, ჩემს კეთილშობილ გვარს არ უქნია, არც მე ვიზამ, ცოცხლივ მიწაში არ დავიმარხებიო... ორიოდე სულმდაბალმა თუ შეგვარცხვინა, თავზე ლაფი დაგვასხა, მე მაინც მაგრად ვიქნები, ჰო, ჩემი მიცვალებულების სულის მზეს... სად აზნაური და სად საგლეხო საქმის გაკეთება! აზნაურებმაც რომ თოხი დავიჭიროთ ხელში, მაშინ ხომ აზნაურებსა და გლეხებს შორის არაფერი განსხვავება უნდა იყოს, მაშინ ხომ აზნაურობა უნდა მოისპოს!.. დღეს რომ თოხს დაგვაჭერინებთ, ხვალ გვეტყვით: ადლი დაიჭირე და სოფლის დედაკაცებს ფართალი მიჰყიდეო... თითქო სამყოფი არ იყოს, რომ ჩვენი გლეხობა ვაჭრებად იქცა, დედაკაცივით დახლს უკან დამდგარა, ებრაელივით ხელში ადლი დაუჭერია და ხალხს ატყუებს... მაშინ იარაღი ვინღა დაიჭიროს ხელში, საჩერქეზოში ვინ წავიდეს, თავი ვინ უნდა ისახელოს!“.. იტყოდა ხოლმე და ამის საილუსტრაციოდ მოაყოლებდა მოგონებას, ოდეს დასავლეთ საქართველოს კეთილშობილი წოდება, რუსთ ხელმწიფეს ემსახურებოდა საჩერქეზოს მთიელების დაპყრობაში. ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის როგორ ღებულობდნენ წმ. გიორგის ჯვრებს!.. (ამ ჯვრების ხსენებაზე, დაკითკა გულზე დაიხედავდა, ხელით შეათამაშებდა დაკიდებულ ჯვარს). მერე როგორ გამორეკავდნენ დამარცხებულების ცხენებს სამეგრელოში. რა პატივი ან რა სახელი ჰქონდათ ომგადახდილებს!.. აქ კი არაფერზე არ ზრუნავდნენ.

ყველაფერი, რაც მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყო საჭირო, მზამზარეულად მიერთმეოდათ, თვითონ ხელის განძრევა არა სჭიროდათ. ჩერქეზების მოკვლის ამბავს ისეთი რწმენით ამბობდა, რომ ეტყობოდა, არც კი ამჩნევდა, რომ ცხადად ეწინააღმდეგებოდა მისი ნათქვამი მის გარეგნობას...

ამას რომ ამბობდა, დავითკას სახე ნამდვილ მეომრისას ემსგავსებოდა: თვალებგადმოკარკლული, კბილებდაკრეჭილი, ‘ერ ‘ვენა ხელი ხმლის ვადაზე დადებული, გული გამოწეული... იტყოდით, ეს არის, უნდა ეძგეროს მტერსაო. ეს ამბავი ერთისა და იმავე სიტყვებით, ერთისა და იმავე ინტონაციით, ყოველ წელიწადს ერთი ათჯერ მაინც უთქვამს დავითკას მსმენელთათვის სხვადასხვა შემთხვევაში.

განსაკუთრებით უყვარდა დავითკას ასხის[1] მთაზე გამგზავრების ამბის მოყოლა და როგორ გაუმკლავდა ყაჩაღებს, რომელთაც მისა და მის მხლებელთათვის ცხენების წართმევა სწადდათ. ბორატი ენები ამბობდნენ, რომ დავითკას თვალითაც არ უნახავს ასხის მთა, არამცთუ იქ ყაჩაღებს გამკლავებოდა და ისიც მისი ვაჟკაცობის პატრონი. მაინც, გასართობად, უყვარდათ ეამბებინათ თავისი ახალგაზრდობის დროს შემმართებლობის ამბავი. ისიც ჩაახველებდა, ხმას ამოიწმენდდა, ულვაშებს გადიგრეხდა, წვერზე ხელს გადაისვამდა, ტყავშემოძრცვნილ ხმლის ქარქაშზე ხელს დაიდებდა და დაიწყებდა:

„ახალგაზრდა ვიყავ, ასე ოცდახუთი წლისა, შენ ხარ ჩემი ბატონი! მეტის არ ვიქნებოდი. ჩემი სოფლიდან ზოგი ჩვენი და ზოგიც მეზობლების ცხენები წავასხით ასხის მთაზე საზაფხულოდ. მარტვილიდან დილაადრიან გამოსულები მეორე დღეს ასხსაც მივუახლოვდით. აქ ზაფხულობით საყელო ადგილას, ყოველთვის უხვდებოდნენ ცხენების პატრონებს ყაჩაღები, წაართმევდნენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ცხენებს და გაუყენებდნენ აფხაზეთის გზას, რომ აფხაზებისათვის მიეყიდათ ჩალის ფასად. განსაკუთრებით დახვედრა იცოდნენ აქეთობას, ასხიდან გასუქებულ ცხენების ჩამოყვანისას... ჩამოსაყვანად მეც წავედი, როგორც კარგი ვაჟკაცი. სამი ყაჩაღი დაგვიხვდა. დაგვიძახეს, ცხენები სისხლდაღვრელად დაგვენებებინა. მე მივაძახე: ალბათ არ იცით, რომ დავითკა ვურევივარ, თორემ ასე არ გვე-

[1] ასხი—სახელია სამეგრელოს ერთ-ერთი მაღალი მთისა, სადაც ზაფხულობით საქონელს მიერეკებოდნენ საბალახოდ.

ტყოდით-მეთქი! სჯობია, თავი დაგვანებოთ და სხვაგან ეძიოთ ცხენები-მეთქი. იმათ ჩამოცლის მაგიერ იერიში მოიტანეს. მე კიდევ გავაფრთხილე—სისხლს ნუ დამაღვრევინებთ-მეთქი! მაინც თავისი არ დაიშალეს. მეტი გზა არა მქონდა: იარაღის ამოღებაც არ ვაცალე, ისე ერთს დამბაჩა დავახალე და ცხენიდან ჩამოვაგდე მკლავ-მოტეხილი. დანარჩენი ორი ხმლით დავჭერი და თან დავატანე: საცა თქვენი დაიკვეხოთ, ჩემიც არ დაივიწყოთ-მეთქი! ისინი იქ დავტოვე და ცხენები მშვიდობით და უკლებლივ ჩამოვრეკეთ მარტვილში. ამის შემდეგ ყოველ ასხობას მე მთხოვდნენ წასვლას და ცხენების ჩამოყვანას. იცოდნენ, საიმედო კაცის ხელში იქნებოდა მათი ცხენები, არაფერს გავუჭირვებდი. კარგი ვაჟკაცი ვიყავ, კარგი, რაც მართალია, მართალია, ახლა კი მოვხუცდი, მაგრამ არ დავიზარებდი ასხზე ასვლას და თუ შემხვდებოდა ვაჟკაცობის გამოჩენა, უკან არ დავიხევდი, იმის მეტი არ მოგიკვდეთ ჩემი თავი!“.

ამას რომ იტყოდა, ერთს კიდევ დაიგრეხდა ულვაშებს და დაცინვის კილოთი ნათქვამ ქათინაურებს სერიოზულად მოისმენდა, როგორც მართლა დამსახურებულს რასმე.

განსაკუთრებით უყვარდა დავითკას მოგონება იმისა, თუ როგორ მოჰყვა სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის სასახლეში და ბატონიშვილებთან ერთად როგორ მიიღო მონაწილეობა ნადირობაში: „აბა ხალხი მაშინ იყო და ნადირიცა! გამოხტა ირემი—ვესროლე, მოვკალი; გამოხტა კურდღელი—ვესროლე დამბაჩა, მოვკალი; გამოხტა ტახი—სატევრით გული გავუგმირე. ყველანი მე მაქებდნენ. ვასახელე მარტვილელები, განსაკუთრებით ჭყონდიდელი, რომლის სახელით ვიყავ წასული ამ ნადირობაზე“. თან ისე გატაცებით ლაპარაკობდა, რომ გადაჰყავდით წარსულში.

ერთი დიდი ღირსება ჰქონდა დავითკას: ცდილობდა, კარგი მოამბის სახელი შეენარჩუნებინა. საჩერქეზოს ამბავს რამდენჯერმე რომ იტყოდა, უკვე რასმე მიუმატებდა, გააფერადებდა და ცდილობდა მსმენელთათვის სახალისოდ გაეხადა მისი მოსმენა. თუ პირველად ერთ ჩერქეზს დაუბნელებდა მზეს, მეოთხეჯერ და მეხუთეჯერ რომ მოგიყვებოდით, ორს ან სამს ზედიზედ აუტირებდა დედას, დაუქვრიტებდა ცოლს, დაუობლებდა შვილებს. მერე ეს რიცხვი იმდენად გაიზრდებოდა, რომ საჩერქეზოში ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, დავითკას ხმალსა და თოფს ფეხზე ვერავინ დაუდგებოდა და დარჩე-

ბოდა მხოლოდ ატირებული დედები, ცოლები და ბავშვები. დავითკას სისხლის ღვრა დაავიწყებდა ყოველსავე ლმობიერებას და მერე ჩერქეზების ქონებასაც ცეცხლის ალში გაახვევდა. მეათეჯერ თქმაზე მათ ცხენსა თუ საქონელს სულ სამეგრელოსაკენ უბრუნებდა პირს.

ასევე იყო ასხის მთაზე. თუ პირველ თქმაზე იქ ერთი მოჰკლა, მეხუთე თქმაზე ერთმა ერთი სხვა მოიმატა და მერე გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა მოკლულთა რიცხვი.

რიგ-რიგად ათქმევინებდნენ დავითკას საჩერქეზოსა და ასხის ამბებს. მსმენელთა ერთი ნაწილი რომ „საჩერქეზოს“ ამბავს თხოულობდა, მეორე წყება—„ასხის“ იძახდა.

განსაკუთრებით ფრთას შლიდა დავითკას ფანტაზია, როცა ნადირობაზე ამეტყველდებოდა, თუ პირველი მოყოლისას ერთი თოფის გასროლით ორ ნადირსა ჰკლავდა, მეორეჯერ იგივე თოფის სროლა სამ ნადირს უბნელებდა მზეს; სატევარი ერთი შოქნევით ტახსაც ჰკლავდა და დათვსაც... მეათეჯერ რომ გიამბობდათ, იმ ტყეში საცა დავითკა მოხვდა, იმ ნადირობაზე ისე მოისრა ნადირი, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში იქიდან მონადირენი ხელცარიელი ბრუნდებოდნენ და წყევლიდნენ დავითკას ასე უსულმერთოდ ნადირის გაწყვეტისათვის...

შემოდგომის პირზე დავითკას ძალზე მოუნდებოდა ძველი დრო მოეგონებინა: მიმინოთი მწყერებზე ენადირნა... მაგრამ ამისათვის უნდა ევლო ღომით ან ფეტვით დათესილ ყანებში. ეს ყანები ახლა გლეხებისა იყო, მისი ნაყმევებისა და აწ თავისუფლებისა და ჭირნახულის სრული ბატონ-პატრონებისა. ესენი კი ნებას არავის აძლევდნენ, მათს ყანებში ვინმე შემოსულიყო სამწყერაოდ და თავის სიამოვნებისათვის, ჭირნახული გაეთელნა და ზარალი მიეყენებინა. ეს გარემოება კიდევ უფრო ნათლად დაანახებდა დავითკას თავის მდგომარეობას, მწარე აწმყოს, რომელმაც შესცვალა ტკბილი, ნეტარი წარსული, რომელიც, ვაგლახ, აღარ დაბრუნდებოდა.

ერთადერთი სიამოვნება, რასაც მის განამწარებ ცხოვრებაში სიტკბოს ნასახი შეჰქონდა, იყო სიმინდის მოტეხის დროს, ცოლშვილიანად წასვლა ყანაში, რომელსაც ამუშავებდა მისი ნაყმევი. მოტეხილი სიმინდის გაყოფაზე სადილი თვით ყანაში იმართებოდა. სადილი უნდა გაემართა გლეხს. ამ დღეს დავითკა მოუთმენლად მოელოდა,

როგორც დღესასწაულს რასმე, რადგან ამ დღეს ძღებოდა, ამდენი ხნის უჭმელი და ნამარხულევი, ძღებოდა საფუძვლიანად, ისიც სხვის ხარჯზე. მასთან ერთად ძღებოდა მისი ცოლ-შვილიც.

დავითკა კმაყოფილია სადილით, კმაყოფილია, რომ გლეხმა თავისი მოვალეობა მის მიმართ პირნათლად აასრულა. იკადრა და დალოცა: კვლავ შემოდგომას და სიმინდის მოწევას ღმერთმა დაგვასწროსო. გლეხსაც უხარია, რომ ასე მშვიდობიანად გადარჩა. მხოლოდ თავისთავს, ცოტა არ იყოს, ემდურება: „ჩემი იყო ხარი, მუშაობა. სათესლე, სადილი, სახლშიც კი მე მივუტანე თავისი წილი. თვითონ დავითკას ხელიც არ გაუნძრევია ამ ჭირნახულის მოყვანისათვის. ეს სადაური სამართალია!.. იმ დალოცვილმა ხელმწიფემ ბატონის უღელი რომ გადაგვიგდო კისრიდან, რა უშავდა, ბარემ მიწაც მოეცა საკუთრად ჩვენთვის?! ღმერთმა ხომ მიწა ყველასათვის გააჩინა, ვისაც ოფლის ღვრა და მისი დამუშავება შეუძლია?! დავითკას, ხომ იცის ღმერთმა, ჩხირიც არ გადაუბრუნებია ამ მოსავლის მოყვანასა და აღებაში, ყველაფერი მზამზარეულად კარწინ მოერთმევაო...

მაგრამ ამ ყრუ პროტესტს, გაუბედავ სამდურავს იგივე გლეხი გულშივე იმარხავდა, სხვას ვერ უბედავდა ამის გამხელას. დრომდე ურიგდებოდა თავის ხვედრს, ალბათ ასე უნდაო. მაინც ნუგეშობდა... რა შედარებაა წინანდელ დროსთან, როცა ბატონისათვის უნდა ჩაებარებინა ყველაფერი, მისთვის უნდა ეშრომათ როგორც მას, ისე მის ცოლ-შვილსაც.

გლეხმა თავისი ურმით მიუტანა დავითკას მისი ხვედრი სიმინდი და აივანზე დაუყარა, მის გარჩევაშიაც უნდა მოჰშველებოდა ერთ ღამეს და სასიმინდეში შეეყარა. მერე ერთი კათხა ლობიოც დაუმატა და თავისი მოვალეობა შესრულებულად ჩასთვალა შობამდე, როდესაც დავითკასათვის მოსაკითხი უნდა მიეტანა. ეს მოსაკითხი შედგებოდა ერთი ყვერულისა და ღვეზელისაგან. ხოლო დიდმარხვას ლობიოსთან შესატანებლად უნდა მიეტანა ათიოდე ძირი მხალის მწნილი.

ამით თავდებოდა პირდაპირი მოვალეობა გლეხისა მიწის პატრონ ნაბატონარის წინაშე.

მეორე გლეხისაგანაც ამდენივეს რომ მიიღებდა დავითკა და გარჩეულ სიმინდს სასიმინდეში რომ შეჰყრიდა, თავისუფლად ამოისუნთქავდა, ღმერთს მადლს შესწირავდა, რომ შემოდგომა კარგი დაუდ-

გა და მოსავალი დააბინავა. ახლა შემიძლია არხეინად ვიყოო, იტყოდა და განაგრძობდა თავის ჩვეულებრივ „ცხოვრებას“...

კვირაობით შეუძლებელი იყო დავითკა ეკლესიაში წირვას დაჰკლებოდა. უეჭველად ფეხით უნდა ასულიყო მარტვილის მონასტერში, იქ ტაძარში, დამდგარიყო მარჯვენა მხარეს, საცა ბატონიშვილები და საერთოდ კეთილშობილნი დგებოდნენ და, სადაც გლეხებს დადგომა არ შეეძლოთ, რადგან ამათთვის და აგრეთვე სასულიერო სასწავლებლის მოწაფეობისა და მასწავლებელთათვის მარცხენა მხარე იყო მიჩენილი, ხოლო ქალებისათვის—უკანა ნაწილი ტაძრისა. მაგრამ აქაც უმცროს-უფროსობა იყო დაცული: წინ იდგნენ კეთილშობილთა ცოლები და მათ უკან—არაკეთილშობილთა ანუ გლეხთა ცოლები. მღვდელიც, როცა საცეცხლურით საკმეველს უკმევდა, ხატებისათვის კმევას რომ მორჩებოდა, პირველად კეთილშობილთ უკმევდა და ბოლოს—არაკეთილშობილთ. თვით ჭყონდიდელიც ამ წესს სასტიკად იცავდა, და ეს ყველას სრულიად ნორმალურად მიაჩნდა. წირვის გათავებისას ჯერ „კეთილშობილნი“ უნდა მთხვევოდნენ ჯვარსა და ჭყონდიდელს ხელზე, მერე მათი ცოლები და შემდეგ სხვა. ჭყონდიდელი ჯვარზე რომ ამთხვევინებდა დავითკას, მოიკითხავდა. ამით ამაყობდა დავითკა. ჭყონდიდელს ველაპარაკეო!..

ნაწირვევს კეთილშობილთ დიდი ცაცხვის ძირას ცალკე წრე უნდა შეედგინათ, სადაც არაკეთილშობილთ, აბა რა თქმა უნდა, ადგილი არ ექნებოდათ. ამ წრეში, თუთუნის წევის დროს, დღის ჭირვარამზე ჰქონდათ ლაპარაკი: მოსავალი, ნადირობა, ქორ-მეძებრები, ცხენები, მწევრები, მიმინოები იყო ლაპარაკის საგანი. დავითკა ამ წრის სული და გული იყო. უყვებოდა, რომ იმდენი სიმინდი მოუვიდა, სასიმინდეებში აღარ დაეტია და ნაწილი სიმინდისა, იძულებული იყო, სხვენზე დაეყარა... მისმა კაპუეტმა მიმინომ ერთი მწყერი არ გაუშვა, რომ არ დაეჭირა. თოფს ჩახმახი გაუფუჭდა და ზეინკალი ვერ იშოვნა გამკეთებელი, თორემ კურდღლის სინსილას არ გაუშვებდა... მისი შვილი კოსანტილე ხომ ყველას აკვირვებს სწავლით. მაგრამ არ უნდა მღვდლად გამოიყვანოს. გადაწყვეტილი აქვს, ქუთაისში წაიყვანოს, „გემლაზიაში“ მიაბაროს და მერე რუსეთში „უნვერსში“ გაისტუმროს და „ატუკანტი“ გამოუვიდეს. მაგრამ ვერ გაუბედნია მოშორება: ერთადერთი ვაჟია, ვაი თუ ქუთაისში ისე ვერ მოუარონ, თუმცა იმედი აქვს, როგორც კეთილშობილის შვილი,

„კაზიონად“ უნად მიიღონ „გემლაზიაში“. მაგრამ სახლი მაინც სხვაა. სულაც რომ არ წაიყვანოს „გემლაზიაში“, მაინც რაც ისწავლა ხუცების სკოლაში, ისიც ეყოფა. თვითონ დავითკას სასწავლებელი არ უნახავს, მის დროს არ იყო „შკოლა“, რუსული არ იცის, მაგრამ შინაურულად ნასწავლ ქართულ წერა-კითხვაში სწორი არა ჰყავს ამ არე-მარეში! თავისი საქმეც ისე წაიყვანა, რომ ყველა იმის პირამდე „საავსე ოჯახს“ შემონატრის და მტერს შურით ევსება თვალი, მის „პატარძალივით მორთულ კარ-მიდამოს“ რომ უყურებს... მაშ!.. კარგი თოფ-იარაღი ვისა აქვს?—დავითკას. კარგი ჩოხა-ახალოხი ვის აცვია?—დავითკას. კარგი ბედაური ვისია?—იმავე დავითკასი. ჰოდა, ყოველივე ეს ვისთვის მინდა, სად უნდა წავიღო! ჩემს ერთადერთ შვილს უნდა დარჩეს სავსე ოჯახთან ერთად. ცოლსათხოვარი გახდება თუ არა, ვინმე კეთილშობილის ქალს, კარგ მზითვიანს, კარგი გვარიშვილისას, კარგი ოჯახისას შევრთავ და იცხოვრებს ნებიერად. მანამდე ღმერთი აფიქრებინებს რუსთ ხელმწიფეს, ვენაცვალე მის სახელს, შეიგნოს მისი შეცდომა—შეუცდომელი თვინიერ ღმერთისა არავინაა!—შეიგნოს, გვაკმაროს კეთილშობილთ ეს შეურაცხყოფა და ყმები ისევ დაგვიბრუნოს. თორემ რასა ჰგავს, თქვენი ჭირიმეთ! ლამის არის, თავს გავიდნენ ყაზახები! წამოიჭიმეს სახლები, მშვენიერი ეზოები შემოიკავეს, გაიჩინეს ცხენი, უნაგირი, ძროხა, ხარები... ისე გაკადნიერდნენ, რომ ზოგს ქვეითად სიარული ეთაკილება. ფეხშიშველა სიარულს არა ჰკადრულობს. თუ არა ხარაზის შეკერილ სამოგვის წუღებს, ამოსხმულ ქალამნებს ფეხზე არ იცვამენ, მათი წინაპრები კი ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველა დადიოდნენ. რომ შემოგვხვდება კეთილშობილს, სალამის მოცემა ეზარება, კაცად არ გაგდებს! სწორედ მეორედ მოსვლაა ქვეყანაზედ მოსული!.. ქორწილსა ან ტირილში გვერდით ამოგიჯდება, როგორც თავის ტოლს!.. ჰაი გიდი, ცხოვრებავ, როგორ გაფუჭდი, როგორ დაგესხა თავს ლაფი! იქ, საცა ოჯახი სავსე იყო მეეებრებით და მწევრებით, ერთი მწევარიც არა ჰყავს!.. ცხონებულ მამაჩემის, დიდი ვახტა გეგეჭკორის შვილს, ვიღაც გელანტია დღეს თავს მიყადრებს: ყველანი სწორნი ვართო!.. აი, რა ვუთხრა ჩვენს იმპერატორს, რომ ვიღაც ქეციანი „სოციალისტებისა“ შეშინებია და გლეხებისათვის კისრიდან ბატონყმობის უღელი გადაუგდია!.. რაღა იმ დალოცვილმა შემოიღო თავის ქვეყანაში ასეთი სასირცხვილო საქმე! ჰთელ

დუნიაზე ყველა დიდ-დიდ სახელმწიფოებში—ანგლიაში, ფრანციაში, ლემენცებში კეთილშობილთ თურმე დღესაცა ჰყავთ ყმები—ვაი არა აქვს დავითკას, მართალს ვამბობდე!—და მოსამსახურეები და რაღა ჩვენ დაგვათხრევინეს ყველაზე წინ თვალები!..—წუწუნებდა დავითკა.

იცოდნენ დავითკას მოუნელებელი დარდის მიზეზი და ერთხელ ერთ კრებაზე სერიოზულად ჰკითხეს მისი აზრი საიქიოს შესახებ: საქაოში რომ მოისპო ბატონყმობა და ქვეყანა გასწორდა, საიქიოში როგორღა იქნება ჩვენი საქმეო?

— დიდი უკაცრავად ბრძანდებით ,რომ ამას მეკითხებით.. კეთილშობილს არ შეგფერით ასეთი ლაპარაკი!—ქვეყანა გასწორდაო! არა, ვინ მოგახსენათ, გასწორდაო? კეთილშობილისათვის თავისი კეთილშობილება არავის წაურთმევია და ვერც ვერავინ წაართმევს... ვაი არა აქვს დავითკას?... თუ იმპერატორი შეცდა და ყმები ჩამოგვართვა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ვითომ ჩალით იყოს გადახურული ქვეყანა! საიქიოში ღმერთი მბრძანებლობს, ვენაცვალე მის მადლსა და განგებას! იქ ისევ ის წესებია, რაც დასაბამითვე ყოფილა, რაც დასაბამიდან გაუჩენია ღმერთს. კეთილშობილი—კეთილშობილადაა დარჩენილი, მის უფლებას არავინ შეჰხებია და აზრადაც არვის მოსდის, შეეხოს!.. ხოლო გლეხი იქ, სულეთში, ისევ გლეხად და კეთილშობილის ყმად და მოსამსახურედ არის დარჩენილი! მისი განთავისუფლება ბატონებისაგან არავის უფიქრია. სულ ერთია, მაგრამ ბატონებს მაინც მოსამსახურე სჭირიათ და ესენიც ემსახურებიან. საღმრთო წერილში სულ ასე წერია. მე კი, საღმრთო წერილისა ცოტა რამ მესმის. ძველად ჩვენში გალობა და საღმრთო წერილი ბევრმა იცოდა. საუკეთესო მგალობლები ჰყონდიდელებს სულ ჩვენი გვარისანი, სულ კეთილშობილები ჰყოლიათ. ჰგალობდნენ მუქთად, სახელისათვის. ახლანდელ მგალობლებს კი არა ჰგვანდნენ, გალობაში ფულს რომ თხოულობენ, ვაჭრებივით. გაფუჭდა ქვეყანა და კეთილშობილებასაც ვიღაც-ვიღაცეებმა ვითომ ფასი უნდა დაუკარგონ...

როცა იმპერატორი ალექსანდრე გარდაიცვალა (ჩვენამდე მისი მოკვლის ამბავს არ მოუღწევია) და ჰყონდიდელმა (ბესარიონ დადიანმა) ნოღალევის მინდორზე შეკრებილ ხალხს გარდაცვალებულის შვილის—ალექსანდრე მესამის ერთგულებისათვის ფიცი მიაღებინა,

დავითკა წინ იყო წამდგარი, ახალუხის საკინძე გაეხსნა, თავზარდაცემული დასტიროდა ასვთს უბედურებას. დაფიცების შემდეგ ასე ამბობდა: სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა, კაი კაცი იყო, თუმცა ვემდური კია, რომ კეთილშობილთ ყმები ჩამოგვარ:თვა და ახლა ჩვენს ნაოხარზე ამათ აპარპაშებსო... ვერ მოასწრო ნეტარხსენებულმა თავის შეცდომა გამოესწორებინა: ადამის დროიდანვე თვით ზეციერისაგან ყმებად გაჩენილი ხალხი, მის მიერ განთავისუფლებული, ისევ ყმებად გადაექცია... მაგრამ ახლა ტახტზე ასულ მისს შვილს დიდ ვაჟკაცსა და კეთილშობილთა მომხრეს ამბობენ, ის უეჭველად გამოასწორებს მამის მიერ გაფუჭებულ საქმეს და ჩვენს ბედს ისევ წაღმა შეატრიალებსო...

მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა დავითკას და ისე ჩავიდა საფლავს, რომ გლეხები მის თვალწინ უფრო და უფრო ღონიერდებოდნენ, ცხვირს მაღლა იწევდნენ, თავი ქედმაღლურად ეჭირათ, წელში სწორდებოდნენ და ქონებრივად გაცილებით წინ უსწრებდნენ კეთილშობილებს.

ტირილს თუ ქორწილს დავითკა არ აკლდებოდა. არ თაკილობდა გლეხებთან მისვლას, ეს მისი კეთილშობილებისათვის დამამცირებლად არ მიაჩნდა. ასე ამართლებდა ამ თავის თავძდაბლობას: მამაპაპათა ჩვეულება ასეთი ყოფილა, ჩვენც მას უნდა მივსდიოთო. მხოლოდ ქორწილში თუ მივიდოდა, უეჭველად თავში უნდა დამჯდარიყო და შვილიც გვერდით უნდა მოესვა. გადასაგდებს ექვსიოდე შაურს თუ სადმე იშოვიდა, თავისი მოვალეობა შესრულებულად მიაჩნდა. თვითონ და შვილი ხომ გაძღებოდნენ, კარგა მოზრდილი ნაჭერი ხორცი შინაც უნდა გაეტანებინათ, ისე ფეხს არ მოიცვლიდა. იცოდნენ მისი ჩვეულება და არ აუხირდებოდნენ ხოლმე. თან ებრალებოდათ,—მადლია, ჭამოსო...

მოსწავლეებს მასპინძელი თომა გელანტია ავად გაგვიხდა. იმ არემარეში ერთი მოხუცი სამხედრო ფერშალი იყო. მან რამდენჯერმე ინახულა, ქინა გამოუწერა, მერე კოტოში მოჰკიდა და ზურგი დაშაშრა. ცოლსაც ასწავლა, როგორც უნდა ექნა. სისხლისაგან დაიცალა საწყალი კაცი. ბოლოს, თქვენი ჭირი წაიღო. გაიმართა ტირილი. ძველი ჩვეულება შესაწირავის მოტანისა გადავარდა. ამის მაგიერ მოჰქონდათ ფული გადასაბურავი. ადგენდნენ სიას, ვინ რამდენი გადაბურა. ამ სიის წვრა, ერთ მოწაფეს ერგო.

ტირიელში რა თქმა უნდა, დავითკაც იყო დაპატიჟებული. მოვიდა დავითკა შეიარაღებული. ხელში მათრახი უჭირავს. იტირა წვსისამებრ. სანამ სადილად დაჯდებოდა, მოვიდა, საცა საშდივნო ჰქონდათ გამართული, ხის ძირას.

— დიაკვანთ, აბა ერთი ჩემი გადასაბურავიც ჩასწერე,—ეუბნება დავითკა მწერალ მოწაფეს.

— რამდენის ჩაწერას მიბრძანებთ?

— ჩასწერე: აზნაურმა დავითკა ვახტას ძე გეგეჭკორმა...

— ჩავწერე, ბატონო!

— დაუმატე: გადავაბურე ორი შაური... მხოლოდ ფულს ახლა ვერ მოგცემთ. ჯიბეში არ მქონია.. მერე იყოს.

მოწაფის საქმე მარტო წერა იყო. მოლარე, ვინც გადასაბურავებს აგროვებდა, ცოტა არ იყოს, გაწყრა: ფულსაც არ მოგვცემს და სადილიც დაგვეკარგაო...

დავითკა საპატიო ადგილას დაჯდა. მოართვეს ლობიო, თეთრი პური. რაც მორჩა, მანდილში გამოჰკრა, შინ წაიღო და გაახარა დამშეული და, კერძოდ, პურს დანატრულებული ცოლ-შვილი. მაგრამ გადასაბურავი ორი შაური მერეც არ მიუტანია მიცვალებულის მემკვიდრისათვის...

დავითკამ კიდევ რამდენიმე წელიწადი იცოცხლა. იმედი, მისი მასულდგმულებელი იმედი, ბატონყმობის დაბრუნებისა, გაქრა. რამდენად გლეხების მდგომარეობა უმჯობესდებოდა, იმდენად აშკარა და თვალსაჩინო ხდებოდა, რომ დავითკა ცხოვრებას ჩამორჩა; ყველა და ყველაფერი უსწრებდა მას და აგრძნობინებდა, თუ რამდენად მეტი ბარგი იყო იგი ამ ცხოვრებისათვის... ცალკე ამ დარდმა, ცალკე გაჭირვებამ, ცალკე სირცხვილმა მის დასუსტებულ ორგანიზმს, ბოლო მოუღო და ცოცხალ მუმიად გადაქცეული დავითკა განშორდა სააქაო ცხოვრებას. მართალია, ვერ მოესწრო ბატონყმობის დაბრუნებას, მაგრამ სანუგეშოდ ის მიჰყვებოდა, რომ კეთილშობილის სახელი არ გაუტეხია, არ უვაჭრია, ხელში თოხი არ დაუჭერია...

ასეთი იყო მცირედის განსხვავებით, მდგომარეობა სხვა კეთილშობილებისაც, ვინც გონს დროზე არ მოეგო და არ შეიგნო, რომ წასული დრო, როცა უშრომლად შეიძლებოდა ცხოვრება, როცა მზამზარეულად მოერთმეოდა ყველას ყველაფერი, წავიდა დაუბრუნებლად და ახლა დადგა დრო, როცა შრომით და მარტო შრომით შეიძლებოდა ფონს გასვლა, მარტო მშრომელსა და გამრჯელს შეეძლო ლელოს გატანა. უქნარა განწირული იყო მოსასპობად, კიდეც ამიტომ იყო, რომ ზოგი მათგანი სულ განშორდა სოფელს, გადავიდა ქალაქში. აქ, რაკი არავინ იცნობდა მათ, ყოველგვარ შავ სამუშაოს ჰკადრულობდნენ, ხელს კიდებდნენ ვაჭრობას, ლაქიობას, მზარეულობას, რკინიგზაზე კონდუქტორობას ან სხვა რამ ხელობას... ზოგმა თოხის დაჭერაც კი იკადრა...

*
* *

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სასწავლებელი, იმის მაგიერ, რომ სამეგრელოს ცენტრალურ ადგილას აეშენებინათ და ყველასათვის დასამხარი ყოფილიყო, აქაო და ჭყონდიდელი მარტვილშია და სასულიერო სასწავლებელიც მის ახლოს უნდა იყოსო, აიღეს და მარტვილიშ დააარსეს, სამეგრელოს მეორე ბოლოს აღმოსავლით. დავიწყდათ, რომ ერთხელ უკვე დასწვეს ეს სასწავლებელი სიშორისა, აქაური ადგილის სიმწირის, იქაურების საზღაპრო ხელმოკლეობის და საზოგადოდ ცხოვრების საშინელი პირობების გამო გამწარებულმა „დიაკვნებმა“. ამ ათი წლის წინათ, ახალი სასწავლებლის დაარსების სწორედ ათი წლის თავზე, ახლანდელ დიაკვანთა შორის აღმოჩნდნენ თავიანთი წინაპრების ვაჟკაცობის ღირსეული განმმეორებელნი და მთელი სასწავლებლის სურვილის გამომხატველნი, და სამმა მოწაფემ (გაბუნიამ, კალანდარიშვილმა და მესამის გვარი ვერ ნომიგონია) მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს დაეწვათ სასწავლებელი და ეგრეთი განუწყვეტელი ტანჯვისაგან ეხსნათ როგორც მოწაფეები, ისე მასწავლებელნი. მათი ანგარიში ისეთი იყო, რომ რაკი აქ სას-

წავლებელი დაიწვებოდა,სამაგიერო შენობას ვერ იშოვნიდნენ და ძალაუნებურად უნდა გადაეტანათ სადმე უფრო ცენტრალურ ადგილას.

ღამის ორი საათი იქნება. საზარელი ყვირილი, ქალების კივილი, ბავშვების ტირილი ისმის მთელ სოფელში. ამ ხმაურობამ ფეხზე დაგვაყენა მთელი მოწაფეობა. იძახიან: „უჩილიჩას“ ცეცხლი უკიდია, იწვისო. გარეთ გავცვივდით და რას ვხედავთ, წითელი ალი ავარდნილა ზევით. სასწავლებლის მხარისკენაა ეს ვიცით, მაგრამ ჩვენს ბინასა და სასწავლებელს შორის მდგარი მაღალი ხეები გვიშლის მკაფიოდ დავინახოთ თვით საგანი ხანძრისა. მასპინძელი ბავშვივით ტირის, იცის, რომ სასწავლებლის დაწვასთან ერთად დეკარგება შემოსავალი, რაც „დიაკვნების“ შენახვისათვის შემოსდიოდა.

თვალის დახამხამებაზე სულ მაღალი ხეების კენწეროებს მოვექეცით, რომ იქიდან დაგვენახა ხანძრის ადგილი: თან გულში წმ. გიორგისა ვთხოვდით, აესრულებინა ამდენი ხნის ნატვრა: დამწვარიყო ჩვენი მაწვალებელი შენობა. მართლაც დავინახეთ, რომ ცეცხლი სწორედ სასწავლებელს ეკიდებოდა. რა ლამაზად გვეჩვენა შეწითლებული ცა; ზეცად ამავალი დახვეული, გველის მსგავსი ალი, ბოლქვა-ბოლქვად კვამლიანი!... მას თან მიჰქონდა ჩვენი წამება, ჩვენი უძილო, შფოთიანი ღამეები, მარხულობა. დიდი ხნით?—ეს არ ვიცოდით, მაგრამ თუნდაც დროებით ყოფილიყო, ისიც დიდი შვება იქნებოდა ჩვენთვის. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობდით, რაკი დაიწვება, ერთხანს გადავრჩებითო.

ჩამოვედით. ჩვენს სიხარულს მასპინძელთან არ ვაჩენთ, გულში გიმარხავთ. გადავწყვიტეთ წავიდეთ, ჩვენი თვალით ვნახოთ, დავრწმუნდეთ სინამდვილეში. სახეზე ნაძალადევი მწუხარება და ნაღველი გვამჩნევია. გამოვედით სახლიდან. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. მცირე ნიავიცა ჰქრის დასავლეთიდან. ერთ კილომეტრზე მივუახლოვდით ხანძრის ადგილს. ორი აზრი არ შეიძლება: სასწავლებელია ცეცხლში გახვეული. გზაში ხალხიც შემოგვხვდა, რომელსაც თვით უნახავს, თუ რა უბედურება დაატყდა თავს მარტვილსა და მარტვილელებს.

ჩვენ რომ მივედით, დაუწვავი პირველი მოსამზადებლისა და ხასწავლებლის მმართველობის ოთახებიღა იყო. ცეცხლი დაწყებუ-

ლა სულ ბოლო ოთახიდან (მეოთხე კლასიდან), ნავთი ჭერში გადა-უსხამთ. ასე რომ, სანამ ქვევიდან ვინმე დაინახავდა ცეცხლს, ეს უკანასკნელი მოსდებია მთლიანად სახურავს. რადგან შენობა ხისა იყო და ყავრით გადახურული, ერთბაშად წამოსულა ცეცხლი. მისი გაჭრობა შეუძლებელი იყო; ჯერ ერთი, გვიან გაუგიათ და მეორეც, რომ არავითარი ხანძრის საწინააღმდეგო საშუალება არ ჰქონდათ. მართალია, იქვე ღელე ჩამოდიოდა, მაგრამ სანამ იქ კოკას გაავსებდა კაცი და მაღლა ამოიტანდა, ერთი ოთახი უკვე დამწვარი დაუხვდებოდა. რადგან სულ ბოლოს სასწავლებლის სამმართველოს ოთახს მოუკიდა ცეცხლი, შიგ დებული ავეჯის და სასწავლებლის საქმეების და პატარა ბიბლიოთეკის გარეთ გამოტანა და გადარჩენა მოასწრეს. ასე რომ, სასწავლებლის ყაზარმული შენობიდან გადარჩა მხოლოდ ქვითკირის საძირკველი. მთელი შეგირდობა, მასწავლებლები და სოფლის ხალხი მოწმენი ვიყავით, თუ როგორ იმსხვერპლა სტიქიამ ეს ერთადერთი სასწავლებელი სამეგრელოს სამღვდელოებისა და თუ რამდენად უმწეო, უძლური და უმეტესად შესაბრალისი იყო ადამიანი ამ ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველას გულხელი დაეკრიფა, ყველას სახე ჩამოსტიროდა და დაღონებული შესცქეროდა ცეცხლს, რომელიც შეუბრალებლად ნთქავდა ადამიანის ნაშრომს...

დილის ათ საათზე მიწასთან გასწორებული იყო მთელი შენობა. აქა-იქ ეყარა გარუჯული, ნახევრად დამწვარი სვეტები თუ ფიცრები, რომელთა გამოთრევაც მოესწროთ გლეხებს ცეცხლიდან. აქა-იქ ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა ჩაუფერფლავი ხის მასალას.

აქაურმა ხალხმა სასწავლებლის დაწვა მეორე საწყენ სასწაულად ჩათვალა, რომელიც 1881 წლის იანვრის მთვარის დაბნელებას მოჰყვა (პირველი იყო იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლა იმავე წლის მარტში). ალბათ, ამბობდნენ ღმერთი გვსჯის ჩვენი დანაშაულისათვისო. ჩვენ კი, ღმერთს მადლობას ვწირავდით და შევთხოვდით, მთვარე კიდევ დაებნელებინა, თუ კი ამას სასწავლებლის შენობის დაწვა მოჰყვებოდა (ხელმწიფის მოკვლისათვის შავს არ ჩაგიცვამდით).

ახლა საქმე ის იყო, სამაგიერო შენობა აღმოეჩინათ და სწავლა არ შეეწყვიტათ. მაგრამ სად?

მეორე დღესვე მოიწვია სასწავლებლის ზედამხედველმა— ამბროსი ხელაშვილმა მარტვილის თავკაცები, რომელთაც რამე ეკითხე-

ბოდათ საზოგადო საქმისა და თათბირი გამართა, თუ როგორ უნდა ეშველათ საქმისათვის. მიდგნენ-მოდგნენ. ერთი გაბისონია იყო, იკა ერქვა. ყაზარმულად ერთიმეორეს მიდგმული ოთახებიანი სახლი ჰქონდა. შეაძლია სასწავლებლის მოსათავსებლად. მართალია, ხუთი ოთახი კი იყო, მაგრამ ისეთი პატარა ოთახები იყო, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა შიგ. სულ ბევრი, თითოეულს 10 კვადრატული მეტრის სივრცე ჰქონოდა. ასე რომ, გაბისონიას სახლში სასწავლებლის თუნდ ნაწილის მოთავსება ყველასაგან შეუძლებლად იქნა მიჩნეული. სხვა გლეხების თუ აზნაურების სახლების შესახებ ლაპარაკი ხომ მეტი იყო.

სასწავლებლის მმართველობამ ითათბირა და გადაწყვიტა: მოწაფეები დაეთხოვა, მოეწვია სენაკში სამეგრელოს სამღვდელოების კრება და ამ კრებას აღმოეჩინა ადგილი და შენობა სასულიერო სასწავლებლისათვის ისე, რომ სწავლა იანვარში მაინც განახლებულიყო.

გამოგვიცხადეს, თქვენ-თქვენს სახლებში წადით და იქ შეიტყობთ, თუ სად და როდის უნდა გამოცხადდეთ სწავლის გასაგრძელებლადო.

სახლებში წამოვედით და თან მივიმღეროდით ორ სტრიქონიან ლექსს, რომელიც სასწავლებლის დაწვით გახარებულმა ერთმა მოწაფემ შეთხზა:

„ნიორი და ხახვის ფოჩი,
მადლობა ღმერთს, მარტვილს მოვრჩი“.

ამ ლექსს მერეც დიდხანსა ვმღეროდით, სანამ არ დაგვავიწყდა სიმწარენი მარტვილისა და იქაური ცხოვრებისა.

სამღვდელოებას სენაკში კრება ჰქონია ქრისტეშობისთვეში და დაუდგენია: რადგან მარტვილში სასწავლებლისათვის დამწვარ შენობის ბადლად შენობა არ იშოვება, ახალი შენობის გაკეთება კი ასე მალე არ მოხერხდება, დაქირავებულ იქნას სენაკში ორი შენობა და შიგ მოეწყოს სწავლება 1882 წლის იანვრიდანაო. ეს მოწაფეებსაც შეგვატყობინეს სოფლებში და იანვრის 15-ს უკვე სენაკში დავდიოდით სასწავლებელში.

სენაკს ყველა უპირატესობა ჰქონდა მარტვილის წინაშე. მთავარი ის იყო, რომ სენაკი ცენტრალურ და დასამხარ ადგილად ითვლებოდა მთელი სამეგრელოს სამღვდელოებისათვის. აქ

იყო ფოთი-თბილისის (ბაქომდე ჯერ არ იყო გაყვანილი რკინიგზა) რკინიგზის სადგური. მისვლა-მოსვლა თბილისსა, ქუთაისსა და სხვა რკინიგზის ხაზზე მდებარე ადგილებთან, მარტვილთან შედარებით, ერთი-ათად გაადვილებული იყო. ქვეყნიერებას ისე მოწყვეტილად აქ კაცი არა გრძნობდა თავს. მერე აქ იყო სხვადასხვა დაწესებულებები მაზრისა: აფთიაქი, ორკლასიანი სასწავლებელი, ხაზინა, აბანო, სატუსაღო... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც იმდროინდელ სამაზრო ქალაქს ახასიათებდა. დასასრულ, იყო ერთი აქ დასახლებული ინგლისელის ეზო-ბაღი, სადაც, მარტვილის სიმინდს გარდა, ვხედავდით სხვადასხვა ტროპიკულ და კულტურულ მცენარეებს, რომელთა აღმოცენება აქაურ ნიადაგს შეეძლო და ჩვენ კი სასწაულად მიგვაჩნდა. იყო ზუხრიანი სახლებიც, რასაც მარტვილში ვერსად დავინახავდით. გარდა ამისა, ვხედავდით, რომ სენაკელები მზის სინათლეს არა სჯერდებოდნენ და ღამით ხელოვნურად ანათებდნენ დაბას ნავთის ლამპებით, რაც, ცოტა არ იყოს, გვაკვირვებდა. ერთი სიტყვით, მიყრუებულ, ღვთისა და კაცისაგან შორებული ადგილიდან გადმოვდიოდით განათებულ ადგილას, სადაც ცივილიზაციის ნაყოფს უნდა ვზიარებოდით. კმაყოფილნი ვიყავით, როგორც მოწაფეები, ისე მასწავლებლები, რომელთაც შეეძლოთ ბინაც ადამიანური ეშოვნათ და სასმელ-საჭმელიც; მარტვილში კი ერთსაც მოკლებულნი იყვნენ და მეორესაც. ასე რომ, მარტვილს ადვილად კი არა, სიხარულით მოვშორდით. გული არაფერზე გვწყდებოდა.

დაბის გარშემო მდებარე სოფლებში მოწაფეებმა ბინები გაუჭირვებლივ ვიშოვნეთ. ჩვენი შენახვის ფასებში, მარტვილთან შედარებით, განსხვავება თითქმის არაფერი ყოფილა.

სასწავლებლისათვის მთლიანი შენობის შოვნა, რა თქმა უნდა, გაჭირდა. სამაგიეროდ, იშოვნეს ორი შენობა: ერთში მოთავსდა მესამე და მეოთხე კლასი, მეორე შენობაში კი—მეორე და პირველი, სამი მოსამზადებელი კლასი, მასწავლებლის კანცელარია და სამმართველო.

ბინა ერთ აქაურ მცხოვრებთან დავიჭირეთ, სასწავლებლიდან ორი კილომეტრის დაშორებით, მაღლობ ადგილზე, შეიძლება ითქვას ტყეში. ერთი მოზრდილი ოთახი გვქონდა ხუთ კაცს, რომელთაგან ყველაზე უფროსი მე ვიყავი. იქვე გვერდით, მეორე ოთახში თვით

სახლის პატრონი იდგა თავის ცოლშვილიანად. ბინაში უკვე დიდ• განსხვავებაა მარტვილის სენაკებთან.

სახლის პატრონი ყოფილი ვაჭარი იყო დაბა ყულევისა. საქმეები კარგად არ წასვლოდა, ყულევში ყველაფერი მიეყიდ-მოეყიდა, მაგრამ ახლა სხვა ხელობისათვის რომ ვერ მოეკიდა ხელი, სენაკშიც პატარა დუქანი გაეღო, შეიძლება ითქვას, აქ უფრო თავს ირთობდა, ვიდრე აღებ-მიცემობას ეწეოდა. მთავარი მისი წყარო შემოსავლისა „უჩენიკები“ (სენაკში გადმოსულთ სახელი „დიაკვნობა“ მოგვშორდა და „უჩენიკებად“ მოვინათლეთ) უნდა გავმხდარიყავით. ისიც ვაჭრული თვალსაზრისით უდგებოდა ყველაფერს, ვაჭრული საზომით ზომავდა ყოველსავე. ყველაფრისაგან თუ ორასი არა, ასი პროცენტი მოგება უნდა ენახა, თან ცოტა ხუმრობაც ემარჯვებოდა და ამ ხუმრობის კილოთიც ბევრი გაჰქონდა თავის სასარგებლოდ. ჩემთან ორი ძმა იდგა, ჩემი სახლიკაცები, რომელთა მამა, მღვდელი, ყოველ კვირა მოგვაყენებდა ჯორს, დატვირთულს ყოველგვარი სანოვაგითა, რომელიც მოდიოდა ზოგი ქორწილისა და ზოგიც საკურთხების ნარჩენისაგან. მამაჩემი იმ დროს ქ. სოხუმში იყო გადასული და ჟამდაჟამ, ყოველთვიურ ფულის გარდა გვიგზავნიდა ნასაკურთხევს თუ ნაქორწილევს, ყოველივე ამას ჩვენი მასპინძელი გამოზოგვით ჩვენც გვაძლევდა და თვითონაც თავის ჯალაბით იოლად გამოდიოდა. მაგრამ დგებოდა გაჭირვების წამებიც, ოდეს მჭადის მეტი სახლში არა მოიძებნებოდა ხოლმე. მასპინძელი მაშინ მთელ თავის ვაჭრულ გამოცდილებას, მიხვედრილობას, გამოგონების უნარს აამოძრავებდა, რომ ფონს იოლად გავსულიყავით. ერთ წიწილას ათ კაცს ამყოფინებდა და კიდევ მორჩებოდა, ერთ კეც მჭადს ასეთსავე სამსახურს გააწევინებდა და ნამუსრევსაც ორის კაცის სამყოფს დაატოვებინებდა. ზამთარია. თოვლი დევს. ყველა სულიერს უჭირს, განსაკუთრებით გარეულ ფრინველთ. ჩვენმა მასპინძელმა ხახუმ სასიმინდესთან სხაპი გამართა. ჩხიკვი, სხვა დროს ეშმაკი, ფრთხილი, ახლა შიმშილისაგან ყელგადაგდებული, ეძგერა ჯოხზე წამოცმულ სიმინდის ტაროს, აბა რას იფიქრებდა, რომ ყველაფერი მის წასაწყმენდად იყო გამზადებული და ხახუს მისი თავი სადილად უნდა დაეხვდრებინა ჩვენთვის. გაბმულა საცოდავი, ბევრიც უჩხავლია, მაგრამ აბავის შეაბრალებდა თავს. ხახუს გამოუყვანია სხაპიდან, დაუკლავს, ცოლს გაუბტყვნია და შეუწვავს. რა თქმა უნდა, ბატკანის ოდენა არ

გამოსულა, მაგრამ არც ისე პატარა, რომ ხახუს, მსგავსად მაცხოვრის სასწაულისა, ათი კაცისათვის არ ემყოფინებინა. რამდენს ვიცინოდით, ჩხიკვის კერძს რომ შემოვუსხდებოდით. ხახუ ძველ დროს მოიგონებდა, როცა სუფრაზე კეთილშობილთ (თვითონ მღვდლის შვილი იყო) ერთი ცხვარი მიერთმეოდათ. ეს ბატკანი არ არის, მაგრამ წარმოიდგინეთ, ვითომ ყვერულიაო. მადას გაგვიღვიძებდა, მეტი გზა არ იყო, ჩვენც წარმოვიდგენდით ჩხიკვის ყვერულობას და მე როგორც „უჩენიკებში" ყველაზე უფროსს, ბარკალი მერგებოდა, ნიგვზის საწებლიანი. ასე მადიანად შიო მღვდლის საკურთხების კურთხევის დროს თუ მიჭამია საჭმელი.

ზამთარი იწურება. დიდმარხვას, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელნი, უყვედრელად ვინახავთ. მიუხედავად ამისა, მეცადინეობას იმდენი დამაბრკოლებელი გარემოება არ ეღობება წინ, რამდენიც მარტვილში. ზამთარი ისეთი სუსხიანი არ იცის შავ ზღვასთან სიახლოვის გამო. სასწავლებელში მისასვლელი გზაც კარგია, შიგ არ ვიფლობით ტალახში, როგორც მარტვილში. ჩემი ძიძის სახლიც ახლოსაა, სულ ათი კილომეტრითაა დაშორებული. როცა ორი დღე უქმეა, ფეხითაც შემიძლია წასვლა და უკანვე დაბრუნება. იქითკენ წამსვლელი რამდენიმე მოწაფე თავს მოვიყრით და ამ მანძილს ისე გავივლით, რომ ვერც კი ვგებულობთ. ამასობაში დგება ზაფხული, მწიფდება ტყემალი, ბალი, თუთა... მერე საგამოცდოდ გვითხოვენ... გამოცდებიც იწყება... შემდეგ კლასში გადავდივართ. ბილეთებს გვირიგებენ... სოფლად მივდივართ ძიძასთან. სიმინდის თოხნის დროს პატარა თოხს ვიჭერ ხელში, გამზრდელს გვერდით ამოვუდგები და ჩემი ძალღონისდაკვალად ვშველი.

ისე გაირბინა ზაფხულის ორმა თვემ, რომ ვერც კი ვამჩნევთ. თითქოს გუშინ იყო, აქ რომ მოვედითო, კარგად გაძღომა სიამოვნება ვერც კი მოგვისწრიაო...

ვემზადებით უკან დასაბრუნებლად, სადაც მოგველის სწავლა და მეტი შრომის გაწევა ახალი საგნების შესათვისებლად..

მარიამობისთვის გასულია და ჩვენც უკვე ახალსენაკში (ახლანდელი ცხაკაია) დავბრუნდით.

მესამე კლასში

მესამე კლასში საგრძნობი ცვლილება მოხდა ჩვენი სწავლების საქმეში. თითქო ერთბაშად გამოიცვალა ძველებური მეთოდები. ურთიერთობაც მოწაფეებსა და მასწავლებლებს შორის უფრო კაცთმოყვარული, უფრო ამხანაგური შეიქნა.

მასწავლებელთა კორპორაციას შემოემატა ვასილ ბარნოვი. მასაც გაზაფხულზე დაესრულებინა სასულიერო აკადემია და სექტემბერში ჩვენთან გაამწესეს ინსპექტორად და კატეხიზმოს მასწავლებლად. ახალგაზრდა კაცი იყო, ასე 25 წლისა, ერთბაშად მოიგო მოწაფეების გული. მართალია, თავს არ გვიყადრებდა, თავი სერიოზულად ეჭირა, გაცინებული არავის გვინახავს და გაუცინარი ხელმწიფის სახელიც კი დავარქვით, მაგრამ ინსტინქტურადა ვგრძნობდით, რომ მუდამ სერიოზულ, გაუცინარი ადამიანის გული სიყვარულით ტოკავდა ჩვენდამი, გვრძნობდით, რომ ვებრალებოდით და ძალზედაც ვებრალებოდით გაჭირვებაში ჩაცვინული შეგირდები. ხშირად ვხედავდით ბინებზე მოსულს, ჩვენი ყოფა-ცხოვრების პირობების გამოძიებაში გართულს. კლასში გვასწავლიდა კატეხიზმოს, ანუ რა უნდა იცოდეს ყოველმა ქრისტიანემ სათნოსაყოფად ღვთისა და ცხონებად სულისა. თავისთავად სახალისო სასწავლი არ იყო ეს საგანი, პირიქით, თუ რამ ხალისის ნატამალი შეგვრჩენოდა სწავლისა, იმასაც კი გვიკარგავდა, მაგრამ კარგი მასწავლებლის ხელში სახალისოდ გადაიქცა. როცა ვ. ბარნოვი გაკვეთილს გვკითხავდა, თავის მაგიდასთან გამოგვიყვანდა საკლასო მერხიდან, თან გვალაპარაკებდა და პალტოს ღილებს ზევიდან რომ დაჰყვებოდა, სულ დაგვიხსნიდა, და მერე ისევ აჰყვებოდა და შეგვიკრავდა. არ გვახსოვს, რომ ვ. ბარნოვს ხმის ამაღლება დასჭირებოდეს კლასში წესიერების აღსადგენად, მით უფრო, რომ ეს წესიერება მისი გაკვეთილის დროს ერთხელაც არ დარღვეულა. ყველას უთქმელად გვაჩვევდა წესიერებას და შრომის სიყვარულს გვინერგავდა გულში. ვ. ბარნოვმა პირველად გვაჩვენა, რომ მასწავლებელი, პირველ ყოვლისა, ადამიანია და მოსწავლეთა მეგობარი, უფროსი ძმა, მათი ხელმძღვანელი და გზაზე დამყენებელი

და არა მტერი, მგელი, ჩვენი მოძულე, რომელსაც აქამდე ასე გა-ვურბოდით ხოლმე.

ყველას შეგვიყვარდა ეს კაცი. დიდი პატივისცემით ვეპყრობოდით, მოწიწებით, მისი საგნის სწავლაში ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ოღონდ მისთვის გვეამებინა. მოგვეწონა მისი ხელის მოწერა «Барнов». ჩვენს წიგნებში, რვეულებში ამ ხელის მიმსგავსებას ხშირად ნახავდით. კლასის კედლები, კარები, მერხები, სამასწავლებლო მაგიდა ამ გვარით იყო აჭრელებული და ზოგიერთი ისე გავარჯიშდა ამის წერაში, რომ შეუძლებელი იყო ნამდვილისაგან გაგერჩიათ. მაშინ ქართულად ხელის მოწერა რამე საქმის ქაღალდზე არ შეიძლებოდა, ისიც სასწავლებლის საქმის ქაღალდზე, ასე რომ, მისი ხელმოწერა ქართულად არ გვინახავს და ვერც კი წარმოგვედგინა: მომავალმა დიდმა ქართველმა რომანისტმა ქართულად ხელისმოწერა იცოდა თუ არა.

ვ. ბარნოვმა, სენაკში სასწავლებლის ინსპექტორად ყოფნის დროს, შემოიღო დავლა მოწაფეთა ბინებისა, გამოკითხვა ჩვენი ყოფაცხოვრებისა, მასპინძლებთან ცხოვრების პირობებისა. ხედავდა ჩვენს გაჭირვებას, ბარემ გული ტკიოდა ჩვენთვის, მაგრამ ჩვენი დახმარება მის ხელთ არ იყო, ვინაიდან ჩვენი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო რადიკალური გარდაქმნა ჩვენი მშობლების მატერიალური პირობებისა.

სასულიერო სასწავლებელში ვ. ბარნოვის ინსპექტორობის დროიდან ერთი შემთხვევა მაგონდება, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შესტკიოდა გული სასწავლებლის უმწეოდ დარჩენილი ბავშვებისათვის. სასწავლებლის გვერდით ღელე ჩაგვიდიოდა. ზედ ბოგირები არ იყო, მაგრამ ყველას შეეძლო გასვლა ფეხების დაუსველებლად. ერთხელ, დიდი წვიმების შემდეგ, წყალი მოვარდა, ღელე ისე ადიდდა, რომ გაღმა მცხოვრებ ბავშვებს გამოსვლა არ შეეძლოთ, ერთად შეჯგუფებულები გამოღმისაკენ იცქირებოდნენ და მოელოდნენ შველას გამოღმელებისაგან, რომ სწავლას არ მომცდარიყვნენ. ვასილ ბარნოვმა ეს სურათი დაინახა თუ არა, სასწავლებლის დარაჯს უბრძანა, ფეხთ გაეხადა, წყალში გაეტოპა და სათითაოდ გადმოესხა ბავშვები გამოღმა...

ამისა და სხვა ამის მსგავსი მოქმედებით ვ. ბარნოვმა, როგორც ბავშვების, ისე მათი მშობლების საერთო სიყვარული დაიმსახურა.

სამღვდელოების ერთ-ერთ კრებაზე დაადგინეს მადლობა გამოეცხადებინათ მისთვის, როგორც მათი შვილების მზრუნველისათვის, და ერთდროული ფულადი საჩუქარიც მიართვეს, ნიშნად პატივისცემისა.

მეორე მასწავლებელი, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა ჩვენს ნორჩ გონებაში, იყო ქრისტეფორე უგრელიძე, ისიც მოსკოვის სასულიერო აკადემიის ახალკურსდამთავრებული და ჩვენი რუსული ენის მასწავლებელი. იგი ნამდვილ პედაგოგად იყო დაბადებული. მის გაკვეთილზე, როგორც ვასილ ბარნოვისაზე, სამაგალითო დისციპლინა იყო დამყარებული, რომელიც ერთხელ არ დარღვეულა. როცა ის გვიხსნიდა გაკვეთილს, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. იმან გვიჩვენა პირველად, როგორ უნდა გვესწავლა საგანი, თუ გვინდოდა თავში რამე ჩაგვრჩენოდა. ქრისტეფორე უგრელიძემ შემოიტანა პირველად ახსნითი ხერხი ყოველგვარი გაუგებარი ადგილისა თუ სიტყვისა. გაგვივითარა დაკვირვების, დაფიქრების უნარი. რუსული ენის საფუძვლიანად შეთვისებისათვის პირველად იმან ჩაგვიყარა მკვიდრი საძირკველი. ეს ენა რამდენად აქამდე გვეჯავრებოდა, იმდენად ახლა სახალისოდ შეიქნა, როცა საინტერესო მოთხრობებს თუ ლექსებს შეგნებულად ვსწავლობდით და არა თუთიყუშივით ვიზეპირებდით. პირველად ქრ. უგრელიძემ აგვაღებინა ხელი ამა თუ იმ მოთხრობის შეთვისებაზე ზეპირად. ჩვენი სიტყვით უეჭველად უნდა ეთქმევინებინა შინაარსი ამ მოთხრობისა, ასევე უნდა მოვქცეულიყავით ლექსის დასწავლის დროსაც. თან გვაწერინებდა (თხზულებას) სხვადასხვა თემაზე, რაც სახელმძღვანელოს გარეშე იყო. ნელ-ნელა გვაჩვევდა ამ ენაზე აზროვნებას, გვავარჯიშებდა. ქართულად გვეუბნებოდა ამა თუ იმ გაუგებარი სიტყვის მნიშვნელობას. რუსული გრამატიკის შესწავლასაც ქრისტეფორე უგრელიძის ხელში ჩაეყარა მტკიცე საძირკველი. ვგრძნობდით რაღაც ცოდნა გვემატებოდა, მანეკენებივით აღარ დავდიოდით სასწავლებელში.

შემდეგში, როცა სემინარიის მოწაფე ვიყავ, რა სიამოვნებით ვკითხულობდი ქრისტეფორე უგრელიძის მეთაურ წერილებს გაზეთ „ივერიაში“ პედაგოგიურ საკითხებზე. რა ლოღიკურად, რა საქმის ცოდნით წერდა, ისიც იმ დროს, როცა ამ საგანზე ქართულად ბევრი არაფერი იყო დაწერილი. რა მიხაროდა, რა რიგ თავი მომწონდა, რომ ამ სტრიქონების დამწერი ჩემი საყვარელი მასწავლებელი იყო

სენაკში. სამწუხაროდ, ქრისტეფორე უგრელიძე მხოლოდ ერთ წელიწადს შეგვრჩა. მერე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს, ასე რომ, ვერ მოგვიხდა მეოთხე კლასიც მისი ხელმძღვანელობით გაგვეთავებინა.

გარემო პირობები თითქო ხელს გვიწყობდა, მარტვილთან შედარებით, უკეთესი ცხოვრებისათვის, წარმატებით მეცადინეობისათვის. ჯერ ერთი, სიახლოვის გამო, ჩვენს მშობლებს შეეძლოთ უფრო ხშირად ვენახეთ. ჩვენც შეგვეძლო, როცა ორი სამი დღე ზედიზედ უქმე გამოერეოდა, შინ წავსულიყავით, და განახლებულის ძალ-ღონით შევდგომოდით მეცადინეობას. ხალხიც უფრო შეძლებულად ცხოვრობდა აქ, ვიდრე მარტვილში. ბუხრიანი სახლები გლეხებში იშვიათი არ იყო. იყო დუქნები, ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა. კარტოფილის ან თაფლის სანთლის მაგიერ ნავთით გასანათებელი ლამპები შემოვიღეთ, ეს კი დიდი პროგრესი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

ჩვენი ურთიერთობა მასპინძელთან ძალზე მწვავდებოდა. როგორც ვაჭარი თუ ნავაჭრალი, იგი გადაჩვეული იყო ფიზიკურ მუშაობას. გარდა ამისა, როგორც მღვდლის შვილი, ეთაკილებოდა გარჯა, ხელში თოხის დაჭერა. ასე რომ, ოჯახში თვითონ არაფერი შემოჰქონდა. თუ რამ მიწა ებადა, სანახევროდ სხვას აძლევდა დასამუშავებლად. აქედან ნახევარი წლის სარჩო სიმინდი შემოუვიდოდა. მისი შემოსავლის მთავარ წყაროს შეადგენდა „უჩენიკების“ მიერ შემოტანილი ფული თუ სურსათ-სანოვაგე. ჩვენი ხარჯით ჩვენც უნდა გვეცხოვრა და მასპინძელი და მისი ოჯახიც შეგვენახა. ძლიერ რომ გაგვიჭირდა, სასწავლო წლის გასვლამდე იძულებული შევიქენით უფრო შეძლებულ და სულმოდგმულ მეზობელ გლეხებთან გადავსულიყავით.

ახალ ბინაზე საუკეთესოდ შეიცვალა ჩვენი ცხოვრება. ჩვენი მასპინძელი მეტად გამრჯე იყო და სავსე ოჯახი ჰქონდა. ჰყავდა მეწველი ძროხა, ცხენი, რომელსაც აქირავებდა და ფულს შოულობდა, ჰყავდა უღელი ხარი, ღორები, შინაური ფრინველი. ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო არ დაგვკლებია. სასწავლებელში გატარებულ შვიდი წლის განმავლობაში შემეძლო მეთქვა: უკანასკნელი წელიწად-ნახევარი ადამიანურად გავატარე-მეთქი: საოჯახო სამუშაოსაგან განთავისუფლებულები ვიყავით. ერთადერთი სიმინდის ტეხვისა და მის გარჩევის, ან ყურძნის კრეჭის დროს თუ შევაშვე-

ლებდით ხელს „უჩენიკები“. ასე რომ, სამეცადინოდ საკმათ დრო გვქონდა. ზამთარიც, შავი ზღვის სიახლოვის გამო, თბილი იყო და ისე შეწუხებულნი არ ვიყავით, როგორც მარტვილში.

მოგვემატა ახალი საგანი—გეოგრაფია. ჯერ ვისწავლეთ ფიზიკური გეოგრაფია. მერე, ნაშობევს, სამყაროს ხუთი ნაწილი: აზია, აფრიკა, ევროპა, ამერიკა და ავსტრალია. ატლასები არ გვქონდა, რომ ისიც მოგვეშველებინა და წიგნში ამოკითხული უფრო მტკიცედ ჩაგვრჩენოდა მახსოვრობაში. უნდა გვეკმარებინა კედელზე დაკიდებული ერთადერთი რუკა, რომელიც ყველას ვერა სწვდებოდა და იძულებული ვიყავით ღამე გვევლო სასწავლებელში და კარტოფილის სანთლის შუქზე, ნახევრად სიბნელეში, თვალები გვეწყალებინა და გვესწავლა სხვადასხვა მთების, მწვერვალების, ტროპიკების, მდინარეთა, პოლუსების, ქალაქების მდებარეობა. საქმეს გვიჭირებდა ნახევარსფეროების ხატვა. ცირკულსა და რაიმე სახატავ ხელსაწყოებზე წარმოდგენაც არა გვქონდა. ავიღებდით ქაღალდს, გადავკვეცავდით სამად ან ოთხად და ამგვარად გავაკეთებდით სიგრძით ოცსანტიმეტრიან და განით ოთხ სანტიმეტრიან ლენტს, ერთ ბოლოს დასახატი ქაღალდის ცენტრში დავამაგრებდით ფანქრის წვერით და მეორე ბოლოში ფანქარსავე გავუყრიდით და ამ იმპროვიზებული ცირკულის საშუალებით შემოვავლებდით წრეს. მერე ზღვა გამოგვყავდა ლურჯი ფანქრით, ხოლო ხმელეთი წითლით. ასეთი იყო ჩვენი ნახევარსფერო, რომლის გამოყვანაში მასწავლებლის ხელი არ ერია და ჩვენ კი ოფლს ვიწურავდით.

გეოგრაფიის სწავლება ნაკისრი ჰქონდა ისეთ მასწავლებელს, რომელსაც ეს საგანი ვაინაჩრობით 15 წლის წინათ ჰქონდა ნასწავლი და იმავე მეთოდით გვასწავლიდა, როგორითაც თვითონ ესწავლა, ე. ი. „აქედან აქამდე“. არავითარი ახსნა, არავითარი განმარტება!.. ჩვენცა ვზეპირობდით, როგორც გვიზეპირებია სხვა საგნები. ვიცოდით, რომ ხმელეთზე ერთ ადგილიდან მეორე ადგილას გადასასვლელად არსებობდა ფოსტის ცხენები და რკინიგზის მატარებლები, ზღვაზე ორთქლმავალი, გემები, იალქნიანი გემები და სანდლები, რომელთა საშუალებით გზის დაუკარგავად შეგვეძლო მოგზაურობა. კომპასზე წარმოდგენა არა გვქონდა. თუ ვინიცობაა, იგივე საშუალებანი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლისა ჩვენი უნარიანობის შემწეობით იქნებოდა გამოსაყენებელი, თქვენი მტერი, რაც

ჩვენ შორს მანძილზე წასვლა არ შეგვძლებოდა!... ერთმანეთში გვერეოდა მთები, ზღვები, მდინარეები, რუსეთის სტეპები, ამერიკის პამპასები, ჩვენს თვალში დედამიწას იგივე სახე დაუბრუნდა, როგორიცა ჰქონდა სანამ, ჩვენი ხალხის რწმენით, ექვსი დღის განმავლობაში უფალი ხმელეთსა და წყალს თავ-თავის კალაპოტში ჩააყენებდა.

ექსკურსიის მოწყობაზე, სადმე წაყვანაზე და რისამე ჩვენებაზე ლაპარაკიც მეტი იყო. ასეთი რამ უსაქმურობად ითვლებოდა. თორემ ზღვა იქავ, ყურის ძირში გვქონდა, სულ ერთი საათის სავალი იყო ფოთამდე. მთელ კლასში ორს თუ გვინახავს შავი ზღვა ან ჩახრიალა. მარტვილიდან ათი კილომეტრის მანძილზე იყო ჩახრიალა— ოფუცხოლში, სადაც დღეს აბჰესის ელექტროსადგურია, მაგრამ ვინ წაგვიყვანდა. ვსწავლობდით: ესა და ეს ვოდოპადიო! რა იყო ეს „ვოდოპადი“, არ ვიცოდით და იქვე კი გვქონდა ოფუცხოლი! ოფუცხოლთან ახლოს საუცხოო გამოქვაბული იყო სტალაქტიტისა, რომ მოესხათ მადლი და ეჩვენებინათ, ოღონდაც რომ კარგი იქნებოდა. ნაგრამ, აბა ვის მოუვიდოდა აზრად ასეთი სიკეთე!..

არითმეტიკის საქმე ცოტა უკეთ წავიდა იმის წყალობით, რომ სწორედ ამ წელიწადს შევიძინეთ მალინინისა და ბურენინის მიერ ცოტა ადამიანურად შედგენილი სახელმძღვანელო არითმეტიკის წესებისა. ეს სახელმძღვანელო არითმეტიკის მასწავლებელს ეშოვნა, სულ თან დაჰქონდა და როცა რამეს გვიხსნიდა, ერთთავად შიგ იხედებოდა. არასოდეს არ უთქვამს—კარგი წიგნია, შეიძინეთ, გამოგადგებათო. ერთხელ როგორღაც მაგიდაზე დარჩა და ჩვენ ქურდულად გადმოვწერეთ წიგნის სახელი და იმის საშუალებით გამოვიწერეთ თბილისიდან. რაკი ერთი ჩავიგდეთ ხელში სახელმძღვანელო, მერე არითმეტიკის კანონების დაზეპირება და გამოყენება ჩვენი საქმე იყო. მხოლოდ ეგ იყო, რომ მთელ კლასში ორ-სამს თუ გვქონდა ეს წიგნი.

ლათინურისა და ბერძნული ენების სწავლება გრძელდებოდა წინანდელი ტემპით, მხოლოდ ჩვენი სიძულვილი ამ ენებისა და მათზე მოლაპარაკე ხალხისადმი თანდათან იზრდებოდა. რომ შეგვძლებოდა, დაუხეველსა და ცეცხლში ჩაუგდებელს არ გავუშვებდით ამ ენების არც ერთ სახელმძღვანელოს. რა თქმა უნდა. ჯერ არ ვიცოდით, თუ ამ ენებზე სახელმძღვანელოს გარდა რამე იყო დაბეჭდილი.

ლათინურში კარგად ვისწავლეთ სიტყვა Asinus (სახედარი) და ერთ-მანეთის შემკობა რომ გვინდოდა, ლათინურად დავუძახებდით ჩვენს ამხანაგებს ამ სიტყვას. ბერძნულში „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ ვისწავლეთ და მასწავლებელი რომ შემოვიდოდა კლასში, სწავლის დაწყებისას ლოცვის მაგიერ ბერძნულად „ქრისტე აღსდგა-“ს ვიტყოდით, რაც ღიმსა ჰგვრიდა მასწავლებელს. ისიც გვეტყოდა „ხრისტოს ანესტი“ (ქრისტე აღსდგა!) და ჩვენც ვუპასუხებდით: „ქლიფთოს ანესტი“ (ჭეშმარიტად აღსდგა). ეს იყო და ეს მთელი ჩვენი ცოდნა ბერძნული ენისა.

ამ ორი მკვდარი ენის სწავლაში თავი გვისკდებოდა, მაგრამ მეტი გზა არა გვქონდა: პროტესტი ვისთვის უნდა გაგვეცხადებინა ან შველა ვისთვის უნდა გვეთხოვნა?! სასულიერო სასწავლებლის დაარსებიდან ასე ყოფილა კანონად შემოღებული და თუ გვინდოდა სასწავლებელში დარჩენა, ამ კანონს უნდა დავმორჩილებოდით— ეს ორი ენაც უნდა გვესწავლა.

მეოთხე კლასში

მესამე კლასიდან ქართულის მასწავლებელმა თავი გაგვანება. წასულის მაგიერ ახალი მასწავლებელი დაგვინიშნეს, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ერმალოზ კანდელაკი, ქოხტა, კარგად ჩაცმული ახალგაზრდა. ქართულში სრულიად უვიცებს დაგვიწყო პირდაპირ საქართველოს ისტორიის სწავლება. მაშინ ახალი გამოსული იყო რომან ძამსაშვილის საქართველოს მოკლე ისტორია. სენაკში ერთადერთი წიგნი არსებობდა, ისიც მასწავლებელსა ჰქონდა. ჯერ თვითონ გაიზეპირებდა და მერე ჩვენ გვიამბობდა და უნდა დაგვეხსომებინა. ერთი-ორი მოწაფე ვიხსომებდით და მერე სხვებს ვუამბობდით და ასე იოლად გამოვდიოდით.

საქართველოს ისტორიის პარალელურად დაგვიწყო დავ. გურამიშვილის ლექსების სწავლება. იმისიც ერთი წიგნი იყო სენაკში, ისიც მასწავლებელს ჰქონდა. გვათხოვებდა მხოლოდ გადასაწერად და ასე გადაწერილით ვიზეპირებდით. უმთავრესად ვსწავლობ ლით იესო ქრისტეს ვნების ლექსს. ჩვენი დიდი პოეტის ვინაობაზე, მის შემოქმედებაზე, რა თქმა უნდა, მასწავლებელს საჭიროდ არ მიაჩნდა,

თუნდ ორიოდე სიტყვით რამე ეთქვა. ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს საქართველოში ჩვენს მწერლებს ნაკლებად იცნობდნენ. თვით ქართული წიგნები კანტიკუნტად იბეჭდებოდა.

ქართულის ახალი მასწავლებლის ხელში ძალაუნებურად უნდა მივშველებოდით ერთმანეთს—უნდა გვეკარნახა. მასწავლებელი შემოგვიტევდა, არც თუ სულ მკაცრად და რუსულად დაგვიძახებდა: Не суфлерствовать там. ეს სიტყვა პირველად გვესმოდა და ყველანი კითხვით ნიშნად გადავიქეცით. მასწავლებელს კი გაეხარდა, რომ წადილს ეწია. თურმე უნდოდა, გამოეჩინა უცხო სიტყვების ცოდნა და გავეკვირვებინეთ. მერე რუსულად გვეკითხება:

— Ну что, не знаете, что значит суфлерствовать?

— არა, ბატონო მასწავლებელო, აბა საიდან გვეცოდინება.

— Суфлерствовать значит—подсказывать. тепер поняли?

— გავიგეთ, ბატონო მასწავლებელო,—ვუპასუხეთ ჩვენ.

— Значит, не суфлерствовать.

ჩვენც მოვისმინეთ მისი ბრძანება, მაგრამ ასრულებით არ აგვისრულებია. რაკი გავიგეთ, რომ ესიამოვნებოდა უცხო სიტყვის ხმარება, განგებ ვკარნახობდით ამხანაგებს, რომ მასწავლებლისათვის შემთხვევა მიგვეცა თავისი საყვარელი სიტყვა და თავისი ნასწავლობა გამოეჩინა ჩვენს წინაშე.

მერე ჟამდაჟამ გაკვეთილს გარეშეც ჩაგვიდგებოდა და ლაპარაკში გამოურევდა უცხო სიტყვას და იქვე აგვიხსნიდა. უმთავრესად თავის ამხანაგებში იწონებდა თავს ამ უცხო სიტყვებით. სემინარიის მაღალ კლასებში რომ ყოფილა, განუშორებლად დაჰქონდა თურმე მიხელსონის უცხო სიტყვათა ლექსიკონი და სიტყვებს ზეპირობდა. ამხანაგებს ამ სიტყვებით ელაპარაკებოდა და აკვირვებდა თურმე ყველას.

ასე იყო თუ ისე, ერმ. კანდელაკის ხელში გავიგეთ, რომ ჩვენი სამშობლო საქართველო იყო, მისი დედაქალაქი თბილისი, რომ საქართველოსა და ქართველებს თავიანთი ისტორია ჰქონდა. მხოლოდ არ ვიცოდით გეოგრაფია ამ საქართველოსი. გაგვეგონა თბილისი, მცხეთა, არმაზი, მაგრამ ვერ გეტყოდით, რა ადგილას იყო ან ერთი ან მეორე, ვერ გეტყოდით, თბილისს რა წყალი ჩაუდიოდა... ან ქუთაისს... ქართულში პირველ მოწაფედ ვითვლებოდი. მასწავლებელი სულ ჩემს ქებაში იყო. მეოთხე კლასში ქართულის გამოცდას ვას.

ბარნოვიც დაესწრო. საქართველოს ისტორიაში რაც ესწავლებინათ. ყველაფერი ვუთხარი, გურამიშვილის ლექსებიც კარგად ვიცოდი. ვას. ბარნოვმა განიზრახა ჩემი გამოცდა, თუ რამდენად ვიცოდი საქართველოს გეოგრაფია და მკითხა: აბა, ყმაწვილო, ამდენი რამე რომ გცოდნია, ალბათ, ისიც გეცოდინება, რა და რა მდინარეა კახეთში და რა მდინარეს ერთვისო. არ მეგონა, თუ ენგურის, რიონის და მტკვრის გარდა სხვა მდინარეც იყო საქართველოში. შევრცხვი, ლამის იყო მიწა გამხეთქოდა და შიგ ჩავეტანე!... გულში საყვედურობ ვუთხარ მასწავლებელს: რა გიშავდა, შე კაი კაცო, ესეც გესწავლებინა ჩვენთვის-მეთქი?! მასწავლებელმა არ ვიცი, როგორ მომხადა ბოდიში ვ. ბარნოვთან, მაგრამ ეს სირცხვილი დღესაც არ დამვიწყებია. თბილისში ჩამოსვლამდე და კახელი ამხანაგების გაცნობამდე იორისა და ალაზნის არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდი. ასევე იმათაც არაფერი იცოდნენ რიონსა და ენგურზე.

ქართულის მასწავლებელს სადღაც ილ. ჭავჭავაძის „აკაცია-ადამიანი?!“ ჩავარდნოდა ხელში და გვაკითხებდა კლასში. წიგნის შინაარსმა ძალიან გაგვიტაცა, თუმცა სიტყვები აუარებელი არ გვესმოდა. აღარც მასწავლებელი ცდილობდა გაუგებარი სიტყვები განემარტა და ქართული სალიტერატურო ენის შემქმნელის, ილ. ჭავჭავაძის, უკვდავი ქმნილება ადვილად მისაწვდომი გაეხადა ჩვენთვის.

რაც შეეხება ქართული ენის გრამატიკას, რაც მესამე მოსამზადებელში პოლ. კვიცარიძე მოგვშორდა, მას შემდეგ ამ გრამატიკისა არავისგან არაფერი გვსმენია.

***

საზაფხულო არდადეგები რომ დამთავრდა, სასიხარულო და დაუვიწყარი ამბავი დაგვახვედრეს სასწავლებელში: ამიერიდან ბერძნული ენის სწავლება გაუქმებულა სასწავლებელშიო. ამ ამბავმა ყველა გაგვახარა. ბერძნულის მასწავლებელს თავსაც კი არ ვუკრავდით, ან თუ დავუკრავდით, ცალყბივ, და აშკარად ვაგრძნობინებდით, რომ მისი არ გვეშინოდა, ჩვენთან ხელი არა ჰქონდა. რომ შეგვძლებოდა, მზად ვიყავით, მთელი ორი წლის განმავლობაში წვალებისათვის ლინჩის სამართლით გაგვესამართლებინა საჯაროდ. სამაგიეროდ მისი ჯავრი ვიყარეთ სახელმძღვანელოებზე. ვისაც კი

გვქონდა წიგნი, თავი მოვუყარეთ ერთ-ერთი მოწაფის მასპინძლის ეზოში, ჯერ ჯირკვზე ცულით ნაკუწ-ნაკუწად ვაქციეთ და მერე ცეცხლი მოვუკიდეთ. თან ცეცხლი ეკიდებოდა და თან მის გარშემო ვხტოდით და ვიძახდით: ასე მოეკიდოს ცეცხლი, ვინც ჩვენ ტყუილ-უბრალოდ ამდენხანს გვაწვალებდაო.

მესამე კლასში კატეხიზმოდან გავიარეთ პირველი ნაწილი „სარწმუნოების“ შესახებ. მეოთხეში უნდა განვაგრძოთ იგივე კატეხიზმო და გავიაროთ მისი მეორე (სასოება) და მესამე (სიყვარული) ნაწილი. კატეხიზმოს მოემატა „უსტავი“ ანუ წირვის წესი (იგივე ტიბიკონი). ზოგჯერ ეკლესიაში, წირვის დროს, გვაკითხებდნენ სლავურად და ვინც კითხვა არ იცოდა, ხუცურად აკითხებდნენ.

ქრ. უგრელიძე, რომელიც მესამეში რუსულს გვასწავლიდა, როგორც ვთქვით, წაგვივიდა. მისი მაგივრობა დააკისრეს ბერძნულის მასწავლებელს ობოლენსკის და, სიმართლე უნდა ითქვას, პირნათლად უძღვებოდა თავის საქმეს. რუსული გრამატიკის საფუძვლები კარგად შეგვათვისებინა. რასაც გვასწავლიდა, ყველაფერს შეგნებულად გვასწავლიდა. ობოლენსკიმვე გაგვაგებინა, რომ ქრესტომათიაში მოთავსებულ პატარა მოთხრობებს გარდა არსებობდა დიდი ნაწერები დიდი მწერლებისა. ასეთი იყო ნ. გოგოლის ერთ-ერთი ნაწარმოები „ტარას ბულბა“, რომელსაც იგი გვიკითხავდა ხოლმე. მართალია, ძალიან ბევრი სიტყვა არ გვესმოდა, მაგრამ საერთო შინაარსმა ისე გაგვიტაცა, რომ იმ გაკვეთილს, როცა ის გვეკნებოდა საკითხავად, მოუთმენლად მოველოდით. ობოლენსკიმვე შემოიღო კლასში კარნახით წერა, რამე თემაზე თხზულებების დამზადება. შეიძლებოდა თქმულიყო, რომ ოცდაათ მოწაფეში ექვსმა-შვიდმა თუ ვიცოდით შეგნებით რუსული, რა თქმა უნდა, სასწავლებლის კურსის ფარგლებში. დანარჩენთ ძალიან ცოტათი ეტყობოდათ, რომ შვიდი წლის განმავლობაში რაიმე ესწავლათ. უმრავლესობამ ისე იცოდა რუსული, რომ თავისით რამდენიმე სიტყვიანი წინადადების დაწერაც არ შეეძლოთ. თვითონ მასწავლებელიც, ეტყობოდა, არაფრად აგდებდა, რომ ჩვენ რუსები არ ვიყავით და რუსული ენის ცოდნას ისევე გვთხოვდა, როგორც რუს მოწაფეს მოსთხოვდა. იქ, საცა ისეთი სიტყვა გამოერეოდა, რომლის გაგება რუსსაც გაუჭირდებოდა, არა ცდილობდა თუნდ რუსულის სა-

შუალებით აეხსნა. ან როცა ვფიქრობდით და რუსულად თხზულებებს ვწერდით, არა კითხულობდა თუ რა გავლენა მოახდინა ქართულად ნააზრ-ნაფიქრებმა. მაგალითად, ერთხელ რაღაც თემა მოგვცა საშინაო დავალებად. ერთ ალაგას ჩემი დიდი სიხარული უნდა გამომეხატა და მივიშველიე ქართული თქმა: „სიხარულით ფეხზე არ ვიდექი-მეთქი". ეს თქმა პირდაპირა ვთარგმნე: «От радости на ногах не стоял» ცოტა რომ გარჯილიყო და ეკითხა ჩემთვის, ქართულად რის თქმა გინდოდა ამითო, ყველაფერი გამოირკვეოდა. გამოირკვეოდა ისიც და მეც ვისწავლიდი, რომ პირდაპირ თარგმნა ქართულიდან, თუნდაც სასიხარულო რისამე გამომხატველი გრძნობისა, რუსულად არ ივარგებდა. ყველა ამის მაგიერ მასწავლებელმა მასხარად ამიგდო, შემარცხვინა მთელი კლასის წინაშე. მე კი ეჭვი არ შემპარვია, რომ კარგად ვთარგმნე რუსულად ფრაზა, მაგრამ ვფიქრობდი, ალბათ თვით ქართული ფრაზა ვერ გამოხატავს სწორად ადამიანის აზრს-მეთქი.

ჩვენი სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ამბროსი ხელაშვილი თელავში გადაიყვანეს და იმის ადგილზე თბილისიდან გამოგვიგზავნეს ივ. გრიაზნოვი. ხელაშვილის წასვლისას კანონით მისი ადგილი უნდა მიეცათ ინსპექტორ ვასილ ბარნოვისათვის, მაგრამ უმაღლესი სასულიერო მთავრობა ასე ადვილად არ უყურებდა ამ საქმეს. იმას ისიც ბევრად მიაჩნდა, რომ ქართველს სასწავლებელში ინსპექტორის ადგილი ეჭირა. შეგირდებიც კი ვგრძნობდით ამ აშკარა უსამართლობას და გვიკვირდა, რად უნდა დასჭირებოდა მთავრობას ასე დაჩაგვრა ისეთი ღირსეული კაცისა, როგორიც იყო ყველასათვის საყვარელი ვასილ ბარნოვი.

ივანე გრიაზნოვსვე ჩააბარეს გეოგრაფიის გაკვეთილები. მეოთხეში გვასწავლიდა რუსეთის ევროპული ნაწილის გეოგრაფიას. ვსწავლობდით ზეპირად, რაც სახელმძღვანელოში ეწერა. ამა თუ იმ სიტყვის ახსნა, განმარტება მასწავლებელს საჭიროდ არ მიაჩნდა. ამით გავათავეთ მთელი გეოგრაფიის სწავლა და საქართველოს გეოგრაფია თუ არსებობდა, წარმოდგენაც არა გვქონდა. გეოგრაფიის სახელმძღვანელობის მაშინდელი შემდგენლებიც ალბათ, საჭიროდ არა თვლიდნენ ქართველებისათვის საქართველოს გეოგრაფია, თუნდაც შემოკლებული სახით, თავიანთ სახელმძღვანელოებში შეეტანათ.

არითმეტიკაში განვაგრძობდით ოთხი მოქმედების კანონების უფრო მტკიცედ შეთვისებას. ძალიან გვშველოდა მალინინ-ბურენინის სახელმძღვანელო. ეს რომ არა გვქონოდა, ჩვენი მასწავლებლის სიზარმაცის გადამკიდენი პირდაპირ სირცხვილს ვჭამდით გამოცდებზე.

რაკი ბერძნული მოვიშორეთ, ლათინურს, ასე იყო თუ ისე, ვუძლებდით. მხოლოდ მასწავლებელი იყო მეტად კეთილი გულისა. მოწაფეები ამით სარგებლობდნენ. აწვალებდნენ კლასში, აჯავრებდნენ იმდენად, რომ ერთხელ კინაღამ გული შეუწუხდა. თან ნელ-ნელა სმას მიჰყო ხელი და ჩვენს შემდეგ იმდენად მისჩვეოდა ლოთობას, რომ ხშირად დაბის თხრილებში მწოლიარე უნახავთ ნამთვრალევი და ბოლოს მაინც ლოთობისაგან მომკვდარა. ლოთობისაგან მომკვდარა ჩვენი წინანდელი რუსულის მასწავლებელიც. ლოთობისაგანვე მოკვდა ჩვენს შემდეგ მისული მასწავლებელი ნ. ჭ-რაია, კაცი ნიჭიერი. სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინდელი ცხოვრება პროვინციაში პირდაპირ დამღუპველი იყო ჩვენი ინტელიგენციისათვის. არავითარი ზნეობრივი გასართობი, არავითარი საზოგადოება იქ არ იყო. დარჩენოდათ მხოლოდ ქაღალდის თამაში და სმა. წიგნი არ არსებობდა და გაზეთი, რომ ამით ცოტათი მაინც გართულიყვნენ. რაც ესწავლათ, ისიც ავიწყდებოდათ. ბევრი ინტელიგენტი იმსხვერპლა იმდროინდელმა პროვინციის ცხოვრებამ, ბევრი მომზადებული მუშაკი დაუკარგა ქვეყანას, რომელთაც სხვა დროს და სხვა გარემოებაში დიდად შეეძლოთ გამოსდგომოდნენ ჩვენს სამშობლოსა და ხალხს.

სასწავლებლის აქ გადმოტანამ დიდად შეუწყო ხელი დაბა სენაკის წინსვლას, აღებ-მიცემობის განვითარებას. 1876 წელს აქ სულ ათიოდე სამიკიტნო და ორიოდე საფართლო დუქანი თუ იყო ხისა, შარა გზის იქეთ-აქეთ. ახლა კი ქვითკირის დუქნები გაჩნდა ფართლეულისა და საბაყლო დუქნებით. ჯამრავლდა სამიკიტნოები. გამრავლდა მათი მუშტარიც. 350-სულამდე შეგირდი, მათი ხშირად ჩამომსვლელი მშობლები, სასწავლებლის მასწავლებლობა, რა თქმა უნდა, ისე დიდ საზოგადოებას ქმნიდა, რომელსაც შეეძლო დაბის ზრდა-განვითარებისათვის საგრძნობლად ხელი შეეწყო. აქ ხშირად მართებოდა სამღვდელოების კრება სასწავლებლის საჭიროებათა

შესახებ მოსალაპარაკებლად. სულ უკანასკნელი, ასი მღვდელი მაინც მოიყრიდა თავს სენაკში სამი-ოთხი დღით. ყველანი აქაური სასადილოების მუშტრები იყვნენ და ყოველ კრებაზე, სულ უკანასკნელი 200—300 მანეთს დასტოვებდნენ სენაკში.

კვირაობით დაწესებული ბაზრობა უფრო გაცხოველდა. გლეხებმა უმატეს შინაური ნაწარმის შემოტანას: ყველის, ფრინველის, ფქვილის, შეშის, შინ ნაქსოვი შალის, ლეინის ქსოვილის, კეცების, ხის ჯამ-ჭურჭლის.

გაიზარდა თვით მოსახლეობა დაბისა, ეგრეთ წოდებული, მოქალაქენი, ქალაქურ წესზე მცხოვრებნი. თუ ამ ათი წლის წინათ სულ ათი სახლი არ იდგა აქ და დაბის გარშემო ადგილები ჭაობებს და ღორ-კამეჩების საგორებელ საფლობებს წარმოადგენდა, ახლა არხები გაჭრეს, დაწრიტეს წყალი და ზოგი ხისა და ზოგიც ქვითკირის სვეტებზე სამთვალიანი და ოთხთვალიანი შენობები წამოჭიმეს. გაჩნდა სასტუმრო რესტორანებით ან როგორც აქ ეძახდნენ—რესტორაციები. გაჩნდა ქუჩებიც, სხვადასხვა ხელოსნებიც. ერთი სიტყვით, საძირკველი ჩაეყარა მომავალ ქალაქს, რომელსაც, თავისი მდებარეობის წყალობით დიდი პერსპექტივები ჰქონდა უმეტესად გაზრდისა და განვითარებისა.

თვით დაბის გარეშე მდებარე სოფლებს და მის უბნებსაც დაეტყო სწრაფი ზრდა. დაბამ შორეული ადგილებიდან მოიზიდა ხალხი იმ ადგილისაკენ, საცა ცხოვრება ქალაქური იყო და ცხოვრებისათვის საჭირო წყარო მრავალნაირი. მთავარი მიზეზი იყო სასწავლებელი, იქაურ მოსახლეობას მოწაფეობა დიდ შეღავათს აძლევდა. რა თქმა უნდა, მთავარი საარსებო საშუალება ხვნა-თესვა იყო (სიმინდისა) და საქონლის მოვლა, მაგრამ მეორე ადგილი მოწაფეების შენახვას ეჭირა. ოჯახი არ იყო, სულ უკანასკნელი ხუთი მოწაფე არ ჰყოლოდა პანსიონერად და თან არ ცდილიყო თავისი სახელი, როგორც „უჩენიკების“ კარგი მომვლელ-შემნახველისა, უფრო და უფრო გაეთქვა.

მაისის 15-ია. დაგვითხოვეს გამოცდებისათვის. თითოეული საგნის მოსამზადებლად 3—4 დღე მოგვცეს.

ჩვენც შევადგინეთ ჯგუფები 2—3 კაცისაგან ისე, რომ თითოეულ ჯგუფში ერთი სხვებზე ძლიერი მოწაფე ყოფილიყო. ვშორდებით სახლებს, ვირჩევთ განმარტოებულ ადგილებს, ბუნების წიაღში და წყაროების ახლო, რომ არავინ შეგვიშალოს ხელი. შვიდი წლის

განმავლობაში დაღლილ და ნაჯახირევ მახსოვრობას ძალას ვატანთ, რომ გამოცდები შეურცხვენლად ჩავაბაროთ და სამშვიდობოს გავიდეთ.

დაიწყო გამოცდებიც. პირველი გამოცდა დანიშნულია რუსულ ენაში, როგორც მთავარ საგანში. მოვდივართ სახლიდან სუფთა ტანისამოსში გამოწყობილები. ვისაც წაღები აქვს, რომ არ დაეხეს ჯერ ჩუსტებს იცვამს, წაღებს დაბალი კლასის მოწაფეს წამოაღებინებს და სასწავლებელს რომ მიუახლოვდება, მაშინ ჩაიცვამს, გზის პირას, მიფარებულში. სახლიდან გამოსვლისას, პირჯვარს ვიწერთ, ვცდილობთ, კარგი ფეხისა შეგვხვდეს ვინმე. სასწავლებელშიაც გვიხარია, თუ პირველად ისეთი მასწავლებელი შეგვხვდება, ვინც უფრო სიმპატიურია, გვიყვარს, გული მისკენ მიგვიწევს. ხუმრობა ხომ არ არის, ჩვენი ბედი დღეს უნდა გადაწყდეს!.. შვიდი წლის ნაშრომ-ნაღვაწს დღეს უნდა დაედგას გვირგვინი, დღევანდელმა დღემ უნდა გადასწყვიტოს ჩვენი ყოფნა-არყოფნა. გული საშინლად გვიცემს. ჩქარ-ჩქარა ადის და ჩადის ხალათს ქვემოდან. მისი ცემა ჩვენვე გვესმის.

საგამოცდო ოთახში მასწავლებლის მაგიდას მეორე მაგიდაც აქვს მიდგმული. ორივეს წითელი მაუდი აქვს გადაფარებული და გარშემო სკამებია შემოდგმული. ყველაზე მეტად ეს წითელი მაუდი გვიხეთქავდა გულს. მის შეხედვაზე ტანში გაგვაჟრჟოლებდა და შიშის ზარი აგვიტანდა.

გვეგონა პირდაპირ გამოცდას შეუდგებოდნენ. ის კი არა, შემოვიდა ოთახში სასწავლებლის ზედამხედველი, თვით მასწავლებელი რუსულისა, მისი ასისტენტები და გამოგვიცხადეს, წერითი გამოცდა გექნებათო. თემად მოგვცეს: აღდგომის ღამე სოფელში. რაც სასწავლებელი დაარსებულა, ჯერ ერთი წერითი გამოცდა არა ჰქონიათ მოწაფეებს და ისიც რუსულში. ზედამხედველი გავიდა. დავრჩით თავზარდაცემულები მასწავლებლისა და ერთი მისი ასისტენტის ხელში, საშველი არ იყო, უნდა ვცდილიყავით ერთმანეთს მივშველებოდით, რომ არ შევრცხვენილიყავით. ამ საგანში ძლიერნი სხვებთან შედარებით მთელ კლასში ორნი ვიყავით. კანონით ორივეს თანაბრად უნდა გვეკისრა ამხანაგების შველა და მაშინ ჭირი სანახევროდ შემსუბუქდებოდა. მაგრამ მეორემ, რომელიც პირველი მოწაფე იყო სასწავლებელში, არჩია მხოლოდ თავის თავს მიშველებოდა და გარშემო ამხანაგები უპატრონოდ დაეტოვებინა.

აღსანიშნავია ამ მოწაფის პიროვნება*. ამხანაგი რომ მომკვდარიყო, შეუძლებელი იყო ეკარნახა და მისთვის გაჭირვება შეემსუბუქებინა. შვიდი წელიწადი სასწავლებელში ისე დაჰყო, რომ ერთი გულითადი ამხანაგი არა ჰყოლია, რომლისათვის რამე ტკბილი სასუსნი, ან ხილი გაემეტებინა. მერე სემინარიაში გადავედით. იქაც, სემინარია ისე გაათავა, სასულიერო სასწავლებლიდან წამოყოლილი ხასიათი არ შეუცვლია. არამც თუ ამხანაგი არ გაუჩენია, პირიქით, ისეთი თვისებები გამოიჩინა, რომელსაც მტრული განწყობილება დაერქვა. ერთხელ სემინარიის მაღლა სართულიდან გადაგდებაც კი მოვუნდომეთ, მაგრამ ინსპექტორმა სამგზავრო ფული მისცა და გაისტუმრა ამხანაგების უნახავად.

ჩემს გვერდით და ახლო ბარემ ათნი ისხდნენ. შევუდექი მათ მაგიერ თხზულებების წერას რამდენადაც შევიძელი. თავი დავაღწიე გაჭირვებას. ოთხს დავუწერე შავად და გადავეცი. დასაწერად მოცემული დრო (ერთი საათი) მიწურულზე იყო. შევუდექი მეც წერას, მოვიგონე ტკბილი წუთები, აღდგომა ღამეს სახლში გატარებული. ერთიმეორეზე ლამაზი სურათები თვალწინ ერთმანეთს მიეჯარა. ქაღალდზე გადაღებაღა უნდოდა, მთლად ოფლში გავიწურე, თან ცხელოდა... თითქმის უკანასკნელმა გადავეცი ნაწერი მასწავლებლის ასისტენტს, რომელსაც ჩვენს ბედზე, მინდობილი ჰქონდა ნაწერების შეკრება, მერე მათი გადასინჯვა და შეფასება. ზეპირი გამოცდა მეორე დღეს დაგვინიშნეს.

შეგვიფასეს ნაწერები: ოცდაათ კაცში ერთს მე მქონდა 5 მინუსით, ერთს—ოთხი, ათს—სამი და დანარჩენთ—ორები, მიუხედავად იმისა რომ შეფასება მეტად ლმობიერ მასწავლებელს ჰქონდა მინდობილი, რომელმაც იცოდა გამოცდებზე დახმარება და მოწაფე არ იყო, რომ თითო ნიშანი მაინც არ აეწია თხზულებაში.

ასე იყო, თუ ისე, გადავრჩით წერით გამოცდას.

იმავე რუსულის ზეპირ გამოცდას დაესწრო ზედამხედველი, მასწავლებელი, ასისტენტი და სამღვდელოების წარმომადგენელი.

---

* ეს იყო ი. ბ-ძე. როგორც საქ. ც. არქივში შემონახული ი. ბ.-ის ერთი განცხადებიდან ჩანს, ის იყო ადმინისტრაციის აგენტი, რომელიც რექტორ ჩუდეცკის მკვლელობასთან დაკავშირებით უკმაყოფილო სემინარიელების გამომჟღავნებას უწყობდა ხელს.

საზეიმო გამოცდა იყო. რუსულის ჩაბარებას უნდა გადაეწყვიტა ბედი იმათი, ვისაც თბილისის სემინარიაში სურდა გადასვლა. სწორედ იმ წელიწადს მოვიდა განკარგულება—ვისაც თვით სასწავლებელი სცნობდა ღირსად სემინარიაში გაგზავნისა, ასეთები უგამოცდოდ უნდა მიეღოთ სემინარიაში. მაშასადამე, წელებზე ფეხი უნდა დაგვედგა და რუსულში გამარჯვებულები გამოვსულიყავით. თვით მასწავლებლის უხეირობა გვიჭირებდა საქმეს. ვინც თვალში ამოღებული ჰყავდა, იმას არ გაახარებდა. პირადად მე რუსულში პირველი მოწაფე ვიყავი, მაგრამ სასწავლო წლის დასაწყისშივე დამემუქრა: ჩემ საგანში გამოცდა უნდა მოგცეო. საგამოცდოდ საქმე არ მივაყვანინე, მაგრამ წლიური ხუთის მაგიერ ოთხი გამომიყვანა. ახლა გამოცდაზე თავი ვეღარ შეიკავა და მოინდომა ჩაჭრა: მაგიდაზე დაყრილი ბილეთები უნდა აგველო და რა ნომერსაც ბედი გვარგუნებდა, იმაზე უნდა გვეპასუხა. მერგო მე-4 ნომერი. იმდენად გაკადნიერდა, რომ ეს ნომერი არ მკითხა და რაც უფრო ძნელები იყო, იმისი კითხვა დამიწყო. ყველაფერზე მივუგე. რაღაც წიგნიდან ერთი გვერდი წამიკითხეს, რომ უფრო შეემოწმებინათ ჩემი ცოდნა. მერე შინაარსი მათქმევინეს. არ შევრცხვენილვარ. მასწავლებლის გარდა ყველამ ხუთი დამიწერა, მასწავლებელმა კი ოთხს დამაჯერა და იმდენი ქნა, რომ თავისი გაიყვანა: ოთხი გამომაყოლა ატესტატში, თუმცა ყველამ პროტესტი გამოაცხადა ამ აშკარა უსამართლობის წინააღმდეგ. იმ დროს, როცა ყველა საგანში ხუთები მყავდა, რუსულში ოთხი გამომყვა და ამიტომ პირველობაც ამცდა.

სხვა გამოცდებმა მშვიდობით ჩაიარა. ძალიან გვშველიდა გამოცდების დროს სამღვდელოების წარმომადგენელი მღვდელი ან. კეკელია. ზოგს გვიკარნახებდა, ხელით გვანიშნებდა, ნიშანს აწეულს დაგვიწერდა. სამაგიეროდ, მეორე წარმომადგენელი სამღვდელოებისა ბლაღოჩინი ნიკ. კალანდარიშვილი პირდაპირ რისხვა იყო თავისი სიძუნწით: მასწავლებელს რომ ოთხი დაეწერა, ეს უეჭველად ერთი ნიშნით ნაკლებს დაგვიწერდა. ღმერთს სულ იმასა ვთხოვდით, ეს წარმომადგენელი აეცდინა ჩვენთვის. ალბათ ამნაირი სიძუნწით და სიფრთხილით უნდოდა გამოეჩინა თავისი ცოდნა. თვითონ სასულიერო სასწავლებელი ჰქონდა გათავებული და სემინარიელ მასწავლებელთა შორის აშკარად განირჩეოდა თავისი სუსტი ცოდნით.

ოცდაათ კაცში რვა კაცი გვცნო სასწავლებლის მმართველობამ სემინარიაში უგამოცდოდ გაგზავნის ღირსად. დანარჩენებს სწავლის გაგრძელების საშუალება მოესპოთ და ზოგმა რა საქმეს მოჰკიდა ხელი და ზოგმა რას. ამათგან მღვდლად მხოლოდ ორი კაცი წავიდა. სემინარიაში გადასული რვა კაციდან ბოლოს მღვდლად წავიდა ოთხი კაცი, ანუ მხოლოდ და მხოლოდ სამღვდლოდ მომზადებულ მოწაფეთა ერთი გამოშვებიდან ტრაპეზის მსახურებად გახდა მხოლოდ ექვსი კაცი, ასე 20% მთელი კურსისა.

ერთმანეთთან გამოთხოვების წინ გადავწყვიტეთ ეს მომენტი საერთო ტრაპეზით აღგვენიშნა. ვახშმის მოწყობა ერთმა უფროსმა ამხანაგთაგანმა ითავა, თითო მანეთს ჩამოვედით და ერთ სასადილოში გაიმართა ვახშამი. დიდი ხანია ასე არ გავმძღარიყავით. ეს არ ვიკმარეთ. გადავწყვიტეთ, დაგვემტკიცებინა, რომ უკვე დიდები ვიყავით და ჩვენს თავს ნება მივეცით მეტი ღვინო დაგველია, და პირველად დავთვერით. მაგრამ ბევრი ვერაფერი მოსაწონი იყო ეს.

გამოვეთხოვეთ ერთმანეთს 7 წლის ერთად ყოფნის, ერთად წვალების, საერთო მხიარულებაში მონაწილეობის მიღების შემდეგ. სემინარიაში წამომსვლელ ბედნიერებს გულდაწყვეტილნი გვიყურებდნენ სემინარიის გარეთ დარჩენილნი. გზას გვილოცავდნენ, წარმატებას გვისურვებდნენ. ჩვენც დავულოცეთ გზა, გულწრფელად, მაგრამ ვაი რომ ულმობელმა ცხოვრებამ ამ ცხოვრებასთან საბრძოლველად მოუმზადებელი ამხანაგები ყველა გაგვიქელა, სრულებით გაგვინადგურა...

შინაარსი

ნაწილი პირველი

ძიძისას . 3
შიო მღვდლისას 20
მარტვილში 44

ნაწილი მეორე

პირველ კლასში 120
მეორე კლასში 136
დავითკა გეგეჭკორი 141
მესამე კლასში 171
მეოთხე კლასში 177

რედაქტორები: ბ. კიზირია, ს. ცაიშვილი,

ყდა და ტიტული მ. ჭუთათელაძისა, მხატვ. რედაქტორი შ. ცხადაძე,

ტექრედაქტორი ვ. გვეტაძე, კორექტორი ლ. ფოფხაძე.

გადაეცა წარმოებას 13/—X-54 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/X—55 წ.
საღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 8,17, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 11,75,
ანაწყობის ზომა 6×9, ქაღალდის ზომა 60×84, ტირაჟი 10.000, უე 08554,
შეკ. № 1305, ფასი 6 მან. 30 კაპ.

საკავშირო სტამბა, თბილისი, მეიქალაქი